




# მწიგნობარნი

1610  
1989

89



16 10  
19 89

საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს




# გენიპნობარი



საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის  
წიგნის მღუპარულთა სასოგადოება



ალმანახი „მწიგნობარი“ ეობვიტსრობს  
წიგნებსა და წიგნის უმეჟმნელეზზე,  
ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილეზზე,  
ჟიგნეზზე წიგნის სამყაროში,  
ჟველ წიგნეზზე,  
სსჟადასსჟა ჟვეყნისა და მსარის  
წიგნისმრყჟარულეზზე.



მნიბნოგარი

89

გამომცემლობა „საქართველო“  
თბილისი, 1989

002(062) + 090.1 + 02 + 002(ე.922)



002  
76.11  
002  
8 979

მთავარი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო საბჭო:


ლეილა ბარაბაძე  
გურამ ბუხნიკაშვილი (მთ. რედ. მოადგილე)  
ალექსანდრე გვახარია  
გურამ გვერდწიფელი  
რევაზ ინანიშვილი  
ელენე მაჭავარიანი  
ვივი მიქაძე  
ედუარდ სიხარულიძე  
ზაირა სტურუა  
ლევან მენაბდე  
რევაზ ღლონტი  
ცისანა ღლონტი  
პელო ლელუყვა (პ/ მგ. მდივანი)  
სარგის ცაიშვილი  
აკაკი ძიძიგური  
ვენერა ხუნდაძე  
სოლომონ ხუციშვილი  
ვახტანგ ჯავახაძე

საქმე-2000  
შეგთქმულია

მხატვარი

ანზორ თოდრია

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



---

ნიბნი  
და  
სსოპრუბა

5080

ნიჰიერი მწერალი ექიმია ცხოვრებისა.

### ვაჟა-ფშაველა

მე ვისურვებდი, რომ ჩემი წიგნები  
ადამიანებს დაეხმარონ ბაკეთილშო-  
ბილებად.

### მ. შოლოხოვი

ერთხელ დაწერილი წიგნი ავტორს  
სამაგიეროს იმით უზღავს, რომ შპ-  
ვდავებით აჯილდოებს. მიღწე ცო-  
ცხლობს წიგნი, ცოცხლობს მისი ავ-  
ტორიც.

რინარდ ღე ბერი

## ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით

ესაუბრა გ. ჯულუხიძე

— ბატონო რევან, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების IV ყრილობა ისეთ ვითარებაში იმართება, როცა მომძლავრებულია მოძრაობა ეროვნული და სულიერი პრობლემების გადასაჭრელად, თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების შესაქმნელად. როგორია წიგნის მოყვარულთა საზოგადოების დამოკიდებულება ასეთი აქტუალური საკითხებისადმი, როგორ განვითარებას პოვებენ ისინი ყრილობის მუშაობაში და მის გადაწყვეტილებებში?

— ცხოვრებისეული სიახლენი ჩვენი საზოგადოების მუშაობის ახლებურად გააზრებას მოითხოვს. ამიტომ ეს ყრილობა არ შეიძლება ჩვეულებრივ, მორიგ ყრილობად მივიჩნიოთ, რომელზედაც განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის ანგარიშს წარმოვადგენთ; ეს ყრილობა უთუოდ გახდება წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქმიანობის არსებითად გარდაქმნის ეტაპი.

თავისთავად ცხადია, ყრილობაზე იქნება მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ფუნქცია დაეკისრება წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას ერის მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის საქმეში. ასეთი მიმართულებანი ასახვას პოვებს აგრეთვე ყრილობის სათანადო დოკუმენტებში და საფუძვლად დაედება წიგნის მოყვარულთა შემდგომ მუშაობას.

— როგორც ვიცით, საზოგადოებას ჰყავს დამფუძნებელი ორგანიზაციები, რომელთა ინიციატივითაც შეიქმნა წიგნის მოყვარულთა საზოგადოება. რა ორგანიზაციებია ეს და როგორი დამოკიდებულება აქვთ წიგნის მოყვარულებთან?

— საზოგადოების დამფუძნებელი ორგანიზაციებია: საქართველოს პროფკავშირისა და კომკავშირის კომიტეტები, „გამსახკომი“, მწერალთა კავშირი, განათლებისა და კულტურის სამინისტროები, „ცეკავშირი“, საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობისა და აღნიშნული ორ-

განოების მჭიდრო, ურთიერთკონტაქტებით, ერთობლივი პერსპექტი-  
ული და მიმდინარე სამუშაო გეგმებით წარმართება ძირითადი საკითხები  
ანობა. ანალოგიური ურთიერთობა აქვთ საზოგადოების რესპუბლი-  
კურ (ასრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების გამ-  
გებებს შესაბამის ადგილობრივ ორგანიზაციებთან და დაწესებულე-  
ბებთან.

— წიგნის მოყვარულთა საზოგადოება 15 წლის წინათ ჩამოყალიბ-  
და. ამ საიუბილეო თარიღს ემთხვევა საზოგადოების IV ყრილობა. გან-  
ვლილი პერიოდი დიდი დროა. როგორია თქვენი აზრი: ამართლებს თუ  
არა საზოგადოება თავის არსებობას, ასრულებს თუ არა დებულებით  
გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს?

— წიგნის მოყვარულთა საზოგადოება რომ თავის არსებობას ამარ-  
თლებს, ამის დასტურია მისი სტრუქტურული მთლიანობა: ორგანი-  
ზაციულად მტკიცედ შეკრული, მიზნობრივად ჩამოყალიბებული სა-  
ზოგადოებრივი ფორმირებები და წევრთა მრავალათასიანი რიგები...  
ყრილობის წინა პერიოდისათვის რესპუბლიკაში შექმნილია ათიათა-  
სამდე პირველადი ორგანიზაცია, სამი ათას ოთხასამდე წარმოება-და-  
წესებულებისა და უწყების თანამშრომლები საზოგადოებაში კოლექ-  
ტიურად არიან გაერთიანებულნი. ინდივიდუალურ წევრთა რაოდენო-  
ბამ თითქმის 800 ათასს მიაღწია, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის  
15-მდე პროცენტს შეადგენს. საზოგადოებაში ერთიანდება ყველა,  
ვინც დაინტერესებულია წიგნით და წიგნთან დაკავშირებული სა-  
კითხებით. წევრთა უმეტესობა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, აქ-  
ტიურად მონაწილეობენ საზოგადოების მუშაობაში, დაინტერესებული  
არიან ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ, საქართველოში წიგნის ბეჭდვისა  
და გამოცემის, წიგნის პროპაგანდის, მკითხველთა მოთხოვნის დაკმა-  
ყოფილების, წიგნის ფონდების ამოქმედების, კითხვის კულტურის  
ამაღლებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებით.

გარდა ამისა, საზოგადოების არსებობის გამართლების დასტურია  
ის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მუშაობა, რომელსაც მისი ორ-  
განიზაციები, საზოგადოების აქტივისტები ეწევიან წიგნის პროპაგანდი-  
სა და გავრცელების, წიგნთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის  
საქმეში.

ქართველი წიგნისმოყვარულები დღეს ერის საერთო სულისკვეთე-  
ბით ცხოვრობენ, მხარს უბამენ საქართველოს, ქართული საზოგადოებ-  
რივი აზროვნების ისტორიის, აქამდე იშვიათობად ქცეული ნაშრომე-



ბისა თუ უსამართლოდ უგულვებელყოფილი მხატვრული ნაწარმოებების, ისტორიული გამოკვლევების შესწავლის მშრომელთა მოზღვა-  
 ვებულ ინტერესს. ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ პროპაგანდისტული  
 საქმიანობის ახალ თვისებრივ დონეზე წარმოჩენით, დარგობრივი წიგ-  
 ნის პროპაგანდის საზოგადოებრივი საბჭოებისა და სექციების მეშ-  
 ვეობით ხელი შეუწყონ ქართველი ხალხის წიგნიერების ამაღლებას,  
 პროფესიონალიზმის დამკვიდრებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგნ-  
 რისის განხორციელებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო-  
 ში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას.

საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად მიზნად კვლავ რჩება რესპუბ-  
 ლიკაში არსებული წიგნადი ფონდების ამოქმედება, მათი ეფექტიანი  
 გამოყენება, რაც ხორციელდება ბიბლიოფილების დახმარებით.

ამ მიმართულებით ბევრი რამ კეთდება, მაგრამ უფრო მეტი გასა-  
 კეთებელია.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ საზოგადოების მუშაობის პრობლემებით და-  
 ინტერესებულთა წევრთა მეტი წილი, მაგრამ დანარჩენი? ისინი ფორმა-  
 ლურად ირიცხებიან საზოგადოებაში, თუ მაინც აკისრიათ გარკვეული  
 ფუნქცია?**

— ყრილობის წინა პერიოდში ანგარიშგება-არჩევნები გაიმართა  
 საზოგადოების პირველადს, რაიონულ, საქალაქო, საოლქო და ავტო-  
 ნომიური რესპუბლიკების ორგანიზაციებში. ადრინდელი ასეთი კამ-  
 პანიისაგან განსხვავებით თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
 სიტუაციის ვითარებაში, ანგარიშგება-არჩევნები მოეწყო სრული დე-  
 მოკრატიისა და პლურალიზმის სულისკვეთებით; დაუფარავად გამო-  
 ითქვა მრავალი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება საზოგადოების  
 საქმიანობის გარდაქმნის, მუშაობაში არსებული ფორმალისმის აღ-  
 მოფხვრის, დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში ორგანიზაცი-  
 ებისათვის მეტი დამოუკიდებლობის მიცემის, საზოგადოების სტრუქ-  
 ტურის დეცენტრალიზაციის და სხვა საკითხებზე.

გამოვლინდა ისიც, რომ მოჩვენებითობით, ზემდგომ ორგანოებში  
 შექმნილი ინსტრუქციების შესაბამისად შთამბეჭდავი ციფრებით გა-  
 ტაცებამ, წამატებებმა, გაუმართლებელმა ექსპერიმენტებმა, რაც მძიმე  
 სენად მოედო ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, წიგნის  
 მოყვარულთა საზოგადოებაშიც პოვა ნოყიერი ნიადაგი; სხვა რეს-  
 პუბლიკებთან შეჯიბრების შედეგად ერთობ სწრაფად გაიზარდა საზო-  
 გადოების რიგები, რის გამოც ნამდვილი წიგნის ქომავ-ენთუზიასტე-

ბის გვერდით გაჩნდნენ მუშტრული დამოკიდებულებით განწყობილი ადამიანები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო საზოგადოების ნებთან და ამოცანებთან.

ეს ითქვა კრებებსა და კონფერენციებზე. ალბათ იქნება მსჯელობა ყრილობაზეც. ყველა, ვინც კი წიგნს იძენს, მაგრამ ნაკლებად ინტერესებს მისი ბედი და მხოლოდ მომხმარებლურად უყურებს საზოგადოებას, არ არის აუცილებელი წევრად ითვლებოდეს.

**— სხვებისაგან განსხვავებით, რა უპირატესობით სარგებლობს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების წევრი, თუ აქვს რაიმე პრივილეგია?**

— ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი ორი-სამი ათწლეულის მანძილზე საგრძნობლად გადაფასდა ჩვენი ზნეობრივი პრინციპები, ცნობიერებამ საკმაოდ დევალვაცია განიცადა. როდესაც საზოგადოების წევრი აცხადებს, რომ „საწევროს გადავიხდი, თუ დეფიციტურ წიგნს მომცემთო“, იგი უთუოდ თავად განიცდის ზნეობრივ დეფიციტს. ყველა წიგნიერი, შეგნებული ადამიანისათვის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების წევრობა თავად არის მორალური პრივილეგია და სხვა პრივილეგიები წესდებით არ არის გათვალისწინებული. მაგრამ არსებობს წახალისების ფორმები, რომლებიც საზოგადოების აქტივისტებზე ვრცელდება და არა ყველა წევრზე. ასეთი აქტივისტები ჯილდოვდებიან წიგნებით, ამა თუ იმ გამოცემაზე ხელისმოწერით, ახლად გამოცემული წიგნის შექმნის უფლებით, რაშიც საზოგადოებას სათანადო დახმარებას უწევენ „გამსახკომი“, „საქწიგნისა“ და „ცეკავშირის“ წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციები. მატერიალური წახალისების მიზნით საზოგადოების აქტიური წევრები ჯილდოვდებიან აგრეთვე ფულადი სახსრებითაც. საანგარიშო პერიოდში აქტივისტებზე გაიცა ასი ათას მანეთამდე პრემია და ფულადი ჯილდო. ყოველივე ეს კეთდება წახალისების მიზნით და არა პრივილეგიის პრინციპით.

**— მკითხველს, ალბათ, დაინტერესებს ისიც, თუ რას ხმარდება საზოგადოების ანგარაშზე შემოსული სახსრები.**

— წიგნის მოყვარულთა საზოგადოება არ არის კომერციული ორგანიზაცია და არც დიდი სახსრები აქვს. მისი შემოსავლის მეტ ნაწილს საწევრო შენატანები შეადგენს, გარკვეული რაოდენობის სახსრები შემოდის აგრეთვე წიგნის ზეპირი პროპაგანდის ღონისძიებებიდან, საგამომცემლო საქმიანობიდან და საზოგადოებასთან არსებული საწარმოო კომბინატის მოგების ანარიცხებიდან. შემოსავლის 30 პრო-

ცენტრი წიგნის პროპაგანდას უნდა მოხმარდეს და ხმარდება კიდევ პროცენტი უბრუნდებათ პირველად ორგანიზაციებს მათი საჭიროებისათვის. საკმაო თანხა იხარჯება შტატიანი მუშაკების ხელფასისა და პრემიების, აქტივისტთა წახალისებისათვის.

რესპუბლიკურმა გამგეობამ თანხა გადარიცხა ჩერნობილის ტრაგედიის, აჭარის, სვანეთისა და სომხეთის სტიქიით დაზარალებულთა ფონდებში.

სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე სხვა მიზნებითაც, რაც საზოგადოების ამოცანებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, საზოგადოების ინიციატივით ქ. გურჯაანში აიგო ოთხსართულიანი წიგნის სახლი, რომელშიც მოთავსდა წიგნის მაღაზია, სარაიონო და საბავშვო ბიბლიოთეკები, საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის გამგეობა, ორი საგამოფენო, ერთი სააქტო დარბაზი და სხვ. საზოგადოებამ, წილობრივი მონაწილეობით მისი აშენებისათვის 300 ათასი მანეთი გაიღო.

**— თქვენ საწარმოო კომბინატი ახსენეთ. რა ფუნქცია აკისრია ამ კომბინატს, რით და როგორ ემსახურება იგი წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას?**

— საწარმოო კომბინატი შექმნილია წიგნის მოყვარულთა ინტერესების გათვალისწინებით, მის მიერ გამოშვებული პროდუქცია, ძირითადად, ნომენკლატურულია. ესაა წიგნების რესტავრაციისა და საამკინძაო სამუშაოები, უშვებს აგრეთვე წიგნის გარსაკრავებს, წიგნთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის პროდუქციას.

**— როგორც ვიცით, წიგნის მოყვარულთა საზოგადოება საკავშირო და ამიტომაც მართვაც ცენტრალიზებულია. ზომ არ არის მოსალოდნელი რაიმე ცვლილება დეცენტრალიზაციის მიზნით?**

— გაზეთ „კნიჟნოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნდა საზოგადოების წესდების ახალი პროექტი. მასში საკმაოდ ბევრი ცვლილებაა შეტანილი; ზოგი მათგანი განსჯას და დაზუსტებას მოითხოვს. ამ წესდებით, ცენტრალური მმართველობა კვლავ რჩება, მაგრამ მეტი დამოუკიდებლობა ეძლევა რესპუბლიკურ საზოგადოებას; მათ შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი წესდებაც ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

რაც შეეხება სამეურნეო საქმიანობას, ამ მხრივ, რესპუბლიკურ ორგანიზაციას სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა. მეორე წელია საზო-



გადღობის ორგანიზაციები გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე დაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე.

ახალი წესდების პროექტში გათვალისწინებულია, რომ საზოგადოების რესპუბლიკურ გამგეობებს მიეცეთ წიგნების გამოცემის უფლება. თუ წესდების ეს მუხლი მიიღო ყრილობამ, მაშინ რესპუბლიკური გამგეობა გამოსცემს წიგნებს წიგნის მოყვარულთა მოთხოვნების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ავტორიტეტის ამაღლებას.

**— როგორ გეხსებათ მომავალ, პოლიტიკურად და ეკონომიკურად თავისუფალ საქართველოში წიგნის მოყვარულთა საზოგადოების როლი?**

— საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ილია ჭავჭავაძის სახელი მიენიჭა. ეს კი საზოგადოების თითოეულ წევრს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს.

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ საქართველოს მომავალზე, მისი ხვალისდელი დღე კი წიგნიერ, სპეციალობას საფუძვლიანად დაუფლებულ ცვლას ელოდება. ეს ნათელი მომავალი მყარად უნდა ვაშენოთ, ყველამ უნდა ვაკეთოთ ის, რაც გვაკისრია და შეგვიძლია. წიგნის მოყვარულთა ვალია, ქომაგად ედგეს წიგნს, შეაყვაროს იგი ახალგაზრდობას. გამოიყენოს ამისათვის ყველა ფორმა და მეთოდი, ყველა საშუალება. სახალხო განათლების ორგანოებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად, მთავარი ყურადღება დაუთმოს სასკოლო ორგანიზაციებს და ნორჩ წიგნის მოყვარულთა სექციებს.

დღევანდელი ახალგაზრდობა აღარ არის საზოგადოების ის ფენა, რომლისთვისაც შეგვეძლო თავს მოგვეხვია ნებისმიერი ღონისძიება; ახლა და მომავალშიც მათთვის ჩატარებული ყველა ღონისძიება დაფიქრებით მომზადებას საჭიროებს. აუცილებელია ახალგაზრდობასთან სისტემატური დიალოგი, რომ პასუხი გავცეთ იმ კითხვებს, რომლებიც მას აწუხებს, უნდა დავეხმაროთ გაერკვინენ სადღეისო პრობლემებში.

ამიტომ ყმაწვილთა ინტერესების გათვალისწინებით უნდა ჩავატაროთ ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთო განათლების ჰორიზონტის გაფართოებას, წიგნიერი, დახვეწილი გემოვნების მქონე მოქალაქის აღზრდას; სწორედ ასეთი თაობა გამოადგება მომავალ საქართველოს.

— ჩვენი რესპუბლიკა მრავალეროვანია. თანამედროვე სიტუაციაში ეროვნული ურთიერთობა არცთუ სტაბილურია. როგორია წიგნის მოყვარულთა საზოგადოების როლი ეროვნებათაშორისი ურთიერთდამოკიდებულების, ურთიერთნდობის, ინტერნაციონალური მეგობრობის გაღრმავების საქმეში?

— ამ მიმართულებით ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ წიგნის მოყვარულთა კლუბებს, რომლებიც ჩადგებიან ეროვნებათაშორისი ურთიერთობათა პრობლემების გაანალიზების, ხალხთა შორის ურთიერთდამოკიდებულების სწორი პოლიტიკური კურსის სამსახურში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება წიგნის მოყვარულთა კლუბების საქმიანობას არაქართული მოსახლეობის რეგიონებში, სადაც უფრო საჭიროა საზოგადოების მხრივ გააზრებული, პოლიტიკურად გამართული მუშაობის წარმართვა.

ეს კლუბები უნდა გახდნენ, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდობის პოლიტიკური წრთობის კერები, სადაც გაიმართება დისკუსიები საქართველოს წარსულისა და აწმყოს, მისი მომავლის, მისი ნამდვილი სუვერენული უფლებების მოპოვების და სხვა საკითხებზე.

ასეთი პრობლემატიკის ლიტერატურის პროპაგანდამ უნდა შეუწყოს ხელი პარლამენტური მართვის პრინციპების შესწავლას, ეკონომიკური და იურიდიული ცოდნის გაღრმავებას... და ეს ყოველივე უნდა გაკეთდეს ისე, რომ არ შეილახოს არც ქართველი და არც სხვა ერების წარმომადგენელთა ინტერესები.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების IV ყრილობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული, საკუთარი ეროვნული ორიენტირების შემუშავება და განსაზღვრა შემდგომი მუშაობისათვის.

მწერალი და დრო

ესაუბრა ანდრო ბედუკაძე

მუხრან მაჭავარიანი ქართველმა მკითხველმა დიდი ხანია შეიყვარა. ეს სიყვარული მას არც ერთი პრესტიჟული თანამდებობის წყალობით არ მოსვლია და ამდენად, არც ნაძალადევია. მასთან შეხვედრებზე დარბაზებში ტევა არაა, მისი წიგნების შოუნისათვის გაფაციცებული მკითხველი ხშირად გვინახავს. ეს, მართლაც, საერთო-სახალხო სიყვარულის გამოხატულებაა.

მუხრან მაჭავარიანი დღეს სამოცი წლისაა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატია, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატია... ჩვენც გვსურს საყვარელ პოეტს მიუულოცოთ ყველაფერი ეს. აღმანახი „მწიგნობარი“ თავისი პერიოდულობის გამო ცოტა გვიან ეხმაურება პოეტის ღირსშესანიშნავ თარიღს.

— ბატონო მუხრან, გილოცავთ დაბადების 60 წელს და ქართველი მწერლის უმაღლესსა და უპირველეს ჯილდოს — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიას.

— დიდი მადლობა.

— ცოტა დაგვიანებით კი მოვიდა მუხრან მაჭავარიანთან ეს პრემია, მაგრამ კაცმა ქართული ანდაზით შეიძლება თავი დაიმშვიდოს „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. — პრემიით დავიწყეთ და აქვე გკითხავთ შოთა რუსთაველის პრემიის გაცემის პრინციპზე. მწერალს, საერთოდ შემოქმედს, ესა თუ ის პრემია ენიჭება გარკვეულ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებების გამო (ძირითადად კი ბოლო წლების მხატვრული ფასეულობის გამო); თქვენი პრემიის მოსაპოვებლად წარდგენის ინფორმაცია რომ წაუვიკითხე, სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა — მუხრან მაჭავარიანმა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია ხომ დიდი ხანია დაიმსახურა-მეთქი. ამიტომ არ ჯობია პრემია მწერალს მიენიჭოს მისი ღვაწლისა გამო და არა ამა თუ იმ კონკრეტული ნაწარმოებისათვის. თქვენი აზრი, ბატონო მუხრან, ამ საკითხზე?

— სხვებმაც მითხრეს ეს, ისე კი მეც მეგონა, რომ ლაურეატი ვი-



ყავი ამ პრემიისა. ხუმრობა იქით იყოს და ჩემთვის შოთა რუსთაველის პრემიის მონიჭება იმ ჯანსაღი ვითარების შედეგია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს. ამიტომაც უფრო მეტადაა სასიხარულო იგი. პრემიის მინიჭების პრინციპებზე მეკითხებით? რა თქმა უნდა, ლაურეატი მთელი მისი ღვაწლის გამო ხდება. სასურველია ეს ასეც ხდებოდეს, მაგრამ თითქმის ყველა რანგის პრემია, რაც კი მე გამიგია, მწერალს, ხელოვანს... ენიჭება ამა თუ იმ კონკრეტული ნაწარმოების, ანდა ნაწარმოებების გამო — ეს ასე ცხადდება, თორემ არსებითად როგორც ხდება უკვე ვითხარით.

— **სამოცი წელი, დიდებული პრემია, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა თითქმის ერთდროულად მოვიდა. როგორია თვით მისხავე თვალში პოეტ მუხრან მაჭავარიანის მიერ განვლილი გზა? რაზე სწყდება გული? თუ არის ისეთი რამ, რასაც სხვაგვარად გააკეთებდა?**

— ზემოთაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ პრემია და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაც დღევანდელი დემოკრატიის შედეგია. ეს ყველაფერი ვინმეს წყალობად კი აღარ აღიქმება, არამედ ზალხის გადაწყვეტილებად. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის. ჯერ ერთი, სიამაყეს გიღვიძებს კაცს და მეორეც, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით გავსებს. შენ ვინმე კონკრეტულის წინაშე კი აღარ ხარ ანგარიშვალდებული, არამედ ხალხის, იმათ წინაშე, ვინც ასეთი ნდობა გამოგიცხადა.

რაზე მწყდება გული? ბევრი რამაა ცხოვრებაში ისეთი, რაც აღარ გაკმაყოფილებს. რაღაცა გაგისხლტა ხელიდან, რაღაცას ან ვიღაცას სათანადოდ ვერ მიაგე. ვინ იცის კიდევ რა და რა. ძირითადად კი იმაზე მწყდება გული, რომ ბევრი ვერ დავწერე. მთელი ჩემი შემოქმედება შეიძლება ერთ მოზრდილ ტომში ჩაეტიოს. ასეთ არაპროდუქტიულობას თავისი მიზეზიცა აქვს. საერთოდ, ზეპირად ვწერ ლექსს. დიდხანს ვფიქრობ, ვაყალიბებ, ვეძებ სიტყვას, ფრაზას, განწყობილებას, ინტონაციას... და ბოლოს გამზადებული, გონებაში დაწერილი ლექსი გადამაქვს ქალაღზე. ბუნებრივია, ასეთ დროს ბევრიც დამეკარგა, უფრო სწორად დამავიწყდა, მეხსიერებიდან წაიშალა. ქალაღზე გადატანილს დახვეწ, რაღაცას უზამ კაცი, მაგრამ ყველა თავისებური მეთოდით მუშაობს ლექსზე. ვნანობ დაკარგულის გამო, მაგრამ რას იზამ, ხომ გახსოვთ ილია: მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდიო.

— **საკუთარ თავზე ლაპარაკი რომ არ გიყვართ, ეს არაერთხელ და-**

გიმტკიცებით და არც დაპირებებით გაგიბეზრებით ვინმე, ყოველთვის საქმეს ამჯობინებთ, რამეთუ საქმეა მეტყველი და არა პირობა. მაგრამ მაინც რა სიძნელეები დადგა თქვენს წინაშე, როგორც მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარისა და რის გაკეთებას აპირებთ?

— არც სხვათა შეცდომების გამო მიყვარს ლაპარაკი. კაცმა თვითონ უნდა აკეთოს საქმე ღირსეულად და ყველაფერი გამონდება. უპირველეს ამოცანად მაინც შემოქმედებითი ატმოსფეროს გაჯანსაღება მესახება. მწერალთა კავშირში ლიტერატურული ცხოვრება უნდა ჩქეფდეს და აქ მწერალი მხოლოდ ბინისა და მანქანისათვის არ უნდა მოვიდეს. არ უნდა ვაიძულოთ ის ასე მოიქცეს, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება კვლავაც პრობლემაა ჩვენთვის. ამ მხრივ ზრუნვას არ დავაკლებთ არავის — უპირველეს ყოვლისა კი კავშირის წევრებს. უნდა დავებმართოთ ნიჭიერ ახალგაზრდებს ყველანაირად — ეს იქნება საბინაო პირობების მოგვარება თუ მწერალთა კავშირში მიღება. დიდი ტრადიცია აქვს ქართულ ლიტერატურას სხვა ხალხთა ლიტერატურებთან ურთიერთობისა. ასეთ ურთიერთობათა საწყისი დიდად იყო განპირობებული მწერალთა პირადი ურთიერთობებით. უკვე მოველაპარაკეთ სსრკ მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარეს ევგენი ევტუშენკოს, რათა მოხერხდეს რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი მწერლის სხვა ეროვნების მწერლებთან ერთად მოგზაურობა, ერთად შემოქმედებით მივლინებაში წასვლა, ერთად დასვენება. ვფიქრობ, ასეთი კონტაქტები კარგ შედეგებს მოგვცემს.

ნაკლებ ყურადღებას, უფრო სწორად არავითარ ყურადღებას, არ ვაქცევდით უცხოეთში მყოფ ქართველ მწერლებს. გადაწყვეტილი გვაქვს მათთან ურთიერთობის დამყარება, მათი მოწვევა, მათი შემოქმედების პუბლიკაციის ხელშეწყობა (რა თქმა უნდა, ღირებულისა), მათზე დისკუსიების მოწყობა.

გავრასა და ბიჭვინთის შემოქმედებითი სახლები ისეთ მომსახურებას ვერ უწევენ ჩვენს მწერლებს, როგორც საჭიროა. ამიტომ გვინდა აჭარაში 70-ბინიანი შემოქმედებითი სახლის აშენება. იგი იქნება შესანიშნავი ადგილი, სადაც ქართველ მწერალს შეეძლება დასვენება, მუშაობა. გეგმები დიდი გვაქვს, ყველას აქ ვერ ჩამოთვლის კაცი.

ჩემს მიზნებზე რომ იყოს საუბარი, ამდენს არ ვილაპარაკებდი. ეს ჩვენი კავშირის, მისი სამღივნოს გეგმებია და მეც მათი სახელით ვლაპარაკობ.

— წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თხოვნით მოვედი თქვენთან, ბატონო მუხრან. ერთი, ასე ვთქვათ, „დარგობრივი“ კითხვაა და მოგცეთ. რა როლს თამაშობდა და რა როლს ასრულებს თქვენს ცხოვრებაში წიგნი? რომელი წიგნის გაცოცხლებას ისურვებდით (თუ არის ასეთი) დღევანდელი ქართველი მკითხველისათვის?


— მთელი ჩემი ცხოვრება წიგნთანაა დაკავშირებული — ეს პროფესიიდან გამომდინარე არაა მართო. რა შეგვიძლია გავუყუეთოთ წიგნის მოყვარულთ იმის მეტი, რომ კარგი წიგნები დაწვროთ, კარგადაც გამოვცეთ (ნურვინ იფიქრებს, წიგნის კარგად გამოცემას მნიშვნელობა არა აქვსო) და ხელი შევუწყოთ მივიწყებული, ანდა უკვე იშვიათობად ქცეული წიგნების გაცოცხლებას. უსათუოდ უნდა გამოიცეს ვიქტორ ნოზაძის, არჩილ ჯორჯაძის, კირიონ II-ის წიგნები, მდიდარი მემუარული ლიტერატურა, ჯერ რომ საქართველოში არ დასტამბულა. ვგულისხმობ გებაშვილის, მაზნიაშვილის და სხვათა მოგონებებს. რაც არ უნდა არ ვეთანხმებოდეთ მათ ავტორებს, ისინი ადამგენენ საქართველოს გუშინდელ დღეს, ამიტომ უიმათოდ ნაკლებლოვანი იქნება ჩვენი წარმოდგენა ჩვენსავე ისტორიაზე.

— თქვენს დამოკიდებულებაში სულხან-საბა ორბელიანისადმი გაცეცებაა, აღტაცებაც, სიყვარულიც, წუხილიც... ეს არაერთხელ გამოვლანდა თქვენს შემოქმედებში. მუხრან მუჭავარიათი ქართველ მკითხველს მოულოდნელ ამპლუაშიც მოეველინა — მკვლევარისა და კვლავ სულხან-საბა?

— ჩემთვის საბა ყველაფერი რომაა, ეს თქვენ უკვე ბრძანეთ. პასუხიც თქვენსავე კითხვაშია. ისე კი სულხან-საბა დედაჩემმა შემაყვარა ასე. თუ როგორ უყვარდა დედაჩემს ორბელიანთა გვარის ეს დიდი წარმომადგენელი, გეტყვით; უკვე გვიან, როცა „საბაც“ დაწერილი მქონდა, დედაჩემმა მთხოვა ტანძიაში წამეყვანა. იქ მისულმა, ისე შეიცხადა, ჩვენთან რომ იციან ახალმიცვალებულზე. პირველად იყო იქ დედაჩემი და მოთქმით, ხმამაღლა დაიტერა საბა. ბუნებრივია, დედაჩემის სიყვარული მეც გადმომედო.

— თქვენზე უამრავი წერილი, გამოკვლევა დაწერილა. თუ ადევნებთ თვალს მათ და მიგინიჭებიათ თუ არა მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა?

— ადრე უფრო მეტად. ესლაც, რა თქმა უნდა, ვკითხულობ. ზოგი მომწონს, ზოგი ძალიან არ მომწონს, ზოგიც ღიმილს იწვევს. ისე, რო-



დესაც ჰკვიანი კაცი რაღაცას წერს, ყოველთვის საინტერესოა, ალბათ  
ორმოცდაათი წლისა ვიდრე გავხდებოდი, ძირითადად უარყოფითს  
წერდნენ ჩემზე, მაგრამ პოპულარობა, ანუ ხალხის სიყვარული არ მაკ-  
ლდა. ახლა ძირითადად მაქებენ და, მგონია, ხალხის თვალში მაინც  
რსევ ისეთი ვარ, როგორც ადრე — ძაგებისას. ისე პოეტი ყოველი სიოს  
წამოქროლებაზე თუ ლერწამივით დაირხა, ვერ იქნება მისი საქმე კარ-  
გად.

— პოპულარობა ჭეშმარიტ პოეზიას ხომ არ აკნინებს?

— ქარი თუ ვერ გერევა და ლერწამივით სუსტი არა ხარ, პოპუ-  
ლარობა პასუხისმგებლობას კი არ მოგხსნის პოეტს, პირიქით, გაგიზ-  
რდის. უყურადღებობა, იგნორირება, თუ ეს შეგნებულად ხდება,  
არაა ადვილი.

— ძნელია დღეს პოეტობა? საერთოდ მწერლობა?

— ჭეშმარიტი მწერლობა არასოდეს არ ყოფილა ადვილი. მით  
უმეტეს, საქართველოში.

— დოსტოევსკის ცნობილი ნათქვამი — სილამაზე იხსნის სამყარო-  
სო, დღეს პირიქით, შებრუნებული სახით წარმოგვიდგა. შევძლებთ კი  
სილამაზის, მშვენიერების გადარჩენას? თქვენი აზრი ამ საკითხზე?

— მე, საერთოდ, ოპტიმისტი ვარ. შეუძლებელია კაცობრიობის  
გონიერმა, ჯანსაღმა საწყისმა თავისი არ გაიტანოს, არ აჯობოს უგუ-  
ნურობას.

— ბატონო მუხრან, დღეს მწერლობამ ხომ არ დაკარგა ერის წი-  
ნამძღოლის ფუნქცია?

— ასეთი ეჭვები გაისმის აქა-იქ, მაგრამ მცდარია ამგვარი ფიქრი.  
მცნებელიც. მწერლობის ჩამოცილება უნდა ვილაცას გზიდან. ეს კი  
საქართველოს მომავალს ავნებს.

— თქვენი საყვარელი მწერლები ძველები და თანამედროვენი?

— ძალიან ბევრი ქართველი მწერალი მიყვარს, მაგრამ რუსთავე-  
ლი, საბა, ილია და გალაკტიონი განსაკუთრებულნი არიან ჩემთვის.  
არაქართველთაგან, გოგოლი მიყვარდა და მიყვარს განსაკუთრებით.  
ამ რამდენიმე წლის წინათ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე  
კაფკამ, დღესაც ვერავინ შეცვალა იგი.

— რას ფიქრობთ ეროვნულ ურთიერთობათა პრობლემებზე? როგორ  
გესახებათ მწერლობის როლი ამ ურთიერთობათა მოგვარებაში?



— არ შეიძლება ყველას მეგობრად ჩვენ მოგვექონდეს თავი ის, ვისაც მეგობრობას ეფიცები, ზურგში დანას გიმიზნებდეს. თველ კაცს, „ვეფხისტყაოსნის“ დამწერ ხალხს, სხვა ერების უპატივცემლობას ვერავინ დააბრალებს. პირიქითაცაა, ქართველ მწერლებს გვმართებს შოთას გზით სიარული ამ მხრივ. ოღონდ სხვასაც უნდა შეეძლოს გაგიწიოს ფრიდონობა და ტარიელობა.

— საკავშირო პრესაში, ტელევიზიაში წშირად გაისმის ჩვენს მიმართ აშკარა თავდასხმები, ჩვენ კი პატარა, დატუქსული ბავშვებივით სახლის კედლებში ვიმართლებთ თავს, ვასკდებით გულს. რას ფიქრობთ ამ საკითხებზე?

— მართალია იქიდან თითს გვიქნევენ, შეურაცხვეყოფენ, ჩვენ კი ვუმტკიცებთ, კარგი ხალხი ვართო, ძალიან გვიყვარს სუყველაო, იმდენად, რომ მზად ვართ ჩვენი სახლებიდან გამოვსახლდეთ და სხვა ერის შვილები შევასახლოთ იქო. აქ მარტო პასუხის გაცემაზე არაა საქმე. გასაგებია რატომაც არ გვიბეჭდავენ საკავშირო პრესის ფურცლებზე ჩვენს პასუხებს, მაგრამ ამ პასუხებში არ უნდა ვჩანდეთ თავის მმართლებლად, იქითაც ბევრი შეგვიძლია ვუთხრათ სასაყვედურო. ბევრი რამ, რაც გვჭირს, საერთო სენია, ანდა იმას მიუძღვის ბრალი, ვინც გვსაყვედურობს. ზოგჯერ კი საერთოდ არ ვუპასუხებთ შეურაცხყოფელს იმის შიშით, რომ ეჭვი არავის შეეპაროს ჩვენს ინტერნაციონალიზმში. ინტერნაციონალიზმი კარგია, მაგრამ ელემენტარულ ბედოვლათობად არ უნდა იქცეს.

— როგორ ფიქრობთ, ნიშნავს თუ არა ერთ და იგივეს კარგი მწერალი და კარგი პიროვნება?

— ამგვარი სამწუხარო გათიშვა კარგ მწერალსა და კარგ პიროვნებას შორის არის. კარგი მწერლები გაცილებით მეტი გვყავს, ვიდრე ნამდვილი მოქალაქე მწერალი.

— ბატონო მუხრან, ძალზე საინტერესოა თქვენი აზრი რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით.

— გახსოვთ, ადრე ვამტკიცებდით არა, ასეთი რამ არ შეიძლებაო. დღეს კი ეს რეალობად იქცა. ხომ იცით ჯიბეცარიელი კაცი ყოველთვის სხვაზეა დამოკიდებული, მოიბედოვლათებს კიდევ.

— ეკოლოგიური პრობლემა გლობალური ხასიათის პრობლემაა. საქართველოც, ბუნებრივია, ამ პრობლემის არეალშია მოქცეული. შენ-



ვენება, რომ ქართული მწერლობა ისე აქტიურად ვერ იბრძვის ამ პრობ-  
 ლემათა გადასაჭრელად, როგორც ეს მეზობელ რუსეთში ხდება. გამოსა-  
 ქმულია აზრი, თითქოს ამ საკითხებზე მარტო სპეციალისტებმა უნდა  
 ამსჯელონო. თქვენ რას ფიქრობთ ამ პრობლემაზე?

— ეს XX საუკუნის პრობლემაა. მომავალი საუკუნე უფრო მწვა-  
 ვედ გვაგრძნობინებს ამ გასაჭირს. ჩვენი ბუნების მრავალფეროვნება  
 ამორფულ ერთფეროვნებად რომ არ ვაქციოთ, დიდი გონიერებაა სა-  
 ჭირო. შეხედეთ, რა მოსდის დასავლეთ საქართველოს ჩვენი უგუნუ-  
 რობის გამო. ტენიანობის ხელოვნურ გაზრდას თუ არ მოელო ბოლო,  
 კატასტროფულ შედეგებს მივიღებთ. მწერლებმა უნდა თქვან ეს, ჩვენ  
 უნდა ჩავებათ აქტიურად ამ საქმეში, თორემ ტექნოკრატიული აზროვ-  
 ნება უფსკრულისაკენ მიგვაქანებს.

— თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდია მოითხოვდა, რომ აუ-  
 ცილებელია ქართულ წიგნსა და ქართულ ენას, საერთოდ ქართულ  
 კულტურას პროტექცია გასწეოდა რესპუბლიკაში. დღეს ამ პროტექ-  
 ციაზე თითქოს აღარაა ლაპარაკი?

— ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამა იმედის  
 მომცემია, მაგრამ თუ ქმედითი ღონისძიებები არ გატარდა, დადგენი-  
 ლებზე ვერაფერს უშველიან. საქართველოში ქართულ ენას მზრუნ-  
 ველობა რომ ესაჭიროება და ამისათვის დადგენილებებია საჭირო,  
 ცუდადაა საქმე. საქმე ცუდად რომაა, ეს უნდა გაიცნობიეროს ყველა  
 ქართველმა. ენას თითოეული ქართველის ზრუნვა ესაჭიროება, მას  
 გაფრთხილება უნდა ტროლეიბუსშიც, ბაზარშიც, მშენებლობაზეც, მინ-  
 დორშიც და რა ვიცი, სადღა არა.

— ქართული ენის ერთგვარი რეზერვუარი სოფელი იყო. ჩვენი სა-  
 უკუნის მეორე ნახევარში სოფელს ძალზე გაუჭირდა. ის კი არადა,  
 მთელი კუთხეები საერთოდ დაცარიელდა. ეს ჩვენს ენას გაცილებით  
 უფრო დიდ საშიშროებას ხომ არ უქმნის, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს  
 და რით შეიძლება ეშვებოდეს ამ საქმეს?

— გახსოვთ არჩილის ნათქვამი „რა ამოწყდეს გლეხიკაცი, საქარ-  
 თველო დაძაბუნდა“. დღეს ამ სიტყვებს გაცილებით მეტი მნიშვნელო-  
 ბა ენიჭება. გამოსავალი ერთია, მივცეთ გლეხს თავისი ფუნქციის შეს-  
 რულების საშუალება, რათა შეეუწარჩუნოთ სოფელს თავისი სახე.

— დიდი მადლობა ბატონო მუხრან, საინტერესო საუბრისათვის. გი-  
 სურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებაში და საზოგადოებრივ მოღვა-  
 წეობაში.

შექსპირის თარგმანთა სამხაროზი

შექსპირის სახელს ქართულ წერილობით ტექსტებში პირველად ანსილიონის „ესთეტიკური განსჯანის“ დავით ბაგრატიონისეულ თარგმანში ვხვდებით. თარგმანი შესრულებულია პეტერბურგში 1815 წელს.

შექსპირის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე ამეტყველების სათავე დიმიტრი ყიფიანს უკავშირდება. 1841 წელს მან თარგმნა „რომეო და ჯულიეტა“. ამ თარგმანს ახსენებს ნიკოლოზ ბარათაშვილი 1841 წლის 28 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიბიანმა გადმოთარგმნა *Ромео и Джулиетта* შექსპირის ტრადედია, და მე ვთარგმნე *Юлий Тарентский* ტრადედია ლეიზევიცისა“. ეს ის დროა, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში მომწიფდა აზრი ეროვნული დრამისა და ეროვნული თეატრის აუცილებლობაზე. ქართული კულტურის მესვეურთ კარგად ესმოდათ, რომ დრამატულ ჟანრსა და სასცენო ხელოვნებას შეეძლო დიდი როლი ეთამაშა ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის აღმავლობაში. ასეთი იყო ვითარება, როდესაც დ. ყიფიანი „რომეო და ჯულიეტას“, ნ. ბარათაშვილი ლეიზევიცის ტრადედიას, ხოლო რამდენადმე უფრო ადრე ალ. ჭავჭავაძე კორნელისა და რასინის ნაწარმოებებს თარგმნიდნენ.

1844 წელს ქართულ ენაზე პირველად იქნა გადმოღებული „ოტელო“. რომელიც ხელნაწერში ასეა დასათაურებული : „წელსა ჩყმდ-სა, ტრადედია ოტელოსი, ხუთთ მოქმედებათა შინა, შეთხზული შექსპირისა მიერ, გადმოთარგმნილი რუსულიდგან ქართულად ჩყმდ წელსა იანვრის ვ-სა დღესა, ს. მეჭრისხევეს“. გამოთქმულია ვარაუდი, რომ თარგმანი გიორგი ერისთავს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ დაბეჯითებით ამის თქმა ძნელია. თარგმანი შესრულებულია მეჭვრისხევეში, ხოლო მწერლის მშობლიური სოფელი ხიდისთავია. გარდა ამისა, გ. ერისთავის პიესების ენა უაღრესად ხალხურია, რასაც ვერ ვიტყვით „ოტე-



ლოს“ თარგმანზე. ვიმოწმებთ სანიმუშოდ ერთ ნაწყვეტს პირველი მოქმედებიდან: „უგანათლებულესო დოჟო, ყოვლად ბრძანებელსო თქვენ, სენატორნო. ვალიარებ, რომელ ასული მოხუცისა მე წავიყვანე და მასზედან ვიქორწინე. ეს არის ყოველივე ჩემი ბრალეულება და არა რაი სხვა. მე არა ვარ ჩვეული ვფლობდე სიტყვათა პოლიტიკურთა... და ამ ახსნილსა მოთხრობასა შორის შეუყვარდი მე დეზდემონას... თვალნი მისნი აღივსებოდნენ ცრემლითა, ოდესცა ვიწყებდი უბედურებათ ჩემთა მოთხრობასა, ოდეს დავასრულე ისტორია ჩემი მრავალნი. ტკბილნი ოხვრანი აღმოუშვა გულიდგან... სიყვარული თვისი განმიცხადა მე. მე თვითონ შევიყვარე იგი სინაზისა და მონაწილეობისათვის ჩემს შორის; და ესე არის ყოველივე ჩემ მიერ შედგენილი მანქანები და აწ ახლა მან თვითონ გაამბოთ...“

რაოდენ შორს დგას „ოტელოს“ პირველი თარგმანის ენა ახალი სალიტერატურო ენისაგან, ამაზე ნათლად მეტყველებს მისი ერთ-ერთი ნაწყვეტის შედარება ივანე მაჩაბლისეული თარგმანის შესაბამის პასაჟთან:

„მიზეზი არის, მიზეზი არის; გარნა თქვენ მას არ განგიცხადებთ ცისა მთიებნო. მიზეზი არის! მე არ ვანთხევ სისხლსა მისა, მე არ განვმგმერ ტყავსა უთრთოლვანსა და მშვენიერად ნახსა, ვითარცა ალბასტრსა...“

„აი, მიზეზი, სულო ჩემო, აი, მიზეზი!  
 ნუ მათქმევინებთ, თქვენს წინაშე მას, თქვენ უბიწო  
 ზეცის მნათობნო! აი-მეთქი, აი, მიზეზი!  
 მაინც მე იმის სისხლს ვერ დავღვრი, ვერც კი გავკაწრავ  
 მის კანს თოვლზედაც უსპეტაქეს და უსუფთესსა  
 თვით ძეგლისათვის დამზადებულ მარმარილოზედ.“

„ოტელოს“ პირველი თარგმანი, როგორც შექსპირის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე ამეტყველების ადრინდელი ნიმუში, XIX საუკუნის ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის იმ ეტაპს განეკუთვნება, როდესაც ენის დემოკრატიზაციის პროცესი მხოლოდ ტენდენციის სახით მყდვანდებოდა.

1857 წელს ჟურნალი „ცისკარი“ (№ 4) აუწყებდა თავის მკითხველებს — ვამზადებთ დასაბეჭდად „ჰამლეტის“ პროზაულ თარგმანს, რომელიც შესრულებულია გიმნაზიის მეხუთე კლასის მოსწავლის მ. ფავლენიშვილის მიერ. დაპირების მიუხედავად, ეს თარგმანი არ გამოქვეყნებულა. სამაგიეროდ, მომდევნო წელს „ცისკარში“ გამოქვეყნდა „ჰამლეტის“ ლაგრენტი არდაზიანისეული თარგმანი.



თარგმანი პროზაულია და საფუძვლად უდევს პოლევოისეული სული თარგმანი. ლ. არდაზიანი ახალი სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანია და იგი სტატიის „რატომ არ გვივარგა პროზა“ თეორიულადაც იცავდა ლიტერატურაში საერო, ხალხური ენის ნორმების განმტკიცების აუცილებლობას. მაგრამ მან საპიროდ მიიჩნია „ჰამლეტის“ გადმოღება „საღმთო წიგნისა და საეროს ენითა“. როგორც ჩანს, მან ჩათვალა, რომ მაღალი ჟანრისათვის — ტრაგედიისათვის შეუფერებელი იქნებოდა მხოლოდ წმინდა ხალხური, „საერო ენა“<sup>1</sup>.

ლ. არდაზიანის თარგმანში ერთობ სუსტად იგრძნობა დედნის მხატვრული ქსოვილის მრავალფეროვნება, მხატვრული სახეების პოეტურობა და ის, რასაც შექსპირის სტყვის მაგია ჰქვია. თარგმანს დიდად ვნებს არქაიზმები, მძიმე და მოუქნელი სინტაქსური კონსტრუქციები. აი, როგორ უღერს თარგმანში ამ ტრაგედიის ცნობილი მონოლოგი: „ვიყო თუ არ ვიყო — აჰა რასა ვიკითხავ. რა უფრო სიქველეა სულისათვის: მოთმენა ცემათა განმამწარებელისა სსვესი, თუ აღჭურვა წინააღმდეგობ ზღვისა ბოროტებათა და დაძლევა მისი. ამოვსწობ რა ერთიანათ? სიკვდილი — მიძინებაა, არა მეტი, და დასრულება ძილითა გულის ვნებათა, ათას ტანჯვათა, სხეულის მემკვიდრეთა — როგორ არ ვისურვოთ ესრეთი დასრულება!“

თარგმანში აქა-იქ გვხვდება ბარბარიზმებიც: „კოროლი“, „მერხავეცი“, „ბაშმაკები“ და სხვ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სალიტერატურო ენის სინტაქსურ ნორმებზე გარკვეული ორიენტირების მიუხედავად, არანაკლებ შესამჩნევია „საერო ენის“ — ახალი სალიტერატურო ენისაკენ სწრაფვის ტენდენცია. ეს განსაკუთრებით თარგმანის იმ მონაკვეთებში ჩანს, რომლებიც დედანში პროზითა დაწერილი: ასე მაგალითად: „როგორ ცივა! როგორი სუსხიანი ქარია!“; „პრინცო, ხომ კარგა ხართ?“; „პრინცო, მე დიდი ხანია უნდა დამებრუნებინა თქვენთვის, რაც თქვენ მიბოძეთ სახსოვრათ“, „არა, არა ოფელია, მე შენთვის არასოდეს არა მიჩუქებია რა“ და სხვ. მესაფლავის სიმღერა, რომელიც ლექსად არის გადმოღებული, უაღრესად ახლოსაა ხალხური ლექსის ბუნებასთან:

მე ვიყავ მარჯვე და გამბედავი,  
სიმღერა, თამაშობა მიყვარდა,

<sup>1</sup> ნ. უ ბ ი ლ ა ვ ა. ინგლისური ლიტერატურის ქართული თარგმანები. იხ. კრებული „ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX ს. II ნახევარში“. 1979. გვ. 27.

„ჰამლეტის“ ლ. არდაზიანისეული თარგმანი ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიაში ძველი და ახალი სალიტერატურო ნორმების გზაგასაყარზე იმყოფება.

„რომეო და ჯულიეტას“ დ. ყიფიანისეული პროზაული თარგმანი პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა 1859 წელს (№ 5—6) და ასეა დასათურებული: „რომეო და ჯულიეტა. დრამა ხუთ მოქმედებად განყოფილი. თხზულება შექსპირისა ანგლიურიდამ ფრანკუზულს ენაზედ ახლად გადაღებული ბენეამენ ლაროშისაგან და პარიზში დაბეჭდილი 1856 წელსა. ფრანკუზულიდამ ქართულს ენაზედ ხელახლად გადმოღებული 1859 წელს დიმ. ყიფიანისაგან“.

ამგვარად, დ. ყიფიანს „რომეო და ჯულიეტა“ 1859 წელს „ხელახლა გადმოუღია“, ანუ არსებთან შეუცვლია ის თარგმანი, რომელსაც ნ. ბარათაშვილი ახსენებს თავის წერილში. თარგმანი გამოირჩევა მაღალი მხატვრული დონით. იგი შესრულებულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად, მაგრამ მისი ნაკლი ისაა, რომ ზუსტად არ მიჰყვება დედანს, რაც გაპირობებულია იმ ფრანგული თარგმანით, რომლითაც იგი სარგებლობდა. ფრანგული თარგმანის ამ ნაკლისათვის მოგვიანებით დ. ყიფიანსაც მიუქცევია ყურადღება და ი. ჭავჭავაძისადმი მიწერილ ბარათში იგი აღნიშნავდა: ლაროშის თარგმანი სავსეა შეცდომებითო.

დ. ყიფიანი ამ თარგმანით სალიტერატურო ენის ხალხურ ენასთან დაახლოების თანმიმდევრულ ქომაგად გვევლინება: „ჩუ, როგორი სინათლე მოდის იმ ფანჯრიდამა. ეს ის აღმოსავლეთია, სადაც ჯულიეტა ჰბრწყინავს, ჩემის სიცოცხლის მნათობი. ამოდი მშუენიერო, ამოდი, რომ მთვარემ დაგინახოს და მოკუდეს ჯავრითა. ახლაც ავთ არის და ფერმკრთალათა, რომ იცის, რამდენით გადაემეტება შენი მშუენიერება იმის ელვარებასა“ (II).

1868 წელს მოსკოვში ა. ყაზბეგს აგრეთვე პროზად უთარგმნია „რომეო და ჯულიეტას“ პირველი სურათი. ენობრივად და სტილისტურად თარგმანი ახლოსაა ყაზბეგის ორიგინალურ ნაწარმოებებთან. თარგმანს წამძღვარებული აქვს მცირე წინასიტყვაობა, რომელშიც, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „...რადგანაც ეს დრამა აცნობებს მკითხველებს ამ ხალხის წარსულს, ისტორიულს მდგომარეობას და შექსპირის ნიჭიერებას, ამისთვის ვაძლევ მე ჩემს თავს კადნიერებას, რომ



ვუძღვნა ეს თარგმანი საქართველოს მკითხველს საზოგადოებას, თუმცა მართალია, ჩემს ღონეზედ არა მაქვს ის იმედი, რომ შევძლო სრულყოფილი გადმოვიღო ორიგინალის მშვენიერება...". შესაძლოა, ა. ყაზბეგისათვის ცნობილი გახდა, რომ „რომიო და ჯულიეტას“ თარგმანი უკვე გამოქვეყნებული იყო „ცისკარში“ და ალბათ ამიტომ აღარ დაასრულა წამოწყებული საქმე. ამ პიესის თარგმანი ერთგვარი პრელუდიაა იმ თემების, იდეებისა და განცდების, რომლებიც შემდგომ ეგზომ შთამბეჭდავ გამოხატულებას პოეზიენ ყაზბეგის შემოქმედებაში.

1867 წელს დრამატული საზოგადოებისა და შემდგომში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრმა მიხეილ ყიფიანმა (1833—1891) პროზად გადმოიღო „იულიუს კეისარი“. თარგმანი რუსულიდანაა შესრულებული და ამით აიხსნება სათაურის ასეთი ფორმა — „იულიუს ცეზარი“. მთარგმნელი საკმაოდ ზუსტად მიყვება დედანს. იგი ცდილობს ენის ხალხურობის პრინციპი შეათავსოს ტრადიციისათვის ნიშანდობლივ მაღალ პათოსთან, პროზაული თარგმანის ფარგლებში გარკვეულწილად ასახავს შექსპირის სტილის თავისებურებასაც, მაგრამ იგი ჯერ კიდევ შორსაა იმ მაღალი დონისაგან, რომელიც მოგვიანებით ეგზომ დამახასიათებელი გახდება შექსპირის პიესების თარგმანებისათვის. აი, ერთი ნაწყვეტი მ. ყიფიანის თარგმანიდან: „პრომაელნო, მეგობარნო, თანა-მოქალაქენო! გთხოვთ ყურის გდებასა. მე მოვედი ცეზარის დასასაფლავებლად, და არა საქებრად. ადამიანის ცუდი საქმეები იმის სიკვდილამდე განჰქრებიან ხოლმე, და ყოველივე სიკეთე, რაც იმათ უქმნიათ სიცოცხლეში, ხშირად დაიმარხება ხოლმე სამარეში, იმათ ძვლებთან. აგრეთვე აღესრულა ცეზარსაა. თქვენ ბრუტუსმა გითხრათ, რომ ცეზარი იყო უფლების მოყვარე: ეს თუ მართალია, — მძიმე დანაშაულია, და ამისათვის სასტიკად დაისაჯე! მე ბრუტუსისა და სხვების ნება-დართვით (ბრუტუსი პატიოსანი კაცია, და ისინიც ყველანი პატიოსანნი ხალხნი არიან) მოვედი სიტყვის სათქმელად ცეზარის გვამის წინ, ის იყო ჩემი გულითადი მეგობარი, მართალი მეგობარი, მაგრამ ბრუტუსმა თქვა: „ის იყო უფლებისმოყვარე“ და ბრუტუსი უეჭველად პატიოსანი კაცია...“

„ორი ვერონელი აზნაური“ პირველი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც ქართულად უშუალოდ დედნიდან იქნა გადმოღებული („ცისკარი“, 1867, № 45). შესრულებულია დიმიტრი ყიფიანის მიერ. თარგმანისადმი დართული შენიშვნის თანახმად, მუშაობისას მას გაუთვალისწინებია აგრეთვე ამ პიესის ფრანგული და რუსული თარგმა-

სეპი. არაა სწორი ის აზრი, რომ პიესის თარგმანი პროზაულია<sup>2</sup>. დედნის შესაბამისად იგი გადმოღებულია ლექსად და ძირითად საზომად გამოყენებულია თხუთმეტმარცვლელი:

მშვიდობით, ძმაო! და თუ შემთხვევით ჰნახვიდე სადმე  
შენს მგზავრობაში იშვიათს რასმე, ან საკვირველსა,  
მომიგონებდე და ფიქრით მაინც მიზიარებდე...

ზოგჯერ ამ საზომს ენაცვლება ათმარცვლელი:

რომ არ ვიცოდე, რომ შენი სიყრმე საყვარლის ქალის  
თვალების ეშხით არის დაბმული, —  
დიდადა გთხოვდი წამოსულიყავ, ერთად გვემგზავრნა...

აქვე აღვნიშნავთ, რომ შექსპირი, როგორც წესი, ათმარცვლედს იყენებს, რომლის შესატყვისად მაჩაბლის დროიდან დღემდე 14-მარცვლიანი საზომი დამკვიდრდა. მაგრამ დ. ყიფიანისეული მცდელობა დედნის რიტმული თავისებურების შესანარჩუნებლად საგულისხმო ფაქტია, რომელიც შემდგომ შესწავლას საჭიროებს. აქვე გავიხსენებთ, რომ აკაკი წერეთლის დრამების უმრავლესობა ათმარცვლელითაა შესრულებული, ხოლო მისივე დრამა „ძველი ამხანაგები“ თხუთმეტმარცვლელითაა დაწერილი. „დ. ყიფიანის თარგმანში ბევრია მოხდენილად შესრულებული ადგილები, ოსტატურად მიგნებული შესატყვისები, თუმცა ზოგჯერ ორიგინალისადმი მეტისმეტი ერთგულება ბოჭავს მთარგმნელს“<sup>3</sup>. დედნის მრავალი ნიუანსი ირეკლება, მაგალითად, შემდეგ ტაეპებში:

ჩემს ჟულიაზედ ხელის აღება — ხომ ღალატია!  
სილვიას ტრფობა, რაც უნდა ითქვას, — ხომ ღალატია!  
მეგობრის გმობა, უფრო და უფრო, — ხომ ღალატია!

„ვენეციელი ვაჭარი“ დ. ყიფიანმა აგრეთვე დედნიდან თარგმნა, მაგრამ არა ლექსად, არამედ პროზად („მნათობი“, 1872, № 3—4). 1878 წელს ახლადშექმნილი თეატრალური დასის პირველი სპექტაკლიც „ვენეციელი ვაჭარი“ იყო. მანამდე, 1873 წელს, იგი სცენისმოყვარეებმა სოფელ ბანძაში ითამაშეს, ხოლო 1874 წელს დ. ყიფიანის ბინაზე შესრულდა. ამ პიესის სავაჭრო და სავაზრო კაპიტალის დაგროვებასთან დაკავშირებული თემატიკა ახლოს იდგა იმ დროის ქარ-

<sup>2</sup> Г. Н. Орловская, Шекспир в Грузии. сб. краткого Вильям Шекспир. К 100-летию со дня рождения. Исследования и материалы. М. 1964. С. 344.

<sup>3</sup> იქვე.

თულ მწერლობაში სოციალური საკითხებისადმი მზარდ ინტერესთან და ამითაც უნდა იყოს გაპირობებული მისდამი განსაკუთრებულ რადღება. თარგმანს თან ახლავს მრავალი სქოლიო, რომლებშიც დ. ყიფიანი იმოწმებს ხოლმე დედანს და იძლევა სათანადო განმარტებებს.

დ. ყიფიანს დაუმთავრებელი დარჩა „ტყუილ-უბრალოდ ვაი-ვაგლახის“ (ბოლო დროს შექსპირის ამ პიესის სათაური ასე დაკანონდა — „აურზაური არაფრის გამო“) თარგმანი<sup>4</sup>, რომელიც წყდება IV მოქმედების პირველ სურათზე. იქვეა ამონაწერები დედნიდან, რუსული თარგმანიდან, ჩანაწერები ამ უკანასკნელში არსებულ შეცდომებზე, და სხვ. ყოველივე ეს „მკვეთრად გვიჩვენებს, თუ რა გულმოდგინედ მუშაობდა დ. ყიფიანი თარგმანზე... იგრძნობა, რომ ეს ჩანაწერები კარგად გამოუყენებია ტექსტზე მუშაობისას“<sup>5</sup>. ის ადგილები, რომლებიც დედანში საღეჭსო საზომითაა შესრულებული, ქართულადაც ლექსადაა გადმოტანილი თხუთმეტმარცვლედით.

დ. ყიფიანისეული თარგმანები თავიანთი ენობრივი თავისებურებით, დედანთან სიახლოვითა და არაიშვიათად — მხატვრული ღირსებითაც, იმსახურებენ იმას, რომ კვლავაც გამოიცეს, როგორც შექსპირის თარგმანთა ისტორიის საგულისხმო ფაქტები.

შექსპირის პიესების თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი „მეფე ღირით“<sup>6</sup> (1873 წ.). თარგმანი შესრულებულია უშუალოდ დედნიდან. თარგმნის პროცესში გამომუშავებულ იქნა შექსპირის პიესების ქართულად გადმოღების მეთოდი. ეს მეთოდი მოგვიანებით კიდევ უფრო სრულყოფილად გამოიყენა მაჩაბელმა მის მიერ დამოუკიდებლად შესრულებულ თარგმანებში, რომლებიც ტონის მიმცემი აღმოჩნდა და უცვლელ ორიენტირად დარჩა შექსპირის პიესების მთარგმნელებისათვის ჩვენს დროშიც. ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის „პირველი ბედნიერი მიგნება, პირველი გასაღების პოვნა იყო შექსპირის იამბური პენტამეტრისათვის (ათმარცვლედისათვის) ქართული 14-მარცვლოვანი ლექსის

4. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ავტოგრაფი S 721.

5. ნ. ო რ ლ ვ ს კ ა ი ა. დ. ყიფიანი — შექსპირის მთარგმნელი. იხ. კრებული ქართული შექსპირიანა. ტ. II, 1959, გვ. 94.

6. ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი. ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი. იხ. „კრებული ქართული შექსპირიანა“. ტ. I, 1959, გვ. 134.



მისადაგება. როგორც ირკვევა, ამის არჩევანი მაჩაბელს ეკუთვნის. დედნის ათმარცვლედისათვის ქართულ თარგმანებში უფრო საზომის მისადაგება გაპირობებულა იმით, რომ ქართულ სიტყვებში მრავალმარცვლიანი სიტყვები ჭარბობენ, ხოლო ინგლისურში — ერთ და ორმარცვლიანი სიტყვები. მთავარი ისაა, რომ ე. წ. ბესიკური 14-მარცვლიანი საზომი თავისი ინტონაციით შესანიშნავად ესადაგება შექსპირის დრამების ინტონაციას.

„მეფე ლირის“ თარგმანი გამოირჩევა ენობრივი ქსოვილის მრავალფეროვნებით, მაღალი მხატვრული დონით, მასში კარგად იგრძნობა დედნის მეტაფორების, ეპითეტების, აფორიზმების თავისებურება. მაგრამ ამ თარგმანს აქვს ნაკლიც — სიტყვამრავლობა. ზოგჯერ დედნის ერთ ტაეპს თარგმანში ორი და მეტი ტაეპიც კი შეესატყვისება. შექსპირის პიესების საკუთრივ მაჩაბლისეულ და შემდგომი დროის თარგმანებში დედნის მოცულობისაგან შესამჩნევი გადახვევა აღარ იჩენს თავს.

ქართულ ენაზე შექსპირის ნაწარმოებთა ამეტყველების ახალი ეტაპი ივანე მაჩაბლის სახელს უკავშირდება. შექსპირის დრამების მაჩაბლისეული თარგმანები (ჰამლეტი — 1886; ოტელო — 1888; მაკბეტი — 1892; რიჩარდ III — 1893; იულიუს კეისარი — 1896; ანტონიოს და კლეოპატრა და კორიოლანოსი — 1898) „ჭარბობენ თავისი ძალით ყველა იმ თარგმანს, რომელიც დღემდე შესრულებულა ქართულ ენაზე“<sup>8</sup>.

ამ თარგმანებში ყოველი სიტყვა ისე ბუნებრივად ჟღერს, თითქოს ისინი ქართული ორიგინალური მწერლობის ნიმუშებს წარმოადგენდნენ. როგორი პათოსი, რაოდენ დიდი ძალა და პლასტიკურობაა ამ ტაეპებში:

დიდი ტაძარი მხოლოდ ტანით არ არის დიდი,  
მაღალ ტაძარში მაღალია სულსკვეთებაც.

(„ჰამლეტი“)

ქართული პოეტური სიტყვის მდიდარი ისტორია წარმოუდგენელია იმ მძლავრი შექსპირული დრამატიზმით აღბეჭდილი მუსიკის გარეშე, რომელიც თავზარდაცემულ ოტელოს ამ სიტყვებში ისმის:

<sup>7</sup> ვ. ჭეღვიძე. შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები. იხ. კრებული — „ქართული შექსპირიანა“, ტ. I, 1959, გვ. 1507.

<sup>8</sup> უ. შექსპირი. ტრაგედიები. გივი გაჩეჩილაძის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. ტ. I, 1953, გვ. LIX.

მშვიდობით, სპანო ჯილოსანო, დიდნო ბრძოლანო,  
თაუმოყვარების სათნოებად გარდამქცეველნო!  
მშვიდობით, ჩემის თავმოქმედნე ცხენის ჭიხვინო,  
გულსამღებრელო დაფდაფებო, ბუკის მკვეთრო ხმავ,  
ყურთა-გამგმირო სალამურო, სამეფო დროშავ,  
დაუდგრომლობავ, მღელვარებავ დიდებულ ომთა...  
ოტელოს ჩარხი ბედუქულმა გადატრიალდა.

ი. მაჩაბელი იშვიათი პასუხისმგებლობით ეკიდება დედანს. მივ-  
მართოთ ამ მხრივ დედნის მაჩაბლისეული თარგმანისა და რუსული  
თარგმანების რამდენიმე შედარებას. „ოტელოს“ დედანსა და მაჩაბლის  
თარგმანში არის — „მშობელო ჩემო დიდებულო“; პასტერნაკის თარ-  
გმანში — „отец“; დედანსა და მაჩაბელთან — „პატივცემულნო სე-  
ნატორნო“; პასტერნაკთან — „Господа“. ვენეციელ დიდებულებს  
ოტელო ასე მიმართავს (ვიმოწმებთ ბუკარედს): „უღარესად ძლიერნო,  
დიდებულნო და პატივცემულნო სენიორებო, ჩემო უკეთილშობილეს-  
ნო: და სახელგანთქმულნო კეთილნო ბატონებო...“. მაჩაბელთან ეს  
ტაეპები ასე უღერს:

სიღარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო,  
კეთილშობილნო და სულდიდნო უფალნო ჩემნო...

იგივე ტაეპები პასტერნაკის თარგმანში ასეა გადმოტანილი:

Сановники, вельможи,  
Властители мои! Что мне сказать?

შექსპირი თავისი ეპოქის ეთიკეტის შესაბამისად თავს ვალდებუ-  
ლად თვლის, რომ ოტელოს მიმართვა დიდებულებისადმი აღბეჭდილი  
იყოს არისტოკრატიული თავაზიანობის გამომხატველი, დახვეწილი და  
მაღალფარდოვანი ეპითეტებით. მიმართვის ეს ეთიკეტი შეესაბამებოდა  
რენესანსის ეპოქის საერთო ანტურაჟს. ყოველივე ეს მაჩაბლის თარ-  
გმანში ნათლად იგრძნობა. შექსპირი ორგანულად იყენებდა აგრეთვე  
მისი ეპოქისათვის ნიშანდობლივ ევფუიზმებს — „ტკბილ სტილს“, მა-  
ღალფარდოვან გამოთქმებს. როდესაც ოტელო მიიჩნევს, რომ დეზდე-  
მონამ უღალატა, იგი ამბობს: თუნდაც მთელ ბანაკს „ეგემნა იგი, იმის  
ტკბილ სხეულს შეხებოდა, მე ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, არ  
მცოდნოდა ოლონდ არა-რა“ (მაჩაბელი). „ტკბილი სხეული“, რაც მნიშ-  
ვნელოვანი ფსიქოლოგიური და სტილური ნიუანსია, დედნისადმი  
ერთგულების შედეგია. იგივე ადგილი პასტერნაკის თარგმანში ასე  
იკითხება:

ასევე შესანიშნავად გადმოაქვს მაჩაბელს დედნის აფორიზმები, ანდაზები და სენტენციები. ვავისენოთ თუნდაც ცნობილი ფრაზა „პამლეტი“-დან: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“ ან შემდეგი ტაეპები იმავე პიესიდან:

სახელოვანი კაცი მარტო დიდ საქმეს არ სდევს  
იგი უბრალო საქმისთვისაც თავს გამოიდებს,  
თუ შელახული არის მისი პატიოსნება...

დედნის კვალად, აქ არის აზრის სიცხადეც, სენტენციური ფორმაც და ზეაწეული ინტონაციაც.

იმის გამო, რომ შექსპირის პიესებში გამოყენებულია პოეტური საზომიც და პროზაული თხრობაც, ბევრ მათგანში ჩართულია სიმღერები, ლექსები, გამოყვანილია სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები, ხოლო დრამატურგი არ იფარგლება ერთგვაროვანი მხატვრული ხერხებით, მისი ენობრივი ქსოვილი ინგლისური ენის ყველა სპექტრს მოიცავს. მაჩაბლის თარგმანების ღირსება ის არის, რომ მან შეძლო ქართული ენის წიაღში ლიტერატურულ ტრადიციებსა თუ ხალხურ მეტყველებაში მოეძებნა დედნის ლექსიკურ-ინტონაციური სიმდიდრის ორგანული შესატყვისები. როდესაც „კორიოლანოსის“ თარგმანში ვკითხულობთ კრისტალური სისადავითა და სიწმინდით შესრულებულ ტაეპს — „წუთისოფელო, რა ცვალებადი რამ ყოფილხარ“, ანდა როცა „ანტონიუსისა და კლეოპატრას“ თარგმანში ვხვდებით ასეთ პათეტიკურ სტრიქონს — „მასუკან თავი დამიქნია და მოახტა დარახტულ მერანს“, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ სიტყვები „წუთისოფელი“ და „მერანი“ ლიტერატურული ტრადიციიდანაა შესისხლხორცებული. მაგრამ იმავე თარგმანებში ვხვდებით სასაუბრო ენიდან აღებულ ისეთ „მდაბიო“ გამოთქმებსაც, როგორიცაა, ვთქვათ, „ჯამაათი“, „ლაწირაკი“, „ჩვენ ძმა-ბიჭები არა ვართ განა?“, „დასწყევლოს ღმერთმა“, „ქეციანი“ და სხვ.

ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთი თარგმნილი ნაწარმოები ენობრივად თუ სტილისტურად თითქოს გამართულია, მაგრამ ტექსტის ენას მაინც დაჰკრავს ხელოვნურობის, არაბუნებრივი ჟღერადობის იერი. მაჩაბლის თარგმანები თავისუფალია ამ ნაკლისაგან. იგი არასოდეს ემონება დედანს, თანაბარ პატივს მიაგებს როგორც შექსპირისეულ ტექსტს, ასევე მშობლიური ენის კანონებს. მაგალითად, დედნის:

„ნუ იქნები შენივე მეტყველების მათხოვარი“ („იულიუს კეისარი“).  
მაჩაბელი ასე თარგმნის: „ნუ სიტყვა-ძვირობ!“ კიდევ ერთი მაგალითი  
„მაკბეტის“ დედანში ნახსენებია „წარმოსახული საშინელებანი“. ეს  
ფრაზა ქართულად რამდენადმე ხელოვნურად ყდერს და მოკლებულია  
პოეტურობას. კონტექსტის გათვალისწინებითა და პოეტური ალღოს  
კარნახით მაჩაბელი მას ასე თარგმნის — „შიშის ლანდი“.

აზრის სიცხადე, ექსპრესიულობა, პოეტური ეფექტის სიმძაფრე  
მაჩაბლის თარგმანების მთავარი ღირსებაა. ქართველ მკითხველს სა-  
შუალება ექლევა შეიგობნოს და გაიცნობიეროს დიდი ინგლისელი  
დრამატურგის განუმეორებელი სილიადე. დავუკვირდეთ ამ თვალსაზ-  
რისით ასეთ ტაეებს:

რას სჩადი ამას! შენ უჩოქებ შენგან გაზრდილ შვილს?  
მამ ვარსკვლავთ გუნდნი ჩაიქოლონ ზღვის კენჭებითა,  
ალვის ხის შტონი მიაწვდინოს მზეს ქართა ქროლვამ,  
შეუძლებელი ნულარ იყოს ნულარაფერი!

„კორიოლანოსი“

აქ იკარგება იმის შეგრძნება, რომ ჩვენს წინაშე თარგმანია, მხო-  
ლოდ დიდ პოეზიასთან ზიარების განცდა გვეუფლება.

მაჩაბლის, როგორც მთარგმნელის ღირსებაზე ბევრს მეტყველებს  
ისიც, რომ შექსპირის დრამების გადმოღებისას ჩვენს დროშიც ქართვე-  
ლი მთარგმნელები მის მიერ შემუშავებულ მეთოდს იყენებენ. შექსპი-  
რის მაჩაბლისეული თარგმანები უცხოური ნაწარმოების მშობლიურ  
ენაზე ამეტყველების, გათავისებისა და მთარგმნელობითი კულტურის  
იშვიათ ეტალონად რჩება. გარკვეულწილად ამგვარი ეტალონის არსებო-  
ბით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენს დროში შესრულებული შექსპი-  
რის ქართულ თარგმანთა უმრავლესობა, როგორც დედანთან შესატყვი-  
სობის, ასევე მთლიანი მხატვრული ეფექტის თვალსაზრისით, საკმაოდ  
მაღალი დონით ხასიათდება, თუმცა ამასთანავე ისიც უნდა ითქვას,  
რომ ამ თარგმანებში არის ცალკეული მხატვრულ-სტილისტური ნაკ-  
ლოვანებანი, დედნის მცდარი წაკითხვის გამოვლინებანი და სხვ. ეს  
უნდა გათვალისწინდეს შექსპირის თხზულებათა ახალი გამოცე-  
მის მომზადებისას. ამ მხრივ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა  
ეკისრება გამოცემის რედაქტორს, როგორც დედანთან თარგმანთა შე-  
სატყვისობის დამდგენ და მხატვრული ღირებულების შემფასებელ  
უკანასკნელ ინსტანციას.

შექსპირის ნაწარმოებთა მეტი წილი თარგმნილი აქვს ვახტანგ ჭე-

ლიძეს: „რომეო და ჯულიეტა“, „მეფე ლირი“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ქარიშხალი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „უინძორელი მხიარულთა ქალები“, „ჰენრი IV“ (ორივე ნაწილი). შექსპირის ნაწარმოებთა სხვადასხვა ენებზე ამეტყვევების ისტორიიდან ცნობილია, რომ მთარგმნელები ყოველთვის ვერ ახერხებენ პერსონაჟთა ლექსად დაწერილი პარტიების ტაეპთა რაოდენობის დაცვას და ამის გამო თარგმანი თავისი საერთო მოცულობით აღემატება ხოლმე დედანს. უნდა ითქვას, რომ როგორც ვ. ჭელიძისეულ, ასევე სხვა ქართულ თარგმანში ეს საკითხი, როგორც წესი, კარგადაა მოგვარებული. სანიმუშოა ამ მხრივ „რომეო და ჯულიეტას“ ვ. ჭელიძისეული თარგმანი, რომელშიც საკმაოდ კარგად იგრძნობა დედნის ნატიფი ლირიზმი, მხატვრული ქსოვილის სიმდიდრე, ემოციური მოდულაციები. განსაკუთრებით კარგად უღერს ქართულად ამ ტრაგედიის საუკეთესო სცენები. გავიხსენოთ, მაგალითად, რომეოს პასუხი კაპულეტების ბაღში ჯულიეტას შეკითხვაზე — როგორ მოახერხე გალავანზე გადმოსვლაო:

მე გადმოვფრინდი სიყვარულს მსუბუქი ფრთებით,  
ნამღვილ სიყვარულს ქვის ჯებირი რას შეაჩერებს...

ანდა ვნახით, როგორ ეფიცება თავის სატრფოს რომეო მარადიულ სიყვარულს:

ო, გეფიცები, ქალბატონო, ამ სათნო მთვარეს,  
რომელიც ვერცხლით ავარაყებს ხის კენწეროებს...

თარგმანში იგრძნობა დედნის განსაკუთრებული პათოსი, მაღალფარდოვანი მეტაფორული სტილი, სინაზე და სინატიფე. ვ. ჭელიძეს ასევე შენარჩუნებული აქვს დედნის ერთ-ერთი თავისებურება — ცალკეული ადგილების თარგმან სონეტის ფორმით. კარგად უღერს ლაკონიზმითა და პოეტურობით აღბეჭდილი აფორიზმები, რომელნიც განსაკუთრებით ძნელად სათარგმნელია. მაგალითად, არ აკლია სილაღე, ბუნებრივობა და საერთო ეფექტი შემდეგ აფორისტულ სტრიქონებს:

1. კეთილი ხშირად გზას ასცდება, ბოროტი ხდება,  
ხოლო ბოროტი კეთილ ძალად გადაიქცევა; (II, 3)
2. მშვენიერება გარეგანი ამაყობს მაშინ,  
როდესაც ზურავს სილამაზეს შინაგანს იგი; (I, 3);
3. მშაგ გატაცებას მუდამ მოსდევს მძვინვარე ბოლო,  
და მაშინ კვდება, გამარჯვებას როცა მიადწევს; (II, 6)
4. ვინც არ დაჰრილა, ის იარას არაფრად აგდება. (II, 2)



„რომეო და ჯულიეტას“ პერსონაჟები შეესაბამებიან შექსპირის თანამედროვე არისტოკრატებს, რომლებიც ცდილობდნენ ჩვეულებრივი მეტყველებისაგან განსხვავებული მაღალფარდოვანი და ხელოვნურობის ზღვარამდე მისული ნატიფი, დახვეწილი ენით ელაპარაკათ. ჯულიეტასა და მისი დედის დიალოგში არის ასეთი ჭარბად მეტაფორული, ზეაწეული გამოთქმები — „შენ წაიკითხე მისი სახის ნათელი წიგნი“, ანდა:

სრულქმნილ მშვენებად რომ გადიქცეს ის ტრფობის წიგნი,  
მას უნდა ჩასმა ასეთივე მშვენიერ ყდაში.

ყოველივე ეს საკმაოდ ახლოსაა დედნის სიტყვიერ ქსოვილთან, მის სულთან.

„ქარიშხლის“ ვ. ჭელიძისეულ თარგმანში განსაკუთრებით შთამბეჭდავია მონოლოგები. ამ მხრივ გამოირჩევა პროსპეროს ცნობილი მონოლოგი სამყაროს მსხვერვის გარდუვალობაზე, რაც ასეთი ბრწყინვალე ტაეპებით მთავრდება:

ჩვენ ნაქსოვი ვართ სიზმრეული ნივთიერებით,  
წუთისოფელი სიზმრითაა გარემოცული.

ამ პიესაში ცალკეული პერსონაჟები უხეში ენით მეტყველებენ. თარგმანში ეს მომენტი კარგად აისახება, ამასთანავე ყოველივე ამას ერთობ ბუნებრივ უღერადობას ანიჭებენ „მდაბიო“ მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვა-გამოთქმები: „ჯანდაბას“, „დოყლაპია“, „ქაჯი“ და სხვ. ასევე ორგანულადაა გამოყენებული ქართული ანდაზები: „გაჭირვება კაცს დედოფალთან დააწვენსო“ (II, 2) და სხვ.

გივი გაჩეჩილაძე პირველი იყო, რომელიც არ შეუშინდა მაჩაბლის დიდ ავტორიტეტს და განაახლა შექსპირის დრამების ქართულად გადმოღების ტრადიცია. 1938 წელს უტრნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№ 2) გამოაქვეყნა „რომეო და ჯულიეტას“ ცალკეული ნაწყვეტები, ხოლო მოგვიანებით თარგმნა „ცხოვრება და სიკვდილი მეფე ჯონისა“, „რიჩარდ II“, „მეფე ჰენრი V“, „აუტრზაუტი არაფრის გამო“, „ორი ვერონელი აზნაური“. გივი გაჩეჩილაძე შექსპირის მკვლევარიც იყო და ამიტომ ბუნებრივია, რომ მის თარგმანებში გათვალისწინებულია ანა თუ იმ პიესის კომენტარები და სამეცნიერო ლიტერატურა. ამასთანავე, მას ინგლისური პოეზიის მრავალი ნიმუში აქვს ამეტყველებული ქართულად და ეს მდიდარი გამოცდილებაც თავის როლს თამაშობს შექსპირის პიესების თარგმანებში. ჭეშმარიტი პოეზიაა ასეთი ტაეპები:

..ორიოდე ტახტს ვამჯობინებ წმინდანებისას  
და ჩემს სამეფოს თვალწვედენელს — უმცირეს საფლავს,  
პატარა საფლავს, სულ პატარა და უცნობ საფლავს.  
დე გამითხარონ შარავზაზე სამარე ბნელი  
იქ, სადაც ხალხი დღენიადაგ არ დაიღვავა...

(„რიჩარდ II“)

ტრაგედიის კულმინაციური წერტილისათვის ნიშანდობლივი პათეტიკური ინტონაცია იგრძნობა რიჩარდის უკანასკნელ სიტყვებში:

ამდღელი სულ! შენი ტახტი იქ არის — ზემოთ,  
და შენ კი დაბლა დაეშვები, სხეულო ჩემო!

აფორიზმების ეფექტი, ლაკონურობა და მოქნილობა თარგმანის ერთ-ერთი დიდი ღირსებაა:

..გვაუწყე, ზარალს მოსდევს ნგრევა და ნგრევას — გლოვა,  
სიკვდილი მინც ყველას სჭარბობს და ისიც მოვა.

(„რიჩარდ II“)

თქვენ ხართ კურდღელი, რომლის გამოც ანდაზა ამბობს,  
დიდ ვაჟაკობას ჩემულობსო მკვდარ ლომთან იგი.

(„ცხოვრება და სიკვდილი მეფე ჯონისა“).

დედნისადმი მთარგმნელის ერთგულება არა მხოლოდ შინაარსის ზუსტ ვადმოცემას, არამედ მხატვრულ ზემოქმედებასაც გულისხმობს. თუ როგორ ახერხებს ამას გ. გაჩეჩილაძე, ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითში. თუ ბჭკარედულად ვადმოვედებით, დედანში ნათქვამია: „ღმერთმა დაგვიფაროს, ამ სავალალო ქვეყანას მრისხანედ ეძგერება ჭირთა ტალღა“ („რიჩარდ II“). თარგმანში ეს ადგილი ასე იკითხება:

ღმერთო, დაგვიხსენ! ეს რა ჭირთა მდინარე მოსკდა  
და მოველინა ამ უბედურ ქვეყანას უცემ!

ერთი შეხედვით თითქოსდა თარგმანი ერთგვარად სცილდება დედანს, მაგრამ სინამდვილეში ბჭკარედული სიზუსტე შეცვლილია შექსპირული სათქმელისა და განცდის სიმძაფრისადმი იმ ერთგულებით, რომელიც როგორც დედნის, ასევე მშობლიური ენისა და პოეტური სიტყვის კანონთა გათვალისწინებას გულისხმობს.

გ. გაჩეჩილაძის თარგმანებში განსაკუთრებით ძლიერია ის ადგილები, სადაც შერწყმულია პათეტიკა, ერთგვარი სენტენციურობა და მეტაფორიზმი. აი, ამის მაგალითად პიესიდან „მეფე ჰენრი მეხუთე“:

კაცს მშვიდობის უამს არაფერი ამშვენებს ისე, როგორც სიმშვიდე ზომიერი და თავმდაბლობა, მაგრამ როდესაც ლაშქრობაზე მიდგება საქმე, მაშინ კი უნდა დავემგვანოთ მძინვარე ვეფხვებს; დაძაბეთ კუნთი, ააჩქაროლეთ მხურვალედ სისხლი, ჩამოაღარეთ მრისხანების ნილაბი სახეს, თვალებს მიეციეთ ელვარება თავზარდამცემი...

განსაკუთრებული მონდომებით აქვს თარგმნილი გ. გაჩეჩილაძეს მთავარი გმირების პარტიები, მონოლოგები, მხატვრულად და შინაარსობრივად გამორჩეული პასაჟები.

შექსპირის პიესების თარგმანთა შორის მრავალი ღირსებით გამოირჩევა გიორგი ჯაბაშვილის მიერ გადმოღებული ტრილოგია „ჰენრი VI“. ქართულად ამეტყველებული ამ ტრილოგიის პირველივე ფრაზები — „ძაძით შემოსეთ ცის თაღები...“ ანდა — „გადმოიქნიეთ ბროლის ცელი ცის კაბადონზე და დაუბნელებთ შუქი ბედის მრისხანე ვარსკვლავთ...“ — ის დიდი პოეზიაა, ის შექსპირული მუსიკაა, რომელიც ბოლომდე გასდევს ამ თარგმანს. იმავეითვე ქართულად შექმნილი პოეზიის შთაბეჭდილება გვექმნება, როდესაც კითხულობ ასეთ ტაეპებს:

ჩემს მკლავებს ვაქცევ შენს სუდარად ამიერიდან,  
განსასვენებლად კი — გულს ჩემსას, რადგანაც მასში  
შენი ხატება არასოდეს არ წაიშლება.

ჩემს მოთქმა-კენესას გლოვის ზარად მოგასმენინებ  
და ყველა წესის დაცვით ისე გამოგიტირებ,  
ჩემო უბრალოდ დაღუპულო ერთადერთო ძევ,  
ვით პრიამოსმა თავის ძენი გამოიგლოვა.

ქართული ენის მდიდარ წიაღში გ. ჯაბაშვილი პოულობს დედნის ყოველი სიტყვისა თუ გამოთქმის უზუსტეს შესატყვისებს. „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზა — „ქოს-წინწილასა ჰკარითო“ მთარგმნელისათვის არის ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ტრილოგიის ფინალში მომცრო ლაკონური წინადადებით — „ჰკათ ქოს-წინწილებს!“... — დედნის შესაბამისი საზეიმო, მაღალი ნოტა ყდერს. პერსონაჟთა სოციალური და კულტურული დონის, საუბრის ხასიათისა და მთელი კონტექსტის ლოგიკის შესაბამისად ერთადერთ გამართლებულ ლექსიკურ ერთეულად წარმოდგება წმინდა ხალხური მიმართვა „შენი კენესამე“ შემდეგ დიალოგში:

— ეს დედაკაცი ვილა არის?

— მაგის ცოლი ვარ, შენი კენესამე.

ტრილოგიის თარგმანის ერთ-ერთი დიდი ღირსება ის არის, რომ მთარგმნელი თანაბარი გულისყურით მოჰკიდებია როგორც მხატვრულ-

ლად უფრო ეფექტურ, ასევე შედარებით „მეორეხარისხოვან“ პასაჟებს როგორც ლექსად, ასევე პროზად დაწერილ დიალოგებს. მათაღი მუსიკალური რეგისტრით არის გადმოღებული მეფე ჰენრის მიერ გლოსტერის წყევლა:

„მამანი, შვილთა დამკარგავნი, და ქვრივ-ობლები,  
გამოკლებულნი ქმრებისა და მშობლების ზრუნვას,  
მგლოვიარენი მათი უდროდ დაღუპვის გამო,  
მწარედ დაგმობენ ქვეყნად შენი გაჩენის საათს...  
ჯერ არც ერთ დედას უფრო ტანჯვით არ უშობნია  
მშობლის სანუკვარ იმედების გამაცრუებლად  
ასე ვაგლახი, უმსგავსი და უშნო საპყარი,  
რაც სულ არ ჰგავდა ნაყოფს თავის დიდებულ ხისას..“

„ჰენრი VI“-ს პერსონაჟთა დიდი ნაწილი რაინდები არიან. მათი ლექსიკაც შესაბამისად რიტუალიზებულია, გმირული და ამადლებულია. თარგმანში კარგად არის შენარჩუნებული დედნის ეს თავისებურება. აი, მაგალითად, როგორ სიტყვებსა და გამოთქმებს ხმარობს იორკი ბრძოლის აღწერისას: „რიჩარდ ჰყოდა“, „და მჭექარე ხმით მომძახოდა“, „აგერ, მდეგარიც ზედ მომადგა საბედისწერო“, „გამოანგრია ეღუარდმა მებრძოლთა რიგი ვადამდე სისხლში ნაბანი ხმლით...“ ამგვარ სიტყვებში ირეკლება იორკის რაინდული სული — ბრძოლით ტკბობა, გმირული შემართება.

ასევე გამართულია და ყოველგვარი წაბორძიკების გარეშე ყდერს სრულიად სადა და პოეტურ სამკაულებს მოკლებული ტაეპებიც :

რეგენტი გვჯობნის და ფრანგებიც უკან გარბიან.  
მოღით, მიშველეთ, დამეხმარეთ, სულნო რჩეულნო..

დიდი პასუხისმგებლობით არის შესრულებული აგრეთვე ტრილოგიის პროზაული ადგილები, რომლებშიც კარგად ჩანს მდაბიური და ფამილარული საუბრის ხასიათი: „ახლა კი გაყურებინებ სეირს, სეი ხარ თუ რადაცა... მერე ისა, რომ შენი ცხენი კაბაჯუბათი მოგართავს და შენზე პატიოსანი ხალხი კი ტყაპუჭებსა და ქალამნებში გამოთასმულან“.

გ. ჯაბაშვილი თავის თარგმანებში არ იყენებს იშვიათ და მოძველებულ სიტყვებს, რაც ხშირად იჩენს თავს სხვა თარგმანებში. იგი ქართული ენის ძირითად მარაგს, ასე ვთქვათ, ენის ბირთვს ემყარება, მაგრამ რიტმის გამძაფრებისა და კონტექსტის შესაბამისად მოღულაციის გზით კვალდაკვალ მიჰყვება დედანს.

„ზამთრის ზღაპრის“ ზვიად გამსახურდიასეული თარგმანის თავი-

სებურება ის არის, რომ იმ ენობრივ სპექტრში, რომელსაც მთარ-  
გმნელი მიმართავს, ძველი, არქაული და მწიგნობრული ლექსიკონი  
გამატიკული შრე (მაგალითად: „არა ხამს ჩემგან გმობა“, „მწყაზა-  
რი“, „რამეთუ“, „ტარიგი“ და სხვ.) უფრო შესამჩნევია, ვიდრე სხვა  
მთარგმნელებთან, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს თარ-  
გმანი არქაიზებული ენით იყოს გადმოღებული. პირიქით, დიალოგი,  
როგორც წესი, ლაღად და ბუნებრივად ვითარდება და ამ მხრივ დამა-  
ხასიათებელია შემდეგი ტაეპები:

მ.შ. მხოლოდ ორგზის გახსოვს ჩემი ენაზეობა?  
მითხარ, პირველად როდის ვიყავ ტკბილმოუბარი.  
გაღამავიწყდა მე ეგ ჟამი, გთხოვ, შემახსენო...

ზ. გამსახურდია თავს არიდებს სტილისტურ ერთფეროვნებას და  
თარგმანის ქსოვილში, დედნის მრავალფეროვანი და მდიდარი ენის  
შესაბამისად, პოეტიზმებისა და წმინდა ლიტერატურული ლექსიკის  
პარალელურად გვხვდება სასაუბრო ენის ისეთი ერთეულებიც, როგო-  
რიცაა „ენაჭარტალა“, „ნაბიჭვარი“, „დიაცი“ და სხვ. პიესის ერთ პერ-  
სონაჟს, რომელიც დედანში ქართული ხებრეს შესატყვისი სიტყ-  
ვით მოიხსენიება, მთარგმნელმა შესანიშნავი ქართული ვარიანტი —  
„ოტროველა“ მიუხადავა. თარგმანის საერთო ღირსებაზე ნათლად  
მეტყველებს შემდეგი ნაწყვეტი, რომელშიც არის ბუნებრიობაც, სისა-  
დავეც და აზრიც სიცხადეც:

სათქმელი ჩემი შეეხება მხოლოდ და მხოლოდ  
ყალბი ბრალდების უარყოფას, ხოლო მტყიცება  
არ გამაჩნია მე სრულებით, გარდა იმისა  
რასაც აღმოსტყვამს პირი ჩემი..

ცალკე უნდა ითქვას ისეთ საინტერესო ფაქტზე, როგორიცაა 1963  
წელს ჟურნალ „ცისკარში“ (№ 10) გამოქვეყნებული „ჰამლეტის“ პირ-  
ველი სამი სურათის კონსტანტინე გამსახურდიასეული თარგმანი. მას-  
ში აშკარად იგრძნობა დედნისადმი მაქსიმალური მიახლოების სურ-  
ვილი. ჩვენს წინაშეა დიდი მწერლის მიერ განხორციელებული თავი-  
სებური ექსპერიმენტი — უკიდურესად გაამძაფროს ტრაგედიის პათო-  
სი, ჩვეულებრივი, სამეტყველო ენისაგან განსხვავებული, ნატიფი,  
დახვეწილი და რამდენადმე არქაული ენით აამეტყველოს შექსპირის  
ტრაგედია. თარგმანში არაიშვიათად გვხვდება ამგვარი გამოთქმები:  
„ვინა ხარ, მარქვი“ (მაჩაბელთან — „მითხარ ვინა ხარ“), „განაძე შენ-  
გან, ქველო ჰამლეტ, არმური ღამის“ (მაჩაბელთან — „ნუ ჩავარდნილ-



ხარ, შეილო ჰამლეტ, მწარ საგონებელს“), „უნდა ველოდეთ უნიტარულ ხეანჯებს“ (მაჩაბელთან — „მგონი, აქ რაღაც თვალთმაქცობაა“).

ამ თარგმანის შეფასებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის სიტყვის ოსტატის, დიდი შემოქმედის ერთგვარი მხატვრული ექსპერიმენტი, იმის ცდა, თუ როგორ მოერგებოდა მონუმენტალური სიდიდით აღბეჭდილი სტილი შექსპირის დრამას.

შექსპირის პიესები თარგმნილი აქვთ აგრეთვე გ. ნიშნიანიძეს („ტიმონ ათენელი“), თამარ ერისთავს („პერიკლე“), მ. ქარჩავას („ტიმონ ათენელი“ და „როგორც გენებოთ“) და სხვ. ჩვენი აზრით, შექსპირის პიესების ყველა თანამედროვე თარგმანში მეტ-ნაკლებად იგრძნობა დეკლამაციური საწყისის, პათოსის გამძაფრებისაკენ სწრაფვა, რაც ყოველთვის არ არის გაპირობებული დედნით. ეს ტენდენცია უპირველესად ფრაზისათვის არქაული იერისა და მეტი ემოციური შეფერილობის მინიჭებით ვლინდება. ზოგჯერ თავს იჩენს პოეტიზმების, მაღალფარდოვანი გამოთქმების გამოყენება ისეთ შემთხვევებშიც, სადაც დედანში სრულიად ჩვეულებრივი სიტყვებია ნახმარი: „თქვას“ ნაცვლად არის „რქვა“, „სუსხიანი ქარის“ ნაცვლად — „მსახვრალი ქარი“, მაგალითად, დედანში ვკითხულობთ: „მომეცი ხელთათმანი, ავაზას ლომი მოათვინიერებს“, თარგმანში გვაქვს „მომე თათმანი თვინიერ ჰყოფს ავაზას ლომი“ და სხვ. დედნისაგან განსხვავების მსაზღვრელი ხშირად საზღვრული სიტყვის შემდეგაა: „ჭინჭარი მსუსხავი“, „ამბავი მძიმე“, „წყალი მქრობელი“.

ტონის აწვევისაკენ, პათოსის გამძაფრებისაკენ სწრაფვა სისადავისა და ფრაზის უფრო ბუნებრივად უღერადობის ხარჯზე ხშირად შეიმჩნევა ყველა თარგმანთან და ეს უნდა გათვალისწინდეს თხზულებათა ახალ გამოცემებში. არ შეიძლება არ ითქვას იმი სშესახებ, რომ შექსპირის სონეტები ორჯერ ითარგმნა: ერთი მათგანი ეკუთვნის გივი გაჩეჩილაძეს, მეორე — რევაზ თაბუკაშვილს.

არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ შექსპირის თარგმანების უმრავლესობა, რომელიც ორგანულად აგრძელებს იმ ტრადიციას, რომელსაც გასულ საუკუნეში საფუძველი ჩაუყარეს ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა, ჩვენი მთარგმნელობითი ლიტერატურის საუკეთესო მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შექსპირი იმდენად დიდი ხელოვანია და თარგმანში მისი ნაწარმოებების ადეკვატური ამტყვევლება იმდენად რთულია, რომ ეჭვსგარეშეა, შექსპირის დრამებს ქართული მწერლობა კვლავაც არაერთგზის მიუბრუნდება.

ქველმოქმედი

დედამიწის ზურგზე იშვიათად თუ მოიძებნება ხალხი, რომელსაც ისე უჭირს სამშობლოს მიტოვება და ბედის საძიებლად უცხოეთში გადახვეწა, როგორც ქართველებს. და თუ ეს მაინც ხდება და ქართველი კაცი რაღაც მიზეზით ემიგრანტის ეკლიან გზას დაადგება, ის მაინც საქართველოთი ცხოვრობს და უკან მობრუნების სურვილით სულდგმულობს.

პირველ მსოფლიო ომამდე, რევოლუციისა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უცხოეთში დასახლებულ ქართველთა ცხოვრება საქართველოზე სევდასა და დარდში დაფერფლილთა ცხოვრებაა. ამ ქართველთა და მათ შთამომავალთა შესახებ ჯერ კიდევ უნდა თქვას პირუთვნელი სიტყვა მემკვიდრე. თუმცა კი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ქართველმა საზოგადოებრიობამ ზოგიერთ მათგანზე ჭეშმარიტი და ობიექტური ინფორმაცია მიიღო. გაირკვა, რომ მრავალ ქართველ ემიგრანტს კაცურად უტარებია ქართველის სახელი და სამშობლოსგან მოწყვეტილს თავისი წვლილი შეუტანია მშობელი ერის კულტურის საგანძურში.


ბედმა იწება და ერთ ასეთ ღირსეულ ქართველს მეც შემახვედრა.

მისი სამუშაო კაბინეტი სირიის დედაქალაქ დამასკოს საერთაშორისო გამოფენის ტერიტორიაზე, საბჭოთა პავილიონში იყო მოთავსებული. შესასვლელთან გაკრული დაფა გვაუწყებდა, რომ ის ამ პავილიონის ერთ-ერთი ამშენებელი იყო.

კაბინეტში შესულ სტუმარს ფეხზე ამდგარი ხვდებოდა და გულლიად ესალმებოდა. თუ მოსული ქართველი იყო, ომახიანად შესძახებდა: საქართველოს გაუმარჯოს! შემდეგ მაგნიტოფონს ჩართავდა, ქართულ ლექსებს აანმიანებდა, ქართულ ჰანგებს ააუღერებდა, სასმისს შეავსებდა და სამშობლოზე საუბრით გულს მოიჯერებდა.

ეს ქართველი ბატონი ლევან საღარაძე იყო.

— საშუალო ტანის, ხმელ-ხმელი, ელევანტური, მოხდენილი, ჭა-



ლევან სალარაძე

ლარა ქოჩრით, მუდამ მომ-  
ლიმარე, ცოცხალი მეტყვე-  
ლი თვალებით, ძარღვიანი  
ქართულით მოუბარი (ოდ-  
ნავ ქუთაისურად უქცევ-  
და).

— სირიის მოქალაქე, ამ  
ქვეყნის საქმიანი წრეების  
თვალსაჩინო წარმომადგე-  
ნელი, საბჭოთა კავშირისა  
და სირიის ერთობლივი ეკო-  
ნომიკური პროექტების მო-  
ნაწილე, დამასკოს ტრადი-  
ციულ საერთაშორისო ბაზ-  
რობაზე საბჭოთა პავილიონ-  
ის ერთ-ერთი და მუდმივი  
ორგანიზატორი.

— სამაგალითო მეუღლე,  
სამი შვილისა და ხუთი შვი-  
ლიშვილის მოსიყვარულე  
მამა და პაპა.

აი, პორტრეტი კაცისა,  
რომელმაც ნახევარ საუკუ-  
ნეზე მეტი უცხოეთში გაატარა, მაგრამ არც გვარი გამოიცვალა და არც  
რჯული, არც აქცენტი შეიცვალა და არც აზროვნების წესი, სულითა  
და ხორციით, ვაჟკაცობითა და პატიოსნებით ქართველი დარჩა და მამუ-  
ლის სიყვარული უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გულით ატარა.

\* \* \*

ბატონ ლევან სალარაძეს პირველად 1968 წელს შეეხვდი, ხოლო  
ახლოს კი 1979—1983 წლებში გავიცანი, როცა მივლინებით ვიმყოფე-  
ბოდა სირიაში. დამასკოში ჩასვლისთანავე მომიწია საქართველოს  
კულტურის დღეების ჩატარება სირიაში. ღონისძიებებში მონაწილეობა  
მიიღო ლევან სალარაძემაც და აქედან დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი საქ-  
მიანი და მეგობრული ურთიერთობა.

წლების მანძილზე მე მოწმე ვიყავი, თუ როგორ განიცდიდა ის



სამშობლოსგან მოშორებას და როგორ ცდილობდა შეექმნა ვარშა  
 მო — ოჯახსა თუ სამუშაო კაბინეტში ქართული მიკროსამყარო, სადაც  
 ყველაფერი ქართული გაფეტიშებული იყო. ოჯახის წევრები ღიმილით  
 იხსენებდნენ, თუ როგორ უხასიათებდა პატარა შვილებს ქართულ ბუ-  
 ნებას — რომ მსგავსი ლამაზი ხეები არსად არ იზრდებოდა. ქართულ  
 ხილს — რომ ქართული ვაშლი და ატამი ათჯერ უფრო დიდი და გემ-  
 რიელი იყო, ვიდრე სირიაში. მოგვიანებით, საქართველოში სასწავ-  
 ლებლად ჩამოსულმა მისმა ქალიშვილებმა პირველსავე წერილში მა-  
 მას მისწერეს — ქართველები, მართლაც, ძალიან კარგები არიან, მაგ-  
 რამ ხეებიცა და ხილიც აქ ისეთივე ჩვეულებრივია, როგორც სხვა-  
 განო.

ჩვენი შეხვედრებისას ბატონი ლევანი ხშირად მიყვებოდა თავის  
 ცხოვრებაზე, მეგობრებზე — მიხეილ გაწერელიაზე, გიორგი მხეიძე-  
 ზე, აპოლონ დანელიაზე, სწორედ მათთან ერთად დატოვა სამშობლო  
 1932 წლის 4 ოქტომბერს ახალგაზრდული რომანტიკით, თვითდამ-  
 კვიდრებისა და თვითვანმტკიცების სურვილით გატაცებულმა; მიაბ-  
 ბობდა იმ სიძნელეებსა და ფათერაკებზე, რაც მათ გადახდათ თურქეთ-  
 ში, ლიბანსა და პალესტინაში... იმ კეთილ ადამიანებზე, რომელთა  
 დახმარებითაც დამკვიდრდნენ სირიაში; მიაბობდა იმ სამაგალითო მე-  
 გობრობაზე, მათ რომ აღუღაბებდა და უცხო ქვეყანაში აძლებინებდა.  
 ძნელი იყო, ცრემლმოურევლად მოგესმინა, თუ როგორ გაითამაშეს  
 ერთხელ ქართველ ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრა ლიბანში — ბეი-  
 რუთის ერთ მყუდრო ქუჩაზე აქეთ-იქით აივლიდნენ, ჩაივლიდნენ და  
 ერთმანეთს შესძახებდნენ: — ლევიკოს გაუმარჯოს! — მიშას გაუმარ-  
 ჯოს! და ასე რამდენჯერმე — ვითომ საქართველოში იყვნენ და სხვა-  
 დასხვა ნაცნობს ხვდებოდნენ.

მტკიცე იყო მათი მეგობრობა, რაშიც ბზარი ვერც დაოჯახებამ შე-  
 იტანა. უკრაინელმა, რუსმა და არაბმა მეუღლეებმა საერთო ენა გა-  
 მონახეს, ქართული სამზარეულო აითვისეს, მცირედი ქართულიც შე-  
 ისწავლეს და ქართული ოჯახური სიტბო შექმნეს. ასევე ერთმანეთის  
 სიყვარულით გაზარდეს შვილები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ  
 ურთიერთკავშირი.

ბატონი ლევანი იხსენებდა აზიისა და ევროპის ქვეყნებში შემ-  
 თხვევით შეხვედრილ ქართველებს, იმ ქართველებსაც, რომლებიც  
 სხვადასხვა დროს მოხვდნენ სირიაში — ისტორიკოს ბეჟან გიორგაძეს,  
 კათოლიკე ბერსა და მეცნიერს შალვა ვარდიძეს, ამერიკაში მცხოვრებ  
 ცნობილ ხელოვნებათმცოდნეს ვახტანგ ჯობაძეს. მან, როდესაც სი-



რიაში არქეოლოგიურ გათხრებზე იმყოფებოდა, მოულოდნელად შეხვდა მიაკითხა და მანამდე ერთმანეთისათვის სრულიად უცნობნი, უცხო ხნის უნახავი ახლობლებივით შეხვდნენ ერთმანეთს.

ბატონი ლევანი მიყვებოდა, აგრეთვე, მეგობრების დაღუპვით გამოწვეულ აუტანელ ტკივილზე, მათ შთამომავლებზე, რომლებიც დაიფანტნენ ლიბანსა და კუვეიტში, იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მე გავიცანი ლევან საღარაძის სათნო მეუღლე — უკრაინელი ქალბატონი ევგენია, მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, რომელსაც უსიტყვოდ ესმოდა ქმრისა და მხარში ედგა ყოველ კეთილ ქართულ საქმეში. უდიდესი პატივისცემა და სიყვარული გამიჩინდა საღარაძეთა ინტელიგენტური ოჯახის მიმართ, რომლის თითოეული წევრი საქართველოს სიყვარულს ატარებს გულით და საქმით ავლენს მას. მათთან ურთიერთობა ავსებდა და სულიერად ამდიდრებდა ჩემს ცხოვრებას სირიაში მუშაობის ოთხი წლის მანძილზე.

\* \* \*

ბატონი ლევანი მასპინძელივით ხვდებოდა ყველა ქართულ დელეგაციას სირიაში. მონაწილეობდა ქართული კულტურის იმ ღონისძიებებში, რომლებიც ტარდებოდა ამ არაბულ ქვეყანაში. მას უყვარდა ყოველივე ქართული და გული შესტკიოდა მასზე. გასაოცარი იყო მისი მზადყოფნა, დახმარების ხელი გაეწოდებინა ნებისმიერი ქართველისათვის („ყველაზე ცუდ ქართველსაც კი გაუმარჯოს“ — ხშირად იტყოდა საუბარში). აქტიურად თანამშრომლობდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებასთან. იგი ფინანსურ დახმარებას უწევდა უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ყველა პატრიოტულ თაოსნობას.

ლევან საღარაძე იყო ჭეშმარიტი ქველმოქმედი. მისმა ქველმოქმედებამ განსაკუთრებით ფართო და საზოგადოებრივი ხასიათი 70-იან წლების ბოლოსა და 80-იან წლებში მიიღო. ამ პერიოდში მან დიდი სამსახური გაუწია ქართულ მეცნიერებას და ფართოდ გაიტანა ქართული კულტურა სირიაში. ამ მხრივ მისი მოღვაწეობის რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტზე შევაჩერებ ყურადღებას.

შეიძლება ითქვას, რომ არაბულ ქვეყნებში, მათ შორის სირიაშიც, წიგნის ბუზია. იბეჭდება დიდძალი ლიტერატურა, როგორც ადგილობრივი ავტორებისა, ისე ნათარგმნი. უდიდესი ყურადღება ექცევა წარსულის მემკვიდრეობას. სახელმწიფო და კერძო გამომცემლობები ამზადებენ და ბეჭდავენ შუა საუკუნეების უმდიდრესი არაბული კულტურის ძეგლებს — მხატვრულ ლიტერატურას, ფილოსოფიურ ნააზრევს, ისტორიულ, ბიოგრაფიულ და გეოგრაფიულ თხზულებებს, შრომებს საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში, რომლებმაც ძველად სახელი გაუთქვეს არაბებს. ამ წიგნებზე უაღრესად დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ საოცარია, რომ ისინი მუდმივად აწყვია მალაზიების თაროებზე. საკმარისია, რომელიმე მათგანი გამოილიოს, რომ მაშინვე ხელახლა დაბეჭდავენ და დაუყოვნებლივ აწვდიან მკითხველს.

დამასკოში მუშაობის დროს ხშირად მიოცნებია, რომ ეს წიგნები ხელმისაწვდომი გამხდარიყო ქართველი მკვლევარებისთვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სადაც ძირითადად კონცენტრირებულია კვლევა-ძიება არაბისტიკაში, ამ ლიტერატურის ქრონიკულ ნაკლებობას განიცდიდა. მათ შესაძენად არასოდეს არ იყო და არც ამჟამად არის საკმარისი ვალუტა.

ერთადერთი პიროვნება სირიაში, რომელსაც შეეძლო ქართველ მკვლევართათვის ეს მტკივნეული პრობლემა გადაეჭრა, იყო ლევან საღარაძე — კაცი უაღრესად განათლებული, რომელმაც თავად კარგად იცოდა წიგნის ყადრი და მნიშვნელობა.

ერთხელ მასთან საუბარში ქართველ არაბისტთა გაჭირვებაზე ჩამოვაგდე საუბარი და საჭირო ლიტერატურის უქონლობა დავიჩივლე. საწადელს მაშინვე მიმიხვდა. — დამისახელეთ რაცა გსურთ და უკან არაფერზე არ დავიხევო — აღმითქვა მან და იგივე გამიმეორა რამდენიმე დღის შემდეგაც, როცა მის ოჯახში მივედი სტუმრად. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო აღმოჩნდა ის, რომ ბატონ ლევანს მხარი დაუჭირა მისმა მეუღლემაც — ქალბატონმა ევგენიამ.

ამის შემდეგ მე ბევრი არ დამიყოვნებია. დავიარე დამასკოს წიგნის მალაზიები, შევადგინე სია ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურისა, უპირატესად, შუა საუკუნეების ავტორთა თხზულებებისა და წარვუდგინე ბატონ ლევანს. 1983 წლის ბოლოს ეს წიგნები უკვე თბი-

ლისში იყო. 1984-85 წლებში მან კიდევ ორჯერ გამოგვიგზავნა, თბილისში საჭირო ლიტერატურა, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ცალკე ფონდად გამოიყო და რომლითაც სარგებლობა ინსტიტუტის სამკითხველო დარბაზში ნებისმიერ მკითხველს შეუძლია. ლევან სალარაძის მიერ მოძღვნილი წიგნების ფონდი დღეს ორასზე მეტი არაბი ავტორის 400-მდე ტომს ითვლის და მოიცავს არაბისტიკის სხვადასხვა სფეროს. აქ წარმოდგენილია განმარტებითი და დარგობრივი ლექსიკონები, ბიოგრაფიული, გეოგრაფიული, ენათმეცნიერული და ისტორიული ლიტერატურა, ფილოსოფიური, ასტრონომიული, კოსმოგრაფიული და მინერალოგიური თხზულებები, ფოლკლორი, სამართალი, ხელნაწერთა აღწერილობები და მრავალი სხვის ცნობარი.

ენათმეცნიერული ლიტერატურიდან გამოვყოფ აჰმად ალ-ფარის ალ-ლუღავის (IX ს.), იბნ სირაჯის (IX ს.), ალ-ლუნდიჯანის (XI ს.), ალ-ბაღდადის (XVIII ს.) თხზულებებს; ლექსიკოგრაფიულიდან — იბნ მანზურის (XIV ს.), ალ-ფაირუზბადის (XV ს.), მურთადა აზ-ზაზიდის (XIX ს.), ალ-ბუსთანის (XX ს.) არაბულ განმარტებით ლექსიკონებს, დოზისა და ფანანის არაბულ-ფრანგულსა და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში არაბულ-ინგლისურ ლექსიკონებს. ბიოგრაფიული და გენეალოგიური ლიტერატურიდან — შუა საუკუნეების ცნობილი არაბი ავტორების იბნ აბი უსაიბიას (XIII ს.), იბნ ალ-ასირის (XIII ს.), იბნ ალ-კიფტის (XIII ს.), ას-სუბქის (XIII ს.), ალ-ასკალანისა (XV ს.) და სხვ. თხზულებებს; ისტორიულიდან — მუჰი ად-დინ იბნ აბდ აზ-ზაჰირის (XIV ს.), იბნ ალ-ვარდის (XIV ს.), ალ-აინის (XV ს.), ალ-მაკრიზის (XV ს.), ალ-კალკაშანდის (XV ს.), იმად ად-დინ ალ-ჰანბალის (XVII ს.), ალ-ჯაბართისა (XIX ს.) და სხვ. ნაშრომებს, რომლებიც საინტერესო ცნობებს შეიცავენ საქართველოს შესახებაც.

არაბული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იბნ ან-ნადიმის (X ს.) „ფიჰრისთს“, აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისფაჰანის (X ს.) 24-ტომიან „სიმღერათა წიგნს“, იაკუთის (XIII ს.) 20-ტომიან „ლიტერატორთა ლექსიკონს“. ლევან სალარაძის ფონდში არის თითქმის ყველა გამოჩენილი არაბი პოეტის, მათ შორის აბუ ნუვასის, აბუ ლ-ალა ალ-მაარის, იბნ არ-რუმის, აბუ თამამის, ბუხთურისა და ალ-მუთანაბის ლექსების კრებულები, პროზაიკოსების: იბნ-მუჟაფას, ბაიჰაკის, ალ-ჯაჰიზისა, ათ-თანუხისა და სხვათა თხზულებები.

ლევან სალარაძის ფონდში არის აგრეთვე, ვენესიკის 7-ტომიანი ჰადისების კონკორდანსი, ლაზალისა და წმინდა ძმების (იხვან ას-ნაფა) ფილოსოფიური თხზულებები, ალ-ბირუნის, იბნ ალ-აკნაფის, არ-რაზი ას-სუფისა და სხვ. მინერალოგიური, ასტრონომიული და გეოგრაფიული შრომები, დამასკოსა და ჰალაბის წიგნთსაცავების არაბულ ხელნაწერთა აღწერილობები.

აღნიშნული წიგნების უდიდესი ნაწილი თბილისის წიგნთსაცავებში ან არ მოიპოვებოდა, ანდა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და ზოგჯერ შეუძლებელიც კი მათი დროებით მიღება საბჭოთა კავშირის სხვა ორიენტალისტური ცენტრებიდან. ამჟამად ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა და მუშაობა გაადვილდა. ლევან სალარაძის წიგნების ფონდი მყარ საფუძველს უქმნის საქართველოში არაბული აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის, ქართულ-არაბული ურთიერთობების შემდგომ შესწავლას, ხელს შეუწყობს არაბისტთა ახალი კადრების მომზადებას.

\* \* \*

ოცდაათიან წლებში დამასკოში ბევრმა ქართველმა მოიყარა თავი. ყველაზე ახალგაზრდა და ნაკითხი მათ შორის, ჭაბუკი ლევან სალარაძე მეგობრებსა და ამხანაგებს ოჯახური შეხვედრების დროს ზეპირად უკითხავდა ქართულ ლექსებს და რუსთაველის აფორიზმებით ამხნევებდა მათ.

გავიდა ნახევარი საუკუნე და საქმეში გამობრძმედილმა და დაბრძენებულმა ლევან სალარაძემ იკისრა საპატიო მისია — არაბულ სამყაროში ქართული პოეზიისა და მისი გვირგვინის, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროპაგანდისა.

ქართულმა საზოგადოებრიობამ კარგად იცის, რომ რუსთაველის პოემა არაბულად თარგმნა სირიელმა პოეტმა და მთარგმნელმა ნიზარ ხალილიმ. მას უდიდესი დახმარება გაუწია ქართველმა არაბისტმა გურამ ჩიქოვანმა, რომელმაც გააკეთა „ვეფხისტყაოსნის“ არაბული თარგმანის რედაქცია. სწორედ მან და მისმა ქართველმა კოლეგებმა 1978 წელს სირიაში მუშაობის დროს პოემის მთარგმნელი ლევან სალარაძეს დაუკავშირეს.

ბატონი ლევანი წლების მანძილზე აფინანსებდა თარგმანზე მუშაობას. — რაც არ უნდა დაჯდეს, გადავიხდიო — ხშირად უთქვამს ჩემ-



თვის — მაგრამ მთავარია, რომ კარგად ითარგმნოს და ქართველთა არაბების თვალში არ შევრცხვეთო. და საბოლოოდ, როცა დარწმუნდა, რომ თარგმანის მაღალი ღირსებები ეჭვს აღარ იწვევდა (უკანასკნელად ეს დაადასტურა ცნობილმა სირიელმა მწერალმა და შესანიშნავმა სტილისტმა საიდ ჰაურანიამ), მან ნიზარ ხალილის გადაუხადა დიდძალი ჰონორარი და იკისრა პოემის გამოცემის ასევე დიდი ხარჯებიც.

„ვეფხისტყაოსნის“ არაბულმა თარგმანმა, რომელიც 1984 წელს დაიბეჭდა დამასკოში, გამოხმაურება ჰპოვა არაბულ პრესაში და მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად იქცა მთელს არაბულ სამყაროში. შეუმჩნეველი არ დარჩენილა გამომცემლის ვინაობაც. ცნობილი სირიელი კრიტიკოსი და მწერალი მიხაილ იდი, რომელმაც დადებითი რეცენზია გამოაქვეყნა თარგმანზე, გაოცებას ვერ ფარავდა იმით, რომ ეროვნებით ქართველმა სირიელმა მოქალაქემ თავს იდო ესოდენ დიდი საქმე. — „მე არა ვიცი რა მის შესახებ. არ ვიცი, თუ რატომ გახდა ეს ქართველი სირიის მკვიდრი. ამას არცა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია ის, რომ მან გაიღო ხარჯები, რათა კარგ ქაღალდზე დაებეჭდა კარგად გაფორმებული ასეთი დიდი წიგნი“. — „განა ასე მდიდარია ეს სირიელი ქართველი? — კითხულობს კრიტიკოსი და თავად იძლევა პასუხს, — გონებას მიღრღნის ფიქრი, რომ არც ისე, როგორც ზოგიერთი არაბი ნავთობმრეწველია, მაგრამ უსენი — გულისტკივილით აღნიშნავს მ. იდი — ამჯობინებენ მსოფლიოს სხვადასხვა დედაქალაქში გაფლანგონ ფული, ერთ-ორ დღეში დახარჯონ ის თანხა, რაც საკმარისი იქნებოდა ათეულობით არაბული ხელნაწერის გამოსაცემად“.

ჩვენი თანამემამულის მოღვაწეობა სირიაში არაბი მაგნატებისთვის მისაბამ მაგალითად იქნა აღიარებული. მისი ქველმოქმედების მიზეზად კი მ. იდმა სავსებით მართებულად სამშობლოს სიყვარული და სამშობლოსკენ ლტოლვა მიიჩნია: „აი, ეს არის ჭეშმარიტი გამოხატულება მამულის სიყვარულის, აი, ეს გახლავთ ქართველი კაცის სამშობლოსადმი მიძღვნილი საალერსო მოსაკითხავი“. „და დარჩა სამშობლო მის გულში“ — ასე შეაფასა არაბმა მწერალმა ლევან საღარაძის მოღვაწეობა და შეუძლებელია არ გაიზიარო ეს სიტყვები.

სანიმუშო გახდა ლევან საღარაძის ქველმოქმედება სირიელი სომხებისთვისაც, რომელთა რიცხვი ამ ქვეყანაში 100 ათასს აჭარბებს. ქ. ჰალაბის სომხურ გაზეთში იქაურმა ლიტერატორმა თოროს თორონიანამაც ვერ დაფარა თავისი აღტაცება და გაოცება. — „წარმოიდგინეთ, მთელს სირიაში ერთი ქართველი ოჯახია და ამ ოჯახის თავკაცმა ლე-



ვან საღარაძემ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის გამოცემის მთელი ხარჯები იკისრა!... როგორც კი წიგნი შევიძინე და გავეცანი, სურვილი გამიჩნდა მივსულიყავი მასთან, ხელი ჩამომერთმია და მთელი გულით მიმელოცა წიგნის გამოცემა. მთელი გულით მივესალმები ლევან საღარაძეს უანგარო სამსახურისთვის. დაე, არაბიც ეზიაროს ქართულ ლიტერატურას და ღირსეულად შეაფასოს მისი გენია“.

სირია მოწინავე არაბული ქვეყანაა. აქ გამოცემული წიგნი სწრაფად ვრცელდება ატლანტიკის ოკეანიდან სპარსეთის ყურემდე გადაჭიმულ არაბულ სამყაროში. ასე, რომ წინ დიდი გზა უდევს არაბულად თარგმნილ რუსთაველის პოემას. ბევრი არაბის გულს ააღელვებს იგი, ბევრ არაბ მეცნიერს მისცემს სტიმულს გაეცნოს ქართულ კულტურას და შეისწავლოს ქართულ-არაბული ურთიერთობები სხვადასხვა სფეროში იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია ჩვენი მკვლევარებისთვის.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის გამოცემიდან გავიდა მცირე ხანი და ლევან საღარაძემ კიდევ ერთი სამსახური გაუწია ქართველ ერს. ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ 1987 წელს მან დააფინანსა დამასკოში არაბულ ენაზე პოეტური კრებულის „განდგეილის“ თარგმნა და გამოცემა. თარგმანი შეასრულა ისევ ნიზარ ხალილიმ, რედაქტორია — გურამ ჩიქოვანი. ეს გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობის თვალსაზრისით. ამ პუბლიკაციის საშუალებით არაბმა მკითხველმა პრაქტიკულად პირველად გაიცნო ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი კაცთმოყვარე, ჰუმანისტური იდეები. ეს წიგნი ბატონმა ლევანმა თვითონ ჩამოიტანა საქართველოში ილია ჭავჭავაძის იუბილეზე.

\* \* \*

ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა ბატონ ლევანს. ის აპირებდა დამასკოში დაეფინანსებნა ქართული პოეზიის ანთოლოგიის თარგმნა და გამოცემა. მაგრამ არსთავამრიგემ აღარ აცალა.

1988 წლის ზაფხულში მძიმედ დაავადებული ბელგიაში, ქ. ლიეჟს გაემგზავრა სამკურნალოდ. ექიმები ურჩევდნენ, რომ მკურნალობის სრული კურსი ჩაეტარებინა. მაგრამ მან გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა და სირიაში დაბრუნდა. ეს გადაუდებელი საქმე დამასკოს საერთაშორისო ბაზრობაზე ქართული გამოფენა იყო. გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა, მაგრამ ამასობაში სენმაც იმძლავრა. 1989 წლის



თებერვალში ის ხელახლა გაემგზავრა ლიეჟს, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ექიმთა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო და 4 მარტს იქვე აღესრულა.


საქართველომ აღასრულა ბატონი ლევან საღარაძის უკანასკნელი სურვილი — მისი ნეშტი ქართულ მიწას მიბარებოდა საუკუნო განსასვენებლად. 14 მარტს ქართველმა საზოგადოებრიობამ უკანასკნელ გზაზე გააცილა ღირსეული თანამემამულე. მისი ცხედარი დაიკრძალა თბილისში, საბურთალოს პანთეონში.

„სიკვდილი ის კარია, რომელშიც ყველა ადამიანი შევა“ — აცხადებს არაბული სიბრძნე. მაგრამ განა ყველა ერთნაირად შეაღებს იმ კარს, რომლის იქით იღუმალებას დაუსადგურებია? ერთნი მალე მიეცემიან დავიწყებას, მეორენი კი სამუდამოდ დარჩებიან ერის ხსოვნასა და ისტორიაში. სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება ბატონი ლევან საღარაძე.



1

1—9 გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცემული წიგნები.



2



3













## ფიქრები მომავალზე

გასულ წელს გამომცემლობა „ნაკადულს“ არსებობის ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. მისი დაბადების თარიღს 1938 წლიდან ვითვლით, როცა დამოუკიდებელ გამომცემლობად ჩამოყალიბდა. დასაწყისში „საბლიტგამი“ ერქვა, მერე კი „ნაკადული“ ეწოდა.

ეს ლამაზი სახელი მოსწონდა ბატონ ნიკო კეცხოველს, გამომცემლობის ერთ-ერთ მესვეურს, და ხშირად იტყოდა ხოლმე: „ქართველ კაცს ნაკადული და წყარო ოდითგანვე უყვარდა, რადგან მასში ხედავდა სიცოცხლის გამოსახულებას, სიცოცხლის სიმბოლოს, დაუსრულებელ სწრაფვას — შეერთებოდა მეორეს და ამ შეერთებით შეექმნა ძლიერი მდინარე, რომელიც სიცოცხლეს მეტ ძლიერებას მისცემდა“.

დღეს „ნაკადულს“ ვეღარ შევადარებთ იმ მოწანწკარე წყაროს, ჭეჯილს ძლივს რომ რწყავდა, იგი წყალუხვ მდინარეს უფრო ჰგავს.

ყოველწლიურად ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის 160-მდე სახელწოდების წიგნი გამოდის, ოთხ მილიონამდე ტირაჟით. დედნებს ასაკის შესაბამისად ექვსი რედაქცია ამზადებს: სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ლიტერატურის რედაქცია, საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ლიტერატურის რედაქცია, ახალგაზრდობის ლიტერატურის რედაქცია, მეცნიერულ-პოპულარული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქცია, რუსულ ენაზე გამოცემთა რედაქცია და საბავშვო წიგნის სახლი.

მრავალი საინტერესო სერია და ბიბლიოთეკა შეიქმნა ბოლო წლებში. ძველ სერიებს „იყო და არა იყო რა“, „სათავგადასავლო ბიბლიოთეკა“, „ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“, „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ დაემატა ახლები: „ლიტერატურული ზღაპრები ბავშვებისათვის“, „ცეროდენას ბიბლიოთეკა“, „მცირე სათავგადასავლო ბიბლიოთეკა“, „კეთილი ჯადოქარი“, „ქართული მწერლობა“, „სიყვარულო, ძალსა შენსა“, „სერაფიტა“, „ჯადოსნური სარკე“, „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის“.



„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის“ ლად გამოდის ქართულად. მისი გამოცემა სამოც ტომადაა გამოცემული და მოიცავს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს, რაც საუკუნეების განმავლობაში შეუქმნიათ სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ მწერლებს. რაღა თქმა უნდა, ბიბლიოთეკაში ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებიც შევა. ბიბლიოთეკა ლამაზად არის გაფორმებული. პირველი ორი ტომი აღფონს დოდეს „ტარტარენ ტარასკონელი“, „წერილები ჩემი წისქვილიდან“ და ჩარლზ დიკენსის „დავით კობერფილდი“ უკვე მიიღო მკითხველმა. წარმოებაშია შ. რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ჯემზ ფენიმორ კუპერის ნაწარმოებები.

ამ გამოცემის მიზანი ისიც არის, რომ შეაყვაროს ბავშვს წიგნი, მოამზადოს იგი აქ დაბეჭდილ მწერალთა სხვა თხზულებების გასაცნობად.

სულ პატარებისათვის — სკოლამდელი და უმცროსი ასაკის მოსწავლეებისათვის — განზრახული გვაქვს, გამოვცეთ მცირე ბიბლიოთეკა ოცდახუთ წიგნად, რომლის სახელწოდება იქნება „ჩემი პირველი ბიბლიოთეკა“. მას მოზრდილი ფორმატისას გამოვცემთ და მდიდრულად დავასურათებთ.

ბოლო წლების საუკეთესო გამოცემათა შორის არ შეიძლება არ ვახსენოთ „ქართული პოეზიის“ ჩვიდმეტტომეული, რომლის გამოცემაც უკვე დასრულდა, და „ქართული მწერლობა“.

„ქართული მწერლობის“ ოცდაათტომეული მოიცავს ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს უძველეს დროიდან მეოცე საუკუნის ათიან-ოციან წლებამდე.

იგი ახალგაზრდა მკითხველს ფართოდ გააცნობს იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც სრულად გამოვლინდა ქართული სიტყვის მშვენიერება და ძალა, ის სულიერი სიმდიდრე, რაც იქმნებოდა ათას ხუთასი წლის მანძილზე.

დასამალი არ არის, რომ მეცნიერულ-პოპულარული წიგნების გამოცემის ტრადიცია საქართველოში არ ყოფილა.

ამჟამად გამომცემლობაში სპეციალური რედაქციაა შექმნილი და იგი ცდილობს ეს ხარვეზები შეავსოს. მისი ინიციატივით მრავალი საინტერესო წიგნი შეიქმნა. დავასახელებ თუნდაც რამდენიმეს: ა. ბენდუქიძე — „მათემატიკა. სერიოზული და სახალისო“, თ. ბიბილური — „წელიწადის დრონი“, ავტორთა ჯგუფი — „საუბარი ინფორმატიკაზე“ და სხვ.



გამომცემლობაში რამდენიმე საინტერესო ალმანახი გამოდის, რომლებიც ბავშვებს უფართოებენ გონების ჰორიზონტს. ეს ალმანახებია: „ფრესკა“, „მთიები“, „ჯეჯილი“, „ბუნების კარი“. „ფრესკა“ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეს ემსახურება, „მთიები“ მოზარდებს აცნობს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის მიღწევებს. „ჯეჯილი“ განიხილება საბავშვო ლიტერატურის პრობლემატური საკითხები. „ბუნების კარში“ იბეჭდება მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის წერილები ბუნებაზე, ჩვენი ქვეყნის ფლორასა და ფაუნაზე, მცენარეებსა და ცხოველებზე.

დღევანდელ ბავშვს მეტი ინფორმაცია სჭირდება, იზრდება მისი ცოდნის ჰორიზონტი, გემოვნება. წიგნი ლამაზი უნდა იყოს გარეგნულადაც და შინაარსითაც. ლამაზად გაფორმებული წიგნის გამოცემა კი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული: ჭირს ოფსეტის ქაღალდი, არ არის ფერდამყოფი მანქანა, არ არის ბაზა ილუსტრირებული წიგნების გამოსაცემად. ზოგჯერ წლობით დევს სტამბაში ილუსტრირებული დედნები და როცა გამოვა, გამოდის უხარისხოდ. ეს დასამალი არავისთვის არ არის. გამსახკომი ზრუნავს ამ რთული პრობლემების გადასაწყვეტად. გამომცემლობა ჯერჯერობით რესპუბლიკის გარეთ აგვარებს ფერადი წიგნების გამოცემის საქმეს.

დედაენა

ასოების წერას გოგო სწავლობს,  
 ჯახირ-ჯახირ გამოჰყავს და წვალობს...  
 რა თქმა უნდა ყველაფერი კარგად  
 გამოვა და გაიხარებ დიდად,  
 დედაენა გაგიხდება თარგად,  
 დედაენა გაგიხდება ხილად.  
 მერე, როცა ამ მშობლიურ ხილით  
 გადაივლი მინდვრებსა და ქედებს,  
 წინ რაც შეგხვდეს, კარგად დააკვირდი,  
 მაგრამ ერთხელ უკან მოიხედე,  
 თვალი ჰკიდე შენსკენ მავალ ბაღლებს —  
 ხიდი ხომ არ გაატანეს ტალღებს.



---

ბიბლიოთეკები  
და  
ბიბლიოფილები

## მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი

ბუშინ ერთიგან ვინათხოვრე „მილკი“ და „კრუსტი“  
და იმნაირი სიხარულით გამოვიტანე,  
თითქოს, ციხიდან დავიხსენი ორი წმინდანი,  
ხვალ და ზებ  
ისევ საპრობილო  
რემედიტაც უცდის...

**შოთა ნიშნაიძე**

ქართული წიგნთსაცავი ათონის მთაზე

I

ქართველი საზოგადოებრიობის ტრადიციულმა ნიშან-თვისებამ — წიგნის დიდმა სიყვარულმა, „წიგნთა ტრფიალთა“ სიმრავლემ განაპირობა ქართული წიგნთსაცავების ადრეულ ხანაში აღმოცენება. ქართული წიგნთსაცავების ისტორია ისევე ძველია, ისევე მრავალსაუკუნოვანია, როგორც ქართული წიგნის ისტორია, როგორც ქართული მწიგნობრობის ისტორია.

ჯერ კიდევ შუშანიკ დედოფალს (V ს.) ჰქონდა ცურტავის სასახლეში პირადი ბიბლიოთეკა, რომლის ნაწილი („ევანგელს თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“) მან ციხეშიც წაიღო; წიგნები მრავლად ყოფილა ქართლის ერისთავის ნერსეს (VIII ს.) ოჯახში, სადაც განათლება მიიღო გრიგოლ ხანძთელმა, რომელმაც იქ „დაისწავლა „დავითი“ და ვმითა სასწავლელი სწავლაჲ, საეკლესიოჲ (სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა“; ქართლის კათალიკოსის სამოელის (VIII ს.) წერილიდან ჩანს, რომ მერვე საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართულ ეკლესიებში უკვე იყო ჰაგიოგრაფიული ძეგლების შემცველი ხელნაწერი წიგნები.

უფრო მეტი ცნობა გვაქვს შემდგომი ხანიდან: სინის მთის ქართველებს X საუკუნეში უკვე იმდენი წიგნი ჰქონდათ, რომ კათალოგიც კი შეუდგენიათ; ძველთაგანვე „დიდი წიგნის საცავი“ არსებობდა ათონის ქართველთა საგანეში; ტბეთის ტაძარშიც „ძუელნი წიგნნი მრავალნი“ ყოფილა; ანტონ პირველი იხსენიებს „საუნჯეთა წიგნის საცავთა მცხეთისა ეკლესიისათა“; გადმოცემით, იოსებ სააკაძემ (თბილელმა) თბილისის სიონთან დააარსა წიგნთსაცავი, რომელიც შემდეგ ვახტანგ მეექვსემ და დომენტი კათალიკოსმა განაახლეს; ერთი ცნობით, ანტონ პირველის დროს მცხეთის ტაძარს 7000-მდე წიგნი ჰქონდა და ა. შ.



ძველი ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების ჩვენებით, დიდი თუ პატარა წიგნთსაცავი არსებობდა ყველა მნიშვნელოვან ეკლესიაში, მონასტერში, განათლებულ ოჯახში და ა. შ. მათი დაარსებისა და გამდიდრების მიზნით ენერგიულად იღვწოდნენ სამღვდელო თუ საერო პირნი.

ძველი ქართული მწერლობა ვითარდებოდა არა მხოლოდ ქალაქებსა და სოფლებში, არამედ მონასტრებშიც. ბევრი მონასტერი საქართველოში, ისე როგორც თითქმის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში (ბიზანტიაში, რუსეთში, სომხეთში და ა. შ.), მწიგნობრობის კერა იყო, იქ საკმაოდ იგრძნობოდა ეპოქის ლიტერატურული მაჯისცემა. მონასტრები, როგორც მწერლობის კერების მნიშვნელობა უცილობელია. „მონასტრების, როგორც დამწერლობისა და საკოლონიზაციო ბაზების დამწერგავთა პროგრესული როლი“, ერთობ დიდი იყო. ამიტომაც წერდა ივანე ჯავახიშვილი: „მონასტრებს სამშობლოს წინაშე დიდი კულტურული ღვაწლი მიუძღოდათ: განა მდიდარი საეკლესიო მწერლობა და მრავალმხრივი ხელოვნება სულ მათი შექმნილი არ არის? მაშინდელი მონასტერი უმაღლესი გონებრივი განვითარების სავანე იყო“.

ქართულ მონასტრებში თავმოყრილი იყვნენ მწერლები, მეცნიერები, კალიგრაფები, „ეტრატის შემქმნელები“, წიგნების „მკაზმველები“, „მმოსველები“ და სხვ. იქ გაჩაღებული იყო ორიგინალურ ნაწარმოებთა თხზვა, უცხო ენებიდან თარგმნა და რედაქტირება, ახალი ნუსხების დამზადება, ძველი ხელნაწერების გაცხოველება და ა. შ.


ყველა მონასტერში, სადაც კი გაშლილი იყო კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა, არსებობდა წიგნთსაცავი; კერა ძველი ქართული მწიგნობრობისა, ძველი ქართული სულიერი კულტურისა იმავდროულად იყო საბიბლიოთეკო კერაც. მართალია, ყველა მონასტრის წიგნთსაცავზე საკმარისი ცნობები არ მოგვეპოვება, კიდევ უფრო ცოტა მასალაა მოღწეული სამონასტრო ბიბლიოთეკების ორგანიზაციულ საქმიანობაზე, მათ წესებსა და სარგებლობის პრინციპებზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რადგან მონასტერთა უმრავლესობაში წიგნთსაცავების არსებობა დადასტურებულია, გვაქვს საფუძველი და უფლება ყველა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო კერა საბიბლიოთეკო კერადაც მივიჩნიოთ.

ერთ-ერთი ასეთი დიდი ქართული საბიბლიოთეკო კერა არსებობდა ათონზე.

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერათა მონასტრის ეროვნული მწერლობის განვითარებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის სავანეს, „რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა XI—XII საუკუნეებში, ეს ივერთა მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. უიმილსოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“ (კ. კეკელიძე).

ათონის სავანე მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის (ბერძნული ქალკიდიკის) აღმოსავლეთ შვერილზე — აიონოროსის (მთაწმინდის), ათონის, ვიწრო, გრძელი და მთავორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას.

პირველი ქრისტიანი მოწესენი ათონზე VIII—IX საუკუნეებიდან ჩანან, ხოლო X საუკუნის ბოლოსათვის იქ ბერძნული მონასტრების ცენტრმაც გადაინაცვლა; 870 წელს იოანე კოლოკუმ დააარსა პირველი სავანე, ხოლო მომდევნო ხანაში სამონასტრო მშენებლობა ისე შესამჩნევად გაიშალა, ერთიმეორის მიყოლებით იმდენი მნიშვნელოვანი სავანე აღმოცენდა, რომ მალე ათონის მთას მთაწმინდა ეწოდა. რაკილა ათონზე ბევრ ხალხს ჰქონდა თავისი სათვისტომო, ბუნებრივი იქნებოდა, იქ ქართველებსაც დაედოთ ბინა. მართლაც, მას შემდეგ, რაც საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა ვაცხოველდა და ქართველები მომრავლდნენ ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურსა თუ საეკლესიო-სამონასტრო ასპარეზზე, მათ ათონზე დასახლებაც დაიწყეს — ჯერ ბერძენთა სადგომს შეაფარეს თავი, ხოლო შემდეგ ქართული სა-



ქარტველთა სივანე ათონზე



ვანეც ღააარსეს (მართალია, ქართველნი X საუკუნის შუა წლებში, 50-იან, განსაკუთრებით 60-იან წლებში, — ჩანან ათონის მთავრის ათოს სავანეში, კლემენტის მონასტერში, ათანასეს ლავრაში, მაგრამ მათ ჯერ ეროვნული მონასტერი კიდევ არ ჰქონდათ).

965 წელს ათონის მთას ეწვია გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე, რომელსაც ახლდნენ ვაჟიშვილი ექვთიმე და მოწაფენი. მათ ათანასე ათონელის ლავრას მიაშურეს, ათანასეს ახლოს დაისადგურეს. მალე მათ შეუერთდა ცნობილი სარდალი თორნიკე.

ამ პერიოდში ბიზანტიის მცირეწლოვან ულლისწულებს ბასილსა და კონსტანტინეს აუჯანყდა მცირეაზიელი ფეოდალი ბარდა სკლაროსი. მეამბოხეთა ლაშქარმა თითქმის მთელი მცირე აზია იგდო ხელთ და ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას საფრთხე შეუქმნა. საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის ერთგულ დიდებულებს მიმართა. მან გადაწყვიტა დავით კურაპალატისათვის მიემართა და დახმარება-შუაგაცობა ათონელ ქართველებს სთხოვა. იოანემ ეს საქმე თორნიკეს მიანდო. ბიზანტიელებმა თორნიკეს ხელით დავით კურაპალატს წერილი გამოუგზავნეს და დახმარება სთხოვეს. დავითმა 12000 რჩეული მხედარი გამოყო და სარდლად თორნიკე მიუჩინა. ბიზანტიელთა და ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მეამბოხეთა მხედრობა (979 წ.).

თორნიკემ დიდძალი დავლა იგდო ხელთ. იგი გამარჯვებული და ხელდამშვენებული დაბრუნდა ათონზე. იქაურმა ქართველებმა ახალი, ეროვნული სავანის დაარსება განიზრახეს (მათ უკვე ჰქონდათ საამისო მატერიალური შესაძლებლობა), მალე (980 წელს) ქართული მონასტრის მშენებლობა დაიწყო და 983 წელს დაასრულეს კიდევ. ასე დაარსდა ათონის ივერთა (ქართველთა) მონასტერი, ივირონი, რომელსაც ჩვენი წინაპრები ასე იხსენიებდნენ: „ლავრაჲ დიდებული და ყოვლითა შეუნიერებითა შემკული“ (გიორგი ათონელი), „დიდი ლავრა“ (გიორგი მცირე), „დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ“ (ეზრა ათონელი), „ლავრაჲ დიდებული“ (ზოსიმე მონაზონი) და ა. შ.

იოანესა და თორნიკეს მცდელობით, ბიზანტიელთა დახმარებითა და ათონელ ქართველთა ენერგიული მოქმედებით ივირონი 985 წლისათვის სავსებით დასრულებულ, ჩამოყალიბებულ ფეოდალურ-საეკლესიო სენიორიად იქცა.

როდესაც იოანე და თორნიკე მონასტერს აარსებდნენ, მათ, რასაკვირველია, სურდათ ქართველ მოღვაწეთათვის ეროვნული სავანე შეექმნათ, მაგრამ მათი აღმშენებლობითი საქმიანობა მხოლოდ ქართველ



მოწესეთა ბედზე ზრუნვით არ შეიძლება აიხსნას. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის ბიზანტიური კულტურის გაცნობას, მწერლობისა და მეცნიერების ცენტრებთან ახლოს ყოფნას, ბიზანტიელ მწიგნობრებთან კავშირ-ურთიერთობას. ამიტომაც იოანემ და თორნიკემ თავიდანვე გამოიჩინეს ინტერესი ბიზანტიური ლიტერატურისადმი და დაიწყეს ზრუნვა მშობლიური მწერლობის ზრდა-განვითარებაზე. მათ სათანადო ყურადღება მიაქციეს ქართული მწიგნობრობის განვითარებას და შესამჩნევი წვლილი შეიტანეს ეროვნული წერილობითი კულტურის გამდიდრებაში. იოანესა და თორნიკეს ინიციატივით ათონზე საკმაოდ ადრე, ყოველ შემთხვევაში, X საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც, ფართოდ გაიშალა მუშაობა ხელნაწერთა გამრავლების, ძვირფასი ნუსხების დამზადების მიზნით. მათი დაკვეთით მუშაობდა ქართველ მწიგნობართა მოზრდილი ჯგუფი, მათი თაოსნობით დამზადდა არაერთი ძვირფასი ხელნაწერი. იოანე გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ბიზანტიური მწერლობის წინსვლას, ინტერესით ეცნობოდა ბერძნულენოვან ტექსტებს, არჩევდა სათარგმნელ მასალას. იგი გრძნობდა ხარვეზს, რომელიც ზოგიერთი მნიშვნელოვანი ბიზანტიური ძეგლის ქართული თარგმანის არარსებობით იყო გამოწვეული და ენერგიულად იღვწოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იოანეს მოწოდებით გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე მისი ვაჟი ექვთიმე (955—1028), რომელსაც წილად ზედა ათონის ლიტერატურული სკოლის დაარსების დიდი პატივი. არსებითად მის სახელთანაა დაკავშირებული ამ სკოლის ჩამოყალიბება და მისი საქმიანობის წარმართვა, ბიზანტიურ კულტურასთან ქართული მწერლობის შემდგომი დაახლოება და ეროვნული საგანძურის გამდიდრება, ბიზანტიური ლიტერატურული ტრადიციების გადმონერგვა ჩვენს სინამდვილეში და მშობლიური მწერლობის მსოფლიო სარბიელზე გაყვანა.

იოანეს გარდაცვალების შემდეგ, — 14 წლის განმავლობაში (1005—1019), — ქართველთა მონასტერს ექვთიმე ათონელი ხელმძღვანელობდა. იგი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, — იოანეს ავადმყოფობის გამო, — უძღვებოდა ქართული საგანის მთელ საქმიანობას — საეკლესიო-სამონასტროს, სამეურნეო-ადმინისტრაციულსა და სხვ., აქტიურად იყო ჩაბმული ათონელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა თანამემამულეთა მრავალრიცხოვან ჯგუფს. ასეთივე დატვირთვით მუშაობდა ექვთიმე მამის გარდაცვალების შემდეგაც, როდესაც წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა.



ექვთიმე ათონელის ღრმაშინაარსიან ცხოვრება-მოღვაწეობაში მთავარი და არსებითი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა სწორედ მისი თაოსნობით იქცა ათონის სავეანე არა მხოლოდ დასავლეთში მყოფ ქართველთა ძირითად საეკლესიო-სამონასტრო ცენტრად, არამედ ქართული კულტურის მძლავრ კერადაც. მართალია, ექვთიმე ათონელს მუშაობაში შესამჩნევად უშლიდა ხელს სხვა საქმეებით გადატვირთვა და დღენიანად მოუცლელობა, მაგრამ ამან ხელი ვერ ააღებინა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე (ვინაიდან ხშირად დღისით ვერ პოულობდა დროს, ღამით მუშაობდა და თავდადებით იღვწოდა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის).

როგორც აღვნიშნეთ, მწიგნობრული ინტერესი ქართველთა სავანეში ადრევე შეინიშნებოდა, ცნობილია, მონასტრის პირველ მოღვაწეთა — იოანესა და თორნიკეს თაოსნობით დამზადებული წიგნები, მაგრამ იქ გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, იქაური ლიტერატურული სკოლის ფუძემდებელი და მამამთავარი იყო ექვთიმე ათონელი. არ დარჩენილა ქართული საეკლესიო-სასულიერო მწერლობის არც ერთი დარგი, რომ მის განვითარება-გამდიდრებაში ექვთიმეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო.

ექვთიმე ათონელს გარს ეხვია თანამოღვაწეთა და თანამშრომელთა დასი (იოანე გრძელისძე, არსენ ნინოწმინდელი, იოანე ხახულელი, ზაქარია მირდატისძე და სხვ.), რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული წიგნადი ფონდის გამდიდრებასა და ათონის ლიტერატურული სკოლის განვითარებაში.

ათონის ქართველთა მონასტერი არა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს სიცოცხლეში გამოირჩეოდა, არამედ მომდევნო პერიოდშიც კარგა ხანს იყო ქართული კულტურის მძლავრი კერა. იქ გრძელდებოდა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა, რომელშიც მონაწილეობდა ქართველ მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი (გრიგოლ მთაწმინდელი, სტეფანე ხარტულარი, მიქაელი და სხვ.). ეს მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა, როდესაც იქ დამკვიდრდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე გიორგი ათონელი (1009—1065), რომელმაც განაგრძო, განავითარა და გააღრმავა ექვთიმეს მიერ წამოწყებული საქმიანობა. იგი 1044—1056 წლებში ივირონის წინამძღვრად იყო, მრავალმხრივ პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა და ენერგიულად ხელმძღვანელობდა ქართული სავანის ბინადართა საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებას. საქართველოს სამეფო კარის ხელშეწყობითა და დახმარებით



რებით მან ათონის ქართველთა მონასტერი გაამდიდრა, განამტკიცა და გააძლიერა, აღმშენებლობითი სამუშაოც ჩაატარა და მამულეობით მოიმატა-შემოიმტკიცა.

გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში, მის მოღვაწეობაში მთავარი და ძირითადი მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა იყო. თავისი შემოქმედებითი მუშაობით, ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობითა და პრაქტიკული მოღვაწეობით მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული სულიერი კულტურის საგანძურში. იგი თავგამოდებით იბრძოდა ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და სარწმუნოებრივი სიწმინდისათვის, მშობლიური მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის.

გიორგი ათონელის ცხოვრება-მოღვაწეობას პერიოდში ათონის ქართულ სავანეში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა. გიორგი, — ვითარცა მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობის მეთაური და მთელი ინტელექტუალური ცხოვრების ხელმძღვანელი, — თავისი პირადი მაგალითით — თავდადებული შრომითა და შემოქმედებითი წვით, — სტიმულს აძლევდა თანამოღვაწეთ და მწიგნობრულ ინტერესს უღვივებდა, შთააგონებდა და სამუშაოდ მოუწოდებდა.

მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა ათონის ქართველთა მონასტერში გრძელდებოდა გიორგი ათონელის მომდევნო წინამძღვრების — თეოდორესა და, განსაკუთრებით, გიორგი ოლთისარის დროსაც. სწორედ მაშინ მოღვაწეობდა იქ მოზრდილი ჯგუფი (ევსტათი დეკანოზი, ზოსიმე მონაზონი, კვირიკე დიაკონი, სვიმეონ თავშიშველი, იაკობ დეკანოზი, მიქაელ დაღალისონელი და ა. შ.), რომელმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანა ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიაში.

ქართული სავანის საკეთილდღეოდ თავგამოდებით იღვწოდნენ როგორც დასახელებული, ისე სხვა წინამძღვრებიც (არსენ ფარსმანყოფილი, ევგენი, ვასილი, იოანე ბუქაისძე და ა. შ.), მაგრამ ივირონის მდგომარეობა მაინც გართულდა და იქაურ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა შესუსტდა; ისინი მეტწილად ხელნაწერების დამზადებით კმაყოფილდებოდნენ და მხოლოდ ახალი ნუსხებით ამდიდრებდნენ იმ წიგნთსაცავს, რომელიც დღესაც ათონის ფასდაუდებელი საგანძურია.

ათონის ქართველთა მონასტერში შემოქმედებითი ცეცხლის განელება და ბოლოს ჩაქრობა შემთხვევითი არ ყოფილა; ეს ბუნებრივი შედეგი იყო იმ დევნა-შევიწროებისა, რომელსაც ჩვენი წინაპრები განიცდიდნენ ათონზე ჯერ კიდევ XI საუკუნიდან. XIV საუკუნიდან

ბერძნებმა თანდათანობით ხელთ იგდეს ქართული სავანე, ხოლო XIX საუკუნეში საბოლოო გამარჯვებას მიაღწიეს — მთლიანად დაეპატონებინეს მას.

### III

ივირონში აღრევე დაარსდა „დიდი წიგნის საცავი“, რომელიც დღესაც გვაოცებს მრავალფეროვნებით და ნათლად წარმოაჩენს ათონელ ქართველთა ლიტერატურულ ინტერესებსა და გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვეს. იგი დღითიდღე მდიდრდებოდა და იზრდებოდა ახალი ხელნაწერებით. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ივირონის ქართულ ხელნაწერთა ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უმდიდრესი იყო უცხოეთის ქართულ წიგნთსაცავებს შორის. იქ ბევრი ბერძნული ხელნაწერიც ინახებოდა და ამიტომ სხვაზე მეტად იზიდავდა სიძველეთმოყვარულებს, მეცნიერებს, მოგზაურებს.

1665 წელს ათონის ბიბლიოთეკები გაიცივნო და იქიდან 500-მდე ბერძნული ხელნაწერი წამოიღო რუსმა მოღვაწემ არსენ სუხანოვმა. რუსეთის ხელნაწერთსაცავების გამდიდრების მიზნით ათონს მივლენილმა ა. სუხანოვმა იქიდან სულ 498 ხელნაწერი წამოიღო, მათ შორის 156 — ივირონიდან (უკვე ეს მოწმობს ამ სავანის ბიბლიოთეკის სიმდიდრეს). ა. სუხანოვის მიერ ჩამოტანილ კოლექციაში გამოვლინდა არაერთი საყურადღებო ხელნაწერი, ამასთანავე, შუქი მოეფინა ათონის ქართული სავანის ისტორიის ზოგიერთ მხარეს. სახელდობრ, ნაწილობრივ დაიძებნა ექვთიმესდროინდელი ბიბლიოთეკის წიგნები; გაირკვა, რომ XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე ივირონში ინტენსიურად გრძელდებოდა ხელნაწერთა რესტავრაცია-სისტემატიზაცია და ა. შ.

პირველად 1725 წელს, ხოლო მეორედ 1744 წელს ათონის მთაზე იყო რუსი მოგზაური ვასილ გრიგოროვიჩ-ბარსკი, რომელმაც აღწერა იქაური მონასტრები, განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ივირონს. მან ყურადღებით გაიცივნო იქაური წიგნთსაცავი, რომელიც, მისი სიტყვით, უმდიდრესი იყო ათონზე.

XVIII საუკუნის შუა წლებში ათონზე რამდენჯერმე იყო მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც შეისწავლა და აღწერა ქართველთა სავანე. მან სწორად გაიაზრა ივირონის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, ათონელთა მიერ ეროვნულ მწიგნობრობაში შეტანილი წვლილი. მისი სიტყვით, ათონის ქართველთა მონასტრის შემწეობით „განათლდა საქართველო წიგნთა თარგმანებითა“.

ტ. გაბაშვილმა გულისყურით დაათვალიერა წიგნთსაცავი. მისი

ცნობით, „წიგნის საცავსა მონასტრისასა არს ძველი ქართული წიგნი მრავალი: „თარგმანი დაბადებისა“; კვალად წიგნი საშვეებელი თხე“, ღრმად თქმული და შვენიერად სოფრონის მიერ იერუსალიმელისა; და კვალად სხვანნი მოძღვრისა ამბა იოანეს ბრძნისა თქმული, რომელიცა თორნიკყოფილსა იოანე მონაზონსა ქართველსა და ძმასა მისსა ვარაზვაჩეს აღუწერინებიათ; სხვა წიგნი „უმილია“ და სხვანი მრავალნი წიგნი იპოვებიან მუნ“.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ივირონში იყო მწერალი და მოგზაური იონა გედევანიშვილი. მანაც გაიცნო „ბიბლიოტიკო ქართულთა... თარგმნილნი ყოველნი წერილნი სრულებით საეკლესიო... მამათაგან დადებული, რათა არავინ კელჰყოს და აქედამ გაიტანოს“.

1836 წელს ათონელმა მოღვაწემ ილარიონ ყანჩიშვილმა, — პლატონ იოსელიანის ინიციატივითა და საქართველოში ივირონის წარმომადგენლის არქიმანდრიტ სერაფიმის დავალებით, — შეადგინა კატალოგი — „ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მდებარეთა მთაწმიდას“, რომელშიც მოგვაწოდა ცნობები იქაურ ბიბლიოთეკაში დაცული რამდენიმე ათეული ქართული ხელნაწერის შესახებ. რადგან ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია მძიმე მდგომარეობაში იყო, ბევრი ძვირფასი ხელნაწერი „მოშლილი და ჭიისაგან განრყუნილი და სიძველისაგან“ დაზიანებული იყო და წაკითხვა ჭირდა, ი. ყანჩიშვილმა მხოლოდ ნაწილობრივ გაართვა თავი რთულ საქმეს, მაგრამ მისი კატალოგი მაინც მნიშვნელოვანი დოკუმენტია. თუ არ ჩავთვლით ლონდონის ბიბლიური საზოგადოების წარმომადგენელს პირკენტონს, რომელსაც ათონზე აღუწერია რამდენიმე ქართული ხელნაწერი, ი. ყანჩიშვილი არსებითად პირველი მწიგნობარია, რომელმაც შედარებით სრული ცნობები შემოგვინახა ათონზე დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაზე.

ივირონის წიგნთსაცავის შესწავლა ქართველმა მეცნიერებმა გასულ საუკუნეში დაიწყეს. 1849 წელს ათონზე იყო პლატონ იოსელიანი. მან აღწერა ათონელთა მოღვაწეობა, შეისწავლა ქართული სიძველენი, იმუშავა ბიბლიოთეკაში, გადმოიწერა ზოგიერთი ძეგლი, შეადგინა რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობა და ა. შ.

ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია ადრე ბედის ანაბარა იყო მიტოვებული. პ. იოსელიანმა მიმართა ხელისუფლების ორგანოებს და რამდენადმე გააუმჯობესებინა წიგნთსაცავის მდგომარეობა.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ივირონის წიგნთსაცავის

გულდასმით გაცნობა და შესწავლა. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ალექსანდრე ცაგარელი, რომელიც 1883 წელს ეწვია ათონს განსაკუთრებით დაინტერესდა ათონის ქართული ხელნაწერებით, რომლებიც გაიცნო, შეისწავლა და აღწერა. მის მიერ შედგენილი კატალოგი ივირონის ქართული ხელნაწერებისა ათონის ქართულ ხელნაწერთა პირველი მეცნიერული აღწერილობაა. მასში აღწერილია რამდენიმე ათეული ხელნაწერი. მიუხედავად დიდი სურვილისა და ცდისა, მკვლევარს ყველა ქართული ხელნაწერი არ უნახავს (ზოგი დაუმალეს ბერძენი პატრიარქის მითითების თანახმად). ამას ა. ცაგარელი კარგად გრძნობდა და როდესაც მის მიერ ნახული ხელნაწერების კატალოგი გამოაქვეყნა, საგანგებოდ აღნიშნა, სისრულის პრეტენზია არ მაქვს, ის აღწერე, რაც მაჩვენესო. ა. ცაგარელმა გამოავლინა ორიგინალური და თარგმნილი თხზულებანი, ავტორები და მთარგმნელები, კალიგრაფები და მკაზმავები, დაახასიათა და წარმოაჩინა ათონის როლი ქართული კულტურის ისტორიაში.

1898 წელს ქართველთა საეანეში იყო ნიკო მარი, რომელმაც დეტალურად აღწერა რამდენიმე ხელნაწერი, შემდგომ წლებში ათონური ხელნაწერების მიხედვით გამოსცა არაერთი ძეგლი.

1902 წელს ივერთა მონასტერში მუშაობდა, ქართულ ხელნაწერებს სწავლობდა და პირებს ამზადებინებდა ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელმაც რამდენიმე ძეგლი ტექსტიც გამოაქვეყნა.

მომდევნო წლებში ათონზე იყო ბერი ილია ფანცულაია, რომელმაც გადაწერა არაერთი წიგნი, შეადგინა „ათონის ივერიის მონასტრის წიგნების კატალოგი“, წამოიღო და საქართველოში ჩამოიტანა რამდენიმე ხელნაწერი (A №№ 1101, 1103, 1104, 1105).

1931 წელს ათონის სიძველენი გაიცნო, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია შეისწავლა და ვრცლად აღწერა ამერიკელმა ქართველოლოგმა რობერტ ბლეიკმა, რომელმაც თავისი კატალოგი — 86 ქართული ხელნაწერის აღწერილობა — ფრანგულად დაბეჭდა პარიზში (1932 — 1934 წწ.). ამ კატალოგის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენს კულტურულ-მეცნიერულ ცხოვრებაში — გამოვლინდა არაერთი უცნობი მთარგმნელი და კალიგრაფი, ცნობილი გახდა ბევრი ხელნაწერი.

დასახელებულ მეცნიერთა აღწერილობებითა და გამოკვლევებით გამოჩნდა ივირონის წიგნთსაცავის მრავალფეროვნება, ნათელი გახდა, რომ ექვთიმე და გიორგი ათონელების, აგრეთვე მათი თანამოღვაწე-

ებისა და მოწაფეების, რუდუნებითა და თავდადებით ათონზე მარ-  
თლაც რომ უმდიდრესი ბიბლიოთეკა შეიქმნა.

1952—1953 წწ. ზამთარში ათონის მთაზე იყო ამერიკელი მეცნიერი ე. უ. სონდერზი, რომელმაც იქაური მონასტრების წიგნთსაცავებიდან გადაიღო 209 ბერძნული და ქართული ხელნაწერის მიკროფილმი და 44 ხელნაწერის ფოტოპირი (სრულად თუ ნაწილობრივ). რამდენიმე წლის შემდეგ მან გამოაქვეყნა „აღწერილობითი ნუსხა ათონის მთის მონასტრების რჩეული ხელნაწერებისა, რომელთა მიკროფილმებიც გადაღებულ იქნა კონგრესის ბიბლიოთეკისა და ბერძნული ახალი აღთქმის ინტერნაციონალური საზოგადოებისათვის“. გაიკვია, რომ ე. უ. სონდერზს გადაუღია 4 ქართული ხელნაწერი. მათი მიკროფილმები მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირსა და საბერძნეთს შორის კეთილ-მეზობლური ურთიერთობა დამყარდა და ქართველ და ბერძენ მოღვაწეთა მეცნიერულ-ლიტერატურული თანამშრომლობის კონტურები მოიხაზა, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ათონის ივერთა მონასტრის სიძველეთა შესასწავლად.

1977 წელს საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის კინოექსპედიციამ (რეჟისორი — გურამ პატარაია, ოპერატორი — ირაკლი ონოფრიშვილი) გაიცინო ათონის ქართული სიძველენი და გადაიღო სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, რომლითაც ქართველმა საზოგადოებრიობამ უკეთ გაიგო, თუ რა ეროვნული საგანძური ინახება ათონის მთაზე.

რამდენიმე წლის წინ რეჟისორმა გურამ პატარაიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერმა თანამშრომელმა ავთანდილ მიქაბერიძემ ათონიდან ჩამოიტანეს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცეს ივირონის ქართული ხელნაწერების მიკროფილმები. მალე დამზადდა მათი პირები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის. მაშინვე დაიწყო ამ მასალის გულდასმით შესწავლა. არსებითად დაიწყო ახალი ეტაპი ათონის ლიტერატურული სკოლის შესწავლის ისტორიაში.

უკვე გვაქვს პირველი საგულისხმო შედეგები: ივანე ლოლაშვილმა გამოაქვეყნა საყურადღებო წიგნი — „ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი“ (1982 წ.). მკვლევარმა, როგორც თვით აღნიშნავდა, „თვალის ერთი გადავლებით“ გამოავლინა დიდძალი უნიკალური მასალა



ევირონიდან ჩამოტანილ მიკროფილმებში, რომელთა შესწავლა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო, და უკვე დიდად გაზარდა და თოვა ჩვენი ცოდნა და წარმოდგენა ათონის ლიტერატურულ სკოლაზე, ამასთანავე, ახალი პერსპექტივები გადაშალა ქართული მეცნიერების წინაშე. მისი ნაშრომი ქართული ათონოლოგიის დიდი შენაძენია; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მიერ მომზადებულ კრებულში „ივირონი — 1000“ ბეჟან კილანავამ დაბეჭდა „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ათონური რედაქცია (1983 წ.). ბევრ რამეს გვპირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათონურ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც აკაკი შანიძემ დააარსა.

ათონურ ხელნაწერთა შესწავლაში აქტიურად ჩაება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომელმაც შეისწავლა ცალკეული საკითხები და შესამჩნევად გაამდიდრა ქართული ათონოლოგია. შეგვიძლია დავიმოწმოთ ისეთი ნაშრომები, როგორცაა „ზოგიერთი ცნობა № 6 ათონური ხელნაწერის შესახებ“ (მ. შანიძე), „სექტემბრის თვის მეტაფრასების ათონური ნუსხა“ (ნ. გოგუაძე), „თვენზე გიორგი ათონელის მუშაობის ერთი თავისებურება ათონური ნუსხების მიხედვით“ (ლ. ჯღამაია), „სტეფანე საბაწმინდელის უცნობი საგალობლები ათონური პერიოდის მარხვანებში“ (ლ. ხევსურაძე), „ათონური № 79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ“ (მ. დოლაძე) და მრავალი სხვა. ინსტიტუტმა გადაუდებელ საქმედ მიიჩნია კოლექციის სრული აღწერილობის შედგენა და ენერგიულად დაიწყო ეს საშვილიშვილო საქმე. 1986 წელს გამოქვეყნდა ივირონის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ I ნაკვეთი ელენე მეტრეველის რედაქტორობით. მასში აღწერილია თემატური პრინციპით შერჩეული 18 ხელნაწერი. კერძოდ, აღწერილია პატერიკული, ჰაგიოგრაფიული, ჰომილეტიკური, ლიტურგიკული და სხვა ხასიათის კრებულები. მუშაობა გრძელდება.

IV

ათონის ქართველთა მონასტერში მდიდარი ბიბლიოთეკის არსებობა მოწმობს, რომ იქაური მოღვაწენი მხოლოდ წირვა-ლოცვით არ იფარგლებოდნენ, დაინტერესებულ პირთ შეეძლოთ ეკითხათ და გონებრივი ჰორიზონტი გაეფართოებინათ.

დღეს, რასაკვირველია, ძნელია (და თუ პირდაპირ ვიტყვით, შეუძლებელიცაა) ზუსტად განსაზღვრა, თუ რამდენი წიგნი ინახებოდა ათონ-



ნის სავანის ბიბლიოთეკაში: მოღწეული ცნობები ფრაგმენტულად და მთლიანი სურათის აღდგენის შესაძლებლობას არ გვაძლევენ. ისინი ცალკეულ ფაქტებს გვაუწყებენ, წიგნთსაცავის ისტორიის მხოლოდ ეპიზოდებს გვაცნობენ, შემთხვევით ხასიათს ატარებენ და საკითხის სრულად გარკვევაში ნაკლებად გვეხმარებიან.

ივანე ჯავახიშვილმა ათონის ქართულ წიგნთსაცავზე შემონახული ცნობებით იქაურ ბიბლიოთეკაში 230 ხელნაწერი დაიანგარიშა, მაგრამ დასძინა, რომ, „ცხადია, ვერც ეს რიცხვი ჩაითვლება ხელნაწერების ნამდვილი რაოდენობის გამომხატველად, რადგან ამ მონასტრის წინანდელი სიმდიდრის შესახებ ჩვენ ხელთ მხოლოდ შემთხვევით გადაჩენილი ცნობებია და, უეჭველია, შეწირულებათა და ნასყიდობათა შესახები მომეტებული ნაწილი ან საშუალოდ დაიღუპა, ან გამოუქვეყნებელია და ჯერ უცნობია. ათონის მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერთა რაოდენობის გამოანგარიშებულ რიცხვს, 230 წიგნს, ის მნიშვნელობა აქვს, რომ ცხადყოფს, თუ რამდენად დაშორებულია სინამდვილეს ამ მონასტრის ხელნაწერთა აწინდელი რაოდენობა, 86, და, მეორე მხრივ, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ათონის ქართველთა მონასტერს დიდი წიგნთსაცავი უნდა ჰქონოდა, რომელშიაც ხელნაწერთა რამდენიმე ასეული და მეტიც უნდა ყოფილიყო“.

ათონის ქართულ ბიბლიოთეკაში მრავლად იყო ავტოგრაფები იმ მწერლებისა, რომლებიც ორიგინალურ-შემოქმედებით თუ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ (ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე, ეზრა ათონელი და სხვ.). კიდევ უფრო მრავლად იყო ხელნაწერები იმ კალიგრაფებისა, რომლებიც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ. ჩვენ მათ მიერ დამზადებულ ხელნაწერებზე არას ვიტყვი, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი მწიგნობარი განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. მაგალითად, იოანე გრძელისძემ და არსენ ნინოწმინდელმა „მრავალნი წიგნნი ეკლესიისანი... თუსითა კელითა აღწერნეს“ (გიორგი მცირე). ცნობილია მათ მიერ გადაწერილი წიგნები: 1. მათეს თავის თარგმანება იოანე ოქრობირისა (Ath. № 13); 2. სახარების სხვა თავების თარგმანება (Ath. № 4); 3. მოზრდილი კრებული, რომელიც თბილისში ილია ფანცულაიამ ჩამოიტანა (A № 1103); 4. მათეს თავის თარგმანება (Ath. № 10) და სხვ.; კიდევ უფრო ნაყოფიერი იყო თეოფანე ხუცესი — „სწავლული ფრიად და კელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთაჲ, რომლისათჳს წამებდა მამაჲ ეფთჳმე, ვითარმედ: „უფროჲს ათას ხუთასისა ღრაჰკნისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინა და გარე“.

ივირონის წიგნთსაცავი მხოლოდ ადგილზე დამზადებული ხელნაწერებით არ მდიდრდებოდა, მას ემატებოდა წიგნები სხვა ქართველი კერებიდან. ამით აიხსნება, რომ იქაური ხელნაწერების კოლექციაში დაცულია როგორც საკუთრივ ათონზე დამზადებული ხელნაწერები, ისე სხვა ქართული სავეანებიდან შესული წიგნებიც.

ქართული სკრიპტორიუმებიდან მოღწეული მასალის შესწავლით ირკვევა, რომ ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ კერებს შორის, გარდა რეგიონალურ-ტერიტორიული სიახლოვით გამოწვეული კავშირისა, არსებობდა მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა და აქტიური თანამშრომლობა-თანამოღვაწეობა. ამ მხრივ გამოჩალისი არც ათონი ყოფილა. ათონელ ქართველებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ თანამემამულეებთან, ისინი არცთუ იშვიათად სხვა სავანის ბინადართ სთხოვდნენ, უკვეთდნენ და ავალებდნენ წიგნების გამრავლებას. მაგალითად, იოანე-თორნიკესა და იოანე-ვარაზეაჩეს დაკვეთით ხელნაწერებს ამზადებდნენ „ლავრასა შინა დიდსა ოშკს“. სახელდობრ, ეფრემ ასურისა და სხვათა „სწავლანის“ თარგმანების შემცველი კრებული „სამოთხე“ (Ath. № 9) გადაწერა სტეფანე ოშკელმა (977 წ.), „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ და კოზმან ვესტიტორის „აღმოყვანებისათჳს ნაწილთა წმიდისა იოანე... ოქროპირისათა“ (Ath. № 3) — იოანე ჩირამ (977—980 წწ.), ბიბლიის ხელნაწერი (Ath. № 1) — მიქაელ ვარაზეაჩესძემ, სტეფანე მწერალმა და გიორგი გელასისძემ (978 წ.) და სხვ.; ივირონის წინამძღვრის გრიგოლის ბრძანებით „მცირე სჯულისკანონი“ (A № 96) კონსტანტინოპოლში (ხორას მონასტერში) გადაწერა ბასილ ეტრატამ (1031 წ.).

ათონისა და ძველი ქართული მწერლობის სხვა საზღვარგარეთული კერების ურთიერთობაზე ნათლად მეტყველებენ ის ხელნაწერები, რომელთაც სხვადასხვა სავანის მოღვაწეთა მუშაობის კვალი აღუბეჭდავთ. მაგალითად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ჰაგიოგრაფიული კრებული (Jer. № 156) სამი ქართული სკრიპტორიუმის (შავი მთის, ჯვრის მონასტრის, ათონის) თანამშრომლობის კარგი ნიმუშია. იგი შავ მთაზე გადაუწერია 1040 წელს ვინმე გიორგის, 1065 წლის ახლო ხანს ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავს გიორგი აფხაზს, მიწიწივასძეს; ამავე გიორგისა და ჯვრის კრებულის წევრს არსენს შეუუვსიათ ახალი თხზულებებით; კრებულის შექმნაში გარკვეული წვლილი შეუტანია ათონელ მოღვაწეს ბასილ ბაგრატის ძეს.

ივირონის ბიბლიოთეკა დღენიადაც მდიდრდებოდა შეწირული წიგნებით. მას წიგნებს სწირავდნენ ავტორები, მთარგმნელები, კალიგ-



რაფები, პილიგრიმები, რიგითი საეკლესიო მოღვაწენი. მაგალითად, პეტრე ხუცესმა შესწირა „სათუეონი ათორმეტთა თუეთანი, თუესსა მოგებულნი და თუსითა ველითა დაწერილნი შუდად წიგნად, ყოვლითურთ სრულნი სტიქარონითა და ყოვლითა საგალობელითა, ვითარცა წმიდისა მამის გიორგის ნუსხათა შინა სწერია, უნაკლულოდ. და ამის უწინა შემოეწირნეს კურთხევეანი სრულნი, მისვე სანატრელისა მამისა გიორგის თარგმნილნი“.

ივირონს წიგნები ზოგჯერ შორეული სავანეებიდანაც კი მისდიოდა. საინტერესოა ასეთი ფაქტი: ათონის ერთ ხელნაწერს (Ath. № 84), რომელშიც შემონახულია სვიმეონ მესვეტის დედის მართასა და ბარლამის „ცხოვრებანი“, ახლავს გადამწერის — გიორგი შავმთელის ვრცელი ანდერძი, რომელიც გვამცნობს შავი მთისა და ათონის ქართველ მოღვაწეთა კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას. გადამწერი გვაუწყებს: „მე, გლახაკსა ბერსა, გიორგი დაყუდებულსა, მასმიოდა, ვითა ესე წმიდისა და დიდებულისა ნეტარისა მართაჲს ცხოვრებაჲ და წმიდისა ბარლამისი მთაწმიდას არა არსო და ამის ჯერისათუს ვინებე აღწერაჲ ამისი და მაგას ეკლესიასა შემოწირვაჲ“.

როგორც ჩანს, შავმთელი ქართველები იცნობდნენ ათონის ლიტერატურულ სკოლას, იქაურ წიგნთსაცავს, აღიარებდნენ ივირონის უპირატესობასა და მნიშვნელობას, ამასთანავე, ზრუნავდნენ ათონის სავანისათვის ხელნაწერების დამზადებაზე, მისი ბიბლიოთეკის შევსებაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ გიორგი შავმთელის დამსახურება ათონელთა წინაშე მხოლოდ ზემოთქმულით არ ამოიწურება. მან შენიშნა გიორგი ათონელის დიდი ნიჭი და ტალანტი, ლიტერატურული საქმიანობისაკენ მოუწოდა მომავალ მწერალს და ამ მიზნით წარგზავნა ათონს, რადგან, მისი მართებული აზრით, იმხანად ათონზე უკეთესი პირობები იყო მწიგნობრულ-სავანმანათლებლო მუშაობისათვის. სწორედ მან გაწაფა გიორგი ათონელი; არსებითად გიორგი ათონელის პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ ასპარეზზე მისი „სულიერი მოძღვრის“ — გიორგი შავმთელის სახელთანაა დაკავშირებული. წლების მანძილზე გიორგი შავმთელი წარმართავდა დიდებული მოწაფის შემოქმედებით მუშაობას. როგორც ზოგიერთი წიგნის ანდერძიდან ჩანს, გიორგი ათონელი ზოგჯერ ივირონშიც კი გიორგი შავმთელის დაკვეთით მუშაობდა. მაგალითად, სამოციქულოს (A № 584) ანდერძში მთარგმნელი (გიორგი ათონელი) გვამცნობს: „ესე წმიდაჲ წიგნი და ყოვლისა სოფლისა მოძღუარი მე, გლახაკმან გიორგი ხუცესმონაზონმან,



ეთარგმნე მთაწმიდას სულიერისა მოძღურისა ჩემისა გიორგის ბრძანებულთა და მადლითა, რომელი მყოფ არს მთასა საკურველსა“.

ჩვენ არ ვაპირებთ ათონის ქართული წიგნთსაცავის ხელნაწერთა მიმოხილვას (ეს ამჯერად შეუძლებელია!), მაგრამ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ბიბლიის ძვირფასი ხელნაწერი (Ath. № 1), რომელიც დამზადებულია იოანე-თორნიკეს დავალებით ოშკის სავანეში 978 წელს. ისაა უძველესი თარიღიანი ნუსხა ბიბლიის ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერთა შორის და ძველი აღთქმის წიგნების თარგმნისა და რედაქციის საკითხების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ათონის ბიბლიის გამოცემას ხელი მიჰყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ. ივანე ჯავახიშვილმა, იოსებ ყიფშიძემ და აკაკი შანიძემ ტექსტიც გაამზადეს, ბეჭდვაც დაიწყეს, მაგრამ მსოფლიო ომმა მათ ეს საქმე შეაწყვეტინა.

1947—1948 წლებში ა. შანიძემ წამოიწყო ათონის ბიბლიის ბეჭდვა იმ სახით, როგორც ხელნაწერშია (მის ფოტოპირშია) წარმოდგენილი. გამოქვეყნდა ორი ნაკვეთი.

ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივი აგრძელებს მუშაობას ათონის ხელნაწერზე და, იმედია, მალე მოგვაწვდის კრიტიკულად დადგენილ სრულ ტექსტს.

ორიოდე სიტყვას ვიტყვით მხოლოდ ერთ კრებულზე (A № 558), რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ათონის სავანის ისტორიისათვის. ესაა სამეცნიერო ლიტერატურაში „ათონის კრებულის“ სახელით ცნობილი ხელნაწერი (1074 წ.), რომელიც გასულ საუკუნეში ათონიდან ჩამოიტანა ბენედიქტე ბარკალაიამ. მისი შედგენილობა ასეთია: „ცხორებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვმესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“, „ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ“, „წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვმესი ქართველისაჲ განგებაჲ“, „ცხორებად და ქადაგებად წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოვანე ღმრთისმეტყუელისაჲ“, „დასდებელნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი“, „დასდებელნი წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ქართველისაჲ, რომელმან აღაშენა მთაწმიდას დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ“, „წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვმი მთაწმიდეელისაჲ დასდებელნი“, „სხუანი გალობანი მისივე წმიდისანი“, ალაპები. რასაკვირველია, ყველა ტექსტი ერთი დროის არაა და არც ერთი პირის მიერაა ჩაწერილი. ნ. ბერძენიშვილმა ცხადყო, რომ თავდაპირველად შეადგინეს ლავრის აღმშენებელთა სამახსოვრო



კრებული (პირველი რედაქცია), შემდეგ იგი აქციეს საბერძნეთში, მაშინ  
 ვაწე მამათა სამახსოვრო კრებულად (მეორე რედაქცია), ხოლო ბო-  
 ლოს გამოიყენეს საალაპე წიგნად (მესამე რედაქცია). კრებულის პირ-  
 ველი რედაქცია შეადგინა მიქაელ დაღალისონელმა, განავრცო იაკობ  
 დეკანოზმა, ხოლო შემდეგ შეავსო — აქა-იქ „დაფანჩულად“ ჩაწერილი  
 ალაპები გადაწერა — იოანე თაფლაისძემ.

უკანასკნელ წლებში ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცე-  
 ვა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და შესწავლას. რეს-  
 პუბლიკაში გაშლილი მრავალმხრივი მუშაობა და ჩვენი წარსულით სა-  
 ერთო-სახალხო დაინტერესება განგვიმტკიცებს რწმენას, რომ ქარ-  
 თული კულტურის საზღვარგარეთული კერების, კერძოდ, ათონის  
 ივერთა მონასტრის სიძველეებზე ზრუნვა და მისი შესწავლა საპატიო  
 ადგილს დაიჭერს ქართველი სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგა-  
 დობრიობის საქმიანობაში. ვიმედოვნებთ, ათონის ქართული საგანის  
 ხელნაწერთა კოლექცია, რომლის მიკროფილმები ახლა ჩვენს ხელ-  
 თაა, დიდად შეუწყობს ხელს ამ ამოცანის გადაჭრას.

## ანა ახმატოვა ჩემს ბიბლიოთეკაში

როგორც ყველა ჩემი თანატოლი, მეც ანა ახმატოვას ვიცნობდი 1946 წლის ცნობილი დადგენილების ციტატებით, რაც სავალდებულო იყო იმ დროის ლიტერატურის სასკოლო გაკვეთილებისათვის. ახმატოვას საკმაოდ სქელი ფარდა იფარავდა მკითხველებისაგან. 1920-იანი წლების კრებულებს თითქმის ვერსად ნახავდი, 1940 წლის კრებულს კი მისი მფლობელები სათუთად ინახავდნენ და წასაკითხად არავის აძლევდნენ. კიდევაც ეშინოდათ ელიარებინათ, რომ უყვართ „მონაზონისა“ და „გზააბნეული“ ქალის ლექსები.

მოგვიანებით, როდესაც 60-იანი წლების შუა ხანებში ჟურნალებსა და ალმანახებში დაიწყეს ანა ახმატოვას ნაწარმოებთა ბეჭდვა, ჩვენ მათ გადავიწერდით, გადავიბეჭდავდით ან ვიმახსოვრებდით. დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა გამოცანად პოეტის ბიოგრაფია. ლიტერატურათმცოდნეობისა და საცნობარო ლიტერატურის ყველა მონაცემი, გარდა დაბადების წლისა, არ შეესაბამებოდა მისი შემოქმედების იდეურ და ესთეტიკურ დატვირთვას.

ანა ახმატოვას ნაწარმოებთა კრებულები, დაწყებული 1958 წლიდან „პოეტის დიდი ბიბლიოთეკით“ დამთავრებული, პოეტის ბიოგრაფიას — დაბადებიდან გარდაცვალებამდე — მხოლოდ ზოგად ხაზებში, ზოგიერთი თარიღის აღნიშვნით იძლეოდა. უმთავრესად ლაპარაკი იყო მის მარცხსა და შეცდომების აღიარებაზე. ვ. ი. ჟირმუნსკის, ე. დობინის, ა. ი. პავლოვსკის გამოკვლევებშიც კი ნათლად ჩანს, რომ რაღაც სანახევროდაა თქმული პოეტის შემოქმედების შესახებ. და მე აღმეძრა სურვილი, შემევსო პოეტის ცხოვრების ეს თეთრი ლაქები.

ამრიგად, რამდენიმე ათეული წლის წინ მე დავადექი ანა ახმატოვას კრებულების კოლექციის შექმნის წარმოუდგენლად რთულსა და ძნელ გზას.

ბუკინისტურ მაღაზიებში იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ოციან წლებში გამოცემული, საკმაოდ შელანძლული კრებულები ხელმი-



საწვდომ ფასებში. მაშინ მე არ ვიცოდი, რომ ეს წიგნები რამდენიმე მე იყო გამოცემული, მრავალ მათგანს ამშვენებდა მიმზიდველ ფორმებულ გარეკანს და ი. ანენკოვისა და ნ. ალტმანის მიერ შესრულებული პოეტის პორტრეტები. მაგრამ ეს ეგზემპლარები ბიძგს მამლევედნენ მეძებნა უფრო იდეალური გამოცემები. სხვადასხვა გამოცემათა შედარებისას აღმოვაჩინე სხვადასხვა წაკითხვები. და თუ თავდაპირველად ვვოცნებობდი „Четки“-ისა და „Белая стая“-ს თითო ეგზემპლარზე, შემდგომში გადაწყვიტე შემეძინა ყველა გამოცემა. 1910—1920-იანი წლების პერიოდიკის გადათვალისწინებისას ყურადღება მივაქციე იმ ფაქტს, რომ მრავალი პუბლიკაცია კრებულებში შეცვლილი სახით შევიდა, ზოგიერთი კი საერთოდ არ შესულა. ასე შეიქმნა იდეა — შემეგროვებინა ის პერიოდული გამოცემები, რომლებშიც გამოქვეყნებული იყო ანა ახმატოვას ლექსი, სტატია თუ პროზაულ ნაწარმოებთა ნაწყვეტები.

ყველაფერი ის, რაც მრავალი წლის ძიების შემდეგ შევაგროვე, დავყავი რამდენიმე განყოფილებად და შევადგინე კოლექციის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა.

პირველ განყოფილებაში შევიდა ანა ახმატოვას სიცოცხლეში გამოცემული კრებულები და გარდაცვალების შემდეგ გამოშვებული ძირითადი გამოცემები.

მეორეში — ალმანახები, ჟურნალები და გაზეთები, სადაც გამოქვეყნებული იყო ანა ახმატოვას ნაწარმოებები.

მესამეში — მემუარული, ლიტერატურათმცოდნეობითი და კრიტიკული ლიტერატურა ანა ახმატოვას შესახებ: წიგნები, კრებულები, პერიოდიკა (აქვეა მეგობრებისა და მტრების შეფასებანიც).

ჩვენი საუკუნის დასაწყისის რუსული პოეზიის კრებულებს შორის არის ზოგიერთი იშვიათობა, რომელზეც ყოველი ბიბლიოფილი ოცნებობს. ერთ-ერთი ასეთი პირველხარისხოვანი იშვიათობა ყოველთვის იყო ანა ახმატოვას პირველი კრებული.

ბევრჯერ მოაღწია ჩემამდე ხმებმა, რომ თითქოს იყიდებოდა ეგზემპლარები ავტორის შენიშვნებითა და სასაჩუქრო წარწერით, მაგრამ იგი ყოველთვის აღმოჩენილა „Четки“-ის პირველი გამოცემა, რომელიც აჭრელებული იყო 1910-იანი წლების გიმნაზიელი ქალიშვილის გრაფომანული სტრიქონებით, ან რომელიმე კრებულიდან ამოღებული ნაწილი ციკლიდან „Вечер“, რომელსაც აკურატულად ჰქონდა მიწერილი ლექსები „Вечер“-ის პირველი გამოცემიდან.

მრავალი წლის განმავლობაში არ ვკარგავდი იმედს, რომ „Be-

ერ“-ის სამასი შესაძლო მფლობელიდან ერთ-ერთი მე გავხდებოდი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დიდ სამამულო ომს, უბედურებასა და სიღატაკს, რომელიც ლენინგრადს დაატყდა თავს და კრებულის გამოსვლის შემდეგ გასულ 76 წელს, ოცნება ოცნებად უნდა დარჩენილიყო.

და აი, 1988 წლის ზაფხულში გამოქვეყნდა „კნიგამ“ გამოსცა ანა ახმატოვას პირველი კრებულის „Вечер“ რეპრინტული გამოცემა (ტ. 100000, ფასი 2-50 კაბ.). ეს იყო „იშვიათი წიგნების“ ბიბლიოთეკის პირველი გამოცემა. ამ გამოცემის ბოლო, ოთხ დაუნომრავ გვერდზე დაბეჭდილია ნ. კოტლეროვის ბოლოსიტყვაობა, რომელშიც მოკლედია მოთხრობილი კრებულის შექმნისა და გამოცემის ისტორია. მაგრამ რაც არ უნდა სასიამოვნო იყოს რეპრინტული გამოცემა, იგი მაინც ვერ გადმოგვცემს ხაოიანი გარეკანის მსუყე ცისფერს, ე. ლანსერეს მიერ შესრულებული ფრონტისპისის ნაზ ელფერს, ძველი ფურცლების სიყვითლესა და მოქნილობას, რომლებიც დროის ენითუთქმელ სურნელს აფრქვევენ.

რეპრინტული „Вечер“ მის ორეულზე უფრო სწრაფად გაიყიდა: თუ 1912 წელს 300 ეგზემპლარი რამდენიმე თვე იყიდებოდა, 1988 წლის 100000-იანი ტირაჟი რამდენიმე საათში, ზოგ მაღაზიაში კი რამდენიმე წუთში „გაქრა“.

რამდენიმე ცნობა 1912 წლის „Вечер“-ის გამოცემის შესახებ:

„Вечер“, ლექსები მ. კუზმინას წინასიტყვაობით, გარეკანი ს. გოროდეცკისა, ფრონტისპისი ე. ლანსერესი, თავსართები ა. ბ. [ბელობოროდოვის], ლ. გამომც. „ცეს პოეტოვ“ (ი. მანსფელდის სტამბა), 1912. 90 გვ. + 1 ილ. ფრონტისპისი. 300 ეგზ. 30 კაბ.

ეს წიგნი რომელიც 1912 წლის მარტში დაიბეჭდა, იმავე წლის ოქტომბერში უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. კრებულში შევიდა 1910 წლის დეკემბრიდან 1911 წლის სექტემბრამდე დაწერილი 46 ლექსი, მათგან 14 — გამოქვეყნებული იყო ჟურნალებში. ახმატოვას ლექსები ამ შემადგენლობით მეტი აღარ დაბეჭდილა. 30 ლექსი, როგორც ბოლო განყოფილება — ლექსები წიგნიდან „Вечер“, შევიდა „Четки“-ის სხვა გამოცემაში.

კრებულის წინასიტყვაობაში მ. კუზმინი, აცნობდა რა მკითხველებს ანა ახმატოვას, „რომელსაც ყველა მონაცემი აქვს, გახდეს ჭეშმარიტი პოეტი“, წერდა: „ჩვენ გვგონია, რომ ანა ახმატოვას აქვს ის ზეაწეული მგრძნობელობა, რომლისკენაც ილტვოდნენ სასიკვდილოდ განწირულ საზოგადოებათა წევრები. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ პოეტის აზრები და განწყობილებანი ყოველთვის მიმართულია

სიკვდილისაკენ, მაგრამ ასეთია მისი ინტენსივობა და სიძლიერე, იგი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით ლალ პოეტთა რიცხვს, არამედ ველთვის ისუსხება“. სწორედ ეს „სუსხვა“ გახდა ახმატოვას ლირიკის ერთ-ერთი თანამდევი ემოციური თვისება.

ახმატოვას ჯერ უნდოდა „Лебедь“ დაერქმია კრებულისათვის და უნდა დაწყებულიყო ლექსით „Песенка“; მაგრამ, როგორც ჩანს, ნ. გუმილიოვმა და ს. გოროდეცკიმ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ კრებულის შედგენაში, ეს გადააფიქრებინეს.

1912—1919 წლებში პრესაში დაიბეჭდა ვ. ბრიუსოვის, ვ. ჩულოკოვის, ს. გოროდეცკის, ვ. ჰიპიუსის, ვ. ჩუდოვსკის დადებითი რეცენზიები კრებულის შესახებ.

ბუკინისტურ მალაზიათა ხშირი სტუმრები ალბათ შეამჩნევდნენ, რომ ანა ახმატოვას კრებულები: „Четки“ და „Белая стая“ ხშირად იდო თაროებზე. მაგრამ ვარეკანი, შრიფტი, ფორმატი, გამოცემის წელი ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ეს იმიტომ, რომ „Четки“ ცხრაჯერ დაბეჭდა ხუთმა სხვადასხვა გამომცემლობამ, „Белая стая“ — ოთხჯერ.

ბუნებრივია, რომ ყველაზე იშვიათია „Четки“-ის პირველი გამოცემა: (პეტერბურგი, „პიპერბორეი“, 1914, 120 გვ. 1000 ეგზ.). კრებულში შევიდა 1912—1914 წლებში დაწერილი 52 ლექსი, რომელთაგან 28 ადრე იყო გამოქვეყნებული და 30 ლექსი „Вечер“-დან. სხვა გამოცემებში ახმატოვა ხშირად ცვლიდა ერთ ლექსს მეორეთი, იღებდა ან უმატებდა რომელიმეს.

იმის გამო, რომ ვლადისლავოვმა ამ წიგნის გამოცემის წელი შეცდომით — 1913 წლით მოიხსენია, დიდი თავსატეხი გაუჩინა ბიბლიოფილებს, ვიდრე ანა ახმატოვამ წერილობით არ დაადასტურა, რომ მისი „მეორე წიგნი — „Четки“ გამოვიდა 1914 წლის მარტში“.

„Четки“-მ ანა ახმატოვას ა. ბლოკის ტოლი დიდება მოუტანა და მისი კრებულები თანდათანობით მთელი თაობების სამაგიდო წიგნებად იქცა.

„Четки“-ის გამოცემების შეგროვებისას, ვცდილობდი მქონოდა იდეალური ეგზემპლარები, მაგრამ პირველიდან მეცხრემდე თანმიყოლებით არ შემიძენია. გულმოდგინე ძიების შედეგად შევძელი რვა გამოცემის შეძენა. ამჟამად ჩემს ბიბლიოთეკაშია:

1 იხ. ა. ახმატოვა, ლექსები და პოემები. ლენინგრადი, „სოვეტსკი პისატელი, 1977, გვ. 451.

Четки. Спб. «Гиперборей», 1913. 120 стр.

Четки. Берлин. Кн-во. С. Ефрон. 1914. 126 стр.

Четки. Пг. «Гиперборей». 1914. 120 стр.

Четки. Стихи. Изд. 2. ПГ. «Гиперборей». 1915. 138 стр.

Четки. Стихи. Изд. 3. ПГ «Гиперболей». 1916. 132 стр. (Малоформ).

Четки. Стихи. Изд. 4. ПГ. «Гиперборей». 1916. 132 стр. 2000 экз.

Четки. Стихотворения. Изд. 5. Пг. «Прометей». 1918. 134 стр.

Четки. Стихотворения. Изд. 8. «Алконост» 1922» 126 стр.

Четки. Стихотворения. Кн. I. Изд. 9. доп. Пг. («Петрополис» и «Алконост»). 1923. 114 стр. I ил. портр.

თუ „Вечер“-ის გამოსვლას კრიტიკა კეთილგანწყობილი შეხვდა, „Четки“-ის შესახებ პრესაში გაჩნდა უჩვეულო, ხშირად შეურაცხმყოფელი რეცენზიები. მას სენტიმენტალურ, კაპრიზულ და ცრემლისმგვრელ ლექსების გროვას უწოდებდნენ. ნ. გუმილიოვი კი უჭრნ. „აპოლონში“ „Четки“-ის შესახებ წერდა: „ორი წლის წინათ გამოცემულ „Вечер“-თან შედარებით „Четки“ დიდი წინგადადგმული ნაბიჯია. ლექსები უფრო მტკიცე, ყოველი სტრიქონის შინაარსი უფრო მკიდრო, სიტყვების შერჩევა — უმწიკვლო გახდა. და რაც ყველაზე უკეთესია, გაქრა აზრთა დაფანტულობა, რაც ასე ახასიათებდა „Вечер“-ს, რაც უფრო ფსიქოლოგიურ კურონზად შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე პოეზიის თავისებურებად“.

1917 წელს გამოვიდა ანა ახმატოვას ლექსების მესამე კრებული — „Белая стая“. (პეტერბურგი, „პიპერბორეი“, 142 გვ. 2000 ეგზ.).

აი, რას წერდა თვითონ ახმატოვა 1965 წელს ამ კრებულის გამოსვლის თობაზე: „მკითხველები და კრიტიკოსები ამ წიგნს უსამართლოდ მოექცნენ. არ იყო ტრანსპორტი, წიგნს მოსკოვშიაც კი ვერ გადაიტანდი, და იგი მთლიანად გაიყიდა პეტროგრადში. იხურებოდა უჭრნალები, გაზეთებიც. ამიტომ „Четки“-ისაგან განსხვავებით „Белая стая“-ს პრესის ზმაური არ გამოუწვევია“.

ამ კრებულში შევიდა 1913-17 წწ. დაწერილი 83 ლექსი, რომელთაგან 65 — პერიოდიკაში იყო გამოქვეყნებული, და პოემა „У самого моря“ (1914 წ.). კრებულის დასაბეჭდად მომზადებაში მონაწილეობდა მ. ლ. ლოზინსკი.

1918 წელს „პრომეთეიმ“ გამოუშვა ამ კრებულის მეორე გამოცემა (142 გვ.). შედგენილობით, ეს გამოცემა განსხვავდება პირველისაგან. აქ ძველი ოთხი ლექსის ნაცვლად შესულია ოთხი ახალი.

1922 წელს „ალკონოსტმა“ გამოუშვა ამ წიგნის მესამე გამოცემა (124 გვ.). იგი მკვეთრად განსხვავდება ორი წინა გამოცემისაგან. აქ არ



შესულა პოემა „У самого моря“, რადგან იგი „ალკონოსტმა“ მცირე ფორმატით ცალკე წიგნად გამოსცა ერთი წლის წინ.

1923 წელს „პეტროპოლისმა“ გამოსცა „Белая стая“-ს მეოთხე გამოცემა (142 გვ.). იგი ძირითადად ეყრდნობა მეორე გამოცემას, მაგრამ დამატებულია 3 ლექსი.

საყოველთაოდ ცნობილი ამ ოთხი გამოცემის გარდა მაქვს აგრეთვე ერთი პატარა წიგნაკი, რომლის გამოსვლა თვით ავტორმაც ცოტა მოგვიანებით შეიტყო. ეს მოხდა მაშინ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. წიგნაკი (34 გვ.) გამოსცა „კავკაზსკი პოსრედნიკმა“ 1919 წელს თბილისში. ესაა „Белая стая“-დან ამოკრებილი ლექსები, რაც ალბათ, ვიდრე საქართველოში გერმანიისა და ინგლისის ჯარები შემოვიდოდნენ, თბილისში ჩამოუტანიათ.

ჩემს ბიბლიოთეკაშია 1921 წელს „ალკონოსტის“ მიერ გამოცემული „У самого моря“ (36 გვ. 3000 ეგზ.). იმ დროისათვის ეს საკმაოდ დიდი ტირაჟი სწრაფად გაიყიდა, და უფრო ადრე გახდა ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, ვიდრე იმავე გამომცემლობის მიერ გამოშვებული „Белая стая“ და „Четки“.

აქვეა 1921 წელს „პეტროპოლისის“ მიერ გამოცემული „Подорожник“ (60 გვ. 1000 ეგზ.). თავისი მოცულობით ესაა ყველაზე პატარა კრებული, რომელშიც შესულია 38 ლექსი (რომელთაგან 18 ადრე იყო გამოქვეყნებული პერიოდიკაში), დაწერილი 1917—1919 წლებში. ეს წიგნი თითქოს კრავს „Четки“-სა და „Белая стая“-ს ბიოგრაფიული თემების წრეს. ამ კრებულში შესულია აგრეთვე ანტერო დე კენტალის (1842—1891) საფლავის ძეგლის ეპიტაფია „Зарე“, რომელიც პორტუგალიური ხელნაწერიდან თარგმნა პოეტმა.

1921 წელს „პეტროპოლისმა“ გამოსცა მცირე ფორმატიანი კრებული „Anno Domini“-ს სახელწოდებით, რომელშიც სამი განყოფილებაა: პირველი — „Anno Domini“ — 14 ლექსი, მეორე — „Голос памяти“ — 5 ლექსი, მესამე განყოფილებაში შესულია კრებული „Подорожник“, რომელსაც დამატებული აქვს 1 ლექსი. პირველი ორი განყოფილების თითქმის ყველა ლექსი 1921 წელსაა დაწერილი. მათგან, კრებულის გამოსვლამდე, პრესაში მხოლოდ ექვსი ლექსია გამოქვეყნებული.

Anno Domini (მე-3 წიგნი, მე-2 გამოც. 106 გვ.+პორტრეტი) 1923 წელს ერთობლივად გამოსცა „პეტროპოლისმა“ და „ალკონოსტმა“. მაგრამ იგი ძლიერ განსხვავდება წინა გამოცემისაგან. აქ დამატებულია 1922 წელს დაწერილი 17 ლექსი და ნაწყვეტი პოემიდან



„Русский трянон“. „Подорожник“-ს დამატებული აქვს ადრე დაწერილი ერთი ლექსი.

ანა ახმატოვას მომდევნო კრებული მხოლოდ 17 წლის შემდეგ დაიბეჭდა.

1924 წელს ანა ახმატოვას გამომცემლობა „პეტროგრადთან“ დადებული ჰქონდა ხელშეკრულება თხზულებათა ორტომეულის გამოცემის შესახებ, რომელსაც უნდა დართოდა პოეტის შენიშვნები და განმარტებანი. 1926 წელს უკვე მზად იყო ორივე ტომის კორექტურა, მაგრამ გამომცემლობას აუკრძალეს ახმატოვას ლექსების ბეჭდვა. 1923—1934 წლები ძალზე მძიმე წლებია ანა ახმატოვას შემოქმედებით ბიოგრაფიაში (12 წელიწადში მხოლოდ 20 ლექსი!). ახმატოვას არ უბეჭდავენ ლექსებს; იგი იწყებს პუშკინის შემოქმედების შესწავლას, თუმცა დაბეჭდვის იმედი არა აქვს. გამომცემლობა „Academia“-სთვის თარგმნის წიგნებს ხელოვნებაში.

1930-იანი წლებიდან ანა ახმატოვას შემოქმედებაში იწყება ინტენსიური ეტაპი. პოეტს უბის წიგნაკში ჩაუწერია: 1936 წელს ისევ ვიწყებ წერას, მაგრამ უკვე შემეცვალა ხელწერა, ხმაც სხვარიგად ყლერს. ცხოვრება ბორკავს მერანს, რომელიც რაღაცით მაგონებს ჯერ კიდევ დაუწერელი ლექსების აპოკალიფსურ უფერულსა და შავ ცხენებს. 1940 წელს კი მის შემოქმედებაში ნამდვილი „პიკის საათია“, როცა ლექსები მოზღვავდა.

1939 წლის მაისიდან ანა ახმატოვას ლექსების პუბლიკაციას ყადაღა მოუხსნეს. მოსკოვის „სახელმწიფო გამომცემლობიდან“ იგი ლეზულობს წერილს თხოვნით, გაუზზავნოს ლექსები გამოსაქვეყნებლად. 1940 წლის თებერვალში ჟურნალ „ლენინგრადში“, თხოთმეტწლიანი დუმილის შემდეგ ისევ გამოჩნდა ანას ლექსები. ჟურნალ „ზვეზდაში“ (№ 3, 4) გამოქვეყნდა „Приговор“ და სხვა ლექსები, ხოლო ჟურნალ „ლიტერატურნი სოვრემენნიკში“ (1940, № 9, 5, 6) — „Клеопатра“.

და აი, 1940 წელს გამოვიდა ახმატოვას მეექვსე კრებული „Тростник“, რომელშიც შევიდა 28 ლექსი, მათგან 20 უკვე გამოქვეყნებული იყო პრესაში.

„სოვეტსკი პისატელთან“ დადებული ხელშეკრულების თანახმად, ანა ახმატოვა ამზადებს კრებულს გამოსაცემად, მაგრამ იგი გაიტანჯა მის შედგენაზე, ყოველ წუთს მოითხოვდნენ ლექსის ან თუნდაც სტრიქონის შეცვლას. ბოლოს, როცა ეგონა, რომ კრებული უკვე აღარ გამოვიდოდა, ლეზულობს ანაბეჭდებს კორექტურისათვის. მაგრამ უკვე



მის მიერ გასინჯულ და დასაბუქდად ხელმოწერილშიც კი, უკანასკნელ მომენტში, რაღაცას უკრძალავენ.

ბოლოს, როცა მოლოდინით განაწამებს, იმედი გადაეწურა, გამოდის კრებული, „Из шести книг“ (1940, 327 გვ. + პორტრეტი, 10000 ეგზ.). ამ კრებულში შევიდა ლექსები წიგნებიდან: „Вечер“, „Четки“, „Белая стая“, „Anno Domini“, „Подорожник“ და „Ива“.

1940 წლის 16 მაისს „მთავლიტმა“ კრებული აკრძალა, თუმცა ტირაჟი მთლიანად იყო დაბეჭდილი. 22 მაისს ყადაღა მოხსნეს და მეორე დღესვე 300 ეგზ. მწერალთა ფარდულში გაიყიდა წინასწარი შეკვეთების მიხედვით. შემდგომში ამ კრებულზე გრძელი რიგები იდგა და ხელზე ათმაგ ფასშიც იყიდებოდა. ამ გამოცემამ ანა ახმატოვას 1920-იან წლებზე უფრო გაუთქვა სახელი.

რამდენიმე წლის შემდეგ მ. ი. ალიგერი იგონებს: „ეს იყო არაჩვეულებრივი ლიტერატურული მოვლენა. გამოვიდა „Из шести книг“. ანა ახმატოვას ამ დიდი კრებულის გამოსვლამ ჩვენ აგვაღელვა, თითქოს დიდი ხნის უნახავ, მახლობელ მეგობარს შევხვედროდეთ“.

ა. ა. ფადეევა და ბ. ლ. პასტერნაკმა კრებულის პირველი ნაწილი „Ива“ სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ამ წინადადებას მხურვალედ უჭერდა მხარს ა. ნ. ტოლსტოი და ნ. ნ. ასევეიც, დარჩა ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მაგრამ მოხდა საოცრება. მიუხედავად იმისა, რომ მკითხველები ასეთი აღტაცებით შეხვდნენ წიგნის გამოსვლას, უკვე ივლისში გამოჩნდა ვ. პერცოვის უარყოფითი რეცენზია, რომელშიც ისევ ითქვა, რომ „ახმატოვას გმირები და ჩვენ — სხვადასხვა ადამიანები ვართ“.

სექტემბერში კი „ლენინგრადსკაია პრავდა“ წერდა ანა ახმატოვას „დეკადენტურ“ და „უსახურ“ ლექსებზე, რომლებიც კრებულში შევიდა „დაუდევარი რედაქტორების“ ბრალით.

ეჟურნალ „ლიტერატურნი სოვრემენიკმა“ (1940, № 8, 9) გაბედა და შეაქო ანა ახმატოვას ლექსები, მაგრამ ისევ ვინმე ს. ნაგორნიმ „განმარტა“, რომ „ახმატოვას ლექსები უცხოა საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის“.

ყოველივე ამან ვერ შეაშინა მკითხველთა ფართო წრე. პირიქით, ახმატოვას ლექსები შეიძინეს არა მარტო ბიბლიოფილებმა, არამედ ყველამ — დაწყებული კომკავშირლებიდან, ჭლარათმიანი მეცნიერებით დამთავრებული. 1940 წელს ვ. ი. კაჩალოვმაც კი ჩართო ახმატოვას ლექსები თავის საკონცერტო პროგრამაში და წარმატებით კითხულობდა სულ სხვადასხვა შემადგენლობის აუდიტორიებში.



„Из шести книг“ 1940 წლის ბოლოსათვის უფრო დიდ ნაშრომად იქცა, ვიდრე „Вечер“. „Бег времени“-ს გამოსვლის შემდეგ კი არ შენელებულა მისდამი ინტერესი. ამჟამად, როდესაც პოეტის სხვადასხვა გამოცემები გამოვიდა, რომლებიც ტექსტულურად შეიცავს ნაწარმოებებს „Из шести книг“, ეს წიგნი თუ გამოჩნდა ბუკინისტურ მაღაზიებში, 50 მანეთად იყიდება, მაგრამ ასე თუ ისე კარგად შენახულ წიგნს იქ ვერ წააწყდები. უმთავრესად აქ შემოდის მაგარ ყდაში ჩასმული, მრავალჯერ წაკითხული და გადაკითხული წიგნები.

დიდი სამამულო ომის დროს გამოვიდა კრებული, რომელიც არა მაქვს, რამდენიმე ათეული წელია ვეძებ მას, თუმცა უიმედოდ.

ესაა 1943 წელს ტაშკენტში „სოვეტსკი პისატელის“ მიერ გამოცემული რჩეული (შემდგენელი კ. ზელინსკი, 114 გვ. ტ. 1000). ეს გამოცემა კოლექციონერებისათვის გამოცანად იქცა. ამ საკითხზე ვესაუბრე ტაშკენტში ევაკუირებულ ადამიანებსაც, მაგრამ მათ პირველად ჩემგან გაიგეს ამ კრებულის არსებობა. წიგნის ბაზარზე იგი არ გამოჩენილა, თუმცა იგი დაცულია ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, ა. ტარასენკოვისა და ი. როზანოვის კოლექციებში.

1940-დან 1946 წლის აგვისტომდე პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ანა ახმატოვას ლექსები. მაგრამ განსაკუთრებით იშვიათია 1946 წელს ჟურნალებში: „ზეზდაში“ — „О, горе мне! Они тебя сожгли“ (№-1), „ლენინგრადში“ — „Освобожденная“ (№-1,2) და „კრასნოარმეცში“ — „Победителям“ (№ 10) გამოქვეყნებული ლექსები და გამოცემა. „პრავდას“ მიერ გამოცემული „Избранные стихи“ („ოგონიოკის“ ბიბლიოთეკა, ტ. 10000 ეგზ.)...

1946 წლის 9 აგვისტოს კრემლმა ახმატოვა და ზოშიჩენკო აკრძალა, ხოლო ჟურნ. „ლენინგრადი“ დახურა. 14 აგვისტოს კი სკკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ჟურნალების „ზეზდას“ და „ლენინგრადის“ შესახებ. 4 სექტემბერს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ახმატოვა და ზოშიჩენკო გარიცხა კავშირის რიგებიდან.

ბიბლიოთეკარებმა კი „მთავლიტის“ მითითებასაც არ დაუცადეს, ეცნენ ჟურნალებსა და კრებულებს და გაანადგურეს. ისე პირწმინდად აღგავეს ანა ახმატოვას კვალი პრესაში, რომ შემდგომში, როცა „გადაიდარა“ და ანა ახმატოვას სამტომეულს ადგენდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოსაცემად, ჟურნალ „კრასნოარმეცის“ ეგზემპლარი ვერ აღმოაჩინეს. მე მხოლოდ ჟურნალ „ლენინგრადის“ 1946 წლის ერთი ნომერი მაქვს. მაქვს აგრეთვე „ოგონიოკის ბიბლიოთეკის“



სერიით გამოცემული კრებული, რომელიც იმ დროისათვის კულტურა-  
ლური ტირაჟით დაიბეჭდა და ამით გადაურჩა ამოძირკვას.

„ლიტერატურნაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში 1945 წელს ანა ახმატოვა ამბობდა, რომ გამოსაცემად ამზადებს ლექსების დიდ კრებულს. თანამედროვეთა მოგონებებით, ამ წიგნის ყველაზე დიდი და ძირითადი განყოფილება უნდა ყოფილიყო მეშვიდე კრებული „Нечет“ — 1936—1946 წლებში დაწერილი ლექსები, აქვე იყო 1909 წლის შემდეგ დაწერილი ლექსები, აგრეთვე ამოკრებილი სხვა კრებულებიდან. 1946 წლის აგვისტოში ეს 340-გვერდიანი კრებული დაბეჭდილი იყო, მაგრამ იგი არ გაყიდულა. ცნობილი დადგენილების შემდეგ მთელი ტირაჟი გაანადგურეს სტამბებსა და წიგნის მაღაზიებში. მინდა მჯეროდეს, რომ იქნებ იყო ვინმე „თავზეხელალებული“ გმირი, და ცეცხლისგან იხსნა თუნდაც ერთი ეგზემპლარი. ან, სადღაც ხომ უნდა იყოს სასიგნალო ან საკონტროლო ეგზემპლარი!

1956 წელს, ათი წლის დუმილის შემდეგ, ანა ახმატოვას ლექსები გამოჩნდა ალმანახში „ლიტერატურნაია მოსკვა“.

ბოლოს, როგორც იქნა, 1958 წელს მოსკოვში გამოვიდა ანა ახმატოვას კრებული ა. სურკოვის რედაქციით, მაგრამ ვაი ამ გამოსვლას! იგი ისე იყო დამახინჯებული ცენზურისაგან, რომ ავტორიც გულმოკლული დარჩა და მკითხველიც. თან მოცულობითაც არ იყო დიდი (131 გვ. ტ. 25 000).

სამი წლის შემდეგ კი, 1961 წელს ა. სურკოვის ბოლოსიტყვაობით უფრო მოზრდილი კრებული გამოვიდა (319 გვ. ტ. 50 000).

40 წლის განმავლობაში ეს იყო პირველი წიგნი, რომელსაც თავს არ დასხმინ მტრული რეცენზიებით. პირიქით, ყველა გაზეთი ცდილობდა დაებეჭდა პოეტის ლექსები, ერთმანეთს ეცილებოდნენ ინტერვიუს აღებაში. ბოლოსდაბოლოს პოეტი და მკითხველი ერთად არიან.

ახმატოვას ბოლო, სიცოცხლისდროინდელი სრული კრებული 1965 წელს გამოვიდა. ეს იყო „Бег времени“, რომელშიც შედიოდა Вечер, Четки, Белая стая, Подорожник, Anno Domini, Тростник, Седьмая книга. მასში შევიდა თითქმის ყველა ლექსი, დაწერილი 1909 წლიდან 1965 წლამდე. გამოსცა იგი „სოვეტსკი პისატელმა“ (471 გვ. ტ. 50000). სუპერს ამშვენებს ამაღეო მოდილიანის მიერ შესრულებული ანა ახმატოვას პორტრეტი.

30 წიგნში, რომელიც ანა ახმატოვამ საჩუქრად გასცა, მისი თხოვნით დაბეჭდილია ყველა გამოცემის გარეკანი. ერთი ასეთი ეგზემპლარი დაცულია პუშკინის სახლში (ლენინგრადი).



და ბოლოს, ჩემს ბიბლიოთეკაშია ანა ახმატოვას ეპიური ციკლის „რეკვიემის“ რამდენიმე გამოცემა. „რეკვიემის“ პირველი „შენ წავიყვანს განთიადისას“, 1935 წელსაა შექმნილი. როგორც ჩანს, ეს არის ორ ბოლო წელს გადატანილი ტანჯვის სინთეზი. ო. მანდელ-შტამის დაპატიმრება, თავადაზნაურთა გასახლება ლენინგრადიდან კიროვის მოკვლის გამო, ნ. პუნიჩის დაპატიმრება და სტალინისადმი გაგზავნილი წერილი. „რეკვიემის“ სხვა ძირითადი ლექსები დაწერილია 1939-40 წლებში. მხოლოდ ერთ ლექსს — „ჯვარცმას“ უზის დაწერის თარიღი — 1943 წელი. საბოლოოდ იგი 1962 წელს დამთავრდა. „რეკვიემის“ ლექსებს კი არ იწერდნენ, არამედ იზეპირებდნენ. ლ. კ. ჩუკოვსკაიას მოგონებით — მის გარდა ეს ლექსები იცოდა 7—11 კაცმა.

1957 წელს ანა ახმატოვამ „რეკვიემისათვის“ დაწერა „შესავლის მაგიერ“, სადაც წერს: „იმ საშინელ დროში, ეყოფშჩინის წლებში, ჩვიდმეტი თვე გავატარე რიგებში ლენინგრადის სატუსალოსთან. ერთხელაც ვილაკამ „შემიციხო“ — ჩემს უკან მყოფი ტუჩებჩაღურჯებული ქალი, რომელსაც ალბათ სიცოცხლეში არ სმენია ჩემი სახელი, უცბად გამოერკვა ყოველივე ჩვენგანისათვის ჩვეული ბურანიდან და ყურში ჩამჩურჩულა (იქ ყველანი ჩურჩულით ვლაპარაკობდით):

— თქვენ ამის აღწერასაც შესძლებთ?

და მე მივუთხვე:

— შევძლებ-მეთქი.

მაშინ რაღაც ღიმილისნაირი გაკრთა იქ, რაც ოდესღაც მისი იერსახე ყოფილა“.

ეყოფშჩინაში ახმატოვამ გამოხატა უმაღლესი უზურბაცის დრო, რომელზეც მოდის უკანონობის მთელი სიმძიმე, დაუსრულებელი გამოძიებები უკანონობის მსხვერპლთა „საქმეებისა“. თვითონ ახმატოვა ასეთ რიგებში სხვა დროსაც მდგარა. მისთვის და მისი მახლობლები-სათვის: „ეს იყო მაშინ“...

„როს სისხლიანი ჩექმების ლანჩებს ვერ გადაურჩა თვით სამართალი. როს „მარუსების“ მძიმე ბორბლებით თელეს რუსეთი ალაღ-მართალი.“\*

ეს იყო 1921 წელს და 1934 წელსაც. შემდეგ წლებშიც — სკკპ XX ყრილობამდე.

\* თარგმნა ნანა ღვინფაძემ.

ანა ახმატოვამ კარგად იცოდა, რომ ამ ციკლის ნებისმიერ ლექსს შეეძლო გაეუარესებინა მისი პატიმარი გაყიშვილის მდგომარეობა. ამიტომ იგი ამ ლექსებს მხოლოდ მახლობლებს უკითხავდა. მაგრამ ლექსი

„წყნარად მდორებს წყნარი დონი,  
შინ შემოდის მთვარე ბადრი.  
ჭული გვერდზე მოქცევია,  
ხედავს სახლში დადის ლანდი.  
ეს სნეული ქალი ბორგავს,  
მარტოსული ქალი.  
ვაჟი სატუსალოშია,  
სამარეში ქმარი.  
ილოცეთ ჩემთვის“\*

იმ საშინელ დროში მაინც პოპულარული გახდა. იგი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში. პატიმრები კი იწერდნენ „მუნდშტუკებზე“ და ასე გადასცემდნენ საკანიდან საკანში.

მაგრამ ამ ლექსის პოპულარობამ ახმატოვას მტრებამდეც მიადწია და ი. სერგეივსკიმ თავის სტატიაში „ახმატოვას ანტიხალხური პოეზიის შესახებ“, სწორედ ხალხში გავრცელებული ხელნაწერიდან მოიყვანა ციტატები.

ლ. ზ. კობელევის რჩევით, ახმატოვამ რეკვიემს გაუკეთა ეპიგრაფი:

არა სხვის კალთის და უცხო ცის ქვეშ  
და არც ვინმეს ფრთის ქვეშ განაზული,  
მე იქ ვიდექი მაშინაც, სადაც,  
საუბედუროდ, იდგა მამული.\*

(1961)

მე მინდა წიგნად ვახსენო „რეკვიემის“ მანქანაზე გადაბეჭდილი გამოცემა, თუმცა ეს უნიკუმი გამსახკომის ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა ამოიღო ბუკინისტური მაღაზიების ასორტიმენტიდან და ამით „წაართვა“ მას წიგნად არსებობის უფლება.

როდესაც, 1962 წელს გაჩნდა იმედი, რომ შესაძლებელი იყო „რეკვიემის“ დაბეჭდვა, ანა ახმატოვამ ლ. ჩუკოვსკაიას აჩვენა „რეკვიემის“ ხელნაწერი და აქედან იწყება ამ ლექსის ახალი ცხოვრება, ფართოვდება მისი მკითხველების წრე. მაგრამ პირველი რეაქციით თავს ვერ დაიმშვიდებდი — ი. გ. ოკსმანმა, წაიკითხა თუ არა ზგი,

\* თარგმანი მისივე.



თქვა: „არავითარ შემთხვევაში არ მიიტანიათ „რეკვიემი“ არცერთ რედაქციაში. წაიკითხავენ თუ არა, სიხარულით იტყვიან: ა, „ნატო“ ნო! მაშასადამე 46 წლის დადგენილება სამართლიანი ყოფილაო“.

ძალზე მალე გაირკვა, რომ „რეკვიემის“ დაბეჭდვა საბჭოთა ყურნალებში შეუძლებელი იყო. 1963 წელს მიუნხენში გამომც. „ტოვარიშჩესტვა ზარუბეჟუნის პისატელიემ“ „რეკვიემი“ გამოსცა ცალკე წიგნად, თუმცა მასში გაიპარა შეცდომები. ასევე შეცდომებით დაიბეჭდა რეკვიემის ტექსტი ყურნ. „გრანში“ (მაინის ფრანკფურტი). როდესაც გ. პ. სტრუვემ გადაწყვიტა გამოეცა ანა ახმატოვას თხზულებათა სრული კრებული, ანას სთხოვა გაესწორებინა შეცდომები და ამიერიდან საზღვარგარეთულ გამოცემებში „რეკვიემი“ ამ ეგზემპლარის მიხედვით იბეჭდება. ასე გადავიდა მკითხველთა ფართო წრის „განკარგულებაში“ „რეკვიემი“. მაგრამ გამოცემები და ხელნაწერები მაინც არ იყო დაზღვეული შეცდომებისაგან.

დავუბრუნდეთ ისევ „რეკვიემის“ მანქანაზე გადაბეჭდილი გამოცემის ისტორიას. „რეკვიემის“ სწორი ტექსტის გადარჩენის ერთ-ერთი ცდა იყო ანა ახმატოვას ახალგაზრდა თაყვანისმცემლის ვადიმ ფედოროვის\* მიერ სამ ეგზემპლარად დაბეჭდილი წიგნაკი. ამ სამიდან ერთ-ერთი ეგზემპლარის ბედნიერი მფლობელი მე ვარ. 1—2 გვერდზე მოცემულია ამ წიგნის გამოცემის ისტორია: „როდესაც პირველად „რეკვიემი“ დასავლეთ გერმანიაში გამოიცა, ანა ახმატოვამ მთხოვა გადამებეჭდა იგი ჩემთვის „მაგრამ — თქვა მან — მე არ მომწონს იქ მოთავსებული ჩემი ახალგაზრდობის ფოტო. აიღეთ საშვი, რომლითაც მე ვხვდებოდი ჩემს ვაჟიშვილს ციხეში (ლევ ნიკოლოზის ძე გუმილიოვს) და, თუ შესაძლებელია, გააკეთეთ იქიდან ფოტო. იქ ნათლად ჩანს, რომ მე „ცოცხალი ვარ“ (ჩაიციანა)“.

მე მხოლოდ სამი ეგზემპლარი დავბეჭდე — ანა ანდრეევნასათვის, ლილია კორნეევნასა (ჩუკოვსკაიას) და ჩემთვის. მან ხომ სულ სამი ეგზემპლარი მთხოვა! შემდეგ მას ვილაცამ მოსტაცა თავისი ეგზემპლარი და იგი იმუქრებოდა, რომ ლილია კორნეევას წაართმევდა მის ეგზემპლარს. ნამდვილად არ ვიცი წაართვა თუ არა. ასე რომ, სულ სამი ეგზემპლარი არსებობს. გარეკანი გააფორმა კოლია პოპოვმა. ყდაზე შეცდომით 1940 წელი აწერია. პირველი ეგზემპლარი, ე. ი. ასლის გარეშე — ჩემი დაბეჭდილია. ესაა ყველაფერი“. ხელს აწერს ვადიმ ფედოროვი.

<sup>1</sup> აშქამად იგი ბიოლოგი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორია.



ჩემი ეგზემპლარი, როგორც ორი დანარჩენი (ფორმატი 19,8 X 14,5), ჩასმულია მოვარდისფრო-ჩალისფერ ქსოვილგადაკრულ ფურცელში. სუპერზე დაბეჭდილია ანა ახმატოვას ფოტო მთელი ტანით, თავდახრილი. წიგნის ფორზაცზე ვ. ფედოროვის ავტოგრაფია: „მეოცე საუკუნის პოეზიის ერთადერთი და განუმეორებელი კრებულის, ანა ახმატოვას „კვაზი წიგნის“ უნიკალურ (ერთ-ერთს სამიდან) ეგზემპლარს ვუძღვნი მის კოლექციონერს, საყვარელ მამია ხარაზს, ის ვინც ქვეყნად მოავლინა სამივე ეგზემპლარი. „მეგობრულად“. კოლონტიტულზე მოთავსებულია ახმატოვას ფოტო № 44 სამვიდან, რომლითაც მას უფლება ეძლეოდა შეხვედროდა ვაჟიშვილს ციხეში. იქვეა ყირაფის კონტური — ვ. ფედოროვის ექსლიბრისი. ტიტულზე: „ანა ახმატოვა. „რეკვიემი“. 1935—1940“. 1—2 გვ-ზე: ზემოთმოყვანილი ტექსტი, რომელიც ეძღვნება ამ გამოცემის ისტორიას. 3—20 გვ-ზე: „რეკვიემის“ ტექსტი. მე-20 გვ-ზე, „ეპილოგის“ ბოლოს ანა ახმატოვას ხელმოწერაა.

„რეკვიემის“ მეორე გამოცემაც ვ. ფედოროვისაგან მივიღე საჩუქრად: „ანა ახმატოვა, რეკვიემი. მოსკოვი, 1966 წ. ანა ახმატოვას პორტრეტი — ი. ანენკოვის ნამუშევარი — აღებულია „Четки“-ს 1923 წლის გამოცემიდან. წიგნს აქვს ვადიმ ფედოროვის ავტოგრაფი: „ანა ახმატოვას პოეზიის დამფასებელს მამია ხარაზს, პოეტის უკანასკნელი თაყვანისმცემელისა და პატივისმცემლისაგან“. წიგნის დასაწყისში 20 დაუნომრავი გვერდია. 21-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ეს გამოცემა დაბეჭდილია 1966 წლის მარტში (ანა ახმატოვა მარტში გარდაიცვალა — მ. ხ.) მოსკოვში, ხელნაწერის უფლებით. 25 დანომრილი ეგზემპლარი ეძღვნება ანა ახმატოვას ხსოვნას, № 20“. ამ გამოცემის ტექსტშიც არის სხვადასხვაგვარი წაკითხვები.

1988 წელს სახელმწიფო არქივების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ექსპოზიციაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ერთი სტენდი დათმობილი ჰქონდა ახმატოვასა და ზოშჩენკოს, აქვე იყო 1946 წლის ცნობილი დადგენილებაც. ვიტრინაში იდო „რეკვიემის“ ტექსტი ანა ახმატოვას ავტოგრაფით, რომელიც ვ. ფედოროვის გამოცემას წააგავდა. სამწუხაროდ, ეს ტექსტი ჩემთვის უცნობია, რადგან გამოფენა დიდხანს გადაჰქონდათ სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში.

„რეკვიემის“ მკითხველთა რაოდენობა დღითი დღე იზრდებოდა, მაგრამ 25 წელი მხოლოდ ერთეული კერძო გამოცემებით ვრცელდებოდა და ტირაჟი დაუდგენელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყვე-



ლა ერთნაირად ვერ აღიქვამდა „რეკვიემს“. ა. ი. სოლჟენიცინმა, როდესაც იგი წაიკითხა, ავტორს უთხრა: „სამწუხაროა, რომ თქვენს სეზონში მარტო ერთი ადამიანის ბედზეა ლაპარაკი“. ამ კაცმა, რომელმაც თვითონ იგემა მავთულხლართების სიმწარე, ვერ შეძლო წარმოედგინა ის მწუხარება, დამცირება, რაც გადაიტანეს დედებმა და ცოლებმა მხოლოდ იმისათვის, რომ ბოლოს ამ კაცს შესძლებოდა მიეღო ამანათი, რომელიც შემოწმებისას გამჭოლად იყო გახვრეტილი ჯარისკაცის ხიშტით. მან ყურად ვერ იღო ახმატოვას ამოძახილი, რომელიც ერთვოდა მრავალ მილიონთა ტკივილსა და მწუხარებას. ჯვარცმიდან არ ჩანს ჯვარცმულის ქვეშ მდგარი ხალხი.

„რეკვიემმა“ შეიწოვა რუსული გოდება, ძველ ბერძენთა ტრაგედიების ტკივილები და სიმწარე. ესაა პოეტის ხარკი იმ ქალების წინაშე, ვინც ვერ ეღირსა ქმრების დაბრუნებას და სკკპ XX ყრილობის შემდეგ მიიღეს მხოლოდ რეაბილიტაციის ქალაღდი და ფულადი კომპენსაცია.

„რეკვიემმა“ მწარედ მიუზღო მის შემქმნელს. როდესაც სინიავსკისა და დანიელის საქმის შესახებ უყვებოდნენ საავადმყოფოში, მწოლარე მომაკვდავსაც კი შიში ზარავდა, რომ იგივე შეიძლებოდა დატრიალებულიყო მის თავსაც საზღვარგარეთ გამოცემული ნაწარმოებების გამო.

და ბოლოს, 1987 წელს „რეკვიემს“ ბეჭდავენ საბჭოთა ჟურნალებში. „ოქტიაბრში“ (№ 3) ლიტერატურათმცოდნე ს. ტომაშევსკიმ დაბეჭდა ანა ახმატოვას მიერ ნაჩუქარი ხელნაწერიდან. „ნევაში“ (№6) კი დაიბეჭდა არდოვებისა და გლენის ოჯახებში არსებული ხელნაწერიდან და აგრეთვე მაგნიტოფონზე ჩანაწერიდან. ცოტაოდენი განსხვავებით, „ნევის“ ტექსტი ემთხვევა ვ. ფედოროვის გამოცემის ტექსტს.

ანა ახმატოვას სიცოცხლისდროინდელი გამოცემების კოლექცია სრული არ იქნებოდა, რომ არ გვესაუბრა მის თარგმანებზე, რომელსაც მან დიდი ენერგია შესწირა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „შერისხული“ ანა ახმატოვა იძულებული იყო მიემართა ამ სამუშაოსათვის იმიტომ, რომ არ ემათხოვრა. მართალია ეს პოეზიის „ღალატი“ იყო, მაგრამ როგორც ყოველთვის, იგი აქაც ჩვეული ოსტატობით მუშაობდა, მისი თარგმანები ძალზე დახვეწილია.

1933 წელს ანა ახმატოვამ გამოსცა პ. რუბენის „წერილების“ თარგმანი ავტორის პორტრეტითა და ილუსტრაციებით.

1956 და 1957 წელს გამოსცა „კორეის კლასიკური პოეზია“. 1965



წელს „პოეტების ხმები“ (საზღვარგარეთული პოეტების ლექსები).  
 იმავე წელს გამოიცა „ძველი ეგვიპტის ლირიკა“. მალე მისი სიკვდი-  
 ლის შემდეგ, 1967 წელს გამოიცა ჯაკომო ლეობარდის „ლირიკა“  
 საკმაოდ დიდი ტირაჟით.

ანა ახმატოვას გარდაცვალების შემდეგ მისი კრებულები იშვია-  
 თად გამოდიოდა ან გამოდიოდა მცირე მოცულობით. სიკვდილის შემ-  
 დგდროინდელი გამოცემებიდან უმთავრესად ვარჩევდი უფრო სრულ  
 გამოცემებს. ყველაზე სრულ გამოცემად დიდხანს რჩებოდა სამტო-  
 მეული, რომელიც 1967—1983 წლებში განახორციელა გამომცემლობა  
 „Umca Ress“-მ (მიუნხენი-ბერლინი). აქ შესულია ანა ახმატოვას  
 თითქმის მთელი მემკვიდრეობა მიმოწერისა და მოგონებების ჩათ-  
 ვლით. ეს გამოცემა შეავსო 1977 წელს „სოვეტსკი პისატელის“ მიერ  
 გამოცემულმა კრებულმა „ლექსები და პოემები“, რომელიც მოამ-  
 ზადეს ს. სურკოვმა და ვ. ჟირმუნსკიმ (558 გვ. ტ. 40 000).

და ბოლოს 1987 წელს „ხუდოჟესტვენაია ლიტერატურას“ მიერ  
 გამოცემულმა ორტომეულმა საბოლოოდ „დააზუსტა და შეავსო“  
 ანა ახმატოვას მემკვიდრეობა.

სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი გამოცემები მაინც ვერ უტოლდება  
 სამტომეულს.

წელს სრულდება ანა ახმატოვას დაბადების 100 წლისთავი. ამ  
 იუბილესათვის მრავალ სიახლეს გვპირდებიან როგორც საკავშირო,  
 ისე რესპუბლიკური გამომცემლობები.

შევჩენკო — მკითხველი

წიგნმა ისე ადრე დაიმკვიდრა ადგილი პოეტის ცხოვრებაში, რომ მის ბიოგრაფებს უძნელდებათ ამ დროის განსაზღვრა. შემორჩენილია მ. ფ. იაშოვსკის ნაამბობი, რომელშიც დაწვრილებით არის გადმოცემული, თუ როგორ უყვარდა ტარასს ბავშვობაში სოფლის ბაზრობებზე „წიგნების გროვაში“ ფათური. ერთხელ დაბა გოლოსკოვოში (ბუგის ნაპირას, ამჟამად ოდესის ოლქის კრივოზერსკის რაიონი), იგი მოხვდა ბაზრობაზე, სადაც უამრავი ფორანი, ცხენი და ხარი ირეოდა, ის პირველ რიგში დაინტერესდა, სად ვაჭრობდნენ წიგნებით. მე შევაძინე, — იგონებს იაშოვსკი, — რომ ბიჭი ყურადღებით ათვალერებდა იქაურობას, თითქოს ვილაცას ეძებო, მერე კი უცებ შესძახა: „აი, თურმე სად ყოფილა!“ და ჩვენ მიუუახლოვდით ერთ სახლს, რომლის კედელთან დავინახე გაშლილ დიდ თეთრ ზეწარზე ვაჭარი მწკრივებად ალაგებდა წიგნებს“.

არა მგონია, რომ მაშინ ტარასს წიგნების ყიდვა შესძლებოდა, ზავრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ თვითონ ამზადებდა წიგნებს. შევჩენკო შემდეგ იგონებს, როგორ თხზავდა ლექსებს პატარაობისას და მიუხედავად იმისა, რომ მეფემ წერა და ხატვა აუკრძალა, როგორ კინძავდა ხელნაწერ რვეულებს ორსკის ციხეში.

შევჩენკო მულამ კითხულობდა, არად აგდებდა მუქარას, რომ ამ გატაცებას ფიზიკური დასჯა მოჰყვებოდა. იგი კითხულობდა კირილოვკაში დიაკთან და პეტერბურგშიც, შირიაევის საქარგლოში მუშაობისას. ასე გრძელდებოდა 1838 წლის 22 აპრილის იმ ბედნიერ დღემდე, როდესაც ვ. ა. ჟუკოვსკის, მ. ი. ვიელგორსკის და კ. პ. ბრიულოვის მზრუნველობით ყმა შევჩენკო გამოსყიდულ იქნა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შევჩენკომ ბრიულოვთან გაიარა არა მარტო მხატვრობის, არამედ კითხვის სკოლაც. სამხატვრო აკადემიის ისტორიკოსი ნიკოლოზ რამაზანოვი აღნიშნავს ბრიულო-

ვის „გატაცებას კითხვით“, რაც გამოწვეული იყო „სურვილით გასცნობოდა კაცობრიობის ისტორიას“.

„მუშაობის დროს მე ვკითხულობ, — იგონებს იგი მოთხრობაში „მხატვარი“, — მას (ბრიულოვს. — ი. მ.) რიგიანი, მაგრამ ყოვლად მოუწესრიგებელი ბიბლიოთეკა აქვს. ჩვენ რამდენჯერმე შევეცადეთ რაღაც მოგვეხერხებინა მისთვის, მაგრამ — ამაოდ. თუმცა კითხვაში ხელი არ გვეშლება. კარლ პავლოვიჩი სმირდინს შეპირდა, რომ დაუხატავდა სურათს მისი „ასი ლიტერატორისათვის“, სმირდინი კი მთელი თავისი ბიბლიოთეკით ემსახურებოდა მას. მე უკვე წავიკითხე ვალტერ სკოტის თითქმის ყველა რომანი („მხატვარში“, კერძოდ, მოხსენიებულია — „ვეუდსტოკი“, „კენილუორტის ციხე“, „პერტის მზეთუნახავი“, „ანტიკვარიუმი“ — ი. მ.), ახლა ვკითხულობ მიშოს „ჯვაროსნულ ლაშქრობათა ისტორიას“. ყველა რომანზე უფრო მომწონს, კარლ პავლოვიჩიც ამას ამბობს“.

წიგნები შემოქმედებისათვის სჭირდებოდა ბრიულოვს. — იგი მოწაფეებისაგან მოითხოვდა, გულმოდგინედ შეესწავლათ ის ლიტერატურა, რომელიც ამორჩეულ სიუჟეტს ეხებოდა. ასეთი შესწავლის მაგალითს თვითონვე იძლეოდა; თანამედროვის მოწმობით, ბრიულოვს ძალიან სიამოვნებდა „ვალტერ სკოტის, შილერის, შექსპირის, დერჟავინის, პუშკინის, დაბოლოს, ისტორიკოსების — ჰელვეციუსის, რანკეს, ნიბურის და სხვა შრომების კითხვა. მათში ბრიულოვი პოულობდა შემოქმედებისათვის საჭირო ახალ ცხოველმყოფელ ძალებს. კარლ პავლოვიჩი ხშირად შეაჩერებდა ხოლმე კითხვისას თავის მოწაფეს და უხსნიდა მას თხზულების სიმშვენიერეს... შემეცნების წყურვილი მასში შემოქმედებით ძალასაც კი უტოლდებოდა. შეუძლებელია დაივიწყოს კაცმა, თუ რა მოკრძალებულად იჯდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ევროპაში უკვე სახელმოხვეჭილი მხატვარი“. დიდი ბრიულოვის გვერდით, უნივერსიტეტისა და აკადემიის სტუდენტებს შორის იყო შეგჩენკოც.

ბრიულოვის გაკვეთილებს ითვისებდა არა მარტო შეგჩენკო მხატვარი, არამედ შეგჩენკო პოეტიც. შეგჩენკოს „ჰაიდამაკების“ მკვლევარნი ცხადყოფენ, რაოდენ დიდი იყო „მისებურად“ გადამუშავებული წიგნების რიცხვი ამ რევოლუციური მრისხანებით აღსავსე პოემის შექმნისას.

უამრავ ხალხურ თქმულებებთან ერთად შეგჩენკომ შეაგროვა დიდძალი ნაბეჭდი მასალა უკრაინისა და პოლონეთის ისტორიის შესახებ, შეისწავლა პოლონელ მწერალთა ისტორიულ-ბელეტრისტუ-



ლი ნაწარმოებები. „რუსთა ისტორიის“, „ბანტიშ-კამენსკისა და ულ-გინის თხზულებების, პლიუშარის ენციკლოპედიური ლექსიკონის“ და, მან გამოიყენა ხელნაწერი „თქმულებისა კოლიევიშჩინას შესახებ“, რომლის ავტორია მ. მაქსიმოვიჩი, აგრეთვე მრავალი პოლონელი რომანტიკოსის ბელეტრისტული ნაწარმოებები.

ასეთი იყო „ჰაიდამაკების“ შემოქმედებითი ლაბორატორია. მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას შევჩენკოს ისეთ ქმნილებათა ისტორიაზე, როგორცაა პოემები „სიზმარი“, „კავკასია“, „ერეტიკოსი“, აგრეთვე ისტორიულ სიუჟეტებზე ფერწერასა და გრაფიკაში.

სწორედ ამიტომაა შევჩენკოს ნაწარმოებები „უზაღო უმცირესი ისტორიული დეტალის უტყუარობის მხრივ“, — აღნიშნავდა მ. შაგინიანი.

თითქმის ასორმოცი წლის წინათ ცარიზმი გაუსწორდა კირილესა და მეთოდეს საზოგადოებას — 1840-იანი წლების ერთ-ერთ უმსხვილეს საიდუმლო პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომლის მონაწილე იყო შევჩენკო. მისი რევოლუციური პოეზია განსაკუთრებით საშიშად იყო მიჩნეული და უღმობელი განაჩენი იუწყებოდა — გამწესებულ იქნას ჯარისკაცად, აეკრძალოს წერა და ხატვა. კითხვა არ აუკრძალავთ, მაგრამ ფაქტიურად წიგნების გარეშე დატოვეს.

„უწიგნოდ ვერ ვიცოცხლებ...“ — ამბობს შევჩენკო 1848 წლის 22 აპრილს ორსკის ციხიდან გამოგზავნილ წერილში. „მომწერეთ წერილები და გამომიგზავნეთ წიგნები“, — ევედრება იგი ვ. ნ. რეპნინს. და შემდგომ — ო. მ. ბოდიანსკის, ს. ს. გულაკ-არტემოვსკის, ა. ო. კაზანკოვსკის, ა. ი. ლიზოგუბს, მ. მ. ლაზარევსკის.

პოეტის წერილები საშუალებას გვაძლევენ, შევადგინოთ იმ წიგნების ნუსხა, რომლებსაც განსაკუთრებით ხშირად და დაყინებით მოიხსენიებს. ესენია: მ. ი. ლერმონტოვი, ნ. ვ. გოგოლი, ჰომეროსი, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“.

გადასახლებაში მყოფი პოეტი არ იშორებდა წიგნს არც ორსკის სახაზო ბატალიონის ყაზარმებში, არც მანგიშლაყის ჰაუბტვახტებში, არც უხუნა „კონსტანტინის“ გემბანზე, რომლის ეკიპაჟშიც ირიცხებოდა მხატვრად კასპიის ზღვის შესანიშნავი რუსი მკვლევრის ა. ი. ბუტაკოვის მოწვევით, არც გემ „თავად დიმიტრი პოჟარსკის“ კაიუტაში, რომლითაც ბრუნდებოდა გადასახლებიდან 1857 წელს.

სწორედ იქ, გემის კაიუტაში, „პოლიარნაია ზევზდას“ პირველი წაკითხვისას იშვა შევჩენკოს ცნობილი ჩანაწერი:

„ნეტავ მაშოვნინა მედალი... რომლის ერთ მხარეს იქნება ამ წმი-



და მოწამეთა პორტრეტები წარწერით: „თავისუფლების პირველი რუსი მაუწყებელი“, ხოლო მეორე მხარეს — მარადსახსრვარი „ტორმოზის“ პორტრეტი წარწერით: „მორიგი რუსი გვირგვინოსანი ჯალათი“.

„ტორმოზში“ შევჩენკო ვულისხმობს იმპერატორ ნიკოლოზ I, როგორც გერცენი უწოდებდა მას.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ცნობები გადასახლებული შევჩენკოს, როგორც მკითხველის, ინტერესების შესახებ სრულად არ არის გამოვლენილი. „ცოტაოდენი გაისარკვე ტუსადისათვის, — სწერდა შევჩენკო 1852 წლის 15 დეკემბერს შესანიშნავ რუს სლავისტს ო. მ. ბოდინსკის, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტიდან იყო გაძევებული პროგრესული აზრებისათვის — და გამომიგზავნე კონისკის მატთანე (ანუ „რუსთა ისტორია“. — ი. მ.), ანდა ველიჩკო (ს. ველიჩკო, „სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის მოვლენათა მატთანე XVIII ს.“ — ი. მ.), ძალიან მადლობელი ვიქნები“.

ბოდინსკისაგან მიღებული „რუსთა ისტორიის“ ეგზემპლარი შემორჩა პოეტის პირად ბიბლიოთეკას. რაც შეეხება ველიჩკოს „მატიანეს“, ის ბოდინსკის ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა. მაგრამ მეცნიერს არ დავიწყებია პოეტის თხოვნა და აი, 1854 წლის 30 ივნისს იგი სწერს ცნობილ ისტორიკოსს მ. პოგოდინს: „კობზარისა“ და „ზაიდამაკების“ ავტორი, რომელიც ამჟამად იძულებულია თურქესტანთან, მანგიშლაყის ნახევარკუნძულზე ნოვოპეტროვსკის ციხე-სიმაგრეში, ჩემი მეშვეობით უმორჩილესად გთხოვთ ველიჩკოს მატთანეს მალროსიაზე. თუ ამას ინებებთ, მაშინ 2—3 დღეში ვინმეს გამოვაგზავნი თქვენს კანტორაში ეგზემპლარის წამოსაღებად და სასწრაფოდ გავატან ერთ ურალელ ოფიცერს, რომელიც მიემგზავრება ქალაქ გურიევში, იქიდან კი — მანგიშლაყში“.

ბოდინსკის წერილზე, რომელიც დაცულია ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, პოგოდინს წაუწერია: „მეცეს ველიჩკოს 1 და 2 ტომი და ჩაბარდეს თანდართული წერილი“. კირილესა და მეთოდეს საზოგადოების წარმომადგენლის ვასილ ბელოზერსკის სიტყვით მაშინ, როცა „ყველა ისეთ შიშსა და ძრწოლაში იყო, რომ ვაფიქრებასაც კი ვერ ბედავდნენ შევჩენკოსთან მიმოწერაზე, რუსულ-უკრაინულ მეცნიერულ ურთიერთობათა მატთანეში ჩაიწერა ბრწყინვალე სტრიქონი, რომელმაც იმავდროულად გაამდიდრა თემა „შევჩენკო-მკითხველი“.

ეს თემა, უეჭველია, აფართოებს დიდი კობზარის შემოქმედებითი



გენიის ახალ მიჯნებს. ტარას შევჩენკოს მრავალი პოეტური შედეგები  
 რი სხვა არაფერი იყო, თუ არა მისი, როგორც მკითხველის, გამოძა-  
 ურება, წაკითხული წიგნების კიდევბზე გაკეთებული თავისებური  
 შენიშვნებით. ზოგი მათგანი რევოლუციურ პროკლამაციადაც უღერდა.  
 ასეთი იყო პოეტური გამოძახილი მონარქისტ ა. ა. სკალკოვსკის წიგ-  
 ნზე: „ჰაიდამაკთა შემოსევები დასავლეთ უკრაინაზე 1733—1768  
 წწ.“.

როგორც ნიკოლოზისდროინდელი სამინისტროს პასუხისმგებელ  
 ჩინოვნიკს შეშვენოდა, სკალკოვსკიმ, „ჰაიდამაკთა შემოსევების...“ ავ-  
 ტორმა თავისი თხზულების მთელი პათოსი იმის მტკიცებას მოანდომა,  
 რომ ჰაიდამაკური მოძრაობა არ იყო დამოკიდებული სოციალურ-ეკო-  
 ნომიკურ მიზეზებზე. სკალკოვსკი აღიარებს, რომ ჰაიდამაკები მოქ-  
 მედებდნენ გლეხთა მხარდაჭერით („მათ იცავდნენ მდაბიონი, რო-  
 მელნიც მათში ხედავდნენ თავინთ საყვარელ რაინდებსა და ქომა-  
 გებს“) სკალკოვსკი ჰაიდამაკებს აღარებს „მხეცებს“, უწოდებს ბო-  
 როტშოქმედ უღმობელ ადამიანებს, „მაწანწალებს“, „ლოთებს“, „ნა-  
 ციხარებს“, დაბოლოს — მტარვალებსა და მკვლელებს.

დიდად მნიშვნელოვანია სკალკოვსკისადმი შევჩენკოს პასუხის  
 თვით სათაური „ხოლოდნი იარი“, ასე ეძახდნენ პოლტავჩინაში მო-  
 ტორინის მონასტრისა და ჩიგირინის შორიანლო მდებარე ტყეს, სა-  
 დაც ხშირად იკრიბებოდნენ 1768 წლის მეამბოხენი. შევჩენკო ბასრი  
 მახვილით აშიშვლებს სკალკოვსკის მთავარ მიზანს — დაამტკიცოს,  
 რომ ჰაიდამაკები მეომრები კი არა, ყაჩაღები და ქურდები არიან,  
 ჩვენი ისტორიის შემარცხვენელნი...

შევჩენკო კითხულობს ენციკლოპედისტებს, რაც კარგად ჩანს 1858  
 წლის ცნობილ ჩანაწერში: „დიდი ფულტონი! და დიდი ვატი! თქვენი  
 ნორჩი ყრმა, რომელიც დღეობით კი არა, საათობით იზრდება, სულ  
 მალე ჩანთქავს როზგებს, ტახტსა და გვირგვინს, დიპლომატებითა და  
 თავადებით პირს ჩაიგემრიელებს, თავს შეიქცევს, როგორც მოწაფე  
 შაქარყინულით. იმას, რაც საფრანგეთში ენციკლოპედისტებმა დაი-  
 წყეს, მთელ ჩვენს პლანეტაზე დაავვირგვინებს თქვენი კოლოსალური,  
 გენიალური ყრმა. ჩემი წინასწარმეტყველება უეჭველია“.

შევჩენკო კითხულობს ბიბლიას, მაგრამ ბიბლეიზმებს იგი რევო-  
 ლუციურობის ხოტბის შესასხმელად იყენებს, ისევე, როგორც გერ-  
 ცენის ბროშურის „მონათლული საკუთრების“ წაკითხვისას გაკეთე-  
 ბულ ჩანაწერში: „გულითადი, გულწრფელი ადამიანური სიტყვაა!“  
 ხოლო ამ ჩანაწერის ახლოს მოცემულია გერცენის შევჩენკოსეული



შემაჯამებელი დახასიათება: „ჩვენი მოციქული, ჩვენი ეული დევენილი!“ აქ „მოციქულს“, ისევე, როგორც სხვა ბიბლიზმებს, შევჩვენებთ მიმართავს როგორც განდიდების განსაკუთრებულ საშუალებას.

კითხვის ასეთი სიყვარულით შექმნა შევჩენკომ შესანიშნავი პირადი ბიბლიოთეკა. ამჟამად შემორჩენილია მისი ბიბლიოთეკის 110 ტომი: აქედან ვიგებთ, რა წიგნები იყო შევჩენკოსთვის გამორჩეულად ძვირფასი: ნ. ვ. გოგოლი, ნ. პ. ოგარიოვი, ა. ვ. კოლცოვი, მ. ი. ლერმონტოვი, ა. ი. პოლეჟაევი, მათიანები, საისტორიო წიგნები. აქვეა რამოდენიმე გამოცემა სასაჩუქრო წარწერით — უკრაინელი მწერალი ქალის მარკო ვოვჩოკის, რუსი ფოლკლორისტის ა. ნ. აფანასიევის, მ. ა. მაქსიმოვიჩის, ი. ს. ტურგენევის, ნ. ვ. გერბელისა და პროგრესული პროფესორის, ანტიკური ლიტერატურის სპეციალისტის ნ. მ. ბლაგოვეშჩენსკისაგან...

ყოველივე ამის შემდეგ, როგორ შეიძლებაოდა, რომ ი. ს. ტურგენევის მოვანებებში აღმოჩენილიყო სტრიქონები: „შევჩენკო ძალიან ცოტას კითხულობდა, გოგოლსაც კი მხოლოდ ზერელედ იცნობდა, ცოდნით ხომ კიდევ უფრო ნაკლები იცოდა“? მცდარი მსჯელობაა, რომელიც თვალშისაცემად ეწინააღმდეგება ფაქტებს! საიდან მოდის ეს? იქნებ იქიდან, რომ რევოლუციურ დემოკრატი შევჩენკოსა და გულდაჯერებულ ლიბერალ ტურგენევს შორის მათი მცირე ხნის ურთიერთობისას არ იყო სიახლოვე?

დიახ, სწორედ ლიბერალები ეძახდნენ შევჩენკოს საუკეთესო შემთხვევაში „გენიალურ ველურს“. მათ ეჭვი ეპარებოდათ შევჩენკოს განათლებაში, ინტელიგენტობაში. შევჩენკომ კი განსაცვიფრებელი ერუდიციის სიმადლიდან იმდროინდელი ლიტერატურული მოძრაობის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ისეთი მკვეთრი შეფასება მოგვცა, რომ ვერც თანამედროვე მკითხველი და ვერც თანამედროვე მკვლევარი ვერ აუვლის მას გვერდს.

ისინი ცდილობდნენ შევჩენკოს აბუჩად აგდებას „ინტელექტუალური შეზღუდულობის“ გამო. ის კი სიცოცხლეში გადამწყვეტ, მაფორპირებელ გავლენას ახდენდა თანამედროვე დიდ პროგრესულ მწერალთა და მეცნიერთა მსოფლმხედველობაზე. გავლენას ახდენდა იმიტომ, რომ თვითონაც ჭეშმარიტად გენიალური მკითხველი იყო.

განსაკუთრებით უნდა ითქვას შევჩენკოზე, როგორც რუსული თავისუფალი სიტყვის მადლიერ და გამჭრიახ მკითხველზე.

ტარას შევჩენკოს დამოკიდებულებაში რუსული ლიტერატურისადმი აღბეჭდილია მადლიერების გრძნობა, მადლიერებისა, რომელ-



საც პოეტში განამტკიცებდა მუდმივი ხსოვნა იმისა, ვისაც იგი ღმერთად ღიბდა მეორედ დაბადებას — ყმობიდან გამოსყიდვას, სამხატვრო აკადემიაში, იმ დროისათვის ყველაზე პროგრესულ ადამიანთა წრეში, სიმართლისა და სამართლიანობისათვის მებრძოლთა ძმობაში მოხვედრას.

სწორედ აქედან მომდინარეობს შევჩენკოსეული შეფასება დეკაბრისტებისა, როგორც თავისუფლების პირველი რუსი მახარობლები-სა, სწორედ აქედან მოდის მოკრძალებული დამოკიდებულება პუშკინისადმი, რომელიც, თანამედროვის ცნობით, შევჩენკოს „ხსოვნაში ჩარჩენოდა“, ასევე „უკვდავი“ გრიბოედოვისადმი, „წმიდა მოწამე“ ლერმონტოვისადმი, „დიდი“ გოგოლისადმი.

„მე ქედს ვიხრი სალტიკოვის წინაშე. ო, გოგოლი, ჩვენი უკვდავი გოგოლი! როგორ გაიხარებდა შენი კეთილშობილი სული, როდესაც დაინახავდა შენს გენიალურ მოწაფეებს. ჩემო მეგობრებო, ჩემო გულწრფელო მეგობრებო! დაწერეთ, ხმა აიმაღლეთ ამ საცოდავ, ჭუჭყიან, შეურაცხყოფილ მდაბიოთათვის! ამ შეგინებული უტყვი სმერდებისათვის!“

ამას ამბობს იგი მ. ვ. სალტიკოვ-შჩედრინის „გუბერნიის ნარკვევების“ კითხვისას.

აი, შევჩენკოს კიდევ ერთი გამომხატურება წიგნზე. ამჯერად ნ. ი. კოსტომაროვის ისტორიულ გამოკვლევაზე „ბოგდან ხმელნიცკი და საქმრეთ რუსეთის ხელახალი შეერთება რუსეთთან“: „ბრწყინვალე წიგნია, იგი სრულად გვიხატავს ამ გენიალურ მემამბოხეს. ჭკუის სასწავლებელი, დამრიგებლური წიგნია! უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საისტორიო ლიტერატურა საგრძნობლად განვითარდა. მან გაანათა კერპებისათვის გულმოდგინე გუნდრუკის კმევით შეჭვარტლული წვრილმანები“.


შევჩენკოს გატაცება წიგნით, კითხვით — ეს არის ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვის გამოხატულება. იგი ლიტერატურისაგან მოითხოვდა იმას, რასაც თვითონ გულმოდგინედ და შთაგონებით ემსახურებოდა — „სიმართლის ისტორიას“.

თარგმნა მანანა ციციშვილი

\* \* \*

ქუჩის ხმაურში ხეტიალს ვიწყებ...  
 როსმე ხალხმრავალ ტაძარში შევალ;  
 შევხვდები ჭაბუკს, შლეგსა და ფიცხელს  
 და ყველგან — ერთი ოცნების ტყვე ვარ.  
 მე ასე ვამბობ: ეს წლებიც გავა...  
 ეხლა ყველანი აქა ვართ, მაგრამ  
 მალე სიკვდილის თაღებქვეშ ჩავალთ,  
 უკვე ვიღაცის საათმა დაჰკრა...  
 ვფიქრობ: ის მუხა, შორით რომ მოჩანს,  
 ტყის პატრიარქი, ხანმოთეული —  
 ჩამოიტოვებს ჩემს საწყალ დრო-ყამს,  
 პაპის ხანიდან აქ მოღწეული.  
 მივუალერსებ პატარას ლხენით  
 და წამსვე გულში უნდა გავივლო:  
 ყრმავ, დამითმია ადგილი ჩემი,  
 მე უნდა დავჰკნე, შენ იყავილო.  
 ყოველ წელიწადს ვაცილებ ღელვით  
 და არ მშორდება მწარე ფიქრები:  
 როდის დადგება ის ერთი წელი,  
 როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები.  
 სად მომეწევა სიკვდილი ბნელი,  
 გზად? ომში? ზღვაზე? — რა მაწევს ბედად?  
 ან იქნებ, აქვე რომ მოჩანს ველი,  
 ჩემს გაცივებულს მიიღებს ცხედარს.  
 თუ სად მოელის სხეულს სავანე  
 ხრწნისთვის... ექნება აზრი — მცირედი,  
 მაგრამ ო, მაინც, ძვირფას სამანებს  
 მე ყველა ალაგს ვამჯობინებდი.  
 დე, ნორჩ სიცოცხლის აგუგუნება  
 ესმოდეთ ჩემი აკლდამის ლოდებს  
 და გულგრილობით სავსე ბუნება  
 მარადიული მშვენებით კრთოდეს.

თარგმნა ელბუჯა ოღოზილა



---

გსოფლიოს  
გერილი-  
ანეგზე

მყავს მებობები, რომლებთანაც  
ყოფნა ძალზე მსიამოვნებს... გათთან  
ურთიერთობა ძალზე იოლია და ყო-  
ველთვის მზად არიან ჩემდა სამსახუ-  
რად; როცა მსურს მივიღებ, როდესაც  
არა — უკანვე ვისტუმრებ. ისინი არ  
მაწუხებენ და ყოველთვის მზად არი-  
ან პასუხი გამცენ ყოველგვარ შეკი-  
თხვაზე.

### პ ე ტ რ ა რ კ ა

ზოგი წიგნი, იმიტომ კი არ არის  
დაწერილი, მკითხველს რამე ასწავ-  
ლოს, არამედ იმიტომ, რომ მკითხ-  
ველმა იცოდეს, ავტორმა ზოგი რამ  
იცისო.

### გ ო ე თ ე

**როგორც სტივენსონი — ქართული ლიტერატურის  
აკვლევარი და მთარგმნელი**

არც ისე მრავალრიცხოვანი არიან უცხოელები, რომელთაც ქართული კულტურის, მისი ისტორიის შესწავლა თავიანთი ცხოვრების უმთავრეს საგნად გაიხადეს და ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლთა აუღერებას მოანდომეს მთელი სიცოცხლე.

ასეთ ღვაწლმოსილ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება ინგლისელი ქართველოლოგი რობერტ სტივენსონი, რომელიც ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ლიტერატურის დიდი მეგობერია ინგლისურენოვან სამყაროში.

ევროპის წიგნსაცავებში და, კერძოდ, ბრიტანეთის მუზეუმში ქართული ხელნაწერების გამოჩენამ, პარიზსა და ინგლისში სააზიო საზოგადოების დაარსებამ, მ. ბროსეს შრომების ინგლისურ ენაზე თარგმნამ ხელი შეუწყო ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, საფუძვლის ჩაყრას ინგლისში. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ცხოველდება ქართულ-ინგლისური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანიც.

ინგლისურმა ქართველოლოგიურმა სკოლამ (აქ იგულისხმება ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში მოღვაწე ორიენტალისტები) დიდი ღვაწლი დასდო ქართული კულტურის პროპაგანდას ევროპაში და მკითხველს გააცნო როგორც ქართული კლასიკური მწერლობის პირველხარისხოვანი თარგმანები, ასევე შესანიშნავი მეცნიერული გამოკვლევებით სწორი ორიენტაცია და წარმოდგენა შეუქმნა მათ ქართული კულტურის კარდინალურ საკითხებზე. მარჯორი უორდროპმა მის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნით“ არა მარტო პოპულარიზაცია გაუწია ქართული ლიტერატურის ამ შესანიშნავ ძეგლს, არამედ დააინტერესა ინგლისელი მეცნიერები ქართული სასულიერო მწერლობით, კლასიკური ხანის ლიტერატურ-



რით, ფოლკლორით, მითოლოგიით, ქართული ანბანის წარმოშობა და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხით.

და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ შექმნილი ქართველოლოგიური შრომების ბაზაზე ინგლისში დიდი მუშაობა გაიშალა XX საუკუნის 40--50-იან წლებში. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ცნობილი ქართველოლოგის რობერტ სტივენსონის მოღვაწეობა. მან ინგლისურ ლიტერატურას შესძინა არა მარტო შესანიშნავი მეცნიერული შრომები, არამედ ქართული კლასიკური ძეგლების მაღალმხატვრული თარგმანები. მის მიერ თარგმნილი მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელთაც დართული აქვთ მდიდარი სამეცნიერო აპარატი, უდავოდ მოწმობენ მეცნიერის უდიდეს დაინტერესებას ქართული კულტურით.

შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელ ორიენტალისტთა წყალობით დღეს მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ენაზე თარგმნილია ქართული კლასიკური მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები<sup>1</sup>.

რობერტ სტივენსონმა (დაიბადა 25.VIII. 1920, გლაზგო) 1945 წელს დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი, 1960 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ჯერ მუშაობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე, მოგვიანებით კვლევა-ძიება განაგრძო ოქსფორდში. ბოლოს მშობლიურ გლაზგოს დაუბრუნდა და იქ გააგრძელა მეცნიერული მუშაობა. ოლივერ უორდროპისა და ინგლისელი მეცნიერის რენე გრუსეს შრომებმა ქართველოლოგიის დარგში დიდი როლი შეასრულეს მის დაინტერესებაში ქართული ლიტერატურით. ქართულ ენას კი დაეუფლა და საკმაოდ საფუძვლიანადაც, ლონდონის უნივერსიტეტში ა. გუგუშვილისა და საზღვარგარეთ მცხოვრებ სხვა ქართველების დახმარებით.

მეცნიერის კვლევა-ძიების სფერო ნელ-ნელა გამოიკვეთა და თვალსაჩინო გახდა მისი დაინტერესება რუსთაველითა და მისი პოემით. რ. სტივენსონმა ზედიზედ გამოაქვეყნა გამოკვლევები „ვეფხისტყაოსანზე“, რომლებშიც სცადა აეხსნა რუსთაველის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალები, განემარტა რუსთაველის შემოქმედების თავისებუ-

<sup>1</sup> თარგმნილი ძეგლებიდან აღსანიშნავია: „სიბრძნე ბალავარისა“ (დ. ლანგი), „ვისრამიანი“ (ო. უორდროპი), „ამირანდარეჯანიანი“ (რ. სტივენსონი), „ვეფხისტყაოსანი“ (მ. უორდროპი, ვ. ურუშაძე, რ. სტივენსონი, ქ. ვივიანი).



რებანი, მისი მხატვრული აზროვნების ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი წყაროები. მეცნიერი იმდენად შთააგონა „ვეფხისტყაოსნის“ სიღიადემ, რომ იგი არასოდეს განშორებია ამ ჯადოსნურ პოემას და მეოთხედი საუკუნის დაძაბული მუშაობის შედეგად 1977 წელს ამერიკაში გამოაქვეყნა კიდევ ეს თარგმანი.<sup>2</sup> რობერტ სტივენსონი დედანში გაეცნო პოემას და შეიგრძნო ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა განუმეორებელი სურნელი, ქართული სიტყვის ნიუანსები.

მაგრამ რუსთველოლოგიური საკითხების კვლევის პარალელურად რობერტ სტივენსონი მუშაობდა ქართული კლასიკური ხანის მნიშვნელოვანი ძეგლის — მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ კვლევა-სა და თარგმნაზე. „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტის შესწავლას მკვლევარმა შეიძლია წელი მონადომა (1951—1958). თარგმანს უძღვის შესანიშნავი გამოკვლევა — წინასიტყვაობა, რომელშიც დასმულია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქართული სარაინდო რომანის და, კერძოდ, „ამირანდარეჯანიანის“ წარმოშობის დროის, ავტორობისა და ადგილის შესახებ. დართული აქვს სრულყოფილი სამეცნიერო აპარატი. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც მრავალი მიზეზის გამო ამ ძეგლის შესწავლა ისეთი გზით წარიმართა, რომ იმთავითვე საკამათო გახდა ნაწარმოების ქართული ეროვნული, ორიგინალური წარმოშობის თემა. მ. ბროსედან და ნ. მარიდან მოყოლებული „ამ რომანის ეროვნულ და უცხო წარმოშობის თვალსაზრისთა ბრძოლა ქართული მწერლობის ისტორიაში მთელ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა და დაკავშირებული იყო ქართული კულტურის წარმოშობის, მისი დამოუკიდებელი გაგების, მისი ძირების მონახვის, კერძოდ კი ქართული მწერლობის საერთო საკითხების გადაწყვეტის ცდებთან, იმ ამოსავალი დებულების მონახვასთან, რომ ქართულ შემოქმედებას ყველა მის გამოხატულებაში ეროვნული მნიშვნელობა და გააზრება ჰქონდა თუ ეპიგონური იყო (იუსტ. აბულაძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, კ. დონდუა, დ. კობიძე, მ. ჩიქოვანი, შ. ნუცუბიძე, დ. ლანგი)“<sup>3</sup>.

„ამირანდარეჯანიანში“ სპარსული წარმოშობის თეორიის ამოტივ-

<sup>2</sup> აღნიშნულ გამოცემას დართული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა შენიშვნებით, ორი კომენტარი სათაურებით: „გარეგნული სილამაზე და მნათობთმეტყველება“; „უზომო ტირილი და გრძნობათა გამოხატვის უშუალობა“. თარგმანს ერთეის აქადემიკოს ალ. ბარამიძის ვრცელი ბოლოსიტყვაობა.

<sup>3</sup> გ. იმედაშვილი, „ამირანდარეჯანიანი“, წიგნში „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966, გვ. 53.



ტივება, ალბათ უფრო იმ გარემოებამ განაპირობა, რომ დ. ლანგი ბოდლეს ბიბლიოთეკაში მიაკვლია „ამირანდარეჯანიანის“ მიჩნეულ „ყისაი ჰამზას“ ტექსტის უცნობი ქართული თარგმანის გვიანდელ რედაქციას და ამან მას, ტექსტების შეჯერების გზით, თითქოს, უფრო მეტი საფუძველი მისცა განევითარებინა თავისი თეორია. მეორეც, დ. ლანგი და მერედით-ოუენსი არ დაეთანხმნენ ქართველ მეცნიერებს და მათ კვალზე — არც სტივენსონს იმაში, რომ მართალია, თხზულებაში საგრძნობია სპარსული ნაციონალური ტენდენციის კვალი, გამორიცხული არაა, რომ მოსე ხონელი იცნობდა „ყისაი ჰამზას“ ტექსტს და შეეძლო ესარგებლა მისი ამა თუ იმ მოტივით და ეპიზოდით; ფაქტია, ქართული თხზულების გმირი ატარებს „ყისაი ჰამზას“ ხასიათის არაერთ თვისებას, მაგრამ რომანი მაინც ქართული ცხოვრებისა და იდეალების გამომხატულებაა.

ამ თვალსაზრისით, უდავოდ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „რაინდის აღნიშნულ თვისებებში რომელიმე ეროვნების, ამ შემთხვევაში კი მხოლოდ ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი შეიძლება ძნელად გამოიკვეთოს, რამდენადაც რაინდული ყოფა თავისი იდეალებით შუა საუკუნეთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის საერთოდ გავრცელებული თემების წყაროა. ამიტომ აქ ძნელია ყოველი ცალკეული მოტივის პირველი ადგილსამყოფელის ზუსტი განსაზღვრა, როგორც ეს ხერხდება ზოგი სპარსული, ანდა ქართული ლიტერატურული თუ ისტორიული სინამდვილით დამოწმებული მოტივის მიმართ. მაგრამ ხალხის საზოგადოებრივ გემოვნებაში ეს იდეალები და მოტივები თავისებურ ფორმაშია გადატეხილი და ეროვნული სახეებისათვის წარმოქმნილი“<sup>4</sup>. თუკი სტივენსონის მიერ დამოწმებულ სტენდალის ულამაზესი გამოთქმის სიმართლეს დავიჯერებთ, რომ „არაბი ბედუინის მოშავო კარავში უნდა ვეძებოთ ნიმუში და სამშობლო ჭეშმარიტი სიყვარულისა“<sup>5</sup>, მაშინ აქედან ბევრი საგულისხმო დასკვნის გაკეთება შეიძლება.

თავისთავად ცხადია, შუა საუკუნეების ევროპული სარაინდო რომანის ძირითადი პერსონაჟი, თავადასავლების მაძიებელი რაინდი, ბევრით იქნება დავალებული სწორედ სპარსი თუ არაბი რაინდებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებისაგან, ამიტომ, თუ ზოგა-

<sup>4</sup> გ. იმედაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.

<sup>5</sup> ტექსტების მოკლე შინაარსი ქართულად თარგმნა ა. გამყრელიძემ (ა. გამყრელიძე, კემბრიჯელი მეცნიერი „ვეფხისტყაოსნისა“ და პროვანსული პოეზიის შესახებ. „ცისკარი“, 1957, № 3.



დად ავიღებთ რაინდის სახეს ლიტერატურაში და თვალს გავაღწეოთ ნებთ მისი, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის ევოლუციის, დავინახავთ, რომ რაინდის სქემაში იმდენად ბევრი საერთო ნიშან-თვისებაა და იმდენად მეორდება საგმირო საქმეთათვის დამახასიათებელი მოტივები და თემები, რომ მხოლოდ გავლენებზე ლაპარაკი საკითხის გამარტივება იქნებოდა. რაინდის სახის გაგება, უდავოდ, ატარებს თავისთავში ზოგადკაცობრიულ ნიშნებს და ამიტომაც საგმირო-სარაინდო რომანის ჟანრს ეს უზოგადესი ნიშნები, რა თქმა უნდა გააჩნია.

რ. სტივენსონის წინასიტყვაობა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია „ამირანდარეჯანიანზე“ დაწერილ გამოკვლევათა შორის. მას ეს ძეგლი მიაჩნია ქართული მწერლობის გარკვეულ მიღწევად. ამიტომაც იწყებს წინასიტყვაობას მ. ბროსეს სიტყვებით: „ეს არის რომანი პროზად, მოსე ხონელის მიერ ძველ ქართულად დაწერილი მშვენიერი ნაწარმოები. შედგება თორმეტი კარის ან ზღაპრისაგან და ეწოდება „ამირანდარეჯანიანი“. ამირანის მთავარი პერსონაჟი, რომელიც წარმოშობით ბაღდადიდანაა და მამაცი გმირია, მრავალ საგმირო საქმეს ჩაიდენს და ბევრ ომში მიიღებს მონაწილეობას, რაზედაც მწერალი დაწვრილებით მოგვითხრობს... მოსე ხონელი... იყო მდივანი ბრწყინვალე თამარ მეფისა, გიორგი III შვილისა, რომლის სახელიც უკვდავია!..“ როგორც სტივენსონი განმარტავს, 1838 წელს მარი ბროსემ აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა „ამირანდარეჯანიანს“ და ევროპელ მკითხველს პირველი ცნობა მიაწოდა შუასაუკუნეების ცივილიზაციის ერთ-ერთ ადრეულ ძეგლზე. სტივენსონის წინასიტყვაობა, რომელიც 9 ქვეთავისაგან შედგება, ამ ძეგლის გარშემო არსებული ყველა შეხედულების კრიტიკულ განხილვას შეიცავს და მეტყველებს მეცნიერის დიდ ერუდიციასა და განსწავლულობაზე, ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი საკითხების ღრმა ცოდნასა და მის დიდ შემოქმედებით უნარზე.

წინასიტყვაობაში სტივენსონი მსჯელობს აგრეთვე „ამირანდარეჯანიანისა“ და ხალხური „ამირანის“ ურთიერთმიმართების თაობაზე, ასკვნის, რომ მათ შორის უსათუოდ არის შეხების წერტილები, მაგრამ ურთიერთმიმართების გამოკვლევა ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემის დამატებად აღიქმებოდა. ეს პრობლემა კი, მეცნიერის აზრით, ძეგლის ორიგინალურობის საკითხია.

სწორედ ამ პრობლემის კვლევა არის სტივენსონის წინასიტყვაობის ძირითადი ქვაკუთხედი. ცნობილია, რომ ამ საკითხზე სამი სხვა-

დასხვა მოსაზრება არსებობდა და ისინი თავის დროზე კ. კეკელიძემ მიმოიხილა და შესაბამისი დასკვნები გააკეთა.<sup>6</sup>

პირველი. ზ. ჭიჭინაძესა და მ. ჯანაშვილს „ამირანდარეჯანიანა“ ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნდათ და ფიქრობდნენ, რომ აქ ალეგორიულ-იგავურად არის წარმოდგენილი სჯულისა და თავისუფლებისათვის საქრისტიანო საქართველოს ბრძოლა არაბ-სპარს-თურქების წინააღმდეგ. თუმცა, — აღნიშნავს კ. კეკელიძე, — ისინი ამის არავითარ დამამტკიცებელ საბუთს არ იძლეოდნენ. მეორე. XX საუკუნის დასაწყისში ა. გრენმა და შემდეგ ა. ხახანაშვილმა ეს ძეგლი ნახევრად ორიგინალურ, ნახევრად ნათარგმნ თხზულებად მიიჩნიეს. ზოგიერთი ეპიზოდი პირდაპირი თარგმანიც კი ეგონათ. მესამე შეხედულება, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალობის საკითხი, ეკუთვნოდა ნ. მარს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში იმთავითვე იქნა დამტკიცებული, და საკმაოდ საფუძვლიანადაც, რომ აღნიშნული თხზულება ორიგინალურია და ქართულ ცხოვრებას ემყარება, თხზულების სპარსულობის თემას ბევრი მიმდევარი გამოუჩინდა უცხოეთში. ნ. მარის მოწაფე, ამერიკელი ორიენტალისტი რ. ბლეიკი, ფიქრობდა: „უეჭველია, რომ ეს ძეგლი თუ სიტყვასიტყვით თარგმანი არა, ყოველ შემთხვევაში სპარსული ორიგინალის ადაპტაცია მაინც არისო“. მარის თეორიას მეტ-ნაკლებად ემხრობოდნენ ჟ. კარსტი და ბლაიხშტაინერი.

სტივენსონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი შესანიშნავად იცნობს ქართულ მასალას, გვაძლევს ამ საკითხზე არსებულ ქართულ თუ უცხოურ გამოკვლევათა კრიტიკულ ანალიზს და ნელ-ნელა კვებს თავის პოზიციას.

იმ დროისათვის, როცა სტივენსონი „ამირანდარეჯანიანზე“ გამოკვლევას წერდა და ამ ძეგლს ინგლისურ ენაზე თარგმნიდა (1951—1958) ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, თითქოს, ძეგლის ორიგინალურობის საკითხი საკამათო აღარ იყო, და, როცა დ. ლანგმა ძველი თეორიები კვლავ წამოატივტივა, ალ. ბარამიძე სინანულით წერდა: „მათ ამ მოზრდილ სტატიაში დასვეს პრინციპული ხასიათის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი და თითქოს უკვე დამტკიცებული საკითხი ისევ სადავო გახდა. ჩვენი ნარკვევი თავის დროზე მიჩნეულ იქნა „მე-

<sup>6</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981.



ორე ახალ პერიოდად“. ამირანდარეჯანიანის კვლევის ისტორიაში ნ. მარის შემდეგ, ამ ნარკვევმა ნებსით თუ უნებლიეთ პირველმკვლევარმა ანუ ამირანდარეჯანიანის სპარსულობის თეორია და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა იგი. ამის შემდეგ ბევრმა მკვლევარმა გადასინჯა თავისი დებულება. „აწინდელი გავრცელებული შეხედულებით, — აღნიშნავდა ალ. ბარამიძე, — „ამირანდარეჯანიანი“ მიზნეულია სიუჟეტის მხრივაც ორიგინალურ თხზულებად“<sup>7</sup>. გავრცელებულ შეხედულებაში ალ. ბარამიძე, უთუოდ, გულისხმობდა იმას, რომ მისმა თვალსაზრისმა თავისი გამოხატულება ჰპოვა „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“, რომელსაც თავის მხრივ, დაეყრდნო რ. სტივენსონი.

აუცილებელია აღნიშნოს ის გარემოება, რომ სტივენსონი ძველის ორიგინალურობის მტკიცებას უდგება შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან და ამის შესახებ წერს კიდევაც თავის წინასიტყვაობაში. ეს ნიშნავდა მკვლევარის მიერ სარაინდო რომანის საერთო სქემაში ქართული ძეგლის ადგილის მოძებნას, და, მიუხედავად უცხო გარემოსი და გმირთა უცხო წარმომავლობისა, იმ პლასტების მონახვას, რომლითაც „ამირანდარეჯანიანი“ თავისი ძირებით ებჯინება როგორც ხალხური შემოქმედების ღრმა წყაროებსა და ფანტაზიას, ისე პიროვნული შემოქმედის გემოვნებას, რომლის ბრძმედში ის საბოლოოდ იღებს დასრულებული ეპიკური თხზულების ფორმას“. ამ თვალსაზრისით, სტივენსონმა არ გაიზიარა მარის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ ნაწარმოების მთელი სიუჟეტი უცხო გარემოში ვითარდება, პერსონაჟები ბაღდადის ხალიფას ვასალები არიან, ნაწარმოებში ბევრი სახელი სპარსული წარმომავლობისაა და ა. შ.

რ. სტივენსონის კვლევა-ძიების დამსახურებად შ. ნუცუბიძეს მი-აჩნია, რომ „სტივენსონს ყოველთვის დიდი მეცნიერული სიზუსტე ახასიათებს...“ განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ სტივენსონს სწორად ესმის ძირითადი, სახელდობრ, ის „რომ „ამირანდარეჯანიანი“ შექმნილია ხალხური ძეგლის „ამირანიანის“ ნიადაგზე. რაც შეეხება იმას, რომ არის ეს ამირანი — პრომეთეს მომდევნო (პოსტპრომეთეან) თუ პირიქით, ამაში მკვლევარი ადვილად გაერკვევა, თუ ჩვენ შევძელით მასალის მიწოდება“.

სტივენსონის აზრით, „ამირანდარეჯანიანის“ შექმნის ეპოქა განუხ-

<sup>7</sup> ალ. ბარამიძე, ამირანდარეჯანიანის გარშემო, წიგნიდან „ძველი ქართული მწერლობის პრობლემები“, თბ., 1980, გვ. 270.  
<sup>8</sup> იხ. მისი წინასიტყვაობა.

რელად მიდის იმ რაინდული სტილის შექმნისაკენ, რომელსაც მისი/აზრით, ერთიანად მივყავართ რუსთაველის პოემამდე და კრეტიკ/ტრუას რომანამდე („კრიყე“).

შ. ნუცუბიძის დასკვნა ასეთია: „რამდენადაც მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურისა და კულტურისათვის სტივენსონის პოზიცია, იმდენად ფასი ეძლევა მის მოსაზრებას. ღირსეული და მნიშვნელოვანია მის მიერ ინგლისურ ენაზე გულდასმით და საქმის ცოდნით თარგმნა... ნათელია, რომ „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისური გამოცემის ავტორსა და მკვლევარს შეთვისებული აქვს კონცეპცია ქართული ლიტერატურული აღორძინებისა, რომელიც „ამირანდარეჯანიანით“ იწყება და რუსთაველით თავდება, როგორც ეს დამუშავებულ იქნა ქართულ მეცნიერებაში. მიუხედავად ზოგიერთი ეჭვისა, რომელიც ნ. მარისა და მისი მიმდევრების მიერ რუსთაველის პოემის ეპილოგის ნამდვილობის უარყოფამ შეუქმნა ჩვენს ავტორს, მან მაინც შეძლო ამ ეჭვის გაფანტვა. დ. მ. ლანგის მიერ ქართულიდან თარგმნილ ჩვენს ძეგლს „სიბრძნე ბალავარისა“, თან მოჰყვა რ. სტივენსონის მიერ თარგმნილი „ამირან-დარეჯანიანი“. ორივე ძეგლის ინგლისურ ენაზე გამოცემას მარტო ის მნიშვნელობა კი არა აქვს, რომ მშვიდობიანი კულტურული თანამშრომლობის პირობებში დასავლეთში ჩვენი კულტურის ძეგლები ვრცელდება, არამედ ისიც, რომ დასავლეთი, როგორც სტივენსონს კარგად აქვს ნაჩვენები, თავისი კულტურის აღმოსავლურ ძირებსაც ეცნობა“.

\* \* \*

70-იანი წლების მიწურულს ინგლისურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ რიგით მეოთხე თარგმანი გამოქვეყნდა. ეს თარგმანი, თავისი წინასიტყვაობითა და კომენტარებით, რობერტ სტივენსონის მიერ შესრულებული, ინგლისელი მეცნიერის მიღწევად უნდა ჩაითვალოს, საერთოდ რუსთაველის შემოქმედებასა და მის პიროვნებაზე მთლიანი კონცეპციის აგება, ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობის მსოფლიო მასშტაბით გააზრება, ქართული პოეტური კულტურის ღრმა ფესვების შემეცნებასა და შესისხლხორცებას მოითხოვს ყოველი მეცნიერისაგან, მით უმეტეს — უცხოელისაგან. რ. სტივენსონის მთელი რუსთაველოლოგიური მოღვაწეობა იმას მოწმობს, რომ მას შესანიშნავად აქვს გააზრებული რუსთაველური კორპუსის მთელი პრობლემატიკა, თანამედროვე რუს-

თველოლოგიის ამოცანები, ვეფხისტყაოსნის ინგლისურ ენაზე გადართმევის სახვის სიძნელეები.

ვეფხისტყაოსნის თარგმნა ინგლისელმა მეცნიერმა პომასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების კვლევით დაიწყო. მის რუსთველურ ძიებებში გარკვეულად აირეკლა, და ეს სხვანაირად შეუძლებელიც იყო, ქართული კრიტიკის, ფილოლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ტენდენციები, რომელთაც თავისი ნაკლიც გააჩნია და ღირსებაც, მაგრამ მეცნიერმა მაინც შეძლო რუსთველოლოგიური პრობლემების საკუთარ მეცნიერულ ბრძმედში გატარება და ძალდაუტანებელი და ლოგიკური დასკვნებით, ძირითადად სწორად გადაწყვიტა ვეფხისტყაოსნის კონსტრუქციისა და მისი შემოქმედებითი მეთოდის გაგების საკითხები.

ვეფხისტყაოსანსა და მის ავტორს რ. სტივენსონმა შემდეგი გამოკვლევები მიუძღვნა: 1. „ქართული რაინდული სიყვარული“, რომელთაც იგი ორიენტალისტთა მეოცე საერთაშორისო კონგრესზე წარსდგა 1954 წელს ინგლისში; 2. „შენიშვნები რუსთაველის ვეფხის სიმბოლოს თაობაზე“; 3. „რუსთაველი და არიოსტო“; 4. „რუსთაველის თარგმნის საკითხები“. 5. „ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა“ — გამოკვლევა კომენტარებითა და შენიშვნებით.

ყველა ეს გამოკვლევა თავისებურად მნიშვნელოვანია და ყურადსაღები. მკვლევარს ისინი წამოეჭრა გზადაგზა ვეფხისტყაოსნის ტექსტის თარგმნისა და მასთან უშუალოდ შეხებისას. ამ მეცნიერული ნარკვევების ყურადღებით წაკითხვისას საკამათო საკითხებიც წამოიჭრება, შესაძლოა, მკვლევარს არ დაეთანხმო, მაგრამ პირველი, რაც უსათუოდ კეთილად განაწყობს მკითხველს ინგლისელი მკვლევარისადმი გახლავთ ის რომ მეცნიერი არასოდეს არ ივიწყებს, რომ ვეფხისტყაოსანი ადამიანურ ვნებათა ჭიდილზე, მათ სულში დატრიალებულ ქარიშხალზე, სასოწარკვეთასა და იმედზე, ხასიათთა ინდივიდუალობაზე, პიროვნების სულის ხვეულების საიდუმლოებაზე დაწერილი პოემაა და არა ეგზოტიკური რომანი ევროპელთათვის „უცხო“ და „გაუგებარი“ სისხლის ცრემლებით, ფიზიკური ძალ-ღონის კულტით, გმირის ფათერაკიანი თავგადასავლებით, აღმოსავლური თვალისმოშვებული ბრჭყვიალა მეტაფორებით და ა. შ.

მთარგმნელს ვეფხისტყაოსანი გაგებული აქვს, როგორც სულითა და ხორციტ ძლიერი ადამიანური სტიქიის გამომხატველი ნაწარმოები, სადაც პოეტის მზერა მუდამ გმირის სულის ჩვენებაზეა გადატანილი. გმირის მომაჯადოებელი სილამაზე მოვლენის მხოლოდ ზედაპირული



და ემპირიული დახასიათებაა. აქედან იწყება გმირის სულის თავისუფალი სავალი, სადაც ფათერაკიანი ამბები გმირის პიროვნების მესვენიერებას და გამოცდას ემსახურება. ტარიელის მკმუნვარე სახე და მდულრად ანატირი გული, სისხლის ცრემლები, ბროლის წვიმებისათვის დაგებული გიშრის ღარები, ადამიანებთან დაშორება და განმარტოებული ცხოვრება (სევდად მექცა კაცთა ნახეა), ხორცისა და სულის გაყრაზე განუშორებელი ფიქრი, შესაძლოა, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ზედმეტ და უსარგებლო ჰიპერბოლად მოეჩვენოს. ვეფხისტყაოსანში იმდენი ცრემლი და ტირილია რომ „მსოფლიო წარღვნის“ მოლოდინი გაპყრობს უნებურად. მაგრამ ამ მხატვრულ „სამკაულს“ რუსთაველი ისეთ დამაჯერებლობას სძენს, რომ სრულიად ნათელია, ეს არის სულიერი განწყენდისა და კეთილშობილების, ჭირთა თმენისა და სულიერი გამოცდის ურთულესი გზა, რომლის გადატანის შემდეგ მკითხველის თვალწინ იბადება ზნეობრივად ამაღლებული პერსონაჟი და მისი ხასიათი.

რობერტ სტივენსონმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ცრემლთა ოხევის ამ მომენტს ვეფხისტყაოსანში და იგი პოემის აუცილებელ და ბუნებრივ ატრიბუტად მიიჩნია წინააღმდეგ იმ თვალსაზრისისა, რომლის მიხედვითაც, გრძნობათა ასეთი უზომო და გადაჭარბებული გამოხატვა ევროპელი მკითხველისათვის გაუგებარია.

აი, კერძოდ, რას მიუთითებს ინგლისელი მკვლევარი ვეფხისტყაოსანის ინგლისური თარგმანის კომენტარში, რომლის სათაურია — «„უზო-მო ტირილი და გრძნობათა გამოხატვის უშუალობა „ვეფხისტყაოსანში“»: ჰიპერბოლიზებული ცრემლთა ღვრა ტრადიციული, სტერეოტიპული ემოციურობის გამომხატველი, უბრალო პირობითი ხერხი როდია, — იგი უნდა შეფასდეს როგორც სულის ზეობის გამოვლინება, როგორც ერთგვარი პასუხი ბედის ტრიალსა და ცხოვრების ჭირ-გარამზე, რომელიც ისეთივე ყურადღების ღირსია, როგორც სიმამაცე, ერთგულება ან მიზნისაკენ სწრაფვა. ცრემლები, რომელთაც აკთანდილი ღვრის ტარიელის ჭირ-ვარამის გამო, სულის კეთილშობილების დადასტურებაა, ისეთივე შთაბეჭედავი, როგორც მზადყოფნა — მარტოხელა შებმოდა მეკობრეთა რაზმს; ნესტანის დაუსრულებელი ტირილი გულანშაროში სულაც არ ეწინააღმდეგება მედიდური დედოფლის ხასიათს, ვინც ხელმწიფური ნებით თავისი მიჯნური ერთ ღროს საომრად გაგზავნა... აქ საჭიროა იმის გახსენება, თუ რაოდენ შემოფარგლულია დროითა და სივრცით ჩვენი შეხედულებების სისტემა ყოფილივეს შესახებ. რუსთაველის დასავლელ თანამედროვეებს სულაც



არ გაუკვირდებოდათ მისი გმირებისათვის ნიშანდობლივ ემოციათა გამოხატვად გამოხატვა; რუსთაველამდე ორი თაობით აღრე ჯოფრი მონსი-თელს სავსებით ბუნებრივად მიაჩნია, რომ ჭირ-ვარამგამოვლილ ძმას „უნდა გადავეხვიოთ სანუგეშოდ და ვაკოცოთ მისი გულის გასახარებლად“. ხოლო ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს სარაინდო რომანის შოტლანდიელი ავტორი, სერ უილიამ ალექსანდერი, ორი ყრმის შეხვედრას ასე აღწერს: „ჯერ მათნი სულნი შეეგებნენ ერთ-ერთს და მერმედ სხეულთა ნაწილნი, მაგრამ აჰ, ვიდრე გადახვეულნი იყვნენ, ვით ორი ლერწი, ერთმანეთზე გადაჭდობილი, სიყვარულის მძლავრმა ტალღამ ისე დაუბა ორთავეს ენა, რომ არ შესწევდათ ძალა სიტყვით გადმოეცათ ენით გამოუთქმელი განცდა“<sup>9</sup>. ეს ვრცელი ამონაწერი კარგად მოწმობს იმ გარემოებას, რომ ინგლისელ მკვლევარს ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ბედის უკუღმართობით გამოწვეული მწუხარე სახეები ცხოვრებისეული სინამდვილის ლოგიკურ გამოხატულებად მიაჩნია და გრძნობს და განიცდის კიდევ მათ მიერ გადატანილ სულიერ დრამას. სტივენსონის ეს პოეტური სმენა არაერთგზის გამოვლინდა მის თარგმანშიც და მეცნიერულ ნარკვევებშიც.

რ. სტივენსონის მიერ დასმულ რუსველოლოგიურ საკითხთაგან პირველ რიგში, შეიძლება გამოვყოთ ვეფხისტყაოსნის ნათესაობა აღმოსავლურ პოეზიასთან.

ვეფხისტყაოსნის აღმოსავლური ძირების ძიებისას რ. სტივენსონი, ვფიქრობთ, ზომიერებას იჩენს და რუსთაველის მხატვრულ სახეთა თუ მისი იდეოლოგიის სააზროვნო სინამდვილის საფუძვლების კვლევისას რუსთაველს მაინც საკუთარი, განსაკუთრებული შთაგონებისა და წარმოსახვის შემოქმედად მიიჩნევს. ნიშანდობლივად მიმაჩნია ის გარემოება, რომ ინგლისური ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობას ის იწყებს შემდეგი ტაეპის განმარტებით: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“. ამით, თითქოს, თავიდან უნდა აიცილოს ყოველგვარი გაუგებრობა, რომელსაც წააწყდება ინგლისელი მკითხველი პოემის გაცნობისას. აი, რას წერს რ. სტივენსონი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“, ვეფხისტყაოსნის დაბასიათებაა პროლოგში, ამ სტროფის რუსთველურობაში ეჭვი შეჰქონდათ, მაგრამ ეს ეჭვები ვერ დაადსტურეს და ეს კი ძალზე ნიშანდობლივია. თუმცა ნაწარმოები სრულიადაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, მის სპარსულ

<sup>9</sup> რ. სტივენსონი, ორი კომენტარი, ლიტერატურული საქართველო, 15 აპრილი, 1983, თარგმანი ი. კენჭოშვილისა.



წარმომავლობაზე ვიფიქროთ; სპარსნი მხოლოდ ერთ პატარა ეპიზოდში  
ში გამოჩნდებიან, როგორც არასასიამოვნო უცხოელები... პროლოგის ეს  
სტროფი, ალბათ, გაგებულ უნდა იქნას როგორც პოეტური მინიმუმება  
ისეთ ამბავზე, როგორსაც სპარსი პოეტები წერენ. ამ თვალსაზრისით,  
რუსთაველის სიტყვები, ალბათ გარკვეულ სიმართლესაც შეიცავენ“<sup>10</sup>.

რობერტ სტივენსონს მრავალ მოსაზრებათა გამო, უფრო ანგარიშ-  
გასაწევად მიაჩნია რუსთაველის შთაგონების აღმოსავლური ძირების  
კვლევა-ძიება და ნაკლებ შედეგიანი ეჩვენება ვეფხისტყაოსნის ანა-  
ლოგის ძებნა დასავლეთეუროპულ სარაინდო რომანში. ყოველ შემ-  
თხვევაში, იმ ფაქტს, რომ თავის ნარკვევში მან ძირითადად გამოკვეთა  
თემა „რუსთაველი და აღმოსავლური სამყარო“, მრავალი ახსნა მოე-  
ძებნება. მკვლევარმა ამ თემას სწორი ინტერპრეტაცია მისცა იმ კუ-  
თხით, რომ მრავალმილიონიან უცხო მკითხველს უჩვენა და გააგები-  
ნა, რომ ეს არის ეროვნული ეპოსი, სადაც უცხო, არაქართველი გმი-  
რებისა და ქვეყნების გარემოცვაში ეროვნული სინამდვილის განცდა,  
ქართული სახელმწიფო იდეალი, სოციალური ჰარმონიის შეგნება, პი-  
როვნების თავისუფლებისა და მისი პროგრესული იდეალების ქადა-  
გება ისეთნაირად არის მოცემული, რომ რეალური ისტორიის ნატა-  
მალი და კვალიც კი არსად ჩანს.

ამ მომენტს ქართველი კაცისათვის არასოდეს შეუშლია ხელი,  
რომ „ვეფხისტყაოსანი“ გაეგო, როგორც ქართული სინამდვილე, თუმ-  
ცა სხვა ეროვნულ ეპოსთა უმეტესობა ისტორიულ ქარგაზეა აგებუ-  
ლი და ერთგვარად გალექსილი ისტორიაა. რუსთაველმა ისეთი პო-  
ეტური ძალით აჩვენა ქართული სინამდვილე, ისეთი ფსიქოლოგიური  
სიმართლით დახატა ქართული პატრონყმური იდეალები, რაც მხო-  
ლოდ საკუთრივ ქართული საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებ-  
ელი. თუმცა პოემის ორიგინალობისა და ეროვნულობის დასამტკიცებ-  
ლად მკვლევარებს არაერთგზის უცდიათ კონკრეტული ისტორიული  
ანალოგების მოძებნა ქართული სინამდვილიდან და, ბუნებრივია, მო-  
უნახავთ კიდევ, რადგან ვეფხისტყაოსანი საამისოდ უხვ მასალას იძ-  
ლევს. მაგრამ ამით პოემის ეროვნულობის დამტკიცება არასწორი და  
გულუბრყვილო გზა იყო. მხატვრულ ტექსტთან კონკრეტული ისტო-  
რიის ამ მიზნით მიყენება მეცნიერულ მიზანს ვერ აღწევს. რუსთავე-  
ლის მხატვრული განცდა შორს არის ისტორიული სინამდვილის აღ-

<sup>10</sup> რ. სტივენსონის ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა, გვ. XII.



წერისაგან. ეს ამოცანა მისი, როგორც პოეტის, ფუნქციაში საერთოდ არ შედის და ამით მისი პოემის ფორმაცა და შინაარსიც ერთმანეთთან დახვეწილ მიმართებაშია.

დასავლეთევროპული სარაინდო ლიტერატურისა და ვეფხისტყაოსნის დამოკიდებულების საკითხს სტივენსონი შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან ხსნის და ეს გზა მართებულად გვესახება. ვინც სხვადასხვა ლიტერატურათა შედარების დროს არ გაითვალისწინებს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სპეციფიკას, შესაძლოა, თავისი ნააზრვეი ჩიხში მოამწყვდიოს და ზედაპირული, ემპირიული მასალის მოძიების იოლ გზას დაადგეს, რაც, რასაკვირველია, საკვლევ ლიტერატურათა სპეციფიკურ, ეროვნულ თავისებურებებსა და განსხვავებებს ვერ დაადგენს. სტივენსონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ იდეოლოგიურ გარემოს, რომელშიც ყალიბდებიან როგორც ვეფხისტყაოსნის, ასევე ევროპული სარაინდო რომანის პერსონაჟები.

სტრუქტურული თვალსაზრისით საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ შედარება დასავლურ სარაინდო თხზულებებთან: კრეტიენ დე ტრუა „კლიჟეში“ შესამე ამბავს ისე იწყებს, რომ გმირი ჯერ არ არის დაბადებული. გოტრფიდ ფონ სტრასბურგელი ვერც კი ამთავრებს თხრობას ტრისტანის იზოლდასთან შეხვედრის შემდეგ. ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“ არ ჩანს ნათესაური კავშირი შემთხვევასა და შედეგს შორის. საეჭვოა, რომ შუა საუკუნეების რომელიმე სარაინდო რომანი, აღმოსავლური იქნება თუ დასავლური, ასეთ ურთულეს შემოქმედებით ჩანაფიქრში (იგულისხმება „ვეფხისტყაოსანი“. ნ. ა.) ასეთ ერთიანობას ფლობდეს<sup>11</sup>.

სავსებით ნათელია, თუ რა დიდ როლს ანიჭებს ინგლისელი მკვლევარი ვეფხისტყაოსნის არქიტექტონიკას, მის კომპოზიციურ აგებულებასა და სიუჟეტის ხვეულებრივ განვითარებას. რუსთაველს ანალოგს ვერ უძებნის თანამედროვეთა შორის და ავლენს ყველა იმ უპირატესობას და დამსახურებას, რაც მას მიუძღვის საერთოდ ლიტერატურაში. რუსთაველის დახვეწილობა და ლიტერატურული გემოვნება, მისი მთლიანი მსოფლშეგრძნება, სტივენსონს საშუალებას აძლევს ვეფხისტყაოსანი ინგლისურენოვან მკითხველს წარუდგინოს როგორც ჭეშმარიტი ეროვნული ეპოსი, რომელიც თამამად უსწორებს თვალს მსოფლიოს ლიტერატურულ ნიმუშებს და ხშირად უსწრებს

<sup>11</sup> იხ. დასახ. „წინასიტყვობა“, გვ. XX, XXI.



კიდევ ლიტერატურული სიახლეების დანერგვაში. მას სურს, რომ ვეფხისტყაოსანი უცხო მკითხველმა შეიმეცნოს, როგორც ეროვნული კულტურისა და სულის გამოხატულება, სადაც ყველაზე დიდი მშვენიერება ადამიანია, ადამიანის ნება-სურვილი და მისი სტიქია კი — ყოვლისშემძლე ფაქტორი და ამიტომაც რუსთაველი არ წარმოგვიდგება, როგორც რომელიმე ფილოსოფიური სისტემის მიმდევარი ან გამლექსავი. სტივენსონს ვეფხისტყაოსნის მღელვარე ამბავი ხიბლავს მისი მხატვრული აზრითა და ლაკონურობით, აზრის სიცხადით, სიბრძნით, პოეტური ჩანაფიქრის სიღრმით და მისი გადაწყვეტით. იგი ხელოვნურად არ აკავშირებს პოემას რომელიმე ფილოსოფიურ მოძღვრებასთან.

ინგლისურენოვანი მკითხველისათვის ვეფხისტყაოსანზე ნათელი წარმოდგენის მისაცემად სტივენსონმა დიდი მუშაობა გასწია სწორედ მის თარგმნასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ვეფხისტყაოსანმა მეცნიერის წინაშე არაერთი ძნელად გადასაჭრელი საკითხი დასვა და ერთ-ერთი მათგანი იყო რუსთაველური ლექსის ინგლისურ ენაზე გადატანის საკითხი. რუსთაველური შაირი, თექვსმეტმარცვლიანი საზომი სათანადო სალექსო ინსტრუმენტს მოითხოვდა მეორე ენაზე, რათა ქართულ ენაზე არსებული დედნის ბადალი შექმნილიყო. სტივენსონს კარგად ესმის, რომ სწორი ფორმის არჩევანს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თარგმანისათვის და გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარიც ეს იქნებოდა. რასაკვირველია, ეპიკური პოემის თარგმნისას სულაც არაა საჭირო, რომ იგი იმავე საზომით ითარგმნოს, როგორც გააკეთა ზოგიერთმა მთარგმნელმა. პირიქით, ეროვნული სალექსო საზომების გადატანა სხვა ენაზე ძალიან ხშირად დიდი ზიანისა და მარცხის მომტანია. სტივენსონმა შესანიშნავად იცის, რომ რუსთაველის გენიალობა მის საზომში არ მდგომარეობს. „საზომში ავტორის გენიალობის ამოკითხვა ისეთივე გაუგებრობაა, როგორც მასში ტერფის ან ლექსის მთელი მეტრული სისტემის ძებნა“<sup>12</sup>. თუმცა, ვეფხისტყაოსნის მთარგმნელებს არაერთხელ უცდიათ ამ საზომის თავის ენაზე გადატანა, მაგრამ წარმატებისათვის არ მიუღწევიათ. ისევე როგორც ჰომეროსის თარგმნა ჰეგზამეტრით მრავალ ენაზე სცადეს, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ ააჟღერეს.

რ. სტივენსონი, პირველ რიგში, ვეფხისტყაოსნის თარგმნის დროს

<sup>12</sup> ა.კ. გაწერელია, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1975, გვ. 50.



ფორმის ეკვივალენტის ძებნას შეუდგა. დაიწყო ძიება იმისა, თუ რა გამოადგებოდა და დაამშვენებდა ქართულ პოემას ინგლისური პოეზიის არსენალიდან. მისთვის გასაგები იყო, რომ შაირი ქართული ენის ეროვნული სპეციფიკის გამომხატველ და უნივერსალურ-ვერსიფიკაციულ საზომს წარმოადგენდა ჩვენი პოეზიისათვის.

რაც შეეხება რითმის საკითხს, მისი გადატანა ინგლისელი მთარგმნელისათვის ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა ინგლისური პროსოდის თავისებურების გამო. ლექსის შინაარსის გამომხატველი სარიტმო სიტყვების თარგმნა გადაულახავ დაბრკოლებად აღიმართა რ. სტივენსონის წინაშე და აქ უკვე, ცხადია, ძნელი გახდა დაცულიყო რუსთაველის სტილის გამომხატველობა. მეტად ძნელი და, ალბათ შეუძლებელიც იქნებოდა აზრის სიცხადისა და ლაკონიზმის შენარჩუნება სტივენსონს ვერსიფიკაციული ფორმის დაცვა რომ მოეწადინებინა. იც, უსათუოდ ტექსტის ლალატისაკენ წაიყვანდა მას და მთარგმნელი ჩიხში მოემწყვდებოდა. მაშინ პოემა მიუწვდომელი და ძნელად აღსაქმელი გახდებოდა მკითხველისათვის.

რ. სტივენსონის მოღვაწეობის ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება ვრცელი ნაშრომი „რუსთაველის თარგმნის საკითხები“<sup>13</sup> (1960 წელი), რომელიც წინასწარი, მოსამზადებელი საფეხური იყო ვეფხისტყაოსნის თარგმანზე სამუშაოდ. მკვლევარის წინაშე იდგა უდიდესი ამოცანა არა მარტო პოემის ტექსტის სწორი წაკითხვისა და მისი იდეურ-ესთეტიკური სამყაროს აღქმისა, არამედ ძეგლის უნიკალური ფორმის ხელახალი რეკონსტრუქციისა შექსპირის ენაზე. ამდენად, ეს ნაშრომი ძალზე ფართო მიზნებს ისახავდა და დაკავშირებული იყო ისეთ პრობლემებთან, როგორცაა ქართული ეპოსის შესაძლებელი გააზრება სხვა ენაზე და მასთან დაკავშირებული არაერთი საკითხის გადაწყვეტა.

რ. სტივენსონმა ინგლისური ენის ყველა რესურსის გამოყენება სცადა და საბოლოოდ არჩევანი პროზაულ თარგმანზე შეაჩერა. თუმცა მთარგმნელსა და მკვლევარს შესანიშნავად ესმოდა, რომ პროზაული თარგმანი ფორმის მთელ სიმშვენიერეს შეიწირავდა, მაგრამ, საქადრაკო ენით რომ ვთქვათ, ხარისხის შეწირვით „პოზიციურ“ უპირა-

<sup>13</sup> R. H. Stevenson. On Translatiory Rustaveli. „Bedi Kartlisa“, № 34—35. 1960. აღნიშნული ნაშრომის თარგმანის ნაწილი ეკუთვნის მ. მამულაშვილს (იხ. მ. მამულაშვილი, ინგლისელი ქართველოლოგი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საკითხების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1961, № 3).



ტესობას მიიღებდა და, შესაძლოა, გამარჯვების საწინდარიც სწორედ ეს ყოფილიყო. მით უმეტეს, ევროპულ თარგმნით ლიტერატურას (განსაკუთრებით ფრანგულსა და ინგლისურს) უცხო ძეგლების პროზაულად თარგმნის საკმაოდ დიდი გამოცდილება და ტრადიცია გააჩნია, მაგრამ სტივენსონის თარგმანი არ არის პროზაული, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. აქ რუსთაველის ყოველი კატრენი (რუსთველურ სტროფებს კატრენებს უწოდებს მთარგმნელი) ცალკეა გამოყოფილი და სტროფად აღიქმება. ეს ერთგვარი მინიშნებაა რუსთაველის თხზულების პოეტურ აღნაგობაზე. ჩვენს წინაშეა უაღრესად ფაქიზად და ნატიფად მოწოდებული პოეტური პროზა, ხოლო თარგმანის დაქტილური და ტროქეული აღნაგობა პოეტურობის განცდას უტოვებს მკითხველს. რ. სტივენსონის პროზაული თარგმანი დიდად განსხვავდება მ. უორდროპის ასევე პროზად შესრულებული ვარიანტისაგან როგორც თხრობის მანერით, ასევე რუსთველური მხატვრული სისტემის თავისებური გააზრებით, თუმცა დამთხვევებიც ბევრია.

რ. სტივენსონის რუსთველოლოგიურ შტუდიებში გამოვყოფთ აგრეთვე საკითხს, — „რუსთაველი და ევროპული ლიტერატურა“, რომელმაც თავისი ასახვა ჰპოვა ნაშრომში — „ქართული რაინდული სიყვარული“ და „რუსთაველი და არისტო“.

შუა საუკუნეების ლიტერატურის შესწავლა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, ამ ეპოქის ლიტერატურათა საერთო კონტექსტში მოთავსება და ზოგადი ტიპოლოგიური ნიშნების დადგენა, რა თქმა უნდა, აუცილებელი და საჭიროცაა, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ისტორიული თავისებურებანი, ამ ეპოქის ესთეტიკური პოზიციები, და როცა ვეფხისტყაოსანი შედარებულია პროვანსულ ლირიკასთან ან სარაინდო რომანთან, არ უნდა დავივიწყოთ ვეფხისტყაოსნის შემქმნელი და წარმომშობი იდეოლოგიური გარემო, როდესაც ქართული პოეტური სიტყვა უმაღლეს საფეხურზე ავიდა და ხალხმა მასში თავისი ეროვნული სულის ყველაზე დიადი გამოხატულება ჰპოვა.

განვითარებული ფეოდალური საზოგადოების სარაინდო რომანსა და სარაინდო ლირიკას მეცნიერები ყველაზე მეტად „ვეფხისტყაოსანს“ ადარებდნენ. ვეფხისტყაოსნისა და სარაინდო რომანის შედარება საკითხთა მთელ წრეს მოიცავს და ამ საკითხების კვლევას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მას ჰყავდა თავისი მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც, ეჭვის ქვეშ დადგა საკითხი, იყო თუ არა რაიმე მეც-



ნიერული ღირებულების შემცველი შედარებითი მეთოდის გზებით დასკვნები.<sup>14</sup> ასეთი მოსაზრების საფუძველი ძირითადად იყო ის ფაქტორი, რომ საქართველოში აღნიშნულ ეპოქაში არ განმეორებულა დასავლეთ ევროპის ისტორიული პარალელი, რომ ქართული რაინდობა იმ სახით, რა სახითაც დასავლეთ ევროპაში წარმოიშვა და განვითარდა, და რამაც სარაინდო ლიტერატურის წარმოშობა გამოიწვია, ისტორიულად არ არსებობდა. საერთოდ, დასავლეთ ევროპულ და ქართულ რაინდობას შორის დიდი სხვაობა იყო. ევროპული რაინდობის კონვენციურობა, სოციალური ელიტის ცხოვრებაში ეტიკეტური პრინციპების უმაღლეს რანგში აყვანა, სიყვარულის პრინციპების სრულიად განსხვავებული გაგება, თითქოს, ქმნიდა იმ უფსკრულს, რომელიც ამ ლიტერატურათა შედარების დროს მეცნიერულად ღირებულ დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ნაკლებად მოგვცემდა. მაგრამ ამ თვალსაზრისზე დგომა აღნიშნული საკითხის სპეციფიკის გაუთვალისწინებლობას ნიშნავდა. ცნობილია, რომ შედარება შესასწავლი მოვლენის სპეციფიკას არ სპობს (იქნება ეს სპეციფიკა ინდივიდუალური, ეროვნული თუ ისტორიული). პირიქით, მხოლოდ შედარების საშუალებით, განსხვავებათა და საერთო პარალელების გზით არის შესაძლებელი სპეციფიკის დადგენა. მაგრამ მთავარი აქ მაინც ერთი ფაქტორია. მეცნიერული კვლევის საბოლოო შედეგი უბრალო, ემპირიული შედარებიდან, განსხვავებისა თუ საერთოს პოვნისა და აღმოჩენისადაა უნდა მიდიოდეს მოვლენათა ისტორიულ ახსნამდე. ამიტომაც, როგორი კარდინალური ხასიათის განსხვავებანიც არ უნდა აღმოვაჩინოთ „ვეფხისტყაოსანსა“ და ევროპულ სარაინდო რომანს შორის ან „ვეფხისტყაოსანსა“ და პროვანსულ ლირიკას შორის, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უსათუოდ არის მხედველობაში მისაღები, რამაც შესაძარებელი ლიტერატურები შეიძლება ერთ სიბრტყეზე დააყენოს და ლიტერატურულ მოვლენათა ახლებური და პრინციპულად სწორი შეფასება გამოიწვიოს.

პროვანსულ ლირიკაში, სარაინდო რომანსა და „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანები ყველაფრის ბატონ-პატრონად გვევლინებიან. ისინი თავიანთი ვნებისა და სიყვარულის დამცველებად, მის ქომაგად გამოდიან, თავგანწირვამდე მზად არიან გადალახონ ის შინაგანი წინააღმდე-

<sup>14</sup> შუა საუკუნეების ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ასპექტით გაშუქებულია სტატიაში „Средневековые литературы, как предмет сравнительного литературоведения“ წიგნიდან: В. М. Жирмунский, Сравнительное литературоведение, Л. 1970.

გობანი, რომელნიც არსებობენ სიყვარულსა და ცხოვრებას შორის ამიტომ, ამ ლიტერატურათა შედარების დროს, თუ სიუჟეტთა წარმართვის გარეგან მხარეებს პირობითად ჩავთვლით, როგორც მხატვრული ქმნილებების აუცილებელ თავისებურებებს შემოქმედთა ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ამოსავალი წერტილი იქნება ის ფაქტორი, რომ ისინი მაღალი ქრისტიანული კულტურის მემკვიდრენი არიან და მწვავე პოლემიკური კამათის გზით ამკვიდრებენ მაღალ ჰუმანისტურ ფასეულობებს ადამიანური სინამდვილის ასპექტით. ამდენად, ვეფხისტყაოსანი, რომელიც ადამიანის სულის სიღრმეთა წვდომით პიროვნების თავისუფლების იდეის დამკვიდრებაში მხატვრული ლიტერატურისათვის მანამდე უცნობ სიმაღლეზე აღის, ევროპულ სარაინდო რომანთან ტიპოლოგიურ სიახლოვეს ამჟღავნებს სწორედ იქ, სადაც ჭეშმარიტ ადამიანურ ფასეულობათა შეფასებაა მოცემული (ამ მხრივ, სიყვარულის თემის გააზრება ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგანაც „ახალი სიყვარულის“ დამკვიდრებამ მრავალი სხვა საკითხიც წარმოშვა ლიტერატურაში და საკითხთა ამ კომპლექსში უნდა ვეძიოთ ზოგადი ტიპოლოგიური ნიშნები). სხვა საკითხია, სად და როგორ არის იგი გადაწყვეტილი ან მხატვრულად ხორცშესხმული.

რ. სტივენსონის ტიპოლოგიურ ნაშრომთა შორის, რომლებიც მოიცავენ საკითხთა წრეს „რუსთაველი და დასავლური სამყარო“, აღსანიშნავია „რუსთაველი და არიოსტო“.<sup>15</sup> ამჯერად მეცნიერის მიზანი იყო დაემტკიცებინა იმ დებულებათა უსაფუძვლობა, რომელნიც წამოაყენა ევროპელმა და ქართველმა მკვლევარებმა რუსთაველისა და არიოსტოს ნათესაობის შესახებ სიყვარულის მხატვრულ ასახვაში. იყო დრო, როდესაც ზოგიერთი ევროპელი მკვლევარის აზრით, რუსთაველისა და არიოსტოს ერთ სიბრტყეზე მოთავსება დიდი შეღავათი იყო ქართველი პოეტისათვის. რ. სტივენსონმა პირველმა სცადა არა მარტო უარყო საეჭვო დებულებანი რუსთაველისა და არიოსტოს ტიპოლოგიური ნათესაობის შესახებ, არამედ აეხსნა რუსთაველის თავისუფლად მოაზროვნეობის დიდი ტრადიციები და ის ქართული იდეოლოგიური გარემო, სადაც მან ერის მატერიალური და სულიერი ძალების უდიდესი მობილიზაციის ეპოქაში ადამიანის ნებისა და გონების თავისუფლების იდეა გამოკვეთა.

<sup>15</sup> R. Stivenson, Rustaveli and Ariosto, Bedi Kartlisa, VI—VII, გვ. 32—33, 1959. (იხილეთ ამ სტატიის ქართული თარგმანი მ. მამულაშვილი, „რუსთაველი და არიოსტო“, „დროშა“, 1960, № 5.



შეიძლება ითქვას, რომ რ. სტივენსონმა თავისი მეცნიერული კვლევების დიდი ნაწილი რუსთაველის შემოქმედების უმთავრესი პრობლემების გადაჭრას მოახდომა. მან დიდი შემოქმედებითი ენერგია შესწირა ვეფხისტყაოსნის პოეტური მეტყველების თავისებურებათა გაგება-გაანალიზებას, რაც უპირატესად, ვეფხისტყაოსნის მისეულ, ინგლისურ თარგმანში გამოიხატა. ინგლისელმა მთარგმნელმა შეძლო ზიარებოდა ქართული პოეტური კულტურის მრავალფეროვნებასა და ხელოვნებას, შეეცნო ქართული სოციალური ცხოვრების იდეალი და გემოვნება.

რ. სტივენსონის, როგორც მეცნიერის, ყურადღების საგანია აგრეთვე XVII საუკუნის ქართული მწერლობის პრობლემები. ეს ეპოქა, რომელიც ქართული მხატვრული აზროვნების დაქვეითებისა და დუმილის პერიოდია, იმდენადაა საინტერესო მკვლევარისათვის, რამდენადაც ამ შინაგანი კრიზისის დროს შექმნილ ნაწარმოებებში გამოიხატა პოეტური გემოვნების დეკადანსი, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერი ტკივილები და ტრაფარეტული სახეების მთელი წყება. ამ ეპოქას რ. სტივენსონი ეხმაურება ორი წერილით: „ომანიანი“ — ადრეული XVII საუკუნის სარაინდო რომანი<sup>16</sup> და „დიდმოურავიანი“ — XVII საუკუნის პოემა<sup>17</sup>.

ამრიგად, თუ თვალს გავადევნებთ რ. სტივენსონის მთელ ნაღვაწს ქართველოლოგიის დარგში, დავინახავთ, რომ ინგლისელი მკვლევარი შეეხო და თავისი დაკვირვებანი მოგვაწოდა ქართული მწერლობის ყველა ძირითად პრობლემაზე — დაწყებული „ამირანდარეჯანიანიდან“ დამთავრებული „დიდმოურავიანით“. „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალური წარმოშობის თეზასთან დაკავშირებით მისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო რომანის პერსონაჟთა ეროვნული ხასიათი, ძმადნაფიცობის ინსტიტუტი, პატრონჟიმური ურთიერთობა. მან შეძლო „ამირანდარეჯანიანის“ ჩასმა XI—XII საუკუნეების ზოგად სარაინდო-საფალავნო ჟანრის დასავლურ-აღმოსავლურ კონტექსტში და მიანიშნა ქართული თხზულების მიღწევასა და თავისებურებაზე ამ ჟანრში.

კლასიკური ეპოქის ქართული ლიტერატურული თხზულებებიდან რ. სტივენსონის გატაცების საგანი, სრულიად ბუნებრივად, „ვეფხისტყაოსანი“ გახდა. მის ინგლისურად აქდერებასა და შეცნობას მოახდო-

<sup>16</sup> R. Stivenson, *Omainiani a Georgian Romane of the eaili Seventeenth century*, Bedi Kartlisa, 1964.

<sup>17</sup> R. Stivenson. *Didmouraviani: A. narative poem of the seven-teenth century*, Bedi Kartlisa, 1962.



მა მკვლევარმა მთელი თავისი ცოდნა და ენერგია, სტივენსონის ტან-  
გმანი ნიშნულია პიროვნების სულიერი ძალების დიდი მობილიზებისა  
და პასუხისმგებლობის, „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული სრულ-  
ყოფილების შეგნებისა და ქართული ენის ღრმა ცოდნისა. რ. სტივენ-  
სონს „ვეფხისტყაოსანი“ შემეცნებული აქვს როგორც ჭეშმარიტად  
დიადი ქმნილება და მისი სურვილია ასეთივე სიღრმითა და მასშტაბით  
შეიმეცნოს იგი თანამედროვე მსოფლიომ. ამის დადასტურებაა მთე-  
ლი მისი საქმიანობა, რომლითაც იგი ქართველი ხალხის გულში მუ-  
დამ დაიჭერს საპატიო ადგილს.

## საქართველო იყო მისი საოცნებო მხარე

ინგლისში ქართული კულტურის შესწავლის ისტორიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ოლივერ უორდროპის სახელი. იგი მიეკუთვნება XIX საუკუნის იმ მოღვაწეთ, რომელნიც დაუღალავად იღვწოდნენ უცხო ქვეყნების უცნობ ლიტერატურულ საუნჯეთა შესწავლისათვის. ევროპელ ორიენტალისტაგან, მან ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ინგლისურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს.

ჯონ ოლივერ უორდროპი დაიბადა 1864 წლის 10 ოქტომბერს ლონდონში, ინგლისელი არისტოკრატების ოჯახში. მან ბრწყინვალე განათლება მიიღო. საუცხოოდ ფლობდა ფრანგულ, ლათინურ, იტალიურ, რუმინულ ენებს, შემდეგ კი საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა.

პირველად ჯერ კიდევ ახალგაზრდა ოლივერ უორდროპი 1887 წლის აპრილში ჩამოვიდა საქართველოში. მისი მოგზაურობა ბათუმიდან დაიწყო. ესტუმრა თბილისს, კახეთს, სიღნაღს, თელავს, მას ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ. ო. უორდროპი იწერდა ქართულ ლექსებს, ქართველების ადათ-წესებს, ქართულ სუფრულ სიმღერებს, აფორისტულ გამოთქმებს, ანდაზებს. სწორედ ამ პირველმა მოგზაურობამ დაუდო სათავე მის ღრმა სიყვარულს ქართველი ხალხისა და მისი კულტურისადმი, რომლის შესწავლასაც თითქმის მთელი სიცოცხლე მოანდომა.

საქართველოში ოლივერ უორდროპმა გაიცნო გამოჩენილი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, მოსე ჯანაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო სახოკია და სხვანი, რომელთა ურთიერთობა შემდგომში ნამდვილ მეგობრობაში გადაიზარდა.

მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებები იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესო იყო, რომ ო. უორდროპმა 24 წლის ასაკში გა-



დაწყვიტა დაეწერა წიგნი „საქართველოს სამეფო“ და ინგლისელი სო-  
ზოგადობისათვის გაეცნო ის მომხიბლავი ქვეყანა, რომელსაც საქართველო  
თველო ერქვა და რომლის შესახებაც, მისი თქმით, არაფერი იცოდნენ  
მისმა თანამემამულეებმა.

1888 წელს ოლივერ უორდროპი ბალიოლ-კოლეჯში შევიდა. კო-  
ლეჯში სწავლის პერიოდში თანამედროვე ისტორიის ცოდნაში ოლივერ  
უორდროპს პირველი ჯილდო მიანიჭეს. სამი წლის განმავლობაში  
იღებდა ტეილორის სახელობის სტიპენდიას სხვადასხვა ენების შესწავ-  
ლაში მიღწეული წარმატებებისათვის. იგი კვლავ დიდი ინტერესით  
ეკიდებოდა ქართველთმცოდნეობის საკითხებს. 90-იანი წლებიდან კი  
ენერგიულად მუშაობდა ქართული ლიტერატურული ძეგლების ინგლი-  
სურად თარგმნაზე. განსაკუთრებით გატაცებული იყო სულხან-საბა  
ორბელიანის შემოქმედებით.

როგორც ოლივერ უორდროპის მიერ ივ. მაჩაბლისადმი გამოგზავ-  
ნილი წერილიდან ჩანს, მას განზრახული ჰქონია 1891 წლის ოქტომბერ-  
ში საქართველოში ჩამოსვლა: „საეჭვოა, რომ ოქტომბრის თვეზე ადრე  
შეეძლო ინგლისიდან ჩამოსვლა. ჩემი საუნივერსიტეტო გამოცდები  
ივლისის თვეზე ადრე არ შედგება, სამხედრო საქმეები კი მთელ სექ-  
ტემბერს დაიკავებენ, მაგრამ როგორც კი მოლიანად გავთავისუფლდე-  
ბი, გამოვფრინდები საქართველოსკენ, მომხიბლავი ქვეყნისაკენ, რომ-  
ლის მომაჯადოებელი ძალა სულ უფრო მეტად მიზიდავს“<sup>1</sup>. მაგრამ,  
როგორც ჩანს, ეს ოცნება ვერ აისრულა.

1892 წელს ოლივერ უორდროპი ინიშნება ბრიტანეთის ელჩის პი-  
რად მდივანად პეტერბურგში. აქედან დაიწყო მისი დიპლომატიური  
მოღვაწეობა, რომელიც ოცდათხუთმეტ წელზე მეტ ხანს გრძელდე-  
ბოდა<sup>2</sup>.

მიუხედავად განუწყვეტელი მოგზაურობისა და სამსახურებრივი  
დატვირთულობისა, ოლივერ უორდროპს არ უნელდებოდა ინტერესი  
ქართველი ხალხისა და ქართული ლიტერატურისადმი.

1894 წელს ლონდონში გამოვიდა სულხან-საბა ორბელიანის „სიბ-  
რძნე-სიცრუისა“-ს ო. უორდროპისეული თარგმანი. ცოტა ხნით ადრე  
იგი კენტიდან სწერდა ივანე მაჩაბელს: „ჩემო ძვირფასო მეგობარო,  
„წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“-ს თარგმანი თითქმის მზადაა და ვიმედოვ-

<sup>1</sup> გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ივ. მაჩაბლის ფონდი 14218-ბ. წე-  
რილი ფრანგულადაა დაწერილი. ჩვენ მოგვაქვს მისი თარგმანი.  
<sup>2</sup> იხ. დ. მ. ლანგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, ჟურნ.  
„ისიკარი“, 1957, № 4, გვ. 144.

ნებ, რომ ერთ ეგზემპლარს გამოგიგზავნით მომავალი თვის დასაწყისისათვის“<sup>3</sup>.

ოლივერ უორდროპის „საქართველოს სამეფომ“ საქართველოს ხილვის დიდი ინტერესი გაუღვიძა მარჯორი უორდროპს და აი, 1894 წლის 3 დეკემბერს და-ძმა უორდროპები საქართველოს ეწვივნენ. ქართველები მათ ჩვეული სტუმართმოყვარეობით დახვდნენ. დიდი პატივისცემის ნიშნად ილია ჭავჭავაძე თავისი მეუღლითა და მეგობრებით მათ მცხეთაში შეეგება. მცხეთიდან ინგლისელი სტუმრები თბილისში ჩამოიყვანეს, სადაც სამი კვირა დაჰყვეს.

„...ეს იყო ჩემთვის პირველი ხილვა ქვეყნისა, რომელსაც ხშირად ვიხატავდი ჩემს გონებაში... თბილისი, სადაც სამი კვირა გავატარეთ, მომხიბლავი ქალაქია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის დამახასიათებელი ნიშნებით... ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ქალთა მშვეობით გადაურჩა მივიწყებას. ისინი ეწაფებოდნენ თავიანთ უძველეს კლასიკოსებს, რომელთა უმრავლესობასაც ზეპირად სწავლობდნენ. ამ ქვეყანაში დღესაც შეხვდებით ქალს, რომელიც ზამთრის გრძელ საღამოებს იმით კლავს, რომ შოთა რუსთაველის მშვენიერ ეპიურ პოემას „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობს ზეპირად. პოემა 6000 სტრიქონზე მეტს შეიცავს. ესაა სიყვარულისა და თავგადასავლის დიდებული პოემა, სავსე აღმაფრთოვანებელი ადგილებით, და მით უფრო გასაოცარია, როცა ვიხსენებთ, თუ რა ადრეა ის დაწერილი, დანტეს დაბადებამდე“, — წერდა მარჯორი უორდროპი თავის მოგონებებში.

უნდა აღინიშნოს, რომ მარჯორი უორდროპმა სიცოცხლის მეტი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა. იგი შვიდ ენას ფლობდა, მაგრამ მან განსაკუთრებით ღრმად შეისწავლა ქართული ენა, ქართველი ხალხის ისტორია, მწერლობა და ხელოვნება. გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ჯ. ოლდრიჯი წერდა: „სანამ მარჯორი უორდროპი თავის მოღვაწეობას შეუდგებოდა, ინგლისელი მეცნიერები არ იჩენდნენ ინტერესს საქართველოსადმი. როგორ შეისწავლა მ. უორდროპმა ქართული ენა, უკვე, ეს თავისთავად ცხადყოფს მის შეუპოვარ ბუნებას, მის ნებისყოფას, მის სიყვარულს ხალხის, ენის და კულტურისადმი, რაც ბოლოს და ბოლოს მთელი მისი სიცოცხლის შინაარსიც გახდა“<sup>4</sup>.

თბილისიდან მარჯორი და ოლივერ უორდროპი ქუთაისს გაემგზავ-

<sup>3</sup> გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ივ. მაჩაბლის ფონდი, 14221-ბ. № 3512 16. 95:212.

<sup>4</sup> ჯ. ოლდრიჯი, „ღვაწილი“, გაზ. „კომუნისტი“ 1966 წ. 28 ოქტომბერი.



რნენ. ქუთაისურ შობაბეჭდილებებს მარჯორი ასე იგონებს: „გულთაღ და აღფრთოვანებულ შეხვედრებს გვიწყობდნენ ყველგან და ეს შეხვედრები გვინაზღაურებდნენ იმ დიდ ცდასა და მძიმე საათებს, რაც მათი ენისა და რთული ქართული ზმნის შესწავლას მოვანდომეთ“<sup>5</sup>.

მან იმდენად ღრმად შეისწავლა ქართული ენა (ძველი ქართულიც), რომ მთარგმნელობით საქმიანობას მიჰყო ხელი და 1894 წელსვე ინგლისში გამოცა „ქართული ხალხური ზღაპრები“, რომელზეც უ. მორფილმა „The academy“-ში გამოაქვეყნა რეცენზია, სადაც წერს: „მან ძალიან მამაცურად შეასრულა თავისი გადაწყვეტილება... ვინაიდან ქართული ენა სავსეა სიძნელეებით. ასეთი დაუმორჩილებელი ზმნა შეიძლება მხოლოდ ბასკურში მოიძებნოს“<sup>6</sup>. უ. მორფილის ეს სტატია თარგმნეს და გამოაქვეყნეს გაზ. „ივერიაში“ (1895 წ. № 293). 1895 წელს მარჯორიმ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ინგლისური თარგმანი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მარჯორიმ კარგად შეისწავლა ძველი ქართულიც. ამან ხელი შეუწყო „წმინდა ნინოს ცხოვრების“ თარგმანში. ეს თარგმანი მან ოლივერთან ერთად შეასრულა.

თარგმნის პროცესში ისინი გარკვეულ სიძნელეებს წააწყდნენ. ამიტომ მარჯორის დახმარებისათვის წერილით მიუმართავს ოლდა ჭავჭავაძისათვის. 1896 წლის 24 თებერვლის ბარათში იგი აღფრთოვანებული წერს მარჯორის: „...თქვენ, დიდი ბრიტანეთის შვილმა არ დაიზარეთ შეგესწავლათ ჩემი საყვარელი დედა ენა... რომ თქვენის ნათარგმნით გააცნოთ თქვენ განათლებულ ხალხს ჩემი პატარა დავიწყებული სამშობლო“; წერილს თან ერთვის უორდროპებისათვის საინტერესო სიტყვების განმარტებანი: „ვადაგი იხმარება „ნინოს ცხოვრებაში“ (ახალი ვარიანტი, გვ. 13), ხოლო „ქართლის მოქცევაში“ (იხილეთ სამი ხრონიკა, გვ. 13—14) ამ სიტყვის მაგიერ ნახმარია „ევადაგი“. მნიშვნელობა ამ სიტყვებისა ძნელი ასახსნელია. შინაარსის მიხედვით უნდა გადაითარგმნოს ისე, როგორც სხვა ვარიანტებშია, ესე იგი „ნათესავი“, ანუ „ტომი მეფეთა“. „ქინძარი“ და „ლართი“ ადგილის სახელებია მცხეთის მახლობლად. „კვართი უფლისა“ ჩაფლულია სვეტიცხოვლის ქვეშ სიღონისთან ერთად. იმ ადგილზე, სადაც კვართი იყო ჩაფლული, სასწაულით აღიმართა სვეტიცხოველი...“<sup>7</sup> და ა. შ.

<sup>5</sup> ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, თბ. 1965, გვ. 30.

<sup>6</sup> იხ.: „The academy“-ის 1894 წლის № 1161, გვ. 82.

<sup>7</sup> სიტყვების განმარტებანი ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის. იხ. გ. შარაძე, ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე. თბ. 1984 წ.



„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი 1900 წელს მოიცა ოქსფორდში. 1912 წელს ოლივერ უორდროპმა ვრცელი სიტყვაობით, შენიშვნებითა და კომენტარებით გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული თარგმანი, რომელმაც სათავე დაუდო რუსთაველის შესწავლას ინგლისურ ქართველოლოგიაში.

ოლივერ უორდროპის საქართველოში მეორედ მოგზაურობამ დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებით მუშაობაზე, კერძოდ, გამდიდრა იგი ახალი ცოდნითა და მასალებით ქართველი ხალხისა და მისი კულტურის შესახებ. ოლივერ უორდროპი უშუალოდ გაეცნო ქართველ მეცნიერებს და შემოქმედებითი კავშირი დაამყარა მათთან. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი განაგრძობდა ქართველ მეგობრებთან მიმოწერას. ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, მოსე ჯანაშვილის, კორნელი კეკელიძის, თედო სახოკიას, ალექსანდრე ხახანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ელისაბედ ორბელიანის არქივებში ინახება ოლივერ უორდროპის პირადი წერილები. ქართველი მეგობრები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მას ქართველოლოგიურ საქმიანობაში. აწვდიდნენ საჭირო ლიტერატურას, უწევდნენ კონსულტაციას და დახმარებას თარგმანზე მუშაობის დროს გაუგებარი ადგილების განმარტებაში. ქართველ მოღვაწეებთან სისტემატური ურთიერთობა ოლივერ უორდროპს საშუალებას აძლევდა ახლოს ყოფილიყო ჩვენი ერის ინტელექტუალურ ცხოვრებასთან და წარმატებით დაეგვირგვინებინა თავისი კეთილშობილური საქმიანობა. მის მიერ ნათარგმნ „სიბრძნე სიცრუისას“, „წმინდა იაკობის ჟამის წირვას“, „ვისრამიანს“, „ძეგლისდება საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალესი“, ალ. ცაგარელის „ერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების აღწერილობას“ მისივე „ათონის მთის ივერთა მონასტრის ქართული ხელნაწერების აღწერილობას“, — ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, როგორც ქართული ძეგლების ინგლისურ ენაზე ამეტყველების პირველ ცდას. ოლივერს შეუსწავლია სვანურიც, რამაც მას შესაძლებლობა მისცა შეედგინა და გამოეცა ინგლისურ-სვანური ლექსიკონი.

ოლივერ უორდროპის ყოველ ახალ ნაშრომს დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს როგორც ინგლისური, ასევე ქართული პერიოდული პრესა. გამოჩენილი ქართველი მეცნიერები სისტემატურად ბეჭდავდნენ რეცენზია-ნარკვევებს მის ახლადგამოქვეყნებულ ინგლისურ თარგმანებზე. მასალებს ოლივერ უორდროპის შესახებ აქვეყნებდა გაზეთი „ივერია“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო ფურცელი“, „თემი“. ამ რეცენზია-ნარკვევებში იგრძნობა ქართველი საზოგადოებრიობის დიდი

დაინტერესება ინგლისელი ორიენტალისტის მოღვაწეობით, აგრეთვე<sup>8</sup> ის დიდი პატივისცემა და მადლიერების გრძნობა, რასაც ქართველთა ზოგადობრიობა იჩენდა ინგლისელი მეცნიერის მიმართ.

ოლივერ უორდროპის ნაყოფიერი ქართველოლოგიური მოღვაწეობა ვიწრო დარგობრივი ჩარჩოებით არ შემოფარგლულა. მთარგმნელობითი მოღვაწეობის გარდა, იგი მარჯორისთან ერთად სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, მიზანდასახულად აგროვებდა წიგნად ფონდს ქართული ბიბლიოთეკის შესაქმნელად. სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყოველთვის ცდილობდა შეეძინა ქართული წიგნები და ხელნაწერები. დახმარებისათვის ხშირად ქართველ მეგობრებსაც მიმართავდა. ერთ-ერთ წერილში იგი ივანე მაჩაბელს სწერდა: „ჩემო ძვირფასო მეგობარო, უნდა შეგაწუხოთ ახალ-ახალი თხოვნით. გთხოვთ მომიტევეთ ის შეწუხება, რასაც გაყენებთ ჩემი ცდისათვის, რათა შეეკმნა სრული ქართული ბიბლიოთეკა. თავდაპირველად გიგზავნით წიგნების ახალ სიას და გთხოვთ დამატებით მას მოაყოლოთ ახალი კატალოგი. თუკი გეჭნებათ იმის შესაძლებლობა, რომ ბუკინისტებში შეიძინოთ უძველესი წიგნები, რომლებიც ნამდვილად დიდად საჭიროა ჩვენთვის, მეტად მადლობელი დაგრჩებით. ისეთი როგორიცაა, მაგალითად „Мирное число“ ანტონ კალმაზოვისა, ჩუბინოვის ქრესტომათია, იოსელიანის ისტორიული თხზულებანი, ხუცურით დაწერილი წიგნები და სხვა. რაც შეეხება ახალ გამოცემებს, გვსურს ვიქონიოთ ის წიგნები, რომელთაც ღირებულება ექნება ისტორიული და ლიტერატურული თვალსაზრისით“<sup>8</sup>.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოღლეს ბიბლიოთეკაში ო. უორდროპის ინიციატივით და საკუთარი სახსრებით შექმნილი ქართული წიგნადი ფონდი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ინგლის-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიაში.

1911 წელს ოლივერ უორდროპი მესამედ ჩამოვიდა საქართველოში. ქართველმა საზოგადოებრიობამ იგი ჩვეული პატივისცემით მიიღო. 1911 წლის 24 იანვარს მოწინავე ინტელიგენციამ ანასტასია მაჩაბლისა და ნიკოლოზ ერისთავის თაოსნობით გამართა მარჯორი უორდროპის ხსოვნის საღამო. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი ყაზბეგმა ოლივერ უორდროპს მიართვა ადრესი, რომელშიც დახასიათებულია და-ძმა უორდროპების კეთილშობილური მოღვაწეობა: „დიდი ხანია, რაც შორეული ალბიონ-

<sup>8</sup> გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ივ. მაჩაბლის ფონდი, 14221-ხ.



ნის შვილებმა, ბატონმა უორდრობმა და მისმა განსვენებულმა დამსვენებელმა დისაგან საქართველოს ნაპირზე მოხვედრილებმა, გულითადად შეიყვარეს ჩვენი ქვეყანა და შეუდგნენ მის შესწავლას. აქ ჩაისახა სიმპათიის ის პირველი ნაბერწკალი, რომელიც, ქართველი ინტელიგენციისა და ვანსაკუთრებით ჩვენი პოეტის ილია ჭავჭავაძის წყალობით, მეგობრობად გადაიქცა. მალე ამ მეგობრობას მოჰყვა ქართული ენის შესწავლის წადილი და, ბოლოს, — წარმატების შედეგად, რაიც ფრიად იშვიათია უცხოელისათვის, — თანამედროვე ქართული მწერლობის სანაქებო ნიმუშების თარგმნა ინგლისურად, თავისი მეცადინეობით განსვენებულმა ჯალბატონმა უორდრობმა, რომელიც გარდაცვალებამდე ითვლებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად, ჩვენი სამშობლოს კარი გაუღო ინგლისელ ხალხს, თავისი დიდი ღვაწლით ქალბატონმა უორდრობმა ჩვენი გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა. განსვენებულის ძმა, ჩვენი პატივცემული სტუმარი, განაგრძობს მისი დის დაწყებულ საქმეს და ამთავრებს ჩვენი ენის შესწავლას. ის არ ზოგავს ძალ-ღონეს, არ იშურებს ხარჯს და აგროვებს მასალას მისი ოჯახის მიერ ოქსფორდში დაარსებული ქართული ენის ფონდისა და ქართველთმცოდნეობის წიგნსაცავისათვის. განა ყოველივე ეს არ მოწმობს ბატონი უორდრობის სიყვარულს საქართველოსადმი?<sup>9</sup>

სალამოზე ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი პატივისცემით დაახასიათა ქართული კულტურის დიდი თაყვანისმცემლებისა და მოამაგეების — უორდრობების ქართველოლოგიური საქმიანობა: „ნუ გგონიათ, რომ საქართველოს შესწავლა მოისპო ინგლისში მარჯორი უორდრობის გარდაცვალებით და მისი დაწყებული საქმე ჩაიშალა. არა, ეგ საქმე არა თუ არ ჩაიშალა, არამედ უფრო მკვიდრ ნიადაგზე დამყარდა. იქ, სადაც ქართული ენის კათედრა არ არსებობს უმაღლეს სასწავლებელში, საქართველოს შესწავლას შემთხვევითი ხასიათი აქვს. ეს კარგად შეიგნო განათლებულმა დედამ მარჯორი უორდრობისამ და რომ საქართველოს შესწავლა ინგლისში სამუდამოდ დაეყენებინა მკვიდრ ნიადაგზე, ოქსფორდის უნივერსიტეტს შესწირა გარკვეული თანხა ქართული კათედრის დასაარსებლად და საქართველოს შესასწავლად. ამ თანხის მოხმარებას განცალკევებული წესდება აქვს. თანხა ხელუხლებელი უნდა იყოს, ხოლო მისი სარგებელით უნდა მოიწვიონ ლექტორი და გამოს-

<sup>9</sup> დ. მ. ლანგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 147—148.



ცენ ურომანი საქართველოს შესახებ როგორც ინგლისურ ენაზე, ისე ქართულზედაც, დიად ქართულზედაც. ეს პირდაპირ წესდებაშია შეტანილი<sup>10</sup>. ოქსფორდის უნივერსიტეტთან არის დაარსებული ბოდლეის წიგნთსაცავი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის და ლიტერატურის შესასწავლად. ეს წიგნთსაცავი ერთი უპირველესთაგანია არა თუ ინგლისში, არამედ მთელს დედამიწაზედ. ამ წიგნთსაცავს მარტო ჩვენი ქართული წიგნები და ხელთნაწერები აკლდა. ამ ნაკლის შევსება იკისრა ჩვენმა სტუმარმა, ბატონმა ოლივერ უორდრობმა. მას დაუვლია ევროპის ქალაქების მეწიენეები, ბუკინისტები, ანტიკვარები და სადაც კი უნახავს ქართული წიგნები და ხელთნაწერები, შეუძენია მისს მარჯორი უორდრობის ბიბლიოთეკისათვის, რომელიც განყოფილება იქნება ბოდლეის წიგნთსაცავისა ოქსფორდში<sup>11</sup>.

ამავე წერილში ექვთ. თაყაიშვილი საზოგადოებას ამცნობს, რომ „თბილისში ოლივერ უორდრობი დილიდან საღამომდე წიგნების მაღაზიებში და ბუკინისტებთან დადის, ყიდულობს ძველ და ახალ არა მარტო ქართულ წიგნებს, არამედ სხვა ენებზე გამოცემულ წიგნებსაც, თუ-კი ეს წიგნები საქართველოს შესწავლას ეხება“...

ოლივერ უორდრობი ქართულად კარგად ლაპარაკობს და: „უფრო უკეთ კითხულობს ქართულად არა თუ ნაბეჭდ წიგნებს, არამედ ხელთნაწერებსაც. ამ დღეებში მან შეიძინა ექვთიოდე ქართული ხელთნაწერი, შემოვიდა ჩემთან და მითხრა ეს და ეს ხელთნაწერები შევიძინეო და ჩამოთვალა თითოეულად და განმარტა მათი თარიღები. მე გულში ვიფიქრე სცდება-მეთქი, მაგრამ როდესაც გავსინჯე, დავრწმუნდი, რომ ყველა ხელთნაწერი სწორად აღენუსხა და თარიღებიც მართლად განერჩია“.

როგორც აკად. აკაკი სურგულაძე აღნიშნავს, ოლივერ უორდრობი ექვთიმე თაყაიშვილს უგზავნიდა ყველა მის მიერ შეძენილ საყურადღებო ხელნაწერის აღწერილობას. ოლივერ უორდრობის ასეთი თავდადებული საქმიანობა ექვთიმე თაყაიშვილში აღტაცებას იწვევდა, თუმცა ხშირად სამართლიანად წყდებოდა გული, რომ თავისი სამშობლოს ეროვნული მნიშვნელობის ხელნაწერი საზღვარგარეთ გადიოდა,

<sup>10</sup> ეს ფონდი დღესაც არსებობს ოქსფორდის უნივერსიტეტში. ქართველოლოგიით დაინტერესებულ სტუდენტებსა და ასპირანტებს ენიშნებათ სტიპენდია, ვიდრე მუშაობას დაიწყებდნენ.

<sup>11</sup> „თემი“, 1911, № 5 დამატება.



რის გამოც, რამდენიმეჯერ თაყაიშვილის თავაზიანი თხოვნით, ოლივერ უორდროპს ხელნაწერი საქართველოში დაუტოვებია<sup>12</sup>.

ეს ფაქტი მიგვანიშნებს, როგორც ექვთიმე თაყაიშვილის დიდ პატრიოტულ გრძნობებზე, ასევე ოლივერ უორდროპის დიდ კეთილშობილებაზე და ამალღებულ სულზე. მას კარგად ესმოდა ექვთიმე თაყაიშვილის გულისტკივილი და სამართლიანადაც ეჩვენებოდა მისი თხოვნა.

ო. უორდროპის შრომებიდან აღსანიშნავია მისი ახალგაზრდული ენთუზიაზმით დაწერილი წიგნი „საქართველოს სამეფო“, ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომლითაც დიდი ბრიტანეთი და ინგლისურენოვანი საზოგადოება გაეცნო საქართველოს, — ქვეყანას, რომელსაც ო. უორდროპის თქმით, თავისი მრავალსაუკუნოვანი საამაყო წარსულით „შეეძლო დაემშვენებინა თვით რომისა და საბერძნეთის დიდება“.

„საქართველოს სამეფო“ პირველად გამოიცა 1888 წელს ლონდონში. წიგნის გამოსვლამ ინგლისელი საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა. ცნობილი ინგლისელი სლავისტი უ. მორფილი ჟურნალში „ექვადემი“ (1888, № 869) ინგლისელ მკითხველს აუწყებდა უორდროპის „საქართველოს სამეფოს“ გამოქვეყნებას და აღნიშნავდა, რომ წიგნი იძლევა სრულ წარმოდგენას ქართველების, — ამ უძველესი კულტურის ერის ისტორიასა და ლიტერატურაზე. იგი წერდა: „მ. ტელიეს, ბატონი ბრაისის, ალპინისტებისა და სპორტსმენების საინტერესო წიგნები საქართველოს შესახებ ინგლისელებს მოუთხრობდნენ მის შესანიშნავ ხედვებზე, მაგრამ ძალიან ცოტას, ანდა სრულიად არაფერს წერდნენ ამ ქვეყნის ისტორიის შესახებ, ხოლო მისი ლიტერატურა მთლიანად იგნორირებული ჰქონდათ. ამიტომ ჩვენ გულწრფელად მადლობელი ვართ ბატონი უორდროპისა, რომელმაც ბათუმიდან თბილისს და კიდევ სხვა ადგილებში ჩაგვიყვანა“. მაღალი შეფასება მისცა ო. უორდროპის ნაშრომს დ. ლანგმა ჟურნალ „ათენიუმში“ დაბეჭდილ სტატიაში: „ბატონი უორდროპის ნაშრომი ეკუთვნის თანამედროვე მოგზაურობის შთაბეჭდილებათა გადმომცემ იმ ცოტაოდენ წიგნთა რიცხვს, რომელნიც მხოლოდ ქების ღირსნი არიან. ამ წიგნის წაკითხვა უნდა ვურჩიოთ ყველას, ვისაც სურს სანდო პირველწყაროდან შეიძინოს ცოდნა ამ მეტად საინტერესო და თითქმის უცნობი ქვეყნის შესახებ“<sup>13</sup>.

<sup>12</sup> აკ. სურგულაძე, ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1977, გვ. 139.  
<sup>13</sup> დ. მ. ლანგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ციცქარი“ № 7, 1959, გვ. 143.



აღფრთოვანებით შეხვდა „საქართველოს სამეფოს“ გამოქვეყნებას ქართველი საზოგადოებრიობაც. გაზეთი „ივერია“, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა ხელმძღვანელობით წარმოადგენდა თამამ, პროგრესული იდეების ტრიბუნას, დაუყოვნებლივ აქვეყნებს სტეფანე ჭრელაშვილის (სანო) რეცენზია-ნარკვევს „მოგზაურობა უცხო კაცისა კავკასიაში“, სადაც აღნიშნავდა, რომ: „ბ-ნ უორდროპის წიგნი ისეთის აშკარა სიმართლით არის დაწერილი, რომ თვით ცილისწამებაც ვერ უპოვნის ხიზს, რაც გინდ ძლიერ მოიწადინოს. თითქო ამისი თქმა უნდა ავტორს, რომ ვისაც გინდათ შეამოწმოთ ჩემი სიმართლე, ნუ დაიზარებთ, წადით კავკასიაში და თქვენის თვალითა ნახეთ ყველაფერი და დატკბით იმით, რაც შეადგენს მართალს სიამოვნებასა და უტყუარს მშვენებას კავკასიისას“<sup>14</sup>.

ნაწყვეტი, „საქართველოს სამეფოდან“, რომელიც თბილისის აღწერას წარმოადგენს, იბეჭდებოდა ინგლისური გაზეთის „მესენჯერის“ (1919, № 1—4)<sup>15</sup> ფურცლებზე, რომელიც საქართველოში გამოდიოდა. წიგნი ხელმეორედ გამოიცა 1977 წელს, კვლავ ლონდონში, ოქსფორდის უნივერსიტეტის მარჯორი უორდროპის ფონდის დახმარებით.

საუკუნე გავიდა. მაგრამ „საქართველოს სამეფოს“ დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

როგორც ირკვევა, უორდროპს მასალების შეგროვებაში, სხვა მოღვაწეებთან ერთად, ივანე მაჩაბელიც უწყობდა ხელს: ივ. მაჩაბლის ერთ-ერთი წერილიდან ვიგებთ, რომ: „...ვიგზავნით ერეკლე II, ილია ჭავჭავაძის და ჩვენი საუკუნის რამდენიმე ქართველი პოეტის სურათებს. ესენია: გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, რომელიც ამჟამად უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, ქართული თეატრის დამაარსებელი, აწვარდაცვლილი გიორგი ერისთავი და კიდევ ოციოდე სხვა. ეს ფოტოები შეგიძლიათ გადაიღოთ და გამოაქვეყნოთ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლით. ვიგზავნით აგრეთვე ჩემს სურათს, როგორც შორეული მეგობრის უბრალო მოსაგონარს. ჩემი წვლილი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში არც ისე მნიშვნელოვანია, რომ მე გავბედო და ადგილი დავიკავო თქვენს წიგნში, რომელსაც მოუთმენლად ველით“...<sup>16</sup> წიგნს დართული აქვს იმ დროისათვის არსებული საკმაოდ ამომწურავი ბიბლიოგრაფია და ვრცელი სტატისტიკური

<sup>14</sup> „ივერია“, 1888, № 257.

<sup>15</sup> მ. სულგულაძე, ინგლისურ-ქართული კულტურული ურთიერთობანი რევოლუციამდელ ეპოქაში, სად. ნაშრომი, თბ., 1981, გვ. 135.

<sup>16</sup> იქვე.

მასალა. აქვე მოცემულია მეტად საინტერესო ილუსტრაციები და სან-  
ქართველოს რუკა.

პირველი თავი „ბათუმიდან თბილისისაკენ მოგზაურობა“ ოდესიდან  
ბათუმში შესვლით იწყება: ოლივერ უორდრობი აღწერს ბათუმს, მის  
გეოგრაფიულ მდებარეობას და მისი ბუნების სილამაზით განცვიფრე-  
ბული, „მომავლის ქალაქს“ უწოდებს მას. უფრო ვრცლად აცნობს  
მკითხველს იმერეთს, მის დედაქალაქს — ქუთაისს. იგი ყურადღებას  
ამახვილებს იმერეთის ღირსშესანიშნაობებზე და მკითხველს აცნობს  
გელათის მონასტრის აგების ისტორიას, არქიტექტურას. ამავე თავში  
დაწვრილებით აღწერს თბილისისაკენ მიმავალ გზას. ცალკე თავი მი-  
უძღვნა თბილისს. იგი წერს: „მისი მდებარეობა, მისი გარეუბნები, სი-  
ცოცხლით სავსე ქუჩების მრავალფეროვანი ბუნება, მისი საზოგადოე-  
ბის სიმხიარულე და უბრალოება, ყველაფერი ერთად შერწყმული  
ქმნის მეტად ძლიერ და სასიამოვნო შთაბეჭდილებას“ (გვ. 10).

ოლივერ უორდრობი არ იფარგლება მარტო მიღებული შთაბეჭდი-  
ლებებით და ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით მკითხველს აცნობს  
თბილისის დაარსების ისტორიას და წერს, რომ თბილისმა გაიზიარა  
ყველა ის ტრიუმფი და უბედურება, რაც კი ოდესმე საქართველოს  
დასტყდომია.

თბილისის აღწერილობა ინგლისელ საზოგადოებას საშუალებას აძ-  
ლევს ფართო წარმოდგენა იქონიოს XIX საუკუნის 80-იანი წლების  
საქართველოს დედაქალაქზე, მის ისტორიაზე, ლეგენდებსა და ყოფაზე.

ოლივერ უორდრობმა „საქართველოს სამეფოში“ წარმოაჩინა ქარ-  
თველი ხალხის სახეთა მთელი გალერეა: სხვადასხვა კუთხის ხალხი,  
მათი ჩაცმა-დახურვა, ხასიათი, ადათ-წესები, მუსიკალური კულტურა.  
ავტორის შეხედულებით: „იცხოვრო ასეთ მწიარულ, გულღია ხელგამ-  
ლილ, პატიოსან და ალაღ ხალხში, საუკეთესო საშუალებაა თავი და-  
აღწიო მეღანქოლიასა და მიზანთრობიას“ (გვ. 8), „ქართველი ახალგაზ-  
რდა პირდაპირი და პატიოსანია“ (გვ. 14), „ქართველებს ისე არაფერი  
ეჯავრებათ, როგორც სიმუხთლე“ (გვ. 8). იგი ქართველებში ხედავს მა-  
შაც, წარმოუდგენელი ხელგამლილობითა და სიკეთით დაჯილდოებულ  
ადამიანებს: „როდესაც ვამბობ სტუმართმოყვარეობას, მე არ ვიყენებ  
ამ სიტყვას მისი პირობითი მნიშვნელობით. ქართველი თავისი სტუმ-  
რის მიმართ ისეთ თავაზიანობასა და გულკეთილობას იჩენს, რაც  
უცნობა ევროპელი ხალხისათვის“ (გვ. 87). არანაკლებ ყურადღებას  
ამახვილებს იგი ქართველი ხალხის შესახებობაზე, ქართველი ქალის  
სილამაზესა და სათნოებაზე.



ოლივერ უორდროპზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს სამხედრო გზამ, მის გასწვრივ განლაგებული პატარა სოფლებითა და დასახლებებით, მოხიბლულია საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნებით, დარიალის ხეობის მომაჯადოებელი სიმშვენიერით, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე ისტორიული ძეგლებით. საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს მცხეთის აღწერას. ფართოდ აშუქებს წმინდა ნინოს მოღვაწეობის ლეგენდარულ ისტორიას — მის მიერ ქრისტიანობის ქადაგებას ქართლსა და კახეთში.

ვლადიკავკაზიდან ოლივერ უორდროპი თბილისში დაბრუნდა და შემდეგ იმოგზაურა კახეთში. დეტალურად აქვს აღწერილი კახეთის გზა, სიღნაღი, მათ შორის მდებარე სოფლები: ორხევი, ვაზიანი, აზამბური, კაკაბეთი. მოჯადოებულია კახეთის ბაღებით, ვენახებით და ალაზნის ველით.

მიუხედავად იმისა, რომ იგი გიდივით, დეტალურად გადმოგვცემს ქალაქებისა და სოფლების აღწერილობას, წიგნი მეტად საინტერესოდ იკითხება. სადა თხრობით და ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებისა და ლეგენდების ჩართვით, ოლივერ უორდროპი ნაშრომს უდავოდ, მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის ინგლისელი მკითხველისათვის.

„საქართველოს სამეფოს“ ერთ-ერთი თავი მთლიანად ეთმობა საქართველოს ისტორიის საკითხებს. მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს ისტორია XIX ს-ის ჩათვლით. მოგვითხრობს XI ს. 80-იანი წლების საქართველოს მეტად მძიმე მდგომარეობას, რაც თურქ-სელჯუკების გამუდმებული თავდასხმებითა და მათთვის განუწყვეტელი ხარკის გადახდით იყო გამოწვეული, დავით აღმაშენებლის (1089 — 1125) მეფობის ისტორიას, ყურადღებას ამახვილებს დავით აღმაშენებლის ბრძოლებზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ფეოდალური საქართველოს გაძლიერება-ცენტრალიზაციის პროცესებზე. ვრცლად გადმოსცემს თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ ისტორიულ ფაქტებს, თუმცა ნაკლებად იხსენიებს თამარის დიდ საგარეო ომებს. შემდეგ ჩერდება ერთკლე II დროის საქართველოს მდგომარეობაზე. მოკლედ მიმოიხილავს მის ბრძოლებს და აღშფოთებით ყვება ალა-მაჰმადხანის მიერ 1795 წელს საქართველოს დედაქალაქის, თბილისის აოხრების შესახებ; მეფის რუსეთის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის, შემდეგ იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების თანდათანობით გაუქმებას და მეფის რუსეთის იმპერიასთან შეერთების ისტორიას.

მიუხედავად უმნიშვნელო უზუსტობისა, ოლივერ უორდროპს კარ-



გად აქვს შესწავლილი საქართველოს ისტორია, გამოყენებული აქვს იმ დროს არსებული ისტორიული მასალები და შესანიშნავი ინგლისური ენით, სადა თხრობით თანმიმდევრულად აცნობს ინგლისურენოვან საზოგადოებას საქართველოს ისტორიას.

ნაშრომის ერთი თავი მთლიანად ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებს ეძღვნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ შუასაუკუნეებიდან დაწყებული, საქართველოში ჩამოდიოდნენ ევროპელი მოგზაურები, მისიონერები, მაგრამ არცერთი მათგანი არ დაინტერესებულა ქართველი ხალხის ლიტერატურული მემკვიდრეობით. ნაკლებად იტაცებდათ ქართველი ხალხის კულტურა საქართველოს თემით დაინტერესებულ ისეთ მნიშვნელოვან მოგზაურებსაც კი, როგორც იყვნენ შარდენი და ცამპი, ხოლო XIX საუკუნის ინგლისელ მოგზაურებს (ტ. ოლკოი, ჯ. არმსტრონგი, ვ. მონტისი, რ. პორტერი) საერთოდ იგნორირებული აქვთ ეს თემა. ოლ. უორდროპი პირველი ინგლისელია, რომელმაც ინგლისურენოვან საზოგადოებას გააცნო საქართველოს უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ჯეფრი ჩოსერის, ჯონათან სვიფტის, დანიელ დეფოსა და შექსპირის წიგნებზე აღზრდილ ოლივერ უორდროპს არ შეიძლებოდა სათანადო ყურადღება არ მიექცია ძველი ქართული ლიტერატურის უნიკალური ძეგლებისათვის („ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“).

ნაშრომში თანმიმდევრულად არის გადმოცემული ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიული სურათი. საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. ო. უორდროპს კანონზომიერად მიაჩნია, რომ ქართველებმა ეს შედევრი თავიანთ გონებაში შემოინახეს თითქმის შვიდი საუკუნის განმავლობაში. „ვეფხისტყაოსნის“ დიდ პოპულარობას იგი უკავშირებს მის ეროვნულ ძირებს, ქართულ ისტორიულ სინამდვილეს. უორდროპმა კარგად აუღო ალღო რუსთაველის ფილოსოფიურ, ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ პრობლემათა სამყაროს და „ვეფხისტყაოსანი“ მთელი მსოფლიოს განძად აღიარა.

იგი კლასიკური ლიტერატურის ფონზე სრულიად ახალი კუთხით გვიჩვენებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა პორტრეტებს. პარალელებს ავლებს „ვეფხისტყაოსნისა“ და ცნობილი დასავლეთევროპული ლიტერატურის ნაწარმოებთა გმირებს შორის — ავთანდილს ადარებს ინგლისელ როლანდს და სპენსერის დაუმთავრებელი ალეგორიული პოემის



„დედოფალი ფერიას“ მთავარ გმირს — „წითელი ჯვრის“ რაინდის მსგავსად შინ, როცა ტარიელი თავისი ვნებებით მას დონ კიხოტის სათაყვანებელ გმირს — ამადის გალელს აგონებს.

აღსანიშნავია, რომ ოლივერ უორდროპს პოემა აინტერესებს არა მარტო თავისი დრამატული კვანძებით, არამედ იმით, რომ იგი ასახავს თამარ მეფის დროინდელ საქართველოს, ამიტომ იგი „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს ფასდაუდებელ ისტორიულ წყაროდ.

ოლივერ უორდროპი თავის ნაშრომში წარმოგვიდგება, როგორც უაღრესად პოეტური ბუნების ადამიანი. „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზის პროცესში, პოემის მთავარი გმირების დახასიათებისას მოტანილი აქვს მის მიერ თარგმნილი სტროფები. უნდა ითქვას, რომ ავთანდილისა და თინათინის სახეები მას ნამდვილად პოეტური ალლოთი აქვს ნათარგმნი.

რუსთაველის სიყვარულის იდეების გამოხატვა, ოლივერ უორდროპის აზრით, ნაწილობრივ ოვიდიუსის სიყვარულის გაგებას ემთხვევა, თუმცა ოვიდიუსის შეყვარებულს „ნაკლებად ახასიათებს ის სიწმინდე, რაც რუსთაველის მიჯნურს მოეპოვება“. არისტო და ტასო რუსთაველის მონათესავე მწერლებად მიაჩნია.

ძველი თაობის უცხოელთაგან არც ერთ მოღვაწეს არა აქვს იმდენი ამაგი „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც და-ძმა უორდროპებს, რომლებიც რუსთაველის სახელს მთელი თავიანთი ცხოვრების განმავლობაში თავს ეგლებოდნენ, როგორც წმიდათაწმიდა იდეების მატარებელს და ძალასა და ენერჯიას არ იშურებდნენ, რომ სისტემატური მუშაობით აღეძრათ და შეძლებისდაგვარად გადაეჭრათ მისი შემოქმედების საკითხები, რომელნიც დღესაც დიდ ინტერესს იწვევს და რუსთაველოლოგთაგან მოელიან ღრმა შესწავლას. მათ სათავე დაუდეს რუსთაველის ყოველმხრივ შესწავლას ინგლისში.

ოლივერ უორდროპი მოკლედ მიმოიხილავს აგრეთვე რუსთაველის-დროინდელ ლიტერატურულ ძეგლებს, აღფრთოვანებულია ჩახრუხადის „თამარაინის“ ჟღერადობით, ეპითეტებით. წიგნში საილუსტრაციოდ მოჰყავს მისი რამოდენიმე სტროფი ინგლისური ტრანსკრიპციით, რათა ინგლისელმა მკითხველმა შეიგრძნოს ლექსის ჩახრუხაული მუსიკალობა. იქვე სთავაზობს მკითხველს მის ინგლისურ თარგმანს, რომელშიაც ლექსის შინაარსი მაქსიმალურად სწორად აქვს გადმოცემული. დიდ ადგილს უთმობს უორდროპი გრივოლ ორბელიანის შემოქმედებას.

როგორც აღვნიშნეთ, ოლივერ უორდროპს საქართველოში ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდის ქართველ მოღვაწეებთან. მას დიდი ყურადღებით შეუსწავლია სამოციანელთა შემოქმედება და ცდილობს



თანმიმდევრულად გააცნოს ინგლისის საზოგადოებას XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ლიტერატურის კორიფეები: აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყაზბეგი.

ილია ჭავჭავაძეს უორდროპი წარმოგვიდგენს როგორც პატრიოტ პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, ორატორს, „ფინანსისტს“ და ნამდვილ მამულიშვილს. ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად მიაჩნია „ქართველის დედა“. იგი მკითხველს აწვდის მისი ოთხი ტაეპის ინგლისურ თარგმანს. თარგმანში იგრძნობა ორიგინალის ხასიათში ჩაწვდომის უნარი. დედნის პოეტური ჩანაფიქრი ინგლისელი მკითხველისათვის ადვილი მისაწვდომი ხდება.

ივანე მაჩაბლის ბიოგრაფიის გადმოცემისას ხაზს უსვამს მის ღვაწლს შექსპირის თარგმანების საძნელო საქმეში.

ოლივერ უორდროპი აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელგანთქმული ლიტერატურა მდიდარია ხალხური თქმებით, არაკებით, ბალადებით და გამოცანებით. იგი საჭიროდ მიიჩნევს უცხოეთში მის ღრმად შესწავლას.

უნდა აღინიშნოს, რომ ოლივერ უორდროპის წიგნი „საქართველოს სამეფო“ წარმოადგენს უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან ნაშრომს ევროპელ მოგზაურთა ლიტერატურიდან, რომელმაც, უდავოდ, დადებითი როლი შეასრულა ინგლისურენოვან სამყაროში ქართული კულტურის გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ქართველი ერი მუდამ მადლიერებითა და პატივისცემით მოიხსენიებს შესანიშნავ მთარგმნელსა და მეცნიერს ოლივერ უორდროპს, რომელიც XIX საუკუნის უცხოელ მოღვაწეთაგან ქართველი ხალხის, ქართული კულტურის, მისი მრავალსაუკუნოვანი წარსულის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე და დამფასებელი იყო.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმ მღელვარე დღეებში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი წყდებოდა, ოლივერ უორდროპი დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა თბილისში. 1919 წლის 12 იანვარს „ამიერკავკასიის უმაღლესმა კომისარმა ოლივერ უორდროპმა“ ინგლისის მთავრობის სახელით დამოუკიდებლობის აღიარება მიულოცა საქართველოს მთავრობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მან ჩვენი ქვეყანა დატოვა, მაგრამ ქართული კულტურისადმი ინტერესი და პატივისცემა თან გაიყოლა სამშობლოში. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდის გასამდიდრებლად 1927 წელს მწერალ რ. ბლეიკს გამოატანა „ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამიანის“, „განდეგილის“, „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ ინგლისური თარგმანები.

## შვეიცარიელი ქართველოლოგები

საქართველოსა და შვეიცარიის კულტურულ, ლიტერატურულ, მეცნიერულ ურთიერთობებს ღრმა ფესვები აქვს. გასულ საუკუნეში საქართველოში ჩამოდიოდნენ შვეიცარიელი კულტურის მოღვაწეები, ეცნობოდნენ ქართველი ხალხის ისტორიას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. შვეიცარიაში სწავლობდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ლეო ქიაჩელი, ივანე მაჭავარიანი, არისტო ჭუმბაძე, გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი და ბევრი სხვა.

შვეიცარია-საქართველოს კონტაქტები განსაკუთრებით განვითარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1937 წელს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ დიდი ზეიმით აღნიშნა შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი, ქენევის უნივერსიტეტშიც გამართულა საზეიმო სხდომა, რომელზეც რუსთაველსა და ქართულ კულტურაზე ისაუბრეს გამოჩენილმა მეცნიერებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა.

1963 წელს ქენევის უნივერსიტეტში შვეიცარიელი მეცნიერების: ალბერ მალშეს, ჟან მარტენის, შარლ ბორჟოს, პოლ კარის, ედუარდ კლაპარეტისა და სხვათა ინიციატივით ცალკე წიგნად გამოიცა ამ სხდომის მასალები სათაურით: „შოთა რუსთაველი ქენევის უნივერსიტეტში“. ამ გამოცემამ თბილისამდეც მოაღწია.

ქენევის უნივერსიტეტის რექტორი ე. რაპარი თავის გამოსვლაში მადლობას უხდის რუსთაველის აღმზრდელ ერს. ხოლო სახელმწიფო მრჩეველი ალბერ მალში აღნიშნავს: „ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ რუსთაველზე ბევრი რამ გავიგეთ, რომ ამ გენიოსი პოეტის ნაწარმოები შვეიცარიაში აულერდება. ჩვენ უკვე გვყავს პოეტი, რომელსაც შეუძლია რუსთაველის პოემა თარგმნოს ფრანგულ ენაზე. მადლობა ჩვენს პოეტს ბატონ პლაშოს, რომელმაც გვითარგმნა ცალკეული ეპიზოდები „ვეფხისტყაოსნიდან“...

უშრნალ „დე ქენევის“ რედაქტორის ჟან მარტენის სტატიაში „რუსთაველი — დიდი ქართველი პოეტი“, ვკითხულობთ: „საერთოდ ცნობი-



ლია, რომ აღნიშნავენ დიდი ადამიანების დაბადების 100 წლისთავს. მათი იუბილე მეორდება ერთი საუკუნის შემდეგ, მაგრამ უფრო სიკეთე ვიანებით, უმრავლესობა დავიწყებას ეძლევა. იშვიათია ისეთები, რომელთაც დაბადებიდან 750 წლისთავზე იხსენებდნენ. რუსთაველი იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოეტთაგანი. დიდმა კრიტიკოსებმა კარგად იციან ეს და ყოველგვარი ეჭვის გარეშე აღარებენ მას დანტეს, შექსპირსა და გოეთეს. მაგრამ როგორ უნდა ვეზიაროთ ამ ეპიკური პოემის მომხიბვლელობას? ქართული ჟღერადი ენა ჩვენთვის დღემდე უცნობია. „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად არ თარგმნილა. იგი უნდა წავიკითხოთ რუსულად, გერმანულად ან ინგლისურად. ქენევის უნივერსიტეტში ჩვენმა პოეტმა რენე ლუი პლაშომ წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ მისეული ფრანგული თარგმანის რამდენიმე ნაწყვეტი, რომელიც ინგლისურად შეასრულა.

შვეიცარია-საქართველოს ლიტერატურულ ურთიერთობათა განვიტარებას ხელი შეუწყო ჩვენმა თანამემამულემ — კიტა ჩხენკელმა.

კიტა ჩხენკელმა (1895—1963) 1920 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. სწავლა განაგრძო გერმანიაში, ჰამბურგის უნივერსიტეტში. აქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. გახდა ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. ჯერ კიდევ ჰამბურგის უნივერსიტეტში მუშაობისას, მან ქართული ენის პოპულარიზაციის მიზნით დაიწყო ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენა, რომელიც პრაქტიკულად დაეხმარებოდა ევროპელებს ქართული ენის შესწავლაში. აქვე დაიწყო ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე მუშაობაც. მაგრამ მეორე



კიტა ჩხენკელი

მსოფლიო ომის დროს, ჰამბურგის ერთ-

ერთი დაბომბვისას, მისი ნაწერები დაიკარგა. 1948 წლიდან კიტა ჩხენკელი გადადის შვეიცარიაში. მეცნიერმა ციურისის გერმანულ-უნგრულ უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის სწავლებას, ჩამოაყალიბა ქართული ენის კათედრა, სადაც მიიზიდა დაინტერესებული მოწაფეები, რომელთა შორის თავი გამოიჩინეს ლეა ფლურმა, იოლანდა მარშევი და რუთ ნოიკომი. ამრიგად, ქ. ციურისის უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა მომავალ ქართველოლოგთა სკოლას.

ციურისში, კიტა ჩხენკელმა გააგრძელა „ქართული ენის შესავალსა“ და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენაზე მუშაობა.

1958 წელს კიტა ჩხენკელმა თავისი ნაშრომების გამოსაცემად დააარსა გამომცემლობა „ამირანი“. ამ დროისათვის მას უკვე დამთავრებული ჰქონდა „ქართული ენის შესავალი“ ორ ტომად. ესაა ქართული ენის სისტემატური გრამატიკა. პირველი ტომი მოიცავს თეორიულ ნაწილს. მეორე — პრაქტიკულს.



ლეა ფლურია, იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი

მუშაობდა, მასთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ლეა ფლური, რუთ

როცა კ. ჩხენკელი „ქართულ-გერმანულ ლექსიკონის“ შედგენაზე



ნოიკომი და იოლანდა მარშევი. 1960 წელს ლეა ფლური შეუდგა ლექს-სიკონის აწყობას, მაგრამ კიტა ჩხენკელმა სიცოცხლეში მხოლოდ ნაკვეთის გამოცემას უხელმძღვანელა. დანარჩენი სამუშაოს მთელი სიძიმე მის მოწაფეებს დააწვათ. ამ საქმეში მათთვის დიდი დახმარება გაუწვია ჩვენს თანამემამულეს, გამოჩენილ მეცნიერს ვიქტორ ნოზაძეს. 1965 წლის 25 მაისის წერილში იგი დიომიდე ცქვიტინიძეს სწერდა: „მე აქ (ციურისში — ს. თ.) ვიმყოფები, რათა დავეხმარო დოქტორ კ. ჩხენკელის მოწაფე ციურისელ ქალებს, რომლებიც მის მიერ დაწყებულ ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენას განაგრძობენ. უკვე დაბეჭდილია რვა რვეული, დასაბეჭდად უნდა დამზადდეს ახლა მეცხრე და მეთე რვეული. კიტას მოწაფეები ამზადებენ რვეულებს და მე მივღვარ ხოლმე მასალის შესამოწმებლად“.

კიტა ჩხენკელის ნაშრომების გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია გამოჩენილ მსოფლიო მეცნიერებს შორის. მათ საზღვარგარეთის პრესაში გამოაქვეყნეს სტატიები და რეცენზიები, რომლებშიც მაღალი შეფასება მისცეს ქართველი მეცნიერის ნაშრომებს. მათ შორის აღსანიშნავია: ჰ. ფოგტის, კ. ბუდას, კ. ჰ. შმიდტის, ე. რიშმის, რ. ლაფონის, ე. ცილარცმის, ი. მოლიტორის, კ. რეგამის, ჟ. ალიერსმის, ს. ბინდამის, პ. პომარედამის, ჟ. გარიტის, ი. ასფალგის, ნ. ყაუხჩიშვილის, დ. მ. ლანგის, რ. სტივენსონის, ა. გუგუშვილისა და სხვათა რეცენზიები. მათი აზრით, „ქართულ-გერმანულმა ლექსიკონმა“ და „ქართული ენის შესავალმა“ შეძლო არა მარტო დახმარება გაეწია ქართული ენის შემსწავლელი ბევრი უცხოელისათვის, არამედ ჩაენერგა დიდი სიყვარული ქართული ენისა, ანბანისა, მწერლობისა და კულტურისადმი. მან გერმანულენოვანი სამყაროს ბევრ მკითხველს შეაყვარა ქართველი ხალხი, მისი გმირული ისტორია და აწმყო.

კ. ჩხენკელის „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ და მისივე „ქართული ენის შესავალი“ ქართველოლოგიითა და საერთოდ კავკასიოლოგიით დაინტერესებული ყველა უცხოელის სამაგიდო წიგნი გახდა. ამერიკელმა მეცნიერმა პროფესორმა ლუის სოლანომ ქართული ენა სწორედ კ. ჩხენკელის ამ ნაშრომებით შეისწავლა.

მოვუსმინოთ საზღვარგარეთელ მეცნიერებს: პროფ. რენე ლაფონი: „ეს არის ქართული ენის ბრწყინვალე სახელმძღვანელო“. პროფ. ჰანს ფოგტი: „ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს გამოსვლა ევროპულ ენაზე დიდი მოვლენაა. დღემდე ამ ენის სახელმძღვანელოები არ გვქონდა საკმარისი. ეს ნაშრომი ავსებს ხარვეზს. ახლა ხელთ გვაქვს დიდად სასარგებლო სახელმძღვანელო, რომელიც ხელს უწყობს ქარ-

თული ენის სწავლებას. კავკასიური ენის ასეთი სახელმძღვანელო სხვა არა გვაქვს“. პროფესორი კ. რევაგი: „ამ წიგნში ენათმეცნიერებს შეუძლიათ ნახონ ის, რასაც სხვა სახელმძღვანელოებში ვერ ნახავენ. იგი იძლევა ენის პრაქტიკულად შესწავლის სრულ შესაძლებლობას“.

ქართული ლიტერატურის პროპაგანდას შვეიცარიაში აგრეთვე ხელი შეუწყო კიტა ჩხენკელის, რუთ ნოიკომისა და იოლანდა მარშევის მთარგმნელობითმა საქმიანობამაც.

WISRAMIANI

SCHOTA RUSTAWELI

ODER

DIE GESCHICHTE DER LIEBE  
VON WIS UND RAMIN

DER MANN IM PANTHERFELL

*Übertragung aus dem Georgischen und Nachwort  
von Ruth Neukomm und Kita Tschenkeli*

*Übertragung aus dem Georgischen und Nachwort  
von Ruth Neukomm*

*Mit 12 farbigen und 14 schwarzweißen  
Abbildungen nach Miniaturen von  
Mamuka Tawakarashvili*

*An Prof. Sergo  
Turnawa im tiefste  
Verehrung.  
Zürich, den 25.3.78  
Von Übersetzerin  
Ruth Neukomm*

MANESSE VERLAG

MANESSE VERLAG

ვისრამიანი

ვეფხისტყაოსანი

კიტა ჩხენკელი და რუთ ნოიკომი ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში შეუდგნენ „ვისრამიანის“ თარგმნას XII ს-ის ერთ-ერთი შემოკლებული ქართული ვარიანტიდან. 1957 წელს იგი გამოსცა ციურბის გამომცემლობა „მანესემ“. თარგმანი შესრულებულია უმაღლეს



დონეზე, ძარღვიანი გერმანული ენით. მთარგმნელებმა წიგნს დაუბრუნეს ბოლოსიტყვაობა, სადაც მოცემულია ქართული ლიტერატურის განვითარების თარების ვზები, ქართველი ხალხის ისტორია, ქართველ სწავლულთა მოღვაწეობა სინასა და ათონის მონასტრებში, სადაც ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები შეიქმნა. „რუსთაველის პოემა“ „ვეფხისტყაოსანი“ და „ვისრამიანი“, — წერენ წინასიტყვაობის ავტორები, — მაშინდელი სულიერი ცხოვრების დიდი გაქანების დამამტკიცებელი საბუთია. საქართველო მაღალი ცივილიზაციის ქვეყნებთან ერთად ასრულებდა არა მარტო შუამავლის როლს (დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის — ს. თ.), არამედ თავად შექმნა თვითმყოფადი კულტურა და საკუთარი სახე ბოლომდე შეინარჩუნა“.

საინტერესოა მთარგმნელთა მსჯელობა ქართული ენის საკითხებზეც. მათ მოაქვთ მრავალი საბუთი იმისა, რომ უცხოელები თავიდანვე იყვნენ დაინტერესებული ქართული ენის მეცნიერული შესწავლით, მიუთითებენ მარი ბროსეს, ჰ. შუხარდტის, ად. ფ. ჰარნაკის, პოლ პეეტერსის, გერხარდ დეეტერსის, ჰანს ფოგტისა და სხვა მეცნიერების დამსახურებაზე ქართული კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. „ისინი იკვლევდნენ ქართულ ენას იმ შეგნებით, რომ გაედოთ ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და სარგებლობა მოეტანათ მსოფლიოსათვის“.

რუთ ნოიკომი თავისი მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ დაწინაურდა აღმოსავლეთის უნივერსიტეტის ქართული მწერლების ნაწარმოებთა თარგმანებზე მუშაობას და 1970 წელს გერმანულ ენაზე გამოსცემს კრებულს „უახლესი ქართველი მწერლების“ სახელწოდებით, სადაც შევიდა: მიხეილ ჭავჭავაძის, „ყბაჩამ დაიგვიანა“, „ეშმაკის ქვა“, „ტყის კაცი“; ნიკო ლორთქიფანიძის, „თავსაფრიანი დედაკაცი“; კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“; ლევან გოთუას „ყინწვისის ანგელოზი“, „უგზო ქარავანი“; გრიგოლ ჩიქოვანის „დაბრუნება“.

კრებულს დართული აქვს მთარგმნელის ვრცელი სტატია, რომელშიც მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის ისტორიას დასაბამიდან დღემდე. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ევროპის ლიტერატურის სპეციალისტებმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ დიდი ისტორიის მქონე ქართულ ლიტერატურას. რუთ ნოიკომი ევროპულ მკითხველებს საინტერესო ცნობებს აწვდის გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ფრანგული ჟურნალი „რევიუ დე კარტველოლოჟი“ (1971, ტ. XXVIII) გამოეხმაურა რუთ ნოიკომის მიერ შესრულებულ ქართველ



მწერლების მოთხოვნების გერმანულ თარგმანებს. რეცენზიაში აღნიშნულია, რომ რუთ ნოიკომს შეუბრძნო ქართველი მწერლების ნაწარმოებები, რომლებიც ყურადღებას იპყრობს თავისი მაღალი იდეური და მხატვრული დონით, მოთხოვნები ძალიან კარგად არის თარგმნილი. მთარგმნელი იცავს ქართველი მწერლების ენასა და სტილს, ზუსტად გადმოსცემს ორიგინალის აზრს.

შვეიცარიის პრესაში გამოქვეყნდა სტატიები, რომლებშიც მაღალ შეფასებას აძლევენ რუთ ნოიკომის თარგმანებს.

„საკვირველი ხალხია ქართველები“ — ასეთი სათაურით დაიბეჭდა სარედაქციო წერილი შვეიცარიული გაზეთის „დი ტატი“ 1970 წლის 8 აგვისტოს ნომერში. წერილში ნათქვამია: „გამომცემლობა „მანესე“ ქართულ ლიტერატურას სამართლიანად აყენებს მსოფლიოს მშვენიერ ლიტერატურათა გვერდით. რამდენიმე წლის წინ მან მკითხველს მიაწოდა XII საუკუნის მომაჯადოებელი სამიჯნურო რომანი „ვისრამიანი“. დღეს გავაცნო ქართველი მწერლების ნაწარმოებთა ტომი, რომლებიც მოგვითხრობენ დიდსულოვან დარბაისელ, ზრდილ, გამრჯე და მრვიდობიან ადამიანებზე, მათ ურთიერთობაზე, რომელიც სულიერი სისპეტაკით გამოირჩევა.

შვეიცარიის მეორე გაზეთი „გალურ ტაგბლატი“ წერს: „მანესემ“ „უახლესი ქართველი მწერლების“ ტომით თვალწინ გადაგვიშალა ჩვენთვის დღემდე თითქმის სრულიად უცნობი ქმნილებანი მსოფლიო ლიტერატურისა, რაც უაღრესად საგულისხმო მოვლენაა... ამ რამდენიმე წლის წინ ციურიხში გარდაცვლილი მეცნიერისა და მოღვაწის — კიტა ჩხენკელის შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. რუთ ნოიკომი შესანიშნავ თარგმანთან ერთად გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ხალხსა და ქვეყანაზე, ისტორიასა და ენაზე, აგრეთვე წიგნში შესულ ხუთ მწერალზე“.

რეცენზენტი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს კ. გამსახურდიას „ხოგის მინდიას“, ლევან გოთუას „უგზო ქარავანს“.

1970 წლის 16 აგვისტოს „ნოიე ციურხერ ცაიტუნგის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სარედაქციო სტატია ქართველ მწერალთა მოთხოვნების თარგმანზე. გაზეთი წერს: „საქართველოს მწერლობა რომ განვითარების მაღალ დონეზე ყოფილა არა მარტო შუა საუკუნეებში, არამედ ამჟამადაც მსოფლიო ლიტერატურაში საპატიო ადგილს იჭერს, ამას წინამდებარე ტომი თვალნათლივ ამტკიცებს“.

შვეიცარიელი ქართველოლოგების ნაშრომებს მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა მეცნიერებმა: აკაკი შანიძემ, არნოლდ ჩიქობავამ,



ალექსანდრე ბარამიძემ, შოთა ძიძიგურმა, გიორგი ჯიბლაძემ, იოსებ მეგრელიძემ, ალექსანდრე ღლონტმა, ივანე იმნაიშვილმა, ივანე ქავთარაძემ და სხვებმა.

კიტა ჩხენკელი და რუთ ნოიკომი 1958 წელს ერთად შეუდგნენ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას გერმანულ ენაზე. რუთ ნოიკომმა მისი მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ გააგრძელა თარგმანზე მუშაობა. დედანთან მაქსიმალური დაახლოების მიზნით რუთ ნოიკომმა იგი პროზად თარგმნა, პროლოგი კი — თავისუფალი ლექსის სახით და გადაიტანა თხზულების ბოლოს.

1974 წელს გამომცემლობა „მანესემ“ გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ ეს თარგმანი, რომელიც კიტა ჩხენკელის ხსოვნას მიუძღვნა. წიგნი დასურათებულია XVIII ს. ქართველი მხატვრისა და კალიგრაფის მამუკა თავაქარაშვილის მინიატურებით, მათგან 12 მინიატურა ფერადია. თარგმანი შესრულებულია აკაკი შანიძისა და ალ. ბარამიძის 1966 წლის გამოცემის მიხედვით.

შვეიცარიელი ქართველოლოგები აგრძელებენ თავიანთი მასწავლებლის — კიტა ჩხენკელის მიერ დაწყებულ საქმეს. ლეა ფლურის არის გამომცემლობა „ამირანის“ დირექტორი, იოლანდა მარშევი ციურხის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუთ ნოიკომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, თარგმნის ქართველი მწერლების ნაწარმოებებს გერმანულ ენაზე. აგრეთვე აქვეყნებს ჟურნალ-გაზეთებში სტატიებს ქართველ მწერლებზე.

ლეა ფლურს, იოლანდა მარშევსა და რუთ ნოიკომს სისტემატური კონტაქტები აქვთ თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებთან. მათ შესანიშნავად იციან ძველი და ახალი ქართული. საილუსტრაციოდ მოვიტან ერთ ადგილს ლეა ფლურის წერილიდან, რომელიც 1978 წელს გამომიგზავნა: „ცნობების მიღება საქართველოდან ჩვენთვის საერთოდ დიდ სიხარულს წარმოადგენს. თქვენი კეთილი წერილები კი განსაკუთრებული ინტერესით წავიკითხეთ. ძალიან მადლობელი ვიქნებით თუ გამომიგზავნით თქვენს წიგნს „სახლვარგარეთული ქართველოლოგია“... თუ კვლავ რამეს გამოვცემთ, მაშინვე გაახლებთ. ჯერჯერობით დაგეგმილი გვაქვს გამოვაქვეყნოთ ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი მოთხრობა გერმანულ ენაზე“.

პროფესორი ქსენია სიხარულიძე იყო შვეიცარიაში. ეწვია სამივე მოღვაწეს და ჰქონდა მათთან გულითადი საუბარი. აი, რას წერდა ქართველი პროფესორი: „გამაოცა და დიდად აღმაფრთოვანა შვეიცარიელი ქალების ტკბილმა ქართულმა, მათმა დახვეწილმა მეტყველებამ



ჩემს დედაენაზე. მე მათ ვთხოვე ეამზნათ თავიანთ საქმიანობაზე, ქალთველოლოგიის დარგში, სიამოვნებით დამთანხმდნენ. ისინი საკუთარ თავზე როდი ლაპარაკობდნენ. იოლანდა მარშევემა დაახასიათა ლეა ფლურის მეტად დაძაბული მუშაობა, ლეა ფლურმა კი იოლანდა მარშევისა. ორივენი კი მაცნობდნენ რუთ ნოიკომის ღვაწლსა და ამავს ქართველოლოგიის სფეროში.

# Georgische Erzähler

## der neueren Zeit

*Ausgewählt und aus dem Georgischen  
übertragen von Rutl. Neukomm*

გამახარა ცნობამ, რომ „ამირანს“ დაგეგმილი აქვს ქართული წიგნების კვლავ თარგმნა და გამოცემა. ლეა ფლურმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პროფ. იოლანდა მარშევის დიდ მონაწილეობას „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ გამოცემაში. ამ ლექსიკონს მეშვიდე ნაკვეთიდან დაწყებული, უხელმძღვანელო პროფ. ი. მარშევემა...

მუდამ მემახსოვრება შვეიცარიელ ქალთა ტკბილი ქართული, საოცრად ანთებული თვალეზი, რომელშიც ჩემი სამშობლო ქვეყნის სიყვარული ამოვიკითხე“.

შვეიცარიელ ქართველოლოგების ბოლო ნამუშევრებიდან აღვნიშნავთ ოთხ სტატიას, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა გაზ. „ნოიე

MANESSE VERLAG

ქართული მწერლობა

ციურხერ ცაიტუნგის“ ლიტერატურულ დამატებაში. პირველია რუთ ნოიკომის სტატია, დაბეჭდილი 1981 წლის დეკემბრის ნომერში სათაურით: „ქართული ლიტერატურა“, რომელშიც გან-



ხილულია ძველი და ახალი ქართული მწერლობა. ვრცლად ეხება როგორც ჰაგიოგრაფიული, ასევე საერო ლიტერატურის განვითარების ეტაპებს. ცალკე თავებშია მიმოხილული XIX საუკუნის ქართული მწერლობა, განსაკუთრებით კი სამოციანელთა მოღვაწეობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში, აგრეთვე — XX საუკუნის ქართველი საბჭოთა მწერლების — კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის, ლ. გოთუას, ნ. ლორთქიფანიძის, გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, გ. ლეონიძისა და ანა კალანდაძის შემოქმედება. იქვეა დაბეჭდილი ი. ჭავჭავაძის, გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის და ანა კალანდაძის ლექსების რუთ ნოიკომის მიერ შესრულებული თარგმანები.

მეორე, 1982 წლის ნომბრის ნომერში გამოქვეყნებულია რუთ ნოიკომისა და იოლანდა მარშევის ერთობლივი სტატია აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

იქვე წარმოდგენილია აკაკის ნაწარმოებთა გერმანული თარგმანები. ნოიკომსა და მარშევს ერთობლივად უთარგმნიათ ნაწყვეტები „ჩემი თავგადასავლიდან“, რომელიც შეიცავს თავებს: „ძიძის სახლი“, „მამის სასახლე“, „მამა მოჭადრაკე“ და „ბატონყმობის შესახებ“ (მთარგმნელების დასათაურებაა. ს. თ.). ლექსი „ხატის წინ“ თარგმნილია რუთ ნოიკომის მიერ.

1985 წლის მაისის ნომერში კი ასევე ერთობლივი სტატიაა მოთავსებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე.

1986 წლის ნომბრის ნომერში კი ილია ჭავჭავაძის შემოქმედება აქვთ მიმოხილული. „ილია ჭავჭავაძე — საქართველოს დიდი მენტორი“ — ასეთი სათაური მიუციათ სტატიისათვის: აქვე გამოქვეყნებულია ნაწყვეტები „განდეგილიდან“ და „აჩრდილიდან“.

ლუა ფლური, რუთ ნოიკომი და იოლანდა მარშევი აგრძელებენ ქართველი მწერლების თარგმანებზე მუშაობას, ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას და ამით ხელს უწყობენ შვეიცარია-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის გაფართოებას.

**ჰენრიკ სენკევიჩი და საქართველო**

XIX საუკუნის 80-იან წლებში პოლონელმა მწერალმა ჰენრიკ სენკევიჩმა მსოფლიო აღიარება ჰპოვა. მისი შემოქმედება ძალზე მახლობელი აღმოჩნდა ქართველი მკითხველისთვისაც.

ჰენრიკ სენკევიჩი (1846—1916) სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა პოლონური ლიტერატურის განვითარების გარდატეხის პერიოდში. ამ დროს კრიტიკულმა რეალიზმმა დაამარცხა რომანტიზმის ეპიგონები და გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. მწერალი თავიდანვე მიემხრო ახალ მიმართულებას და მისი აქტიური დამცველი გახდა. ჰ. სენკევიჩი რეალისტურ პოზიციებზე შემთხვევით არ დამდგარა. იგი გრძნობდა, რომ ახალ ისტორიულ სინამდვილეს ახალი თვალი და ახლებური შეფასება ესაჭიროებოდა.

მწერლის მხატვრული შემოქმედება თემატიკურ-ჟანრობრივად მრავალფეროვანია. იგი ერთნაირი ოსტატობით ქმნის როგორც მცირე ზომის ნაწარმოებებს, ისე ფართო ტილოებს. მისი სტილისათვის არსებითია სისადავე და ღრმა ფსიქოლოგიზმი. როგორც პოლონელი მწერალი და კრიტიკოსი ს. ჟერომსკი წერდა: „ჰ. სენკევიჩის არ შეუძლია აღწეროს ჩვენი წინაპრების ცხოვრება არქეოლოგიური სიზუსტით, როგორც ამას ი. კრაშევსკი ხატავს — იგი გადმოგვცემს იმ გრძნობას, რასაც ჩვენი წინაპრები გრძნობდნენ“<sup>1</sup>.

ჰ. სენკევიჩის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდს წინ უსწრებდა ორი დიდი ისტორიული მოვლენა, რომელმაც ღრმა სულიერი ტრავმა მიაყენა პოლონელ ერს: ჩახშობილია ორი რევოლუცია. პოლონელი ხალხი გათიშული და დეპრესირებულია. ამიტომ სენკევიჩის მიაჩნდა, რომ ისედაც სულით დაცემულ პოლონელ ხალხს სენტიმენტალური ნაწარმოებები კი არ ესაჭიროებოდა, არამედ ისეთი, რომელიც ძალას შემატებდა და ბრძოლის სურვილით აღანთებდა. და აი, სენკევიჩი

<sup>1</sup> И. К. Горский. Польский исторический роман, М., 1963, стр. 115.



ქმნის ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც გამოაცოცხლებს და სულსმთავრად ბერავს დასუსტებულ ერს. ესაა ისტორიული რომანები: „ცეცხლითა და მახვილით“ (1883), „წარღვნა“ (1886), „პან ვოლოდიეესკი“ (1887) და „ვიდრე ჰხვალ, უფალო“ (1896).

თავის ისტორიულ რომანებში მას, როგორც წესი, უცვლელად შემოჰყავს ისტორიული პირი ისე, როგორცაა აღწერილი ისტორიულ წყაროებში<sup>2</sup>. ასეა დახატული ნერონის ფიგურა რომანში „ვიდრე ჰხვალ, უფალო“. მწერალი ზედმიწევნით კარგად იცნობს არამცთუ საკუთარი ერის ისტორიას, არამედ ანტიკურ ხანასაც. იგი ეყრდნობა დიდძალ ისტორიულ მასალას.

მაგრამ, როცა ამა თუ იმ ისტორიული პერსონაჟის შესახებ სათანადო ფაქტობრივი მასალა ნაკლებად მოეპოვება, იგი მხატვრულ ფანტაზიას მიმართავს. კერძოდ, ასეა შექმნილი პეტრონიუსის სახე.

ხშირად სენეკევიჩს რომანში არაისტორიული პირებიც შემოჰყავს (გლავკი, ხილონი და სხვ.), რომლებიც უკვე მთლიანად მხოლოდ შემოქმედის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენენ. ჰ. სენეკევიჩის დიდი ისტორიული ალღოს წყალობით ისინი საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებიან ჰერმედიკად ისტორიული პერსონაჟების გვერდით. ისიც უნდა ითქვას, რომ ჰ. სენეკევიჩის ისტორიული კონცეფცია ყოველთვის არ არის სწორი. ზოგიერთ რომანში, კერძოდ, „ცეცხლითა და მახვილით“, მწერალი შლიახტურ ყოფას შლიახტური თვალთ ხატავს. პოლონეთის მოწინააღმდეგეთა დახატვის დროს ზოგჯერ ვერ იცავს სათანადო ობიექტურობას.

ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, რუსეთშიც ჰ. სენეკევიჩის შემოქმედება დიდად პოპულარული იყო.

ლევ ტოლსტოი წერს: „გუშინ ვკითხულობდი „არადოგმატურს“, ძალიან ზუსტად, ნატიფად აქვს აღწერილი ქალის სიყვარული, უფრო ფაქიზად, ვიდრე ფრანგებს, უფრო მგრძნობიარედ, ვიდრე ინგლისელებს“<sup>3</sup>.

ასეთივე აზრის იყო ა. ჩეხოვიც: „დიდი სიამოვნებით წავიკითხე „არადოგმატური“. ძალიან ჰკვიანური და საინტერესოა“<sup>4</sup>.

რუსულმა პროგრესულმა საზოგადოებრიობამ ჰ. სენეკევიჩს მსოფლიო ლიტერატურაში სათანადო ადგილი მიუჩინა. მწერლის შემოქმე-

<sup>2</sup> И. К. Горский, Исторический роман Г. Сенкевича «Камо Грядеш». Ученые записки института славяноведения, 1960, т. XXI.

<sup>3</sup> Л. Толстой, Дневник. 1890, 24 июня, т. 51, стр. 53.

<sup>4</sup> А. Чехов, Письмо Лаврову, т. 12, стр. 38.



დებაზე ბევრმა კრიტიკოსებმა გამოთქვა აზრი. პროფესორმა შეგვაროვიჩმა ფართოდ განიხილა ჰ. სენკევიჩის რომანი „ვიდრე ჰხვალ, უფალო“ და სწორად შენიშნა, რომ იგი უფრო მეტ ისტორიულ მასალას იყენებს ძველი რომისა და კეისრის დახასიათებისას, ვიდრე ისტორიკოსი ტაციტუსი<sup>5</sup>.

საქართველოში XIX საუკუნის ევროპული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის მრავალი მოვლენა რუსეთის გზით შემოდის. ამ გზით შემოდის სენკევიჩის შემოქმედებაც.

ჰ. სენკევიჩის შემოქმედებით ქართველი მოწინავე საზოგადოების დაინტერესებისათვის ნიადაგი მზად იყო. 40—50-იანი წლებიდან ლიტერატურაში თანდათან ფეხს იკიდებს კრიტიკული რეალიზმი, რაც თერგდალეულთა მიერ მკვიდრდება და ვითარდება.

ჰ. სენკევიჩის სახელს საქართველოში უკვე 80-იანი წლებიდან იცნობდნენ და თარგმნიდნენ მის ნაწარმოებებს. ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები მისი შემოქმედების შესახებ. იგი იმდენად საყვარელი მწერალი იყო ქართველებისათვის, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე მოთხრობა რამდენჯერმე ითარგმნებოდა სხვადასხვა მთარგმნელის მიერ.

1880 წლის „დროების“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა მოთხრობა „პოზნანელი მასწავლებლის დღიურიდან“ (მთარგმნელია ილია ჭყონია), 1883 წელს მოთხრობა „ბარტეჟ-ძლევა მოსილი“<sup>6</sup> (მთარგმნელები ივ. და თ. ან. ლორთქიფანიძეები). 1883 წელს ნატა ნაცვალაძის მიერ ითარგმნა „შეცდომათა კომედია“. ეს მოთხრობა ათი წლის შემდეგ კვლავ თარგმნა ვასილ ბიბილაიშვილმა, და „კვალში“ დაბეჭდა. მას თან ერთვოდა ჰ. სენკევიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე დახასიათება.

მოთხრობა „იყავ კურთხეული“ გაზეთმა „ივერიამ“ ორჯერ გამოაქვეყნა (1893 წ. და 1899 წ.), მესამედ იგი 1902 წ. დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“. ასევე მოთხრობა „იანქო მემუსიკე“ 1894 წელს ჟურნალ „მომამბეში“ დაიბეჭდა, ხოლო 1915 წელს ი. ჟვანიამ თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა მოთხრობები: „შეუდგეთ“, „წეროები“ და „ოლიმპზე“, რომლებიც სხვადასხვა დროს არის დაბეჭდილი „ივერიაში“, „ცნობის ფურცელსა“ და „მომამბეში“. დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომანი „ცეცხლითა და მახვილით“. რომელიც 1894—1896

<sup>5</sup> Г. Сенкевич, აღნიშნული რომანის შესავალი.  
<sup>6</sup> ქართული ბიბლიოთეკის კრებული, 1883, № 2 და № 9.



წლებში იბეჭდებოდა ჟურნალ „მომბეში“, ხოლო 1897 წელს წიგნად გამოვიდა.

3. სენკევიჩის პოპულარიზაციას წელს უწყობდა ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები. აი, მაგალითად, როგორ აფასებს გაზეთი „ცნობის ფურცელი“<sup>8</sup> პროფ. შეპელოვიჩის მიერ წაკითხულ ლექციას 3. სენკევიჩის შემოქმედების შესახებ: „შეპელოვიჩმა გვიჩვენა, თუ რა დიდი დამოკიდებულება ჰქონდა სენკევიჩს ი. კრამევესკისთან. ო. ბალზაკთან... გვიჩვენა, თუ რა სულიერი ნათესაობა არსებობს ამ პოლონელ რომანისტსა და რუსეთის საუკეთესო რომანისტებს შორის“<sup>7</sup>.

იგივე გაზეთი ხოტბას ასხამს სენკევიჩს და წერს, რომ „იგი საქვეყნოდ ცნობილი მწერალია“<sup>8</sup>.

3. სენკევიჩის ყველა მოთხრობაში, რომელიც კი ქართულად ითარგმნა, აღწერილია დაბალი ფენების დუხჭირი და უსასოო მდგომარეობა, რაც გამოწვეულია მაღალი ფენების სულიერი სილატაკითა და კერძოდ, პატრიოტული გრძნობის უქონლობით, გულგრილი დამოკიდებულებით სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი.

განვიხილოთ, როგორ მიუახლოვდა პოლონურ ორიგინალს ქართულ თარგმანებში.

3. სენკევიჩის მოთხრობები, ზოგიერთის გამოკლებით, ძირითადად სოფლის ყოფა-ცხოვრებას ეხება. შესანიშნავად არის დახატული სოფლელი კაცის ბუნება, გახსნილია მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური მხარე. სენკევიჩი განსაკუთრებული თვალთ და, თავის წინამორბედ მწერლებისაგან განსხვავებით, თავისებურად გადმოგვცემს სოფლური ყოფის სურათებს, მის აღამიანებს თავისი მიზნებითა და ამოცანებით, სიხარულითა და მწუხარებით.

ერთ-ერთი საინტერესო მოთხრობაა „ნახშირით ნახატი სურათები“ (მთარგმნელი ნატა ნაცვალაძე), სადაც მოთხრობილია ღარიბი გლეხის ტრაგედია, რომლის ბედი კანცელარიის გაქსუებული მოხელის ზოლზიკევიჩის მაგარი აღამიანების ხელშია. მოთხრობის სათაური სიმბოლურია და კარგად ასახავს ნაწარმოების მიზანდასახულობას. მოთხრობაში სოფლის სახელიც — „ცხვრისთავა“ მიგვანიშნებს სოფლის მკვიდრთა უპატრონობაზე. პიროვნება შელახული და შევინებულია.

ამ მოთხრობაში მთარგმნელი ხშირად იყენებს ხალხურ კაზმულ-სიტყვაობას და იდიომატურ გამოთქმებს, რომლებითაც მდიდარია სენ-

<sup>7</sup> „ცნობის ფურცელი“, 1897, № 203, „სასარგებლო ცნობა“.

<sup>8</sup> „ცნობის ფურცელი“, 1899, № 838, „სენკევიჩის ავადმყოფობა“.



კევიჩისეული ლექსიკა. თარგმანი ესიტყვება დედანს და თითქმის მთლიანად ინარჩუნებს დედნის სახეს: „აი, ჭკვიანი თავიო, რომ იტყვიან ეს არის, აფერუმ ზოლზიკევიჩი, აფერუმ. შენ რომ რევიზორი ყოფილიყავი, რევიზორი კი არა, ღვთის რისხვა იქნებოდი“.

3. სენკევიჩი ამ მოთხრობის გმირებს სხვადასხვა ენით ალაპარაკებს. ამით ავტორი მიგვანიშნებს პიროვნებათა განსხვავებულ განათლებასა და შინაგან სამყაროზე. ეს თარგმანშიც შენარჩუნებულია.

მრავლად გვხვდება ხატოვანი თქმანი: „შენ შეგჭამა მგელმა“, „პურში ამოწებილის ჯაგრიანის ჩხირით დაჯღაბნით წიგნებს“, „ზოლზიკევიჩმა ამგვარი სიტყვები წყალივით იცოდა“, „მიწა გაგისკდეს, შენა“, „თვალში ეკლად ესობოდა“ და სხვა.

ამ მოთხრობაში აღწერილი გლეხკაცის ტრაგედია ნაცნობი და აქტუალური იყო ქართული სინამდვილისათვის.

მოთხრობაში „ბარტეჟ-ძღვევამოსილი“ (მთარგმნელი ივ. და თ. ან. ლორთქიფანიძეები) გამოთქმულია პროტესტი პრუსიელთა მიერ პოლონელი ხალხის დევნის გამო. ეს მოთხრობა ცალკე წიგნადაც გამოვიდა და თან ერთვის მთარგმნელების წინასიტყვაობა, რომელშიც იგრძნობა მწერლის შემოქმედების ღრმა ცოდნა. ივ. და თ. ან. ლორთქიფანიძეები გვაწვდიან საკმაოდ ზუსტ ცნობებს მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. მისი შემოქმედება გაანალიზებულია მოკლედ, მაგრამ ყველა საკითხზე ამომწურავი პასუხია გაცემული.

თუ გავანალიზებთ ცარიტული რუსეთის კლანჭებში მყოფი საქართველოს ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, გავიხსენებთ, რა დიდი სულიერი ტკივილი მიაყენა მეფის რუსეთის დამპყრობლურმა პოლიტიკამ ჩვენს ხალხს, როგორ ცდილობდა ცარიზმი ჩაეკლა ქართველ ერში ყოველგვარი ეროვნული, მაშინ ადვილად მიხვდებით იმედის ნაპერწკლით გამთბარ ამ სიტყვებს, რომლებიც ქართველთათვისაც იყო ნათქვამი: „ყოველს პოლონელს კარგად აქვს შეგნებული თავისი მდგომარეობა, მედგარს წინააღმდეგობას უწევს პრუსიელს და არ აჩაგვრინებს თავს“<sup>9</sup> ან „პოლონელ ბავშვებს აიძულებენ დაივიწყონ დედა-ენა მოსყიდვით, ქრთამით, ღვენიით — ყველაფრით ცდილობენ აიძულონ უარყონ თავისი ენა და ეროვნება და გაგერმანელდნენ, მაგრამ ყოველივე ეს დღემდის სრულიად უნაყოფოდ დარჩა“<sup>10</sup>.

<sup>9</sup> ქართული ბიბლიოთეკა, კრებული, 1883, №№ 2, 9.  
<sup>10</sup> იქვე, № 2.

ეს მოთხრობა დაწერილია ხალხური, უბრალო და სადა ენით. მოთხრობის გმირის ლექსიკა ამართლებს მის ზედმეტ სახელს „ბარტყე ბრიყვი“, რადგან იგი მდაბიო ენით და ბრიყვეულად მსჯელობს. უფრო მეტიც, თავისი ბრიყვეული საქციელით ეხმარება პოლონელი ხალხის მტრებს, თავისი შეუგნებლობითა და უცოდინარობით ხელს უმართავს მათ.

მოთხრობაში „პოზნანელი მასწავლებლის დღიურიდან“ (მთარგმნელი ილია ჭყონია) აღწერილია პატარა პოლონელი ბავშვის ტრაგედია, რომელიც გამოწვეულია პრუსიულ სასწავლებელში გამეფებული გაუკუღმართებული პედაგოგიური მეთოდებით.

მთარგმანში იგრძნობა გაქართულების კვალი. პოლონური სახელი — „მიხასი“ — ქართულად „მიხაკოდ“ არის მთარგმნილი, „მარია“ გადმომთარგმნილია, როგორც „მარიამ“. ამით მთარგმნელი ცდილობდა ნაწარმოები ქართველი მკითხველისათვის უფრო მახლობელი გაეხადა.

3. სენკევიჩის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი მისმა რომანმა „ცეცხლითა და მახვილით“ (მთარგმნელი გრ. ყიფშიძე), რომელშიც აღწერილია პოლონელი პანების ბრძოლა უკრაინელების წინააღმდეგ. ეს რომანი დიდად პოპულარული იყო საქართველოშიც. ვასილ ბიბილაიშვილი ამ რომანის შესახებ წერდა: „3. სენკევიჩი ერთ-ერთ ნიჭიერ რომანისტად ითვლება მთელ ევროპაში. გამოჩენილი მისი ნაწარმოებებიდან არის „ცეცხლითა და მახვილით“<sup>11</sup>.

შესანიშნავ მოკლე ანოტაცია-ცნობას ვკითხულობთ „ცნობის ფურცელში“ ამ რომანის შესახებ: „ჩვენ მივიღეთ ქართველთა ამხანაგობის მიერ მეორმოცე გამოცემა... ცნობილი რომანისა „ცეცხლითა და მახვილით“... 3. სენკევიჩი გვარტომობით პოლონელია და ამყამად ერთს საუკეთესო მწერლად ითვლება არამცთუ მის სამშობლოში, არამედ სხვა სახელმწიფოშიც... რომანი „ცეცხლითა და მახვილით“ საინტერესო წასაკითხია და საკმარისია კაცმა ორიოდვე გვერდი გადაიკითხოს, რომ მერე აღარ მოშორდეს, ისე წარმტაცია და ძლიერი მისი გავლენა მკითხველზე... სიამოვნებით ვურჩევ ყველა ქართველ ოჯახს... ამ ფრიად საინტერესო და საგულისხმო რომანის შეძენას და გულდასმით გადაკითხვას“<sup>12</sup>.

დედანი ხალხური ენით არის დაწერილი, უხვად არის გაბნეული ხატოვანი და ილიომატური თქმანი და ეს შენარჩუნებულია მთარგმანშიც.

<sup>11</sup> „კვალი“, 1893, № 14, გვ. 13.

<sup>12</sup> „ცნობის ფურცელი“, 1897, № 116, „ახალი წიგნი“.



მაგალითად: „აზნაური აზნაურს წაეკინკლავს, ან ერთმა გადაიგდოს სერზე მეორე, ან მეორემ პირველი“ (გვ. 18), „მიზეზ-მიზეზ დოს შარლი აკლიაო“, გვ. 18 „იმ მელამ როგორ მომადლოა“ (გვ. 19), „რა ჯურისა და მიღეთის ხალხი არ ირეოდა“ (გვ. 31), „ცხრათვალა მზე“ (გვ. 39), „ნელ-ნელა გაშორდა მის სახეს ბეჭედი ნაღვლისა და მწუხარებისა“ (გვ. 69), „სალახანაე! გულამშიერაე! (გვ. 73), „აი, ხათაბალა კაცი“ (გვ. 92), „დიდი თინაზი ხარ“ (გვ. 103), „საჭირო აღარ იყო კეკემაღულობა“ (გვ. 103), „სისხამი დილა იყო“ (გვ. 116) და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჰ. სენკევიჩის რომანი „ვიდრე ჰხვალ, უფალო“ (მთარგმნელი ნიკო ავალიშვილი). იგი, მართალია, რუსულ თარგმანს ემყარება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მაღალ დონეზე გადმოგვცემს დედნის იდეურ ჩანაფიქრს და მხატვრული ქსოვილის თავისებურებას. რა თქმა უნდა, ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ სენკევიჩის რუსული თარგმანები უაღრესად ახლოს დგას დედანთან. ეს პოლონური და რუსული ენების ნათესაობითაც არის განპირობებული. გარდა ამისა, იმ დროის ქართული რეალისტური პროზის და სალიტერატურო ენის განვითარების მაღალი დონე წარმოადგენდა იმ ნიადაგს, რომელიც ხელს უწყობდა სენკევიჩის რომანებისათვის სათანადო ქართული შესატყვისის შექმნას.

თარგმნა რომანისა „ვიდრე ჰხვალ, უფალო?“ სპეციფიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული. როგორც ვიცით, ეს რომანი ანტიკურ ხანას — ნერონის ეპოქას ეძღვნება. სენკევიჩი სათანადო სიტყვიერი ქსოვილით და დამახასიათებელი ინტონაციით ახერხებს შექმნას ანტიკურობისათვის შესაფერისი განწყობილება. დედნის ამ თავისებურებათა შენარჩუნებისათვის ნიკო ავალიშვილი სხვადასხვა ხერხს მიმართავს. ჯერ ერთი, უცვლელად გადმოაქვს ქართულ თარგმანში რომაული ყოფისათვის დამახასიათებელი რელიეფის აღმნიშვნელი სიტყვები, როგორიცაა „რიტორი“, „ნომენკლატორი“, „ინკუბაციო“, „სიკა“, „სიმპოსიონი“ და სხვა მრავალი. ნ. ავალიშვილი არსად არ ცდილობს ასეთი სიტყვების გაქართულებას, მათთვის ქართული შესატყვისების მოძებნას (მაგალითად, „სიკა — ხანჯალია, სიმპოსიონი — ნადიმს, ლხინს ნიშნავს), ვინაიდან იგი საჭიროა ანტიკური კოლორიტის შენარჩუნებისათვის.

თუ რაოდენ დაკვირვებული და თანმიმდევრულია ამ მხრივ ქართველი მთარგმნელი, ეს ჩანს შემდეგი მაგალითიდან. როგორც ვიცით, სიტყვა „ფორტუნა“, რომელიც დამკვიდრებულია მრავალ ევროპულ ენაში, ქართულად ჩვეულებრივ ითარგმნება როგორც „სვე“, „ბედი“



და ა. შ. XIX საუკუნის თარგმანებში (მაგალითად, შექსპირის <sup>მანაბალი</sup> <sup>შინა-ლიტერატურა</sup> ლისეულ თარგმანებში) „ფორტუნა“ ყველგან თარგმნილია როგორც ბედი, მაგრამ სენკევიჩის რომანებში „ფორტუნა“, რომაულ სამყაროს-თანაა დაკავშირებული. რომაულ მითოლოგიაში „ფორტუნა“ ბედისა და ქალღმერთის აღმნიშვნელია. ამიტომ ნ. ავალიშვილმა „ფორტუნა“ ქართულ ტექსტშიც სრულიად სამართლიანად შეინარჩუნა: „თუ მოკვდავი ხარ და ფორტუნას ემორჩილები“ (გვ. 35), „ფორტუნა იყოს შენი მწყალობელი“ (გვ. 42).

3. სენკევიჩი ზოგჯერ რომანში მიმართავს ამდლებულ, პათეტიკურ ტონს, რითაც ერთგვარად სურს ანტიკურ ხანაზე დაწერილი რომანი დაუახლოოს ანტიკური ეპოქის მწერალთა ნაწარმოებებს. მოვიყვანოთ ერთ მაგალითს: „პოი შენ, ცხოვრების ხის საგაზაფხულო კვირტო, შენ, ვაზზე ამოსახეთქო ყლორტო პირველო!“ (გვ. 25).

ქართულმა კრიტიკამ ძირითადად სწორად შეაფასა პოლონელი კლასიკოსი. საყურადღებოა ი. აღლაძის წერილი, რომელიც გამოიჩინა პოლონელი მწერლის შემოქმედების საფუძვლიანი ცოდნით: „სენკევიჩის დღეს მთელი განათლებული ქვეყანა იცნობს. მისი რომანები თარგმნილია ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, რუსულად, იტალიურად, ესპანურად, ფინურად, ნორვეგიულად და სხვ. ენებზე... ვერ იპოვით დღეს ისეთ ცოტად თუ ბევრად კულტურულ ერს, რომლის შვილთაც საკუთარ ენაზედ სენკევიჩის ორი ან სამი თხზულება მაინც არ წაეკითხოს“<sup>13</sup>. კრიტიკოსი სწორად ხსნის სენკევიჩის პოპულარობის მიზეზს და ამბობს: „საკვირველი არ არის, რომ სენკევიჩმა ასე გაითქვა სახელი და იმისმა ნიჭმა ამდენი თაყვანისმცემელი მოიპოვა, სენკევიჩი პირველხარისხოვანი მწერალია, ჰენიოსი, რომლის მადიანმა ნიჭმაც წამსოფლიო ტიპები დაგვიხატა, ღრმად გადაგვიშალა კაცის გული და სული და თავის კალმით ისეთი საიდუმლოებანი დაგვანახა ადამიანური ბუნებისა, რომელიც მართო პოლონელთა ეროვნულ თვისებას არ შეადგენს. მისი თხზულება, იქ დახატული ცხოვრება, ყველას გულს ერთნაირად ხვდება და ერთნაირად უჩენს საზრდოს, როგორც პოლონელის, ისე ინგლისელის, ფრანგის, ქართველის გონებას“<sup>14</sup>.

გვ. და თ. ან. ლორთქიფანიძეებიც ძირითადად ეთანხმებიან ი. აღლაძეს 3. სენკევიჩის შემოქმედების შეფასებაში<sup>15</sup>.

<sup>13</sup> „ივერია“, 1900, № 279, ი. ა-ძე. 3. სენკევიჩის იუბილე.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> 3. სენკევიჩი, ბარტეკ-ძღვეამოსილი, შესავალი, 1903.



ქართულმა კრიტიკამ სწორი პოზიცია დაიკავა სენკევიჩის მიმართ. ვისი გმირების, კერძოდ, პოლონელ გმირთა გაზვიადებული ქება-დიდებას მიმართაც. ამ ფაქტს შესაფერისი ახსნა მოუძებნა. ილია ალლაძე სავსებით ეთანხმება რუსულ კრიტიკაში გამოთქმულ აზრს, რომ პოლონელთა ამ გადაჭარბებული ქებათა-ქებით ჰ. სენკევიჩის სურდა „სიაცოცხლე შთაებერა ღონემიხდილი, სულით დაცემული საზოგადოებისათვის, რომელსაც მეტად ძნელი ხანა დაუდგა. მწერალმა განგებ ამოიჩინა თავისი ხალხის წარსულიდან ისეთი დრო, როდესაც პოლონეთს გარედან უთვისაღვი მტერი ესხმოდა თავს, ხოლო შიგნით უთანხმოება ხელს უწყობდა სახელმწიფოს საძირკვლის გამონგრევას“. შესაძლებელია ყველაფერში არ დაეთანხმო მწერალს, „მაგრამ, — განაგრძობს კრიტიკოსი, — უსამართლობა იქნებოდა თვალი ავარიდოთ დიდი მხატვრულობით დაწერილ და მარგალიტებივით გაბნეულ სურათებს, ხოლო მთლად ეს აწერილობით, რომანებით ერთ შესანიშნავ ეპოპეად არ ჩავთვალოთ“<sup>16</sup>.

სწორი პოზიცია დაიკავა ქართულმა კრიტიკამ მწერლის პესიმისტობისა და ოპტიმისტობის საკითხთან დაკავშირებით. ი. ალლაძე აღნიშნავდა: „თუმცა მის რომანებში მრავალ უნუგეშო სურათს და ტიპს შევხვდებით, მაგრამ თვით სენკევიჩის სწამს ცხოვრების განახლება, სჯერა, რომ ყველა ეს წარმავალი და საზოგადოების მომავალი ბედნიერია. ავტორი პესიმიზმს არ ეძლევა, იგი მხოლოდ აღნიშნავს დღევანდელ დაქვეითებას და უნუგეშობას“<sup>17</sup>.

აღსანიშნავია კრიტიკოსის ალლო სენკევიჩის დიდი მხატვრული ნიჭის შეფასებაში, როდესაც წერს: „იგი ერთნაირად ანცვიფრებს მკითხველთ როგორც თავისი იუმორით, ისე ღრმა ტრაგიზმით და მწვავე სარკაზმით, საოცარი მხატვრულობით აგვიწერს სენკევიჩი როგორც პოლონეთის ბუნებას, ისე ამერიკის თვალუწვდენელ მინდვრებს, აფრიკის მზისგან გადაბუგულ უდაბნოებს“<sup>18</sup>.

ჰ. სენკევიჩის მხატვრულმა ოსტატობამ განაპირობა მისი აღიარება საქართველოში. აღსანიშნავია რომ ელენე წერეთლის მოთხრობის გმირები მოჩუხჩუხე ანკარა წყაროს პირას კითხულობენ ჰ. სენკევიჩის რომანს; „ვიდრე ჰხვალ, უფალო?“<sup>19</sup>

პოლონელი კლასიკოსის სიყვარულმა ათქმევინა შიო არაგვისპი-

<sup>16</sup> „ივერია“, 1900, № 279, ი. ა.-ძე, ჰ. სენკევიჩი.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> „კვალი“, 1900, ელენე წერეთელი, ხსოვნა, გვ. 831.



რელს სიტყვები, რომლითაც მან მიმართა ალექსანდრე მიქაბერიძეს:  
 „განა სირცხვილი არ არის, რომ მიცვევიჩის, სენკევიჩის, კრაშევსკის  
 და სხვა მწერლების ნაწარმოებები კაცმა თვით პოლონურ ენაზე არ  
 წაიკითხოს?“<sup>20</sup>.

როდესაც 1914 წლის იმპერიალისტურმა ომმა პოლონელები საში-  
 ნელ მდგომარეობაში ჩააყენა, რუსეთში მყოფი პ. სენკევიჩი მსოფლი-  
 ოს პროგრესულ საზოგადოებრიობას მიმართავდა მღელვარე მოწოდე-  
 ბით, ხმა აღემაღლებინა პოლონეთის დასაცავად: „ჩვენი მხარე გადა-  
 იქცა ბრძოლის ველად ევროპისათვის. ჩვენი ახალგაზრდობის მილიო-  
 ნის სამი მეოთხედი რუსეთის არმიაშია. დანარჩენი მილიონის სამი მე-  
 ოთხედი გერმანიისა და ავსტრიის არმიაში იბრძვიან. როცა ბრძანება  
 გაისმის ხიშტით იერიშის მიტანის შესახებ და ჯართა რაზმები მირბიან  
 წინ იმ მიზნით, რომ დახოცონ ერთმანეთი, ჩვენს ძმებს ესმით მოპირდა-  
 პირე მხრიდან ძახილი პოლონურ მშობლიურ ენაზე.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ წითელი ჯვარი დაჭრილთა შეგროვე-  
 ბის დროს ბრძოლის ველზე ერთად აწვენს გვერდით ერთ ჯარისკაცს  
 გერმანულ ფორმაში, მეორეს ავსტრიელის, მესამეს კი რუსულში... და  
 აი, ამ დროს ყველანი ამოწმებენ, რომ სამივენი პოლონელები არიან“<sup>21</sup>.

1916 წლის ნოემბერში გარდაიცვალა ჰენრიკ სენკევიჩი. ამ სამწუხა-  
 რო ამბავს ქართული პრესა მაშინვე გამოეხმაურა. ნოემბერ-დეკემბრის  
 გაზეთებში იბეჭდებოდა მწერლის სურათები, სამგლოვიარო განცხადე-  
 ბები, ცნობები, წერილები, იმართებოდა პანაშვიდები და სხვ.

თბილისში მცხოვრებ პოლონელთა მიერ არჩეული კომიტეტისა და  
 ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიან-  
 ნებული კავშირის გამგეობის ინიციატივით, 1916 წლის 22 დეკემბერს,  
 ქართული თეატრის შენობაში მოეწყო ჰენრიკ სენკევიჩის ხსოვნის აღ-  
 სანიშნავი ლიტერატურული დილა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაეს-  
 წრო. ნაჩვენები იქნა ცოცხალი სურათები ჰენრიკ სენკევიჩის ნაწარმო-  
 ებებიდან. ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციის თაოსნობით ქართულ ქუ-  
 ლაჯებში გამოქყობილმა ბავშვებმა დაფნის ფოთლებით მორთეს დიდე-  
 ბული მწერლის ბიუსტი, ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო  
 დაწესებულებათა კავშირის დეპუტაციამ კავშირის თავმჯდომარის გი-  
 ორგი ყაზბეგის მეთაურობით ვერცხლის გვირგვინით შეამკო იგი. სა-  
 ზოგადო მოღვაწემ გიორგი ლასხიშვილმა წაიკითხა ადრესი.

<sup>20</sup> „კომუნისმის გზა“, 1967, № 78, 29 ივნისი, შ. არაგვისპირელი პოლონეთში.

<sup>21</sup> „პოლონეთის გოდება“, „თემი“, 1915, 30 მარტი.



ეს ადრესი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდმა შემოგვინახა (იხ. საქმე № 1675. ფურც. 55), დღემდე არ გამოქვეყნებულა<sup>23</sup>. ადრესი თავისი ღრმა შინაარსით ქართველი და პოლონელი ხალხების ისტორიული მეგობრობის, თანაგრძნობის და სიყვარულის ბრწყინვალე დოკუმენტია და ეხმაურება თანამედროვეობას.

ადრესში ვკითხულობთ: „ქართველთა 30 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კავშირის სახელით მოწიწებით თაყვანსა ვსცემთ პოლონელთა დიდებული მწერლის ჰენრიკ სენკევიჩის ხსოვნას.

ქართველ საზოგადოებას ეს პირველად ხვდება საჯაროდ თანაგრძნობა გამოუცხადოს მრავალტანჯულ პოლონეთის ერს. ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, რათა მხურვალე ძმური სალამი მივუძღვნათ იმ ერს, რომლის წარსული, აწმყო და მომავალი უდიდეს ინტერესსა და თანაგრძნობას იწვევს ყოველ შეგნებულ ქართველში.

გმირული წარსული, აღბეჭდილი თავგანწირულის ბრძოლით სამშობლოს დასაცავად, წარსული, რომლის შესანიშნავი სურათები საოცარი ნიჭით გადაგვიშალა აწ განსვენებულმა მწერალმა, ბევრს რასმეს ეუბნებიან ქართველის გულს, რომლის ისტორიაც მწარე მარტიროლოგიაა დაუცხრომელი ბრძოლისა.

უღმობელი ისტორიის ჩარხმა უკუღმა დაატრიალა პოლონეთის ბედი და მისი გმირული ხალხი დანაწილებული და დამონაგებული იქნა. ასეთივე ბედი ხვდა პატარა საქართველოსაც და ამით აიხსნება ის განსაკუთრებული დიდი ინტერესი და ღრმა სიმპატია, რომლითაც გამსჭვალულია ქართველი საზოგადოება ყოველი ერის მიმართ.

სასიკვდილოდ განწირული პოლონელი ერი აღსდგა, განახლდა. ამაღლდა სულიერად, ნივთიერად, კულტურულად და მედგრად შეუდგა მომავლისათვის ბრძოლას. მთელი წარსული საუკუნე მოწამეა იმ საკვირველის კულტურულის მუშაობის, რომლის წყალობით პოლონელი ერი გვერდში ამოუდგა დასავლეთ ევროპის განათლებულ ერებს.

ჩვენთვის ქართველებისათვის, ჩვენი კულტურულ დაწესებულებათა ძალებისათვის პოლონეთის ეს დაუცხრომელი მუშაობა გადაიქცა შესანიშნავ ცოცხალ მაგალითად. ჩვენ ვსწავლობთ ამ მაგალითით გამხნეებულნი და ვიცით, რომ ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ნივთიერსა და სულიერს განვითარებაშია, კულტურულ ზრდაში, შინაურ ძალთა შეკავ-

<sup>23</sup> ამ ადრესის ასლი მოგვაწოდა პროფ. შალვა გოზალიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.



შირებაში. უღრმესი მადლობა პოლონელ ერს ამ მაგალითისა და თილისათვის. უდიდესი მადლობა პოლონეთის მწერალთა და მოღვაწეთა, რომელთაც გვიჩვენეს მაგალითი სამშობლოს სიყვარულისა და მონაგლისათვის ბრძოლით.

საშინელი ტრაგედია, რომელსაც ამჟამად განიცდის განათლებული ევროპა, მთელის თავის სიმძიმით თავს დაატყდა პოლონელ ერს. პოლონეთი კვლავ შეიღება სისხლით, კვლავ ეწამა. იმისმა ხალხმა კვლავ დაიდგა ეკლის გვირგვინი, მაგრამ მის ცაზე გამოჩნდა რიყრაყი და შორს აღარ არის ის დრო, როცა აღმობრწყინდება თავისუფლებისა და სრული აღორძინების მზეც. ჰენრიკ სენკევიჩი ამ რიყრაყზე გამოეთხოვა წუთისოფელს, მაგრამ გამოეთხოვა ბედნიერი იმით, რომ მის ამაგსაც, იმის მსხვერპლსაც, მუშაობასაც წილი უდევს ბრწყინვალე მომავლის მომზადების წმინდა საქმეში, იმ მომავლისა, როცა გაერთიანებული და განთავისუფლებული პოლონელი ერი კაცობრიობას მისცემს არა ერთსა და ორ მიცქევიჩისა და სენკევიჩის!

დიდება პოლონელ მწერალთა და მოღვაწეთა! გამარჯვება პოლონელ ხალხს!

ქართველთა 30 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კავშირის დეპუტაცია.

22 დეკემბერი, 1916 წ.

ეს ადრესი თვალნათლად ადასტურებს იმ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, რომელიც ჰქონდა ქართველ მოწინავე საზოგადოებას პოლონელი ხალხისა და მისი დიდი ლიტერატურის წარმომადგენლებისადმი.

ეს სიყვარული არ იყო ცალმხრივი. ასეთსავე პატივისცემას გრძნობდა ქართველი საზოგადოება მათთვის მახლობელი ერის — პოლონელთა მხრიდან და ამ სიყვარულის გამოხატულებაა პოლონურად სათუთად თარგმნილი ქართული ლიტერატურის ნიმუშები.

ქართულ-პოლონური ლიტერატურის ურთიერთობის პროგრესული ტრადიციები ჩვენ ეპოქაში განსაკუთრებული ინტენსივობით გრძელდება და ვითარდება. ქართულ ენაზე დიდი გულმოდგინებით ითარგმნება პოლონური ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებები, რომლებიც ამდიდრებენ ჩვენი მშობლიური ლიტერატურის საუნჯეს, ისევე, როგორც პოლონური ლიტერატურის მოღვაწენი ქართული ნაწარმოებების თარგმნით ამდიდრებენ თავიანთ ლიტერატურას.


პოეტის თმის ღერი

პოეტსაც აქვს თავისი ფასი,  
უსმინეთ მის ხმას და მის სიმღერას  
თუნდაც მისი ხმა  
იყოს წვრილი,  
ვით ჯულიეტას თმის ღერი.

და თუ გაწყდება ის წვრილი ღერი,  
მაშინ პირქუში დედამიწა  
ბურთისმაგვარი  
ჩაექანება უფსკრულისაკენ...  
ანდა, ვინ იცის —  
გაიბლანდოს სადღაც ღრუბლებში.

გესმით? ხანდახან ასეც ხდება  
რღაც ჰკიდია ერთ წვრილ  
თმის ღერზე  
და პოეტის ხმა  
დღეს თმის ღერია.  
გესმით?  
იქ, სადღაც ვიღაცას ესმის.

პოლონურიდან თარგმნა ჯემალ ჭელიძემ



---

ყალბით  
და  
ფუნჯით

არსებობს კითხვის ხელოვნება, რომელიც უნდა შეისწავლო.

ე მ ი ლ ფ ა გ ე

## სერგო ქობულაძე

წელს სერგო ქობულაძის დაბადებიდან 80 წელი შესრულდა. იგი სასწოთა ქართული ხელოვნების ერთერთი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო. მხატვრის შემოქმედებამ, პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, მისმა კეთილშობილმა, არტისტულმა პიროვნებამ მკაფიო კვალი დაამჩნია ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას.

ს. ქობულაძე დაიბადა 1909 წელს ქალაქ ახალციხეში. სამხატვრო განათლება თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიიღო, სადაც მისი ხელმძღვანელები იყვნენ გამოჩენილი მხატვრები გიგო გაბაშვილი, იოსებ შარლემანი, ევგენი ლანსერე. უკვე სტუდენტობის წლებში მას გამოუმუშავდა ნატურაზე გულმოდგინე დაკვირვებისა და თავდადებული შრომის აუცილებლობის მტკიცე შეგნება. ამავე წლებში დაიწყო მანძევი ქართული ხელოვნებისა და რენესანსის ეპოქის იტალიის ხელოვნების გატაცებით შესწავლა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი შემოქმედებისა და მხატვრულ მიდგომათა ჩამოყალიბებაში. უკვე სტუდენტურ ნამუშევრებში ყურადღებას იპყრობს კომპოზიციის კლასიკურად ნათელი აგება და ნახატის სიზუსტე.

1938 წლიდან ს. ქობულაძემ პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც შემდგომში პროფესორი, ხატვის კათედრის ხელმძღვანელი და, ერთხანს, რექტორი იყო. სამხატვრო ასპარეზზე გამოსვლის პირველი ნაბიჯებიდან, ვიდრე სიკვდილამდე 1978 წელს, მხატვრის სიცოცხლე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ კულტურასთან.

1932 წელს ახალგაზრდა მხატვარი კოტე მარჯანიშვილმა თეატრში მიიწვია და ამ დროიდან მოყოლებული სცენოგრაფიამ მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. აქ გამოვლინდა მისი, როგორც ფერმწერისა და მონუმენტალისტის, მონაცემები. ნაწარმოების სპეციფიკური ხასიათისა და მასში ასახული ეპოქის ღრმა ცოდნა, სცენის თავისებურების გათვალისწინება ვლინდებოდა მის მერ გაფორმე-



ბულ სპექტაკლებში. ამ დარგში მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვები იყო საზეიმო ფარდა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერა-ბალეტის აკადემიურ თეატრში.

ს. ქობულაძე მუშაობდა დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში. დიდი მისი დამსახურება ლითოგრაფიისა და გრავეურის სხვადასხვა დარგების ჩვენში დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში.

წიგნის ილუსტრაციას მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობოდა. ამ დარგში მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევარია ილუსტრაციები რუსთაველის პოემისათვის „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც მხატვარს საბჭოთა გრაფიკის ოსტატთა შორის წამყვანი ადგილი დაუმკვიდრა.

ეს ილუსტრაციები მხატვარმა შეასრულა იუბილესათვის, რომელიც საქართველომ 1937 წელს იზეიმა. ამ თარიღისათვის მზადება დაიწყო ჯერ კიდევ 1934 წელს. ამ დროს დაიწერა გამოკვლევები რუსთაველის პოემის ენის, მსოფლმხედველობის, ეპოქის შესახებ. მომზადდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები. პოემა ითარგმნა რუსულსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის შესასწავლად ჩატარდა გათხრები დმანისის ნაქალაქეხსა, გეგუსთა და გუდარეხში. შეგროვდა მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა საქართველოს მუზეუმში გამოფენისთვის.

რუსთაველის იუბილემ ქართულ სახვით ხელოვნებაში გამოავლინა ახალი, ეროვნული მხატვრული ძალები. რუსთაველის ძეგლზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდნენ ი. ნიკოლაძე, კ. მერაბიშვილი, ვ. თოფურიძე, შ. მიქაბაძე, ლ. გრიგოლია. „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე მუშაობდნენ ლ. გუდიაშვილი, თ. აბაკელია, ი. თოიძე, ს. ქობულაძე. ამ პერიოდში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის წყალობით მხატვრებს ხელთ ჰქონდათ მდიდარი დამხმარე მასალა, რომელიც საშუალებას აძლევდა მათ წარმოედგინათ რუსთაველის ეპოქის კულტურა, ხელოვნება, ყოფა.

საიუბილეო გამოცემებს თ. აბაკელიას, ი. თოიძის, ს. ქობულაძის ილუსტრაციები დაერთო. ლ. გუდიაშვილის ნახატები იუბილეზე აღრე გამოქვეყნდა. თითოეული ავტორი თავისი გზით წავიდა, ილუსტრაციებში ხაზი გაუსვა პოემის იმ მხარეს, რომელიც მის მხატვრულ ტემპერამენტსა და შესაძლებლობებს უპასუხებდა. ს. ქობულაძის ყურადღება პერსონაჟების სავირო ხასიათზე გამახვილდა.

ნახატების შექმნას წინ უსწრებდა რუსთაველის ეპოქის ხელოვნების ძეგლების შესწავლა, მასალის შეგროვება და ნახატების კომპოზი-




1 1—10. ს. ჭობულაძე. ილუსტრაციების სერია შ. რუსთაველის პოემისათვის „ვეფხისტყაოსანი“.






















11 11—12. ს. ქობულაძე. ილუსტრაციები ძველი რუსული ეპოსისათვის „ამბავი იგორის ლაშქრობისა“.





1 ს. ქობულაძე. ილუსტრაცია შექსპირის ტრაგედიისათვის „მაკბეტი“.



2. ს. ქობულაძე. ილუსტრაცია შექსპირის ტრაგედიისათვის „ანტონიოს და კლეოპატრა“.



3. ს. ქობულაძე. ილუსტრაცია შექსპირის ტრაგედიისათვის „მეფე ლირი“.



4 ს. ქობულაძე. ილუსტრაცია შექსპირის ტრაგედიისათვის „რიჩარდ მესამე“.



ა. ს. კობულაძე. ილუსტრაცია შექსპირის ტრაგედიისათვის „მეფე ლირი“.




6. ს. კობულაძე. ილუსტრაცია შექსპირის ტრაგედიისათვის „მეფე ლირი“.



7. ს. ქობულაძე. ილუსტრაცია შ. დადიანის რომანისათვის „იური ბოგოლუბსკი“  
(ფრონტიპისი).



8—9 ს. ქობულაძე, ილუსტრაციები შ. დადიანის რომანისათვის „იური ბოგოლუბსკი“.



10. ს. ქობულაძე. ილუსტრაცია ა. პუშკინის პოემისათვის „ბოლტავა“.



11. ს. ქობულაძე. ილუსტრაცია ა. პუშკინის პოემისათვის „ბოშები“.



12.



13.



14



15

12—15 ს. ქობულაძე. ილუსტრაცია-თავსართები ქართული ხალხური ზღაპრებისათვის.



ციებზე მოსამზადებელი მუშაობა, რომელსაც მხატვარი გულდასმით, მისთვის ჩვეული გატაცებით აწარმოებდა. განსაკუთრებით დეტალურად შეისწავლა მხატვარმა ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, რომლის ხასიათს ძალიან ფაქიზად გრძნობდა. ეს ნებას აძლევდა პოემის გმირებისათვის სათანადო გარემო შეექმნა, თავისუფლება მიეცა ფანტაზიისთვის, ამავე დროს თავი დაეღწია გადაჭარბებული არქეოლოგიზმისათვის. რაც შეეხება გმირების კოსტიუმს, ს. ქობულაძემ ისარგებლა ძველი მხატვრობის ნიმუშებით, გადაამუშავა მასალა და შექმნა დეკორატიული სამოსელი, რომელიც მჭიდროდ ეკვრის სხეულს და ფორმების მკაფიოდ გამოვლენას უწყობს ხელს. საერთო კომპოზიციური სქემის დასაზუსტებლად მხატვარი უამრავ ნახატებს აკეთებდა. გარდა ამისა, ხატავდა ცალკეულ დეტალებს. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ხელის მტევნების ფანქრით გაკეთებული ეტიუდები. როცა მხატვარს სხვა მოდელი არ ჰყავდა, ის თავის ხელებს ხატავდა. დამახასიათებელია, რომ ეტიუდებს სწრაფი ჩანახატების ხასიათი არა აქვთ. ეს სრულიად დამთავრებული, ბოლომდე დამუშავებული ფრაგმენტებია, რომელთა კომპოზიციაში გადატანა უცვლელად შეიძლება.

როცა ს. ქობულაძემ რუსთაველის პოემის ილუსტრაციებზე მუშაობა დაიწყო, იგი ოცდახუთი წლის იყო. ის მეთოდურობა, რომელიც მაშინ მის მოსამზადებელ მუშაობაში გამოვლინდა, მხატვრისთვის ყოველთვის დამახასიათებელი დარჩა მაშინაც, როცა ის მოწიფული, აღიარებული ოსტატი გახდა.

ს. ქობულაძემ პოემიდან საილუსტრაციოდ ამოკრებილი ეპიზოდების რაოდენობა შეზღუდა. აირჩია სიუჟეტის საკვანძო ეპიზოდები: თინათინის გამეფება, ტარიელი წყლის პირას, ტარიელის და ავთანდილის შეხვედრა, ნესტანის მოტაცება, ტარიელს ბრძოლა ლომთან და ვეფხვთან, ნესტან-დარეჯანი და ფატმანი. ნესტან-დარეჯანის წერილი, ქაჯეთის ციხე, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შეხვედრა. ნიშანდობლივია, რომ მხატვარმა თავი აარიდა ეპიზოდებს, რომლებიც „ქანარული“ ხასიათის ნახატების შექმნას მოითხოვს (მაგალითად, ავთანდილის თაკვადასავალი გულანშაროში).

ამ ნახატების სერიაში შევიდა თერთმეტი ილუსტრაცია და რუსთაველის პორტრეტი. ნახატები გუაშითაა შესრულებული, ზოგიერთი მათგანი დაფერილია. საერთო ფერადოვანი გამა თავშეკავებულია. ხშირადაა ნახშირი ყვითელი და ნარინჯი ტანსაცმლის ნახატში, კობალტი და ლაჟვარდი ფონებისათვის. ფერი დატანილია ფუნჯით შესრულებუ-



ლი შტრიხებით, რომლებიც მიყვება ფორმებს. დიდ სიბრტყეებზე ფეხები მიშხეფებულია — მუქ ფონზე უწვრილესი წერტილებით.

ილუსტრაციების სერია იწყება ნახატით — თინათინის გამეფება. ს. ქობულაძე არ ხატავს თვით ცერემონიალს, როგორცაა ი. თოიძესთან, ან საჭურჭლის გაცემას, როგორც მ. ზიჩის ნახატშია, ე. ი. მასობრივ სცენას, არამედ ჩერდება მთავარი პერსონაჟების თინათინისა და როსტევან მეფის ურთიერთობის ამსახველ მომენტზე. ყურადღება გამახვილებულია მათ ფიგურებზე, მათ მნიშვნელობას აძლიერებს ფონზე გამოსახული არქიტექტურა და რამდენიმე სხვა ფიგურის განლაგება.

პერსონაჟებს შორის ურთიერთობაზე ჩერდება მხატვარი ილუსტრაციაში „ნესტანი და ფატმანი“, მაგრამ არჩევს ეპიზოდს, სადაც თხრობითი ელემენტი არაა. ი. თოიძის ილუსტრაციაში წარმოდგენილია ფატმანის მიერ ნესტანის გამგზავრება, ე. ი. მოთხრობილია კონკრეტული ეპიზოდი. ს. ქობულაძის ნახატში გადმოცემულია ფატმანის ნესტანისადმი თანაგრძნობა. ქალების განცდას მათი პოზები და მოძრაობა გამოხატავს.

ემოციური მომენტია გამოვლენილი ნახატში „ტარიელის და ავთანდილის შეხვედრა“. ავთანდილის სწრაფი, ტარიელისკენ მიმართული მოძრაობა მისი ტანსაცმელისა და წამოსასხამის დეკორატიულად განლაგებული ნაოჭებითაა ხაზგასმული.

შესრულების თანმიმდევრობის მიხედვით პირველი ნახატები იყო „ტარიელის ბრძოლა ხატაელებთან“ და „ნესტან-დარეჯანის მოტაცება“, რომლებშიც ჩანს მხატვრის ზედმეტად გატაცება პათეტურობით, ფორმათა ორნამენტული გადახლართვით. უკანასკნელ ნახატში კომპოზიცია აქსესუარებითაა გადატვირთული, მძიმე კაპიტელებით, გაფრიალებული ტანსაცმლის ნაოჭებით. სივრცობრივი ორგანიზაცია ძნელად გასარკვევია. თუმცა აქაც, დახლართული ფორმები მოუსვენარი დაძაბულობის შეგრძნებას იძლევა. საინტერესოა, რომ შემდეგი ნახატების კომპოზიციები მხატვარმა დახვეწა, შეზღუდა არა მხოლოდ აქსესუარების, არამედ საერთოდ, ფიგურების რაოდენობა.

ილუსტრაციებში განსახიერებელი გმირების ხასიათში ს. ქობულაძე მათ კეთილშობილებასა და სულიერ სიდიადეს ავლენს. ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელია ნახატი „ნესტანის წერილი“, რომელიც, საერთოდ, ამ სერიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. კომპოზიცია სადაა, ყურადღება ნესტანის ფიგურაზეა კონცენტრირებული. მისი მოძრაობა პლასტიკურია და მეტყველი. სახის სწორ ნაკვეთებში კეთილშობილება გამოსჭვივის. ნესტანი მუქი კედლის წყობის ფონზეა წარმოდგენი-

ლი. არქიტექტურის სადა, დახვეწილი ფორმები შეესატყვისება კომპოზიციის საერთო განწყობილებას. ფიგურის ძლიერი ფორმები, მშვიდობა პოზა მონუმენტურობის შთაბეჭდილებას ქმნის. მონუმენტურია დეკორატიულად შეგრძნობილი ტანსაცმელის ნაოჭები, რომლებიც მძიმედ ეფინება ქალს მუხლებზე. ქობულაძისეული ნესტანის სილამაზე ამალლებული, გამირული, ზოგად კრებით სახემდეა აყვანილი.

ეპიკურად მშვიდია უკანასკნელი სცენა — „ნესტანის და ტარიელის შეხვედრა ქაჯეთის ციხეში“. ამ ნახატშიც უგულვებელყოფილია თხრობითი მომენტები, არ ჩანან ფრიდონი და ავთანდილი, რომელთაც მიჯნურთა შეხვედრა დაინახეს. მხატვარმა არ მიაქცია ყურადღება ისეთ დეტალსაც, როგორც არის ტარიელის მოხდილი მუზარადი (ი. თოიძე ამ შემთხვევაშიც უშუალოდ ტექსტს მიჰყვება). თვით ფიგურების აგების გარდა, არქიტექტურისა და ფიგურების შეფარდება მონუმენტურობას აძლიერებს. გამირების მოძრაობა თავშეკავებულია, მასები გაწონასწორებული, მთავარი ჯგუფი ფურცლის გეომეტრიულ ცენტრში არაა მოთავსებული — ყურადღებას მისკენ წარმართავს არქიტექტურული ჩარჩო — თაღების რიტმი, რომელიც სიღრმიდან, პირველი პლანისკენ მოდის და ხაზს უსვამს ნესტანის და ტარიელის ფიგურებს. ამ ნახატშიც თვალსაჩინოა მხატვრისთვის დამახასიათებელი თვისება — არქიტექტურისა და ფიგურების ორგანული დაკავშირება, ფიგურის დომინირებული მნიშვნელობის შენარჩუნებით.

პოემის გამირების სახეებს უკავშირდება ამ სერიისთვის შესრულებული რუსთაველის პორტრეტი. სახის ტიპი ახლოა ტრადიციულთან — წვეროსანი სახე და მაღალი ქუდი. აღსანიშნავია, რომ მხატვარი გარეგნულ სილამაზეს გაუტრია, ადიდება ცხვირს, ამძიმებს სახის ნაკვთებს, სახეს მკაცრ, სერიოზულ გამომეტყველებას ანიჭებს. ვეფხის ტყავი, — ტარიელის ატრიბუტი, რომელიც გადაფენილია ფიგურის კალთაზე, აკავშირებს პოეტის სახეს მის გამირთან. ძუნწად მოცემული პეიზაჟი, არქიტექტურის ფორმების სინატიფე, წამოსასხამის მძიმედ ჩამოშვებული ნაოჭების ფენა, ეფარდება პოეტის სხეულის თავისუფალ და მედიდურ პოზას, ყველაფერი ერთობლიობაში აზრისა და ძალის შთაბეჭდილებას ქმნის. აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ს. ქობულაძის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი, აგრეთვე რუსთაველის პორტრეტი იყო და სწორედ ამ ნახუშევარს, მხატვრის გარდაცვალების შემდეგ, მიენიჭა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

„ვეფხისტყაოსნის“ ნახატების კომპოზიციის აგების პრინციპი მონუმენტურობასა და პირობითობას ქმნის; მოქმედება უმთავრესად სუ-



რათის ერთ პლანში ვითარდება, ფიგურები ქვისგან გამოკვეთილ ეფს ემსგავსება. ეს შთაბეჭდილება ძლიერდება თითქმის სკულპტურულად გამოძერწილი, მკაფიოდ დამუშავებული ფორმების წყალობით. ადამიანის გამოსახულებას კომპოზიციაში მთავარი ადგილი ენიჭება. ფორმების მკაფიო დამუშავებით, მოძრაობის ხაზგასმით ფიგურების პლასტიკურობა და ტექტონურობა გამოვლენილი. ფორმების სკულპტურულობა ერთგვარ სტატიკურობას ბადებს, რაც მთელი კომპოზიციის სტრუქტურასთან ერთად იმ სიმყარის შთაბეჭდილებას ქმნის, რომლის წყალობით ძლიერდება ნახატების თავისებური, საზეიმო მონუმენტურობა.

ფორმებს განსაკუთრებულ მკაფიოებას ანიჭებს ფუნჯით შესრულებული დაშტრიხვა. ილუსტრაციების შესრულების ბრწყინვალე ტექნიკას საერთო შთაბეჭდილებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მხატვარმა რუსთაველის პოეზიის ილუსტრირების დროს გარკვეულად შემოფარგლა თავისი ამოცანა. მას არ დაუსახავს მიზნად გადმოეცა პოემის შინაარსი მთელი მისი სირთულით და მრავალფეროვნებით, უარყო თხრობითი მიდგომა და ეცადა შეექმნა განზოგადებული სახეები, რომლებიც რუსთაველის გმირებზე მის წარმოდგენას ეფარდებოდა. ქობულაძის ნახატებში გამოძახილს ჰპოვებს პოემის გარკვეული მხარე — საგმირო, ამაღლებული ხასიათი, გმირების კეთილშობილება და სულიერი ძალა.

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების შემდეგ ს. ქობულაძემ შეასრულა ორი კომპოზიცია რუსული ეპოსისათვის „ამბავი იგორის ლაშქრობისა“: „მზის დაბნელება“ და „ყივჩალებთან ბრძოლა“ (1939—1940). რუსთაველის პოემის შემდეგ მხატვრის ყურადღება კვლავ ისეთმა ნაწარმოებმა მიიზიდა, რომელიც საგმირო თემას ეძღვნება. მხატვარმა ამჯერადაც გამოსახვის პირობით საშუალებებს მიმართა და ხაზი გაუსვა ასახული მოვლენების უჩვეულობას, ამაღლებულ ხასიათს. ამჯერად მან საილუსტრაციოდ აირჩია ეპიზოდები, რომლებიც მრავალფეროვანი კომპოზიციების შექმნას მოითხოვდა, ყურადღება გაამახვილა რომელიმე ერთ პერსონაჟზე კი არა, არამედ თვით მოვლენის სიდიადეზე.

კომპოზიციაში „მზის დაბნელება“ მოძრაობის ოდნავ შენელებული რიტმი, მეომრების მელანქოლიურად დახრილი თავები, ცენტრალური ფიგურის მოძრაობა გადმოსცემს რაღაც იდუმალისა და უჩვეულო ამბის მოლოდინის განწყობილებას. მეორე კომპოზიციაში ხაზგასმულია

რუსი მეომრების მედგარი, მიზანდასახული, მწყობრი შეტევა და წინააღმდეგობის უწყისრიგო რიგების უკუქცევა.

გულდასმითაა გააზრებული კომპოზიციის საერთო აგება და ცალკეული დეტალები. ფიგურები კომპაქტურ ჯგუფებს ქმნიან, მაგრამ ყოველი მათგანი გარკვევით იკითხება. მეომრების საჭურველი, სამოსელი, კლდეები, ხეები, ბალახი კლდეებს რომ ეფინება, გულმოდგინედ, ფაქტურის გადმოცემითაა დამუშავებული. მაყურებელი, უპირველეს ყოვლისა, აღიქვამს პლასტიკური ფორმების გამომხატველობას და მოძრაობის ერთიანობას. დეტალების ვირტუოზული დამუშავება საერთო შთაბეჭდილების შექმნას ექვემდებარება. დიდი ოსტატობითაა გამოყენებული ფერი. პირობითი წითელი ფონი ასოციაციას იწვევს ძველ მინიატურებთან (მინიატურების ოქროს ფონს ქვემოთ წითელი ფერის ფენა ჰქონდა). ამ წითელ ფონზე მონაცრისფრო ტონები თეთრისა და შავის გვერდით, განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენენ. ამ ნამუშევრების გრაფიკული ხასიათი შენარჩუნებულია დაშტრიხვის წყალობით, რომელიც, ისევე როგორც რუსთაველის პოემის ილუსტრაციებში, შესრულების უბადლო ტექნიკით გამოირჩევა.

განყენებული ფონი, ფიგურების რელიეფისებური განლაგება, პეიზაჟის პირობითი გაგება და დეტალების დამუშავება ამ ილუსტრაციებს დეკორატიული სურათების ხასიათს ანიჭებს.

ეს ნამუშევრები, რომლებიც მხატვრის მიერ ეპიკური თემის კიდევ ერთი საინტერესო გააზრებაა, მათი ბრწყინვალე შესრულების წყალობით, მხატვრის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს.

ს. ქობულაძე პირველი იყო ქართველ მხატვართა შორის, ვინც შექსპირის თემას მიმართა. შექსპირის ტრაგედიებმა არაერთხელ მიიზიდა მისი ყურადღება. ჯერ კიდევ 1934—1935 წლებში მან შექმნა ოთხი ნახატი, რომელიც შექსპირის ტრაგედიების ორტომეულს დაერთო. 1946 წელს იგი ასრულებს ილუსტრაციებს ტრაგედიისათვის „მეფე ლირი“. 1948 წელს ქმნის დეკორაციებს და კოსტიუმებს ამავე ტრაგედიის დადგმისთვის რუსთაველის თეატრში. ხანგრძლივი მუშაობა ერთსა და იმავე თემაზე დამახასიათებელია მხატვრისათვის.

ოცდაათიანი წლების ნახატები უკავშირდება ამ პერიოდშივე შესრულებულ „ვეფხისტყაოსანის“ ილუსტრაციებს არა მარტო მანერით (მათ ნახატის ჭედური სიმკვეთრე ახასიათებს), არამედ ნაწარმოების გაგებითაც. მხატვარი ორსავე შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ხასიათების განზოგადებაზე ფიქრობდა. ნახატები ოთხი ტრაგედიისთვის



იყო შესრულებული: „ანტონიოს და კლეოპატარა“, „რიჩარდ III“, „მაკბეტი“, „მეფე ლირი“. თვითეულ ტრაგედიას მხატვარმა მხატვარმა ერთი ნახატი — ფრონტიპისი დაურთო, რაც უკვე თავისთავად გულისხმობდა სახეების განზოგადების აუცილებლობას. მის მიერ ამორჩეული სცენები ან კულმინაციური იყო, ან სიმბოლურად გადმოსცემდა ნაწარმოების დედაარსს. მხატვარი თავის ნახატს იმდენად ტექსტის რაიმე კონკრეტულ მომენტს კი არ უკავშირებდა, რამდენადაც, თვითეული ტრაგედიის ზოგადი განწყობილების გადმოცემას ისახავდა მიზნად, ხაზს უსვამდა შექსპირისეული სახეების გმირულ სიდიადეს. ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნისათვის“ შესრულებულ ნახატებში, აქაც ფიგურებს ეთმობა მთელი ფურცელი. მხატვარი ცდილობს პერსონაჟების რაოდენობა რაც შეიძლება შეზღუდოს — ყურადღება გაამახვილოს მთავარზე. ფიგურების სიმბოლურობა კარგად ეფარდება შესრულების პირობითობას

ამ ნახატებს შორის ძლიერი გამომხატველობით მკვეთრად გამოირჩევა „რიჩარდ III“ და „ლირი უდაბნოში“. „რიჩარდ III“ მშვიდი კომპოზიციანია. ტახტზე მჯდომარე კაცი თითქოს ეპარება სამეფო გვირგვინს. მისი სხეულის შემპარავი და მოქნილი მოძრაობა, მთელი ფიგურის შინაგანი დაძაბვა უპასუხებს შექსპირის გმირის მოქმედების არსს. ისეთი დეტალები, როგორიცაა ჯვარცმის გამოსახულება მეფის ზურგს-უკან და გვირგვინი მის ხელში, აზრობრივ აქცენტებს წარმოადგენენ, ხაზს უსვამენ რიჩარდის ვერაგობას, ძალაუფლებისკენ სწრაფვას, თვალთმაქცობას. კიდევ უფრო ზოგადი ხასიათი აქვს მეფე ლირს. უზარმაზარი ფიგურა იშლება მთელ ფურცელზე, ძირს დაბალ პორტი-ზონტს ჰკვეთს ელვა. მეფის გახელება, სასოწარკვეთილება, მთელი ამბის ტრაგიზმი, გადმოცემულია თითქმის შიშველი ფიგურის მოძრაობით. ეს განწყობილება ძლიერდება შავისა და თეთრის კონტრასტით. ფიგურის ექსპრესიულობას ხაზს უსვამს გაფრიალებული წამოსასხამის დეკორატიული ნაოჭები. ამ ნახატში ქობულაძე გადმოგვცემს არა მარტო მეფე ლირის, არამედ შექსპირის შემოქმედების ტრაგიკული პერიოდის ზოგად განწყობილებას.

„მეფე ლირის“ ნახატების სერიის შესრულებისას მხატვარი ამოცანას ახლებურად მიუდგა. ამჯერად მან წიგნის მთელი გაფორმება გაიაზრა, მჭიდროდ დაუკავშირა ნახატები ტექსტს. სატიტულო ფურცელი, თავსართები და ბოლოსართები შესრულებულია ტუშით, კალმით, ფრონტიპისი (შექსპირის პორტრეტი) — გუაშით, ნახატები ცალკე ფურცლებზე — დაწნეხილი ნახშირით და სანგინით. თუმცა ნახატის



ტექნიკა სხვადასხვაგვარია, მთლიანობა არ ირღვევა ერთიანი მხატვარული მიდგომის წყალობით. ნახატები ორგანულად უკავშირდება ტექსტს. სერიის თანამიმდევრულად გაცნობისას, მეფე ლირის სახე მდიდრდება და სახეცვლილებას განიცდის. მხატვარი მიზნად ისახავს გვიჩვენოს მეფე ლირის არა მარტო ოჯახური დრამა, არამედ სოციალური შინაარსის ზოგადკაცობრიული ტრაგედია.

მხატვარმა ასახა ტრაგედიის პარალელური სიუჟეტები — მეფე ლირისა და გლოსტერის თავგადასავალი, რომლებიც შექსპირთან ოსტატურად ერწყმის ერთიმეორეს და ხელს უწყობს ხასიათების გახსნას. მხატვარმა შეგნებულად გამოჰყო ლირის ამბავი, გლოსტერისა კი მხოლოდ ეპიზოდების სახით გვიჩვენა. ლირის ეთმობა შემდეგი ფურცლები: „კორდელიას განდევნა“, „ლირი გლოსტერის სასახლეში“, „ლირი უდაბნოში“, „ლირისა და გლოსტერის შეხვედრა“, „ლირი და კორდელია“, „უკანასკნელი სცენა“. ს. ქობულაძეს ეს ეპიზოდები შემთხვევით არ ამოუკრებია. სწორედ ეს სცენები საშუალებას აძლევდა მხატვარს ეჩვენებინა ლირის ხასიათის შეცვლა და ტრაგედიის განვითარება, დრამატული დაძაბულობის თანდათანობით ზრდა. ნახატების ამ ჯგუფში აზრის, შინაარსის მიხედვით მთავარი ფიგურა მეფე ლირია. მხატვარი ლირის მნიშვნელობას ხაზს უსვამს სხვადასხვა საშუალებებით. ნახატში „კორდელიას განდევნა“ ლირი ცენტრალური ფიგურაა, სხვა ფიგურები მის ირგვლივ განლაგებულან და ერთგვარ კვარცხლბეკს უქმნიან. ამასთან, სხვა მომქმედ პირთა თავშეკავებული პოზების გვერდით, მეფის მკვეთრი ექსტიკულაცია მას გამოჰყოფს და ყურადღების ცენტრში აქცევს. მეორე პლანზე გამოსახული არქიტექტურა ამის ხაზგასმას ემსახურება — თაღების სვეტი სწორედ მეფის ფიგურას უსვამს აქცენტს. ასევე საგანგებოდაა ხაზგასმული ლირის ფიგურა ნახატში „ლირი გლოსტერის სასახლეში“. კვერთხზე მძიმედ დაყრდნობილი ლირი კიბის საფეხურებზე დგას, სხვა პერსონაჟების მოძრაობა მისკენაა მიმართული. კიბის საფეხურები საკმაოდ მაღალია ჩვეულებრივი ადამიანისთვის, ის კი თავისუფლად აბიჯებს ორზე ერთად. მისი გოლიათური აღნაგობა კონტრასტს ქმნის იმ სასოწარკვეთილებასთან, რომელსაც მისი ფიგურა გამოხატავს. კორდელიასთან შეხვედრის სცენაში კორდელიას მოძრაობა მიმართულია სიღრმისკენ, იქით, სადაც ლირი წევს. ყურადღება კონცენტრირებულია ლირის მეტყველ სახესა და უღონოდ დაშვებულ დიდ ხელზე, რომლებიც ძლიერ განათებულია და უპირისპირდება მუქ ფარდებსა და დაჩრდილულ ფონს. წინა სცენების მკვეთრ ექსტიკულაციას უბრალო, ადამიანური ექსტი ცვლის.



ლირის თავგადასავალს უდაბნოში მხატვარმა სამი ნახატი შექმნა: „ლირი და მასხარა უდაბნოში“, „ლირი ედგარის კარავთან“, „ლირი და უსინათლო გლოსტერი“. შექსპირის მასხარა უდაბნოშიც ირონიულ სიმშვიდეს ინარჩუნებს, მხოლოდ იზრდება მისი რეპლიკების სარკაზმი. ქობულაძის ნახატში კლდეზე მყუდროდ მოკალათებული მასხარა უპირისპირდება აფორიაქებულ ლირს მისი ქარისგან გაფრიალებული წამოსასხამით, გაწეწილი წვერითა და სასოწარკვეთილების გამომხატველი აწვდილი ხელით. დრამატიზმს აძლიერებს პეიზაჟი — მიუსაფარი კლდეები, ღრუბლიანი ცა, ირიბი წვიმა. პეიზაჟი მოქმედებს არა როგორც დამატებითი, არამედ — აქტიური ფაქტორი.

ნახატები, რომლებშიც სხვა პერსონაჟების ამბავი და ხასიათებია მოცემული, აღიქმება, როგორც დიდი სცენებიდან ამოკრებილი კონკრეტული ეპიზოდების ილუსტრაციები („გლოსტერის წამება“, „ედმუნდი და რეგინა“ და სხვ., ან პერსონაჟების „პორტრეტები“ — „ედგარი“, „ედმუნდი“). საინტერესოა, რომ მიუხედავად ედგარის და ედმუნდის ფიგურების გარეგნული მსგავსებისა — ფართო მხრები, მძიმე კიდურები, ერთნაირი ვარცხნილობა, მხატვარმა ედგარის ფიგურას, მის პოზას მიანიჭა კეთილშობილება, რაც მას განასხვავებს ედმუნდის სხეულის უხერხული მოძრაობისაგან.

ქობულაძის მიერ შექმნილი გმირების გამომხატველობა იქმნება მთელი ფიგურის მოძრაობის პლასტიკის გამოვლენით. სწორედ ამიტომ, როცა ამის საშუალებას სიუჟეტი იძლევა, მხატვარი შიშველ ფიგურას ხატავს, ან სამოსელის ქვეშ ავლენს სხეულს. კომპოზიციის მთავარი ფიგურები მთლიანად ჩანან და მათი რთული მოძრაობა მკაფიოდ იკითხება. კოსტიუმის დეტალების მოძრაობის გამოსავლენადაა გამოყენებული. კუნთები მკაფიოდაა გამოვლენილი, თუმცა არა იმგვარი ჭედური ტექნიკით, როგორც დამახასიათებელია „ვეფხისტყაოსნისა“ და შექსპირის ტრაგედიებისათვის 1930-იან წლებში შესრულებულ ნახატებისთვის. აქაც შენარჩუნებულია მოცულობითობა, რელიეფურობა. ფორმები მოდელირებულია რბილად „ცხოველხატულად“, რასაც ხელს უწყობს ამჯერად გამოყენებული მასალა.

მხატვარი არ ცდილობს ნახატებში გმირების მოქმედება დაიყვანოს ამბის თხრობამდე, მოაქციოს ყოველდღიურობის ჩარჩოებში, არამედ მიზნად ისახავს შექსპირის ტრაგედიის დრამატიზმისა და მონუმენტურობის გადმოცემას.

მხატვარი ქმნის ჩაკეტილ, გაწონასწორებულ კომპოზიციებს, რომელშიც თვითეული ფიგურისათვის სათანადო ადგილია მოძებნილი.



ფიგურები გამოხატავენ ძალას, გამოხატავენ ზოგჯერ თეატრალურობის ექსტრემით, მაგრამ ძალა და მონუმენტურობა ყველა კომპოზიციას აქვს. ამ შთაბეჭდილების მიღწევის საშუალებაა — ფიგურების მასშტაბები, მათი შეფარდება დამხმარე საგნებთან და ფურცლებთან, მათი ადგილი და ურთიერთმიმართება კომპოზიციისაში, ფორმების განზოგადებული დამუშავება.

ნახატებს თავისებურ ხასიათს ანიჭებს ის, რომ მხატვარი ხაზს უსვამს ილუსტრირებული ნაწარმოების კავშირს თეატრთან. თეატრთან სიახლოვე განსაკუთრებით ჩანს ილუსტრაციებში — „კორდელიას განდევნა“, „ლირი გლოსტერის სასახლეში“, „კორდელიასთან შეხვედრა“. ამ ნახატებში ფიგურებს უკავია ფურცლის ქვემო ნაწილი, ზემო — ეთმობა „თეატრალურ დეკორაციებს“. თეატრალურად გამოიყურება თალი ზედ დაკრული ფარებით და დეკორატიულად აკეცილი ფარდა მარჯვენა მხარეს. ეს ფარდა ოდნავ სახეშეცვლილი ერთსა და იმავე ადგილას რჩება ამ კომპოზიციებში, რაც თეატრის დეკორაციის ასოციაციას ბადებს. ფიგურები განლაგებულია, როგორც თეატრის მიზანსცენებში, თეატრალურად პირობითია არქიტექტურა. ეს თეატრალურობა ერთგვარი მხატვრული საშუალებაა, რომელსაც მხატვარმა დრამატული ნაწარმოების ილუსტრირების დროს მიმართა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მხატვარი სტენოგრაფიცი იყო. მისი კოსტიუმები მეფე ლირის დადგმისათვის რუსთაველის თეატრში ზოგჯერ ილუსტრაციების პერსონაჟების კოსტიუმებს იმეორებს. ბუნებრივია, როცა ნაწარმოები ამის საშუალებას იძლეოდა, ილუსტრატორმა თავის ნახატებში შეიტანა თეატრის ელემენტები, რომლებიც მისთვის, როგორც სტენოგრაფისთვის, მახლობელი იყო.

ნახატების სერიას თავისი ხასიათით ორგანულად უკავშირდება გუაშით შესრულებული შექსპირის პორტრეტი (ფრონტისპისი), რომელიც შექმნილია ცნობილი ძველი გრავიურის საფუძველზე. ს. ქობულაძე ამ შემთხვევაშიც, თავის საერთო მიდგომას არ ღალატობს. მართალია, მხატვარმა პორტრეტს შეუნარჩუნა მსგავსება ტრადიციულ გამოსახულებასთან, მაგრამ გაამახვილა ხასიათის ის მხარე, რომელიც სახეს მონუმენტურობას და სიძლიერეს ანიჭებს. ქობულაძისეული შექსპირის იმპოზანტური ფიგურა ასოციაციას ბადებს თვით ილუსტრაციების გმირების მონუმენტურ სახეებთან. მხატვარმა გამოავლინა სიძლიერე ისევე, როგორც ილუსტრაციებში, რამდენადმე ხასიათის სხვა მხარეების საზიანოდაც კი.

ტრადიციის სიუჟეტისადმი ერთგვაროვან მიდგომასთან ერთად,

სხვადასხვა ტექნიკით შესრულებულ ნახატებს აკავშირებს მხატვრობის მტკიცე ხელი, რომელსაც სერიაში ერთიანობა შეაქვს.

1950-1953 წლებში ს. ქობულაძემ ილუსტრაციების რამდენიმე სერია შეასრულა: შ. დადიანის რომანისათვის „იური ბოგოლუბსკი“ (1951), ა. პუშკინის პოემებისათვის „ბოშები“ და „პოლტავა“ (1952), ქართული ხალხური ზღაპრების კრებულისათვის (1951—1953). მხატვარს განზრახული ჰქონდა შეექმნა ილუსტრაციები, რომლებსაც თვით ტექსტში განსაზღვრული ადგილი ექნებოდა და წიგნს ერთ მხატვრულ მთლიანობად აქცევდა.

ამ სერიებში თავი იჩინა სახეთა მეტი კონკრეტიზაციისა და ნახატებში თხრობითი ელემენტების შეტანის ტენდენციამ, რაც საერთოდ 1950-იანი წლების საბჭოთა გრაფიკაში ვლინდება და თავის გამონათქვამებს ს. ქობულაძის შემოქმედებაშიც ვხვდებით. მხატვრის შესრულების მანერაც ცვლილებას განიცდის. ჩანართი ნახატების შესრულებისას ის ფართო, თავისუფალ დაშტრიხვას იყენებს, მიმართავს ჩრდილ-სინათლის რბილ ტრადიციებს, რაც ტონალურ, ცხოველხატულ ხასიათს ანიჭებს ნახატს.

ქართულ გრაფიკას ისტორიული რომანის ილუსტრირების დიდი ტრადიცია არ გააჩნდა. თუმცა ისტორიული რომანების რამდენიმე სერია შექმნა ი. შარლემანმა. მათ შორის ნახატები. მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელისთვის“ (1934) და ვ. ბარნოვის რომანისათვის „დიდი მოურავი ვიორჯი სააკაძე“ (1939). ი. შარლემანი დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიული ეპოქის შესაფერის კოსტუმებსა და გარემოს, რაც მის ნახატებს თავისებურ დამაჯერებლობას ანიჭებს. ს. ქობულაძე, რომელიც ი. შარლემანის უშუალო მოწაფე იყო, ავლენდა კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების სპეციფიკის გაგებისა და მისი გრაფიკული საშუალებებით გამოვლენის უნარს. მისი ეს თვისება ისტორიული რომანის დასურათების დროსაც მეტად ვლინდება. ამ სერიის შესრულებისას მხატვარმა გამოიყენა მასალა, რომელიც ადრეც ჰქონდა შეგროვებული, მაგრამ ამჯერად მხატვარმა იგი უფრო თავისუფლად გამოიყენა და გადაამუშავა.

შ. დადიანის რომანის დასურათება საინტერესოდაა გააზრებული ნახატების სიუჟეტების შერჩევისა და ტექსტში მათი განაწილების თვალსაზრისით. მოქმედების განვითარების საკვანძო მომენტები თითოეული ნაწილის წინ მხატვარმა ცალკე ფურცლებზე გამოიტანა. ნახატით „იურისა და კუზმას საუბარი“ იწყება პირველი ნაწილი, რომელშიც მოთხრობილია იური ბოგოლუბსკის ცხოვრების შესახებ, ვიდ-



რე იგი საქართველოში გაემგზავრებოდა. ნახატი „დარბაზობა თამარის კარზე“ ერთვის მეორე ნაწილს — აქ იშლება რუსი უფლისწულის საქართველოში ჩამოსვლის ამბავი და თამარისა და იურის ჯვრისწერა, ნახატი „ხრამში გადაჩეხილი უფლისწული“ შეესაბამება მესამე ნაწილს, სადაც მოთხრობილია საქართველოდან იურის გაძევების, მისი დაბრუნების და გამეფების ამოო ცდების შესახებ. ეს ნაწილი იურის დაღუპვით თავდება. ფრონტიისპისში — „თამარ მეფე“ მხატვარი განზოგადებული სახის შექმნას ისახავს მიზნად. რომანის კითხვის დროს, მკითხველს წარმოუდგება ბრძენი მმართველი, სიკეთით აღსავსე ქალი და მეომარი. თამარის სახის არჩევა ფრონტიისპისად რომანის შინაარსს კარგად ეფარდება.

შ. დადიანის რომანი მდიდარია ყოფითი ეპიზოდებით, რომლებიც ისტორიულ ამბებს ერწყმის, ხოლო მთელი თხრობა რომანტიკული განწყობილებითაა გამსჭვალული. ორმოცი თავსართი-ნახატი ამდენსავე თავს შეესაბამება და ტექსტის კითხვასთან ერთად განიხილება. ყოველ თავში მოთხრობილ გმირთა თავგადასავალი, ან საერთო განწყობილება გამოძახილს ჰპოვებს მხატვრის ცოცხალ, უშუალო ნახატებში. შესრულების ტექნიკა (ტუში, კალამი) ხელს უწყობს ნახატის სიმსუბუქეს. წიგნის გვერდზე მოთავსებულ ტექსტსა და მის დამგვირგვინებელ, დამამთავრებელ ნახატს შორის წონასწორობაა დამყარებული. ამ ნახატების შესრულების განსაკუთრებული თავისუფლება, არტიზტიზმი ბადებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი სწრაფ ჩანახატებს წარმოადგენენ. სინამდვილეში ეს თავისუფლება შედეგია ამჯერადაც დიდი მოსამზადებელი მუშაობისა. თითოეულ თავსართისათვის ფანქრით დეტალურად დამუშავებული ესკიზი კეთდებოდა.

თავსართი-ნახატები მცირე ზომის დასრულებული სურათებია, რომელთა კომპოზიციური აგება მრავალფეროვანია. ხშირია სხვადასხვა სასურათო პლანში მოცემული ფიგურების ან საგნების დაპირისპირება. ზოგჯერ პირველ პლანზე მოთავსებულ ფიგურას უპირისპირდება პეიზაჟი. არქიტექტურისა და პეიზაჟისთვის მხატვარი სხვადასხვაგვარ ხედვის წერტილებს არჩევს. ზოგიერთ შემთხვევაში იგი არქიტექტურის დეტალებს იყენებს, როგორც დეკორატიულ მოტივს. ხშირია ეპოქისათვის დამახასიათებელი საგნების გამოსახვა. გამომხატველობის, დაპირისპირების გასაძლიერებლად მხატვარი ზოგჯერ პირველ პლანზე გამოსახულ ფიგურებს ჩარჩოთი ჰკვეთს. ერთი ფორმატის ორმოცი ნახატის კომპოზიციის აგების მრავალგვარობით შთაბეჭდილების სიციხოვანება მიღწეული.



წიგნის ერთიანი გაფორმების ამოცანას ისახავდა მხატვარი აკაკი კინის ორი პოემის ილუსტრირების დროსაც. ამჯერად მან ჩანს ორი ილუსტრაციები, თავსართები და ბოლოსართები შეასრულა (წიგნის ყდა და სატიტულო ფურცელი მხატვარ დ. ციციშვილს ეკუთვნის). თავსართების უმრავლესობა და ბოლოსართები გადაწყვეტილია, როგორც წიგნის გაფორმების დეკორატიული ელემენტები. მათ კომპოზიციებში მხატვარი იყენებს საგნებს, რომლებიც პოემების შინაარსს, გმირების გარემოს ეხმიანება. მაგალითად, „ბოშების“ ბოლოსართი — პატარა ნატურმორტია: მძივების გადახლართული ასხმა და მინდვრის ყვავილები. „პოლტავას“ თავსართებსა და ბოლოსართებში გამოსახულია დაფნის გვირგვინები, დამბაჩა, ხიშტი და დაშნიანი სარტყელი და სხვ. წიგნის ეს დეკორატიული ელემენტები შესრულებულია მხატვრისთვის ჩვეული მკაფიო შტრიხით, ხოლო მათი კომპოზიციები მკაცრად და მოწესრიგებული.

პოემის სიუჟეტის განვითარება და პერსონაჟების დახასიათება ჩანართ ნახატებშია მოცემული. ამ ილუსტრაციებში მხატვარმა კომპოზიციის აგების დროს მიმართა იმგვარივე ხერხს, რომელსაც „იური ბოგოლუბსკის“ ნახატ-თავსართებისთვის იყენებდა. აქაც, იგი ფიგურებს მთლიანად კი არ ხატავს, არამედ ჩარჩოთი კვეთს, რათა აზრობრივად მნიშვნელოვან მომენტებზე გაამახვილოს ყურადღება. ზოგიერთ შემთხვევაში ამგვარი გადაკვეთა და მასების ოსტატური განაწილება მხატვარს საშუალებას აძლევს დრამატიზმს, გმირების გრძნობათა გადმოცემას და მათი ხასიათების დაპირისპირებას მიაღწიოს. ამ სერიაში ყველაზე გამომხატველია რამდენიმე ნახატი — გადაწყვეტილი როგორც პორტრეტი (ზემფირა, პეტრე პირველი). ყურადღება კონცენტრირებულია გმირების სახეზე. მხატვრის ამოცანა, ამ შემთხვევაში, უახლოვდება ფსიქოლოგიურ პორტრეტს. აქაც ქობულაძე თავისი პერსონაჟების ხასიათებში სიძლიერის, ადამიანური ღირსების, საგმირო საწყისების ჩაზგასმისაკენ მიისწრაფვის.

1950-იან წლებში შესრულებულ ილუსტრაციების სერიათა შორის მხატვრულ სახეთა გამომხატველობითა და მრავალფეროვნებით, ნახატის ლაკონურობით და დახვეწილობით გამოირჩევა თავსართი-ნახატების სერია ქართული ხალხური ზღაპრების კრებულისათვის. მხატვარმა ასი სიუჟეტური თავსართი შეასრულა. ხოლო იქ, სადაც ტექსტის შემადგენელი ადგილი რჩება, ზღაპარს ბოლოსართი ერთვის. ბოლოსართებს ტექსტთან უშუალო სიუჟეტური კავშირი არა აქვთ, მაგრამ თავისი ხასიათით, გამოსახული საგნების ამორჩევით კარგად ეთანხმებიან თავ-



სართებს. გაკეთებულია ათიოდე ნახატი, რომელიც პერიოდულად გეორდება. ესაა — დეკორატიულად დახვეული ბალთებიანი ქამარი, ნახატი, ჩიბუხი, დოქი ხის ტოტით და სხვა.

კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა ხასიათის ზღაპრები: ჯადოსნური, ნოველისტური, ზღაპრები ცხოველების შესახებ. ტექსტი მხატვარს საილუსტრაციოდ მდიდარ მასალას აძლევს. შესაბამისად ნახატებში წარმოგვიდგება ქართველი ხალხის ყოფაცხოვრება და მოქმედი პირების თავისებური ხასიათები, რომლებშიც ეროვნული ნიშნები იკვეთება. თავისი ხასიათით ეს ნამუშევრები ბევრი რამით წააგავს შ. დიანის რომანისათვის შესრულებულ ნახატებს. — შესრულების ისეთივე ტექნიკა, კომპოზიციური ხერხები — პლანების დაპირისპირება, კონტრასტები, ფიგურების გადაკვეთა. მაგრამ არის არსებითი სხვაობაც. ზღაპრების ნახატებში გაცილებით ნაკლებია აქსესუარები, დამატებითი ელემენტები. ეს ნახატები უფრო დახვეწილია და, რაც მთავარია, მკვეთრადაა წარმოდგენილი ხასიათების მრავალფეროვნება; მაშინ, როცა წინა შემთხვევაში, უმთავრესად — რომანის საერთო განწყობილება და სიუჟეტის განვითარება იყო გადმოცემული.

კომპოზიციის წინასწარი გააზრების შედეგია ის, რომ ნახატებში შემთხვევითი ელემენტები იშვიათია. მხატვრის გრაფიკული ენა ლაკონური და სხარტია. კომპოზიციების მოხდენილად აგება, მხატვრული გამომგონებლობა და დიდოსტატობის მკაფიო გამომხატველი — მხატვრულ საშუალებათა სიძუნწე ამ ნამუშევრის მთავარ ღირსებას წარმოადგენს.

ზღაპრებისთვის სპეციფიკური ფანტასტიკურისა და ყოფითი ელემენტების შერწყმა თავისებურ გამოხატულებას პოულობს ს. ქობულაძის ნახატებში. მხატვარი ხაზს უსვამს გამოგონილს, ზოგჯერ კი, როცა საჭიროა, ფანტასტიკურ ელემენტებში რეალურ მომენტებს ავლენს. ს. ქობულაძის მიერ ზღაპრული ელემენტების გაგების თავისებურება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლ. გუდიაშვილის ამავე თემაზე შესრულებულ ნამუშევრებთან შედარებისას. ლ. გუდიაშვილი საგანგებოდ ამხვილებს ყურადღებას ფანტასტიკურის, გამოგონილის სილამაზეზე. ამ ორი მხატვრის ნამუშევრებში ზღაპრის ყველაზე არსებითი მხარეები გამოვლინდა — ლ. გუდიაშვილთან — პოეტური ფანტაზია, ს. ქობულაძესთან — რეალურ მოვლენებთან კავშირი და ეპიკური თხრობის სისადავე.

ს. ქობულაძის ზოგიერთი ილუსტრაცია თავისი შესრულების ხასიათით სადაზგო გრაფიკას მიეკუთვნება, მაგრამ დრამატული მოქმედების



თანამიმდევრული გადმოცემა, მხატვრული სახეების გახსნა იმგვარი, რომ ისინი ურთიერთს ავსებენ და ნაწარმოების საერთო აზრს ავლენენ, ცალკეულ სერიათა ნახატებს შორის შინაგან კავშირს ამყარებს და მათ ორგანულ მთლიანობად აქცევს.

სერგო ქობულაძე ილუსტრაციების შექმნისას მიზნად ისახავდა გრაფიკული საშუალებებით ლიტერატურული ნაწარმოების დედაარსის ჩვენებას, გმირების ურთიერთდამოკიდებულების და ხასიათის გახსნას, ნაწარმოების საერთო განწყობილების, ისტორიული ადგილისა და დროის მართებულად ასახვას. მაგრამ უმთავრესი მომენტი, ის რაც ამ ნახატებს ანიჭებს ქობულაძისეულობას — ესაა საგმირო თემის წინ წამოწევა.

მხატვრის თვითეული სერია სრულიად გარკვეულ, თავისებურ ხასიათს ატარებს — მხატვარი საილუსტრაციოდ აღებულ ნაწარმოებს უფარდებს გამოსახვის საშუალებებს. მაგრამ, ამავე დროს, ყველა მის სერიას მხატვრის ინდივიდუალური მიდგომა აკავშირებს. თვით საილუსტრაციოდ აღებულ ლიტერატურული ნაწარმოებების შერჩევაც მხატვრის გარკვეულ გემოვნებაზე მიგვითითებს. სრულიად სხვადასხვა ეპოქების პერსონაჟების ხასიათებში მხატვარი ხაზს უსვამს მათ სიდიადეს, რომელიც ნაწარმოების შესაფერისად განიცდის ცვლილებას, სახეს იცვლის — რუსთაველის გმირების მოქმედების რაინდულ პათოსში, იგორის ლაშქრობის ბატალურ სცენებში, შექსპირის ტრაგედიების მკაცრ დრამატიზმში, და ბოლოს ქართული ხალხური ზღაპრების გმირების ეპიკურად სადა დახასიათებაში.

წლების მანძილზე იცვლებოდა ქობულაძის დამოკიდებულება მხატვრული სახეების მიმართ. „ვეფხისტყაოსნის“ ქობულაძისეული გმირების სახეები თითქმის არაა დიფერენცირებული, ისინი პოემის პერსონაჟების ზოგად თვისებებს გამოხატავენ, „მეფე ლირისთვის“ შესრულებულ ნახატებში მხატვარი ლირის ხასიათის ევოლუციას გვიჩვენებს, ხოლო ქართული ხალხური ზღაპრების თავსართ ნახატებში იგი ხასიათების მრავალგვარობის გადმოცემას ისახავს მიზნად. ამ უკანასკნელ ნამუშევარში ის აღწევს გრაფიკული ენის ლაკონურობას და მხატვრულ საშუალებათა იმ სისადავეს, რომელიც მოწიფულ ოსტატებს ახასიათებს ხოლმე.

ს. ქობულაძის ილუსტრაციების სერიებმა, რომლებშიც მკაფიოდ გამოვლინდა მხატვრის თავისებურება, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული წიგნის გრაფიკის განვითარებაში.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ილუსტრაციები, რუსთაველის პოემისათვის „ვეფხისტყაოსანი“ პირველად პოემის საიუბილეო გამოცემას დაერთო, 1937 წ. პოემის რუსულ ენაზე პ. პეტრენკოს თარგმანი (კ. ჭიჭინაძის მონაწილეობით და რედაქციით) სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, მოსკოვი. შემდგომში ეს ნახატები არაერთგზის გამოიცა. ორიგინალები დაცულია ტრექტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში, მოსკოვი.

ილუსტრაციები ეპოსისათვის „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ დაცულია საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თბილისი.

1934—1935 წლებში შესრულებული ნახატები შექსპირის ტრაგედიებისთვის დაერთო ორტომეულს — შექსპირი, ტრაგედიები, სახელგამი, თბილისი, 1936. ორიგინალები ეკუთვნის მხატვრის ოჯახს, თბილისი.

1946 წელს შესრულებული ილუსტრაციები შექსპირის ტრაგედიისთვის „მეფე ლირი“ დაცულია საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თბილისი.

ილუსტრაციები შ. დადიანის რომანისათვის „იური ბოგოლუბსკი“ გამოქვეყნდა რომანის რუსულ ენაზე გამოცემაში:

შ. დადიანი, იური ბოგოლუბსკი, „ზარია ვოსტოკა“, თბილისი, 1981. ორიგინალები ეკუთვნის მხატვრის ოჯახს, თბილისი.

ილუსტრაციები ა. პუშკინის პოემებისათვის „ბოშები“ და „პოლტავა“ გამოქვეყნდა პოემების ქართულ ენაზე გამოცემაში:

ა. პუშკინი. ბოშები. პოლტავა. საბლიტგამი, თბილისი, 1954. ორიგინალები დაცულია საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში.

ნახატები ქართული ხალხური ზღაპრების კრებულისათვის გამოქვეყნდა ზღაპრების რუსულ ენაზე გამოცემაში.

ქართული ხალხური ზღაპრები, „ზარია ვოსტოკა“, თბილისი, 1984. ორიგინალები ეკუთვნის მხატვრის ოჯახს, თბილისი.

ბ. გორდეზიანი, ქართული გრაფიკა, თბილისი, 1952, გვ. 31, 49.

И. Урушадзе. С. С. Кобуладзе. «Советский художник». М. 1956.

ბ. ქვლივიძე. ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის. თბილისი, 1960.

Т. Арманд. Кобуладзе. «Искусство». М. 1962.

მ. კარბელაშვილი, სერგო ქობულაძე, „ხელოვნება“, თბილისი, 1970.

Н. Езенская, В. Беридзе. «Искусство Советской Грузии». «Советский художник». М. 1975. ст. 122—126, 424—426.



---

# საქართველო

შველს ბონიერი კაცი იზის წიგნია.

o l o a

## მეოთხე საუკუნის ქართული მწიგნობრობის ძეგლები

IV საუკუნის ქართული მწიგნობრული ძეგლების მეცნიერული შესწავლა სულ ახლახან დაიწყო. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲს“ და 1984 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ე. წ. დავათის ხატს.

მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა, რომ დავათის ხატი და მხატვრული თხზულება — „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲს“ ერთი ეპოქის ძეგლებია.

დავათის ხატისა და „ქებაჲს“ შესწავლის შედეგად ისიც გამოირკვა, რომ უეჭველად ჯერ „ქებაჲს“ უნდა შექმნილიყო, ხოლო შემდეგ, უახლოეს ხანში, დავათის ხატი უნდა გამოექანდაკებინათ.

როცა დავათის სტელა აღმოჩნდა, ზედწერილი ქართული ანბანითურთ, „ქებაჲს“ ჯერ საბოლოოდ არ იყო დათარიღებული. სწორედ ამის გამო შეფერხდა დავათის ხატის მეცნიერული შესწავლა. „ქებაჲს“ დათარიღების ურთულესი ამოცანა ამჟამად დაძლეულია. იგი თანამიმდევრულად — 342 წლით დაათარიღეს ჯერ აკაკი ბაქრაძემ, შემდეგ მე, ედიშერ ჭელიძემ, გურამ ნარსიძემ და მათემატიკოსებმა ნოდარ კანდელაკმა და გურამ ცერცვაძემ. ამით დავათის ხატის გამოქანდაკების მიახლოებითი ხანაც გაირკვა.

ამის თაობაზე 1986 წელს გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც ვწერდი: „რაკი „ქებაჲს“ 342 წელს დაიწერა, ცხადია, დავათის ქვა-ჯვარი 342 წლის შემდეგ უნდა შეექმნათ, მომდევნო უახლოეს ხანში, დაახლოებით 20 თუ 25 წლის შემდეგ მაინც. ამიტომ დავათის ქვა-ჯვრის გამოქანდაკებული ხატი და დავათის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი დაახლოებით 360-იანი წლებით შეიძლება დათარიღდეს. ოღონდ ჯერჯერობით! შემდგომი კვლევა-ძიება, ვფიქრობ, დააზუსტებს ამ მიახლოებით თარიღს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „მნათობი“, 1986, № 9.

ეს შემდგომი კვლევა-ძიება უკვე დაიწყო. კერძოდ, პალეოგრაფიული კვლევის შედეგად დავათის ხატის ქართული ანბანის ასონიშნები 350-იანი, 360-იანი წლებით დავათარიღეთ<sup>2</sup>. ხოლო იკონოგრაფიული მონაცემების საფუძველზე გურამ ნარსიძემ 362—381 წლებით განსაზღვრა<sup>3</sup>.

გარდა ამისა, „ქება“ შესწავლილ იქნა, როგორც ქართული ქრისტიანული ქრონოლოგიის ძეგლი,<sup>4</sup> ხოლო როგორც კალენდარული ძეგლი, ამოცნობილი იქნა ნოდარ კანდელაკისა და გურამ ცერცვაძის მიერ<sup>5</sup>.

წინასწარი დასკვნებით შეიძლება ვთქვათ შემდეგი:

დავათის ხატი, ერთდროულად, ქრისტიანული ქართული ქრონოლოგიის კალენდარული ძეგლია; მსგავსად „ქება“-სა, დავათის ხატი ქართული ქრისტიანული ქრონოლოგიის ჩონჩხი და ქარგაა. ამ თვალსაზრისით „ქება“ და დავათის ხატი ერთი და იგივე მნიშვნელობის ძეგლებია.

რაკი დავათის ხატი, „ქება“-ს მსგავსად, კალენდარულ-ქრონოლოგიური ძეგლია, „ქება“-ს შემდეგ დავათის ხატის კალენდარული რაობის ამოცნობის ჯერი დგება. გურამ ნარსიძემ დავათის ხატის ზედწერილი ქართული ანბანი სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილა და კალენდარული გამოთვლების შედეგად ძეგლის შექმნის თარიღს — ახ. წ. 367 წელს მიაკვლია. დასკვნის სახით გურამ ნარსიძე ამბობს:

„ქვა-ჯვარზე არსებული ახ. წ. 367 წელი უთითებს მითიურ მეორედ მოსვლამდე (ე. ი. ახ. წ. 396 წლამდე) „დარჩენილ“ ოცდარვაწლეულს. ყოველგვარი კალენდარი, ბუნებრივია, გარკვეული პერიოდისთვის არის ვათვალისწინებული და თავის თავში ამ მონაკვეთის დასაწყისსა და დასასრულს შეიცავს. ამ ვითარებიდან გამომდინარეობს, რომ სტელაზე გამოსახული კალენდარი ვათვალისწინებული იყო ახ. წ. 367 წლის შემდეგ „დარჩენილი“ 28-წლეულის პასქალური გამოთვლებისათვის. ეს გარემოება ქვა-ჯვრისთვის აბსოლუტურ დამატარიღებელ

<sup>2</sup> „მნათობი“, № 3, 1987 წ. (იხ. ჩემი წერილი „დავათის ქვა-ჯვარის ქართული ანბანი“).

<sup>3</sup> იხ. „მნათობი“ № 4, 1987 წ.

<sup>4</sup> იხ. „მნათობი“ № 8, 1987 წ.

<sup>5</sup> „მნათობი“ № 2, 1987 წ. (ნ. კანდელაკი, გ. ცერცვაძე, „კალენდარულ-ქრონოლოგიური მაჩვენებელი „94 წელი“ და ქართული წელთაღრიცხვა“).

მნიშვნელობას იძენს: ქართული ასომთავრული ანბანით გამოსახული კალენდარი შესრულებულია ძეგლზე ახ. წ. 367 წელს<sup>6</sup>.

დავათის ხატის ეს კალენდარული თარიღი — ახ. წ. 367 წელი, როგორც ვხედავთ, ქვა-ჯვრის პალეოგრაფიულ და იკონოგრაფიულ მონაცემებს ესადაგება. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და გურამ ნარსიძის კვლევის მეთოდები რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან, ჩვენმა კვლევამ ერთი და იგივე შედეგი გამოიღო. საბოლოოდ, თუ დავათის ხატის კვლევის პალეოგრაფიულ, იკონოგრაფიულ და კალენდარულ მონაცემებს ერთუროს შევაჯერებთ, დავათის ხატი ზედწერილი ქართული ანბანითურთ 367 წლის თარიღიან ძეგლად უნდა ვცნოთ.

ამრიგად, ამიერიდან აღმოჩენილია ქართული მწიგნობრობის კიდევ ერთი წერილობითი ძეგლი IV საუკუნისა — ქართული ანბანი და ასონიშნების ქართული ანბანური მწკრივი. მაგრამ ამით არ ამოიწურება დავათის ხატის მეცნიერული მნიშვნელობა. 367 წლის თარიღიანმა ქართულმა წერილობითმა ძეგლმა — დავათის სტელამ ქართული მწიგნობრობის წარსულიც გვაძინო. გაგვიმხილა რომ:

1. ქართული ენა და მწიგნობრობა შემოიღო ფარნავაზ მეფემ ძვ. წ. 284 წელს და

2. ქართული ენა და მწიგნობრობა ააღორძინა მირიან მეფემ ახ. წ. 311 წელს.

ქართულ ენასა და ქართულ მწიგნობრობას დავათის ხატი სახვითი ხელოვნების ენით გვიჩვენებს. მკითხველს მოვაგონებ: ხატზე გაშლილ გრაგნილზე ჩამოწერილია ქართული ანბანი თავიდან ბოლომდე — „ან“-იდან, „ოჰ“-მდე („ჰოე“-მდე). ამის თაობაზე „მნათობში“ გამოქვეყნებულ ჩემს წერილში ვწერდი: „დავათის ხატზე ანბანური რიგის შესაბამისად ჩამოწერილი 37 ასონიშანი ქართული ანბანისა ხატოვნად ქართულ ენას აღნიშნავს: ქართული ანბანის ასონიშნებით გადმოცემულია ქართული ენის ყველა ბგერა (სახვითმა ხელოვნებამ ქართული ენის ცნება ამგვარად გამოსახა), ხოლო საწერ გრაგნილზე ქართული ასონიშნების შესრულების გაკრული ხელი ქართული მწიგნობრობის აღმნიშვნელია“<sup>7</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ 37 მთავრული ქართული ასონიშანი დავათის სტელაზე ერთთავად ქართული ანბანისა, ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის მნიშვნელობით იკითხება. მაშასადამე, ენა და დამწერლობა დავათის ხატზე გაიგივებულია.

<sup>6</sup> „მნათობი“, № 2, 1987 წ.  
<sup>7</sup> „მნათობი“, № 3, 1987 წ. გვ. 155.



ამრიგად, დასკვნა: დავათის ხატის ქართული ანბანი ქართულ ენაშია და ქართულ მწიგნობრობას გულისხმობს, ხოლო იგივე დავათის ხატის ქართული ანბანი თავადვე ამხელს ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის შემოღებისა (ძვ. წ. 284 წელი) და ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინების (ახ. წ. 311 წელი) თარიღებს.

მაგრამ ვიდრე ამ თარიღების შესახებ დაწვრილებით ვიტყვოდეთ, ქართული ენისა და ქართული დამწერლობის გაიგივების საკითხს კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავ „ქებაჲ“ უნდა გავიხსენოთ. თხზულების თაობაზე გამოქვეყნებულ წერილში ვწერდი:

„უპირველეს ყოვლისა, ისე ჩანს, თხზულებაში ქართული ენა და ქართული დამწერლობა გაიგივებულია. ამიტომ, ის რაც ნათქვამია ქართული ენის შესახებ, თანაბრად უნდა ეხებოდეს ქართულ დამწერლობასაც. რაკი „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, იგულისხმება, რომ ყოველი საიდუმლო ქართულ ანბანშია დამარხული და ამ ყოველ საიდუმლოს ქართული ანბანის ასო-ნიშანი „წილი“ აცხადებს. ამიტომ „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ერთდროულად არის ქება ქართული ანბანისა, რაკი ქართული ენა ქართული დამწერლობის ენაა. ქართული ენა და ქართული ანბანი თხზულებაში განუყოფელი ცნებაა“<sup>8</sup>.

ამ საკითხის თაობაზე ასეთივე თვალსაზრისი გამოთქვა აკაკი ბაქრაძემ:

„თხზულებაში (იგულისხმება „ქებაჲ“) ენისა და დამწერლობის ბედს ვერ გავყოფთ. ანბანი, დამწერლობა ენის მატერიალური გამოხატვის საშუალებაა. ანბანის, დამწერლობის გზით ხდება ენა კულტურის, განათლების, მწიგნობრობის იარაღი. დამწერლობის, ანბანის უქონლობა იძლევა სწორედ ენის დაკნინება-დაჩაგვრის უტყუარ სურათს. ამიტომ განსაზღვრავს დამწერლობის, ანბანის ბედი ენის ყისმათს“<sup>9</sup>.

ენისა და დამწერლობის გაიგივების საკითხს, „ქებაჲ“-ს თაობაზე გამოქვეყნებულ ჩემს მომდევნო, მეორე წერილში კიდევ ერთხელ დავუბრუნდი. კერძოდ, 1983 წელს ვწერდი:

„ქებაჲ“-ს ავტორი თხზულებაში ქართულ ენას ამბობს და ქართულ წიგნს გულისხმობს. ე. ი. ქართული ენა და ქართული დამწერლობა თხზულებაში განუყოფელი ცნებაა... თხზულების პირველივე სტრიქო-

<sup>8</sup> „მნათობი“, № 11, 1981 წ.

<sup>9</sup> ა. ბ ა ქ რ ა ძ ე — „ყოველი საიდუმლო“, „ლიტ. საქართველო“ 5/XII—1982 წ.



ნი — „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა“<sup>10</sup> იმას ცხადყოფს, რომ ქართული ენა და ქართული დამწერლობა თხზულების პირველსავე წინადადებაში გაიგივებულა. თორემ როგორ შეიძლება ენა მეორედ მოსვლამდე საიდუმლოდ იყოს შენახული დამწერლობის გარეშე? დამწერლობა ინახავს ენას. ამიტომ „ენაჲ ქართული“ თხზულებისა, ქართულ წიგნს, ქართულ დამწერლობას, ქართულ ანბანს უნდა გულისხმობდეს“<sup>10</sup>.

ენისა და ანბანის გაიგივების საკითხს „ქებაჲ“-ში შეეხო პროფ. რევაზ სირაძე. იგი წერს:

„ქებაჲ და დიდებაჲ“ ქართული ბიბლიის ღირსებას ქართული ტექსტის დაწერილობის საკრალიზებაში ხედავს: მათეს თავი „წილით“ (წ) იწყებაო და ეს ნიშნავს 4.000, სიმბოლურად 4 დღეს. ოთხი დღე კი, თავის მხრივ, სიმბოლურად აღდგინების, გაცოცხლების დღეა და ეს მიგვანიშნებს ქართული ენის აღდგინებასაო... ენის, სწორედ რომ ქართული ენისა და არა ეროვნული წელთაღრიცხვის „სასწაულადაა“ მიჩნეული ის, რომ ქართულს „უმეტეს სხუათა ენათა“ აქვს 94 წელი ქრისტეს „მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე“-ო, ე. ი. ამ ძეგლის შექმნამდეო... მაგრამ ქართველი ავტორი 94 წელს... ქართული ენის თვისებად მიიჩნევს. ანბანის რიცხვითი მნიშვნელობანიც ენის თვისებადაა აღიარებული. აქედან უკვე შორს აღარაა, რომ ენაში დაენახათ ლოგოსი“<sup>11</sup>.

აქედან დასკვნა: 342 წლის თარიღიანი ქართული თხზულება „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ქართულ ენას ამბობს და ერთდროულად ქართულ ანბანს გულისხმობს.

როგორც ვხედავთ, ორივე ძეგლში — დავათის ხატზე და „ქებაჲ“-ში ერთი და იგივე ვითარება გვაქვს: 367 წლის დავათის ხატზე ჩამოწერილი ქართული ანბანი ერთდროულად ქართულ ენას გულისხმობს, ხოლო 342 წლის თხზულება „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ქართულ ენას ამბობს და ერთდროულად ქართულ ანბანს გულისხმობს. ენა და დამწერლობა ორივე ძეგლში გაიგივებულა. ეს გარემოება მხოლოდ და მხოლოდ იმდროინდელი ქართული აზროვნების თავისებურებით კი არ უნდა აიხსნას, არამედ აღრექრისტიანული ხანის ზოგად თვალსაზრისად უნდა მივიჩნიოთ. რაც მეცნიერულად შესწავლილიცაა და კარგადაც ცნობილია, როგორც უცილობელი ქეშმარიტება. ასეთი

<sup>10</sup> იხ. „მნათობი“, № 7, 1983 წ.

<sup>11</sup> რ. სირაძე, კულტურულ-ისტორიული პარალელები. იხ. ლიტ. საქართველო, 1985 წ. 29/XI.



თვალსაზრისის ერთი მეცნიერული გამონათქვამითაც შეიძლება დაგვიკმაყოფილდეთ: «В пору раннего средневековья отношение к букве в Европе было особым. С буквой, с алфавитом отождествлялся язык, а с ним — народ».

ენისა და ანბანის გაიგივების ამ მრწამსს ვგულისხმობდი, როცა ჩემს წიგნს, რომელსაც „ქართული ასომთავრული“ ვუწოდებ, ზედწერილად „ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისაა“-ს სიტყვები წარუმიძღვარე: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

ქართული ენის ქება-დიდებას „ქებაა“-ში და დავათის ხატზე ახსნა-განმარტება უნდა მოეძებნოს. IV საუკუნის ამ ძეგლებში ქართული ენა უმიზნოდ და უსაფუძვლოდ არ უნდა ედიდებინათ. ქართული ენის ქებათა-ქება 342 წელს, ხოლო 25 წლის შემდეგ — 367 წელს, შემთხვევით მოვლენად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

უპირველეს ყოვლისა, „ქებაა“ და დავათის ხატი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად შემოღებისა და ქრისტიანობის გამარჯვების ამსახველი ძეგლებია. „ქებაა“-ს წყალობით საბოლოოდ გაირკვა, რომ საქართველოში ქრისტიანობა შემოღებულა და ნიკეის კრების დადგენილებაში განხორციელებულა 342 წლამდე. „ქებაა“ ამას ცხადყოფს. თხზულება გვიმოწმებს, რომ საქართველოში უკვე მოქმედებს საყოველთაო საქრისტიანო იულიანური წელიწადული (კალენდარი), 532-წლიანი უამეული და ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვა. ამასთანავე „ქებაა“-ს წყალობით საქართველოში ქრისტიანობის შემოღების მიანლოებით ხანასაც ვგებულობთ:

„და ახალმან ნინო მოაქცია  
და ჰელენე დედოფალმან“...

„ახალმან ნინო“ — წმინდა ნინოა. ტერმინი „ახალი“-ს მნიშვნელობა ზურაბ კიკნაძემ და გურამ ნარსიძემ გაარკვეეს; ჰელენე დედოფალი იმპერატორ კონსტანტინე დიდის დედაა. ჰელენე დედოფლის ქრისტიანული მოღვაწეობის ხანა 310-იან, 320-იან წლებზე მოდის. 327 წელს იგი სახელმწიფო საქმეებს ჩამოშორდა და მონოზენად აღიკვეცა. უკანასკნელი მეცნიერული მონაცემებით გარდაიცვალა 330 წელს. ამ მონაცემების საფუძველზე, ცხადია, რომ საქართველო გაქრისტიანებულა ჰელენე დედოფლის მონოზენად აღკვეცამდე, ე. ი. 327 წლამდე. საქართველოს გაქრისტიანების საქმეში ჰელენე დედოფალს რომ თავისი წვლილი აქვს შეტანილი, ამის შესახებ ქართული მატრიანებიც მოგვითხრობენ. თავისთავად ცხადია, ამ უეჭველი მონაცემების საფუძველ-



ზე საქართველოს გაქრისტიანება ამიერიდან პელენე დედოფლის მღვდ-  
 ვაწეობის ხანით ანუ 310-იანი და 320-იანი წლებით უნდა განისაზღ-  
 ვროს.

მეცნიერებაში საქართველოში ქრისტიანობის შემოღების თარიღის  
 თაობაზე ახრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგალითად, საქართველოს  
 გაქრისტიანების თარიღად მიაჩნიათ:

- 317 წელი ვახუშტი ბაგრატიონს, დიმიტრი ბაქრაძეს, ი. გვარამა-  
 ძეს, დავით ბაგრატიონს;
- 318 წელი დიუბუა დე მონპერეს, პლატონ იოსელიანს, გ. საბინინს,  
 რ. ცამციცეს, ვახტანგ გოილაძეს;
- 320 წელი ვახტანგ ბაგრატიონს;
- 323 წელი. ს. გორგაძეს;
- 323—325 წლები თედო ჟორდანიას;
- 323—330 წლები ნოდარ ლომოურს;
- 323—333 წლები ექვთიმე თაყაიშვილს;
- 326 წელი ან. ნატროშვილს;
- 327 წელი ცეზარ ბარონიუსს;
- 328 წელი მარი ბროსეს, მოსე ჯანაშვილს;
- 331 წელი თეიმურაზ ბაგრატიონს;
- 332 წელი ალ. ხახანაშვილს;
- 334 წელი ბაქარ გიგინეიშვილს;
- 335 წელი კალისტრატე ცინცაძეს;
- 337 წლამდე ივანე ჯავახიშვილს;
- 350—356 წლები ი. მარკვარტს;
- 355—356 წლები კორნელი კეკელიძეს;
- 357 წელი არჩილ ბარამიძეს.

საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვება სახელდახელოდ არ მომ-  
 ხდარა. ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქრისტიანობა  
 ფართოდ ვრცელდება როგორც წინა აზიაში, აგრეთვე რომის იმპერია-  
 ში, რა თქმა უნდა, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნებოდა. ქართვე-  
 ლი მეცნიერები ერთხმად ამ თვალსაზრისის არიან. კერძოდ, პროფ. პავ-  
 ლე ინგოროყვა წერდა:

„ქრისტიანობა საქართველოში ვრცელდებოდა ჩვენი წელთაღრიცხ-  
 ვის პირველი საუკუნეებიდანვე, რა დროიდანაც ქრისტიანობა მოეფინა  
 საქართველოს მეზობელ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს და რომის იმ-  
 პერიის პროვინციებს“<sup>12</sup>.

<sup>12</sup> პ. ინგოროყვა, თხზ., ტ. II, 1978 წ. გვ. 277.



აკად. ს. ჯანაშია წერდა: „ჩვენ გვაქვს საფუძველი, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად ქცევამდის საქართველოშიც უნდა არსებულებულიყო ადგილობრივი წვრილი ქრისტიანული თემური ერთობანი, დაახლოებით ისეთივე ხასიათის მქონენი, როგორც ჰქონდათ მათ რომის იმპერიის სხვა პროვინციებში“<sup>13</sup>.

ქართული მატრიანეების ცნობებით ქრისტიანობა საქართველოში ვრცელდება ახ. წ. პირველ საუკუნიდანვე. როგორც ყველგან, პირველი ქრისტიანები საქართველოში, როგორც მატრიანეებიდან ირკვევა, ქართველი ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ. „ქართლის ცხოვრების“ უწყების თანახმად თორმეტ მოციქულთაგან საქართველოში ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულსა და სვიმონ კანანელს უქადაგნიათ.

არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფენ, რომ II—III საუკუნეებში ქრისტიანობა საქართველოში უკვე საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ამის თაობაზე ვახტანგ ნიკოლაიშვილი წერს: „აღსანიშნავია ქრისტიანული იდეოლოგიის გავლენის ზრდა ქართლის ძველი დედაქალაქის მოსახლეობაში. როგორც ჩანს, იგი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში გავრცელდა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება გვიანანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილი ქრისტიანული სიმბოლოები მცხეთა-სამთავროში. აგრეთვე ერწოს ველზე — ქუშანაანთ გორის სამაროვანზე. ამაზე მეტყველებს დაკრძალვის ქრისტიანული წესი, რომელიც დადასტურდა 25-ე სამარხში. იქ დაკრძალულის სოციალური კუთვნილება ეჭვს არ იწვევს. როგორც ირკვევა, ქრისტიანულ იდეოლოგიას ქართლის სამეფოს მაღალ ფენებშიც გასჩენია დასაყრდენი ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე“<sup>14</sup>. ამავე საკითხს ეხება თემურ ბიბილურის წერილიც<sup>15</sup>.

ამგვარად, მართებული იქნება თუ I—III საუკუნეებს ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისა და საქართველოში ადრექრისტიანული სექტების არსებობის ხანად მივიჩნევთ;

დაბოლოს, საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვების თაობაზე ისტორიულ მეც. დოქტორი რამინ რამიშვილი წერს:

„ქრისტიანულ მოძრაობაში მოსახლეობის ფართო მასებთან ერთად არისტოკრატიული წარმომობის გარკვეული ნაწილიც ყოფილა ჩართუ-

<sup>13</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1949, გვ. 213).

<sup>14</sup> ახლადაღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, „ძეგლის მეგობარი“, № 63 1983 წ.

<sup>15</sup> იხ. მისი ქრისტიანული რელიგიის საწყისები საქართველოში, ჟურნ. „მნათობი“, № 6, 1987 წ.



ლ. როგორც ჩანს, ასეთმა ხელსაყრელმა ვითარებამ მირიან მეფეს საკმარისობლად გაუადვილა იმ უდიდესი რეფორმის განხორციელება, რომელიც საცახალი იდეოლოგიის აღიარება მოჰყვა. ქართლის მეფეს, ჩანს ყველა სოციალურ ფენაში ჰქონია დასაყრდენი<sup>16</sup>.

ასეთი თვალსაზრისი მეცნიერს გამოთქმული აქვს არქეოლოგიური მონაცემებისა და კვლევის საფუძველზე. ამიტომაც იგი დამაჯერებელი და სარწმუნო თვალსაზრისია.

ამრიგად, ქრისტიანული მოძღვრების გავრცელებას საქართველოში 320-იან წლებამდე — ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებამდე, ხანგრძლივი — თითქმის სამასი წლის წარსული ჰქონია. როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგია უადრესად მწიგნობრული რელიგიაა. იგი სწორედ მწიგნობრული გზით ვრცელდებოდა. სამასწლიანი ადრექრისტიანული ეპოქის ქართული სინამდვილის შესახებ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ ვიცით. მიუხედავად ამისა, საესებით უეჭველია, რომ ქრისტიანობა საქართველოში იმთავითვე ქართულ მწიგნობრულ ენაზე ვრცელდებოდა. სხვაგვარად IV საუკუნის 30-იანი, 40-იანი წლების უბადლო ქრისტიანულ-ქართულ მწიგნობრობას ვერ ავხსნით.

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ამჯერად საუბარი იქნება არა ზოგადად ქართული მწიგნობრობის შესახებ, რომელიც გაცილებით ძველია, არამედ კერძოდ ქრისტიანული ქართული მწიგნობრობის შესახებ, ქრისტიანულ-ქართული მწიგნობრობის საწყისების შესახებ.

საქართველოში ქრისტიანობის შემოღებისთანავე ქართულ ენაზე იქმნება ძალზე დახვეწილი ორიგინალური ქრისტიანული თხზულებები. საკმარისია დავასახელოთ 330-იანი წლების „წიგნი მირიან მეფისა“ და 342 წლის „ქება და დიდება ქართულისა ენასაჲ“. „ქებაჲ“ მეცნიერულად საკმაოდაა შესწავლილი. რაც შეეხება მირიან მეფის წიგნს, მისი კვლევა სულ ახლახან დაიწყო. ამ ბოლო ხანებში საბოლოოდ გამოირკვა, რომ მირიან მეფე გარდაიცვალა 330-იან წლებში და არა უგვიანეს 342 წლისა<sup>17</sup>. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მირიან მეფის ანდერძის შესახებ პირდაპირ გვამცნობს: „წიგნი, რომელი დაწერა მირიან მეფემან ქართლისამან ჟამსა სიკუდილისასა“... ამიტომ, მირიან მეფის წიგნი 330-იანი წლების ქართულ თხზულებად უნდა მივიჩნიოთ.

ქართული ქრისტიანული მწიგნობრობის ამ ორივე ძეგლს ძველი და

<sup>16</sup> რ. რამიშვილი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, 1979 წ. გვ. 25.  
<sup>17</sup> იხ. ვახტანგ გიორგიძე, ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, „მნათობი“, № 3, 1988 წ. და რ. პატარიძე, ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები, „მნათობი“, № 1, 1984 წ.

ახალი აღთქმის წიგნებისა და ებრაული მწიგნობრობის ზეგავლენის პირველი აზის.

„ქებაა“ წყობილი სიტყვის სახეობის პოეტური ქმნილებაა. წყობილი სიტყვა კი როგორც ლექსთწყობის სახეობა ძველებრაული წარმოშობისაა. პავლე ინგოროყვას სიტყვები რომ გავიმეოროთ: „წყობილი სიტყვის“ კლასიკური ნიმუშები ჩვენ გვაქვს ძველებრაულ ბიბლიაში; ძველმა ებრაელმა პოეზიამ არ იცის სხვა სახის ლექსთწყობა, გარდა წყობილი სიტყვისა“<sup>18</sup>.

გარდა ამისა, „ქებაა“-ში „და“ კავშირის ხმარების გამო გვრამ ნარსიძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ:

„ქებაა“-ში „და“-ს ამგვარი ხმარება თავის დასაბამს ბიბლიური ტექსტებიდან იღებს და ძველებრაული მწიგნობრული ენის ფენომენს წარმოადგენს“<sup>19</sup>.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რარიგ ძველია ქართული მწიგნობრობა და რარიგ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია ძველებრაულ მწიგნობრობასთან.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული IV საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწიგნობრული ძეგლები ცხადყოფენ, რომ ამ დროისათვის ქართული მწიგნობრული ენა და ქართული ქრისტიანული მწიგნობრობა უაღრესად სრულყოფილი და დახვეწილია. ამ ვითარებას ერთადერთი განმარტება შეიძლება მოვუძებნოთ: აღრექრისტიანული ეპოქის სამი საუკუნის მანძილზე ქრისტიანობა საქართველოში უთუოდ ქართულ მწიგნობრულ ენაზე ვრცელდებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები და ქრისტიანული ღვთისმსახურების უძველესი თხზულებანი ქართულ ენაზე სწორედ ამ დროს უნდა ეთარგმნათ.

საერთოდ, ახალი წელთაღრიცხვის პირველი სამი საუკუნე ქრისტიანობის გავრცელების ხანაა. პირველი ქრისტიანები და ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები წინა აზიასა და მთელ რომის იმპერიაში ებრაელი მწიგნობრები იყვნენ. სწორედ ებრაელთა მწიგნობრული კერები ავრცელებდნენ დასავლეთში ქრისტიანულ მოძღვრებას ბერძნულ და ლათინურ ენებზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველო ამ საერთო კულტურული მოძრაობის მიღმა ვერ დარჩებოდა, ოღონდ დასავლეთისაგან განსხვავებით,

<sup>18</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 710.

<sup>19</sup> გ. ნარსიძე, უძველესი ქართული თხზულება, „მნათობი“, № 9, 1985 წ.



როგორც ზემოთ ვთქვით, საქართველოში ქრისტიანობა არა ბევრს ან ლათინურ, არამედ ქართულ მწიგნობრულ ენაზე უნდა გავრცელებულიყო, ხოლო სამასი წლის მანძილზე ქართულ ენაზე უთუოდ მდიდარი ქრისტიანული ლიტერატურა უნდა შექმნილიყო.

ისიც უეჭველია, რომ საქართველოში ქრისტიანული ქართული მწიგნობრობა ებრაელთა მწიგნობრულ კერებში უნდა დაწყებულიყო. საქართველოში ებრაელთა მწიგნობრული კერების არსებობის შესახებ ძველი ქართული მატრიანეები მოგვითხრობენ. კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ გვაუწყებს: „ოდეს-იგი მეფობდა ჰეროდე... გლოვისა წიგნი მოიწია ყოველთა ჰურიათა მიმართ ქართლისათა, მცხეთელთა მკვიდრთა, ბოდელთა მღვდელთა, კოდისწყაროველთა მწიგნობართა და სობისკანანელთა თარგმანთა“-ო.

ქართული მატრიანე „მეფეთა ცხოვრება“ კი გვამცნობს: „...შემდგომად ამისსა... მოვიდეს მოციქულნი ჰურიათა იერუსალიმით ჰურიათათანა მცხეთელთა, ვითარმედ: რომლისათვის — იგი მოვიდეს მოგვნი და შეწირეს ძღვენი, აღზრდილ არს იგი და იტყვის თავსა თვისსა ძედ ღმრთისა. და აწ წარმოგვივლენიან ჩვენ მოციქულნი ყოველთა თანა ჰურიათა, რათა მოვიდენ მეცნიერი სჯულისანი, და განვიკითხოთ და განვბრჭოთ მას ზედა და აწ თქვენგანცა წარმოვიდენ მეცნიერი სჯულისანი მანდით“<sup>20</sup>.

შეიძლება დავასკვნათ: საქართველოში ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან, თუ რა თქმა უნდა, უფრო ადრე არა, ებრაელთა მწიგნობრული კერებიც არსებულა და ებრაელნი „მეცნიერი სჯულისანიც“ ყოფილან.

ქართული მატრიანის ცნობა სხვა მხრივაც საგულისხმოა: უკვე ახალი წელთაღრიცხვის 30-იან წლებში ქრისტიანულ მოძღვრებას საქართველომდე მოუღწევია და აქ ებრაელთა მწიგნობრულ კერებში ახალი სჯულის განსჯა და განკითხვა დაწყებულია. თუ ამასთანავე იმასაც გავიხსენებთ, რომ ამავე ხანებში ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა საქართველოში ქრისტიანული მოძღვრება იქადაგეს, ცხადია უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში ახალი წელთაღრიცხვის 30-იან წლებში დაიწყო.

თუ პირველ ხანებში ქრისტიანობა და ქრისტიანული მოძღვრება საქართველოში ზეპირი ქადაგების გზით ვრცელდებოდა, როგორც საერთოდ მთელი რომის იმპერიაში, მომდევნო ხანებში, სრულიად უეჭვე-

<sup>20</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 36.

ლია, მწიგნობრული გზითაც უნდა გავრცელებულიყო. ამიტომ, სეკულარ-  
თველოში I—II საუკუნეებში ქართული ქრისტიანული მწიგნობრობაც  
დაიწყებოდა. თუმცა სათანადო ცნობები ამის თაობაზე არ გავაჩნია,  
მატიანეში დაცული ერთი არაპირდაპირი უწყების გარდა. კერძოდ,  
II—III საუკუნეთა მიჯნის ქართველი მეფის რევ მართალის შესახებ  
მემატიანე მოგვითხრობს:

„ესე რევ მეფე დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე  
და შემწე ყოველთა ჭირვეულთა: რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ  
რამე სახარება უფლისა იესო ქრისტესი, და აქუნდა რამე სიყვარული  
ქრისტესი. და ამან მეფობასა შინა მისსა არლარა-ვის უტევა ქართლსა  
შინა ყრმათა კლვა, რომელსა-იგი ამისსა უწინარეს და პირველ კერპთა  
მიმართ შესწირვიდეს მსხვერპლად ყრმათა; და ვიდრე იგი იყო მეფედ,  
არლარა-ვინ კვლიდა ყრმათა კერპათთვის, არამედ ცხვრისა და ზროხისა  
შეწირვა განუწესა. ამისთვისცა ეწოდება მას რევ მართალი“<sup>21</sup>.

ვახუშტი ბატონიშვილით რევ მართალის ზეობა ახ. წ. 186—213  
წლებზე მოდის. როგორც არ უნდა იყოს, მატიანეში ძუნწად, მაგრამ  
საკმაო სიზუსტით სწორედ II საუკუნის მეორე ნახევრისა თუ III სა-  
უკუნის დამდეგის ვითარებაა ასახული. ცნობილია, რომ ამ დროს ქრის-  
ტიანობა ძირითადად მოსახლეობის დაბალ ფენებში იყო გავრცელებუ-  
ლი. ამიტომ, რაკი მემატიანეს ცნობით, რევ მართალი ყოველთა  
ჭირვეულთა მოწყალე და შემწე იყო, იგი ღარიბ-ღატაკთა ანუ ყო-  
ველთა ქრისტიანთა გამკითხავი ყოფილა.

„ჭირვეულთა“ რომ ღარიბ-ღატაკს ნიშნავს, ამას სახარების უძ-  
ველესი ხანმეტური ტექსტი ცხადყოფს:

„ბრმანი ხხედვენ, მკელობელნი ვლენან, განბოკრებულნი განწმდე-  
ბიან და ყრუთა ხესმის, მკუდარნი აღდგებიან, ჭირვეულთა  
ხეხარების“. სახარების უფრო გვიანდელ ტექსტში კი ეს ადგილი  
ასე იკითხება:

„ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდები-  
ან, ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ხარებულ  
არს“<sup>22</sup>. ე. ი. „ჭირვეული“ გლახაკს, ღარიბ-ღატაკს ნიშნავს.

ცნობილი მეცნიერი ალექსანდრე კაყდანი II საუკუნის შუა ხანე-  
ბის რომის იმპერიის ქრისტიანების შესახებ წერს:

«Христиане середины II века — не купцы, не владельцы обшир-  
ных поместий, а бедняки, живущие трудом своих рук. Христиа-

<sup>21</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 58.

<sup>22</sup> ჯრუჭ-პარხლის ოთხთავი, მათე. 11, 5.



не по большей части ремесленники, они населяют города, в деревнях их почти нет. Римские писатели II века говорят о христианах как о бедных и невежественных людях, как о простых ремесленниках и рабах».<sup>23</sup>

ქართველი მემატიანე სწორედ იგივე ღარიბ-ღატაკ ქრისტიანებს გულისხმობს, რომელთა მოწყალე და შემწე საქართველოში ქართველი მეფე — რეე მართალი იყო. იგივე რეე მართალმა წარმართული კერპებისათვის ბავშვების მსხვერპლად შეწირვა აკრძალა. ქართველმა მემატიანემ ყოველივე ეს სახარების ცოდნითა და ქრისტეს სიყვარულით ახსნა: „რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა იესო ქრისტესი, და აქუნდა (რეე მეფეს) რამე სიყვარული ქრისტესი“.

ქრისტიანთა მწყალობელი მეფე ქართლის სამეფო ტახტზე II—III საუკუნეთა მიჯნაზე გასაკვირი არ არის. II საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტიანობა საერთოდ მთელს რომის იმპერიაში აღმავლობის გზაზეა დამდგარი. ქრისტიანობა ამ დროს უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებშიც ვრცელდება. II—III საუკუნეთა მიჯნიდან მოკიდებული ქრისტიანები რომის საიმპერატორო კარზეც კი ცოტანი არ არიან: ქრისტიანი იყო საიმპერატორო კარის ერთ-ერთი უწარჩინებულესი დიდებული პროსპერუსი (გარდ. 217 წელს), აღმზრდელი ძიძა რომის იმპერატორისა — მარკუს კარაკალასი (211—217 წწ.). ქრისტიანებს მფარველობდა დედა იმპერატორ ალექსანდრე სევერუსისა (222—235); დაბოლოს ქრისტიანი იყო თვით იმპერატორი ფილიპე მარკუს იულიუს არაბი (244—249 წწ.), რომელმაც 248 წელს საზეიმოდ გადაიხადა ქალაქ რომის დაარსების 1000 წლისთავი.

უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ II—III საუკუნეთა მიჯნის ქართველი მეფის მატიანეში იხსენიება „სახარება“, ანუ ახალი აღთქმის წიგნების ქართული სახელწოდება: „რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა იესო ქრისტესი“. საგულისხმოა, რომ მატიანეში იხსენიება სახარება და არა ევანგელე. მკითხველს მოვაგონებ, რომ იაკობ ზუცესი ევანგელეს იხსენიებს და არა სახარებას: „აღდგა წმიდა და ნეტარი შუშანიკ და თანა წარიტანა ევანგელე თვისი“.

რეე მართლის მატიანე უთუოდ ძველია და აქ რაიმე შეცდომა გამორიცხებულია. მემატიანეს კარგად სცოდნია, რომ II—III საუკუნეთა მიჯნაზე ქართული სახარება უკვე არსებობდა. ეს კიდევ ერთი მოწმობა

<sup>23</sup> А. К а ж д а н. От Христа к Константину, стр. 117, 119.



ბა იმისა, რომ საქართველოში ქრისტიანობა იმთავითვე ქართულ მწიგნობრობაზე ნობრულ ენაზე ვრცელდებოდა.

როგორც ცნობილია, ახალი აღთქმის წიგნები იქმნებოდა თანდათანობით, ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამ წიგნებიდან უძველესია „იოანეს გამოცხადება“, ბერძნულად „აპოკალიპსის“, რომელიც ახ. წ. 68-69 წელს დაიწერა. II საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს უკვე არსებობს ბერძნული სახარების ოთხივე თხზულება, ხოლო ამავე საუკუნის დასასრულისათვის ახალი აღთქმის კანონიკური თხზულებების კრებული ძირითადადში ჩამოყალიბებულია. ამის თაობაზე ა. კაჟდანი წერს:

«Основная часть новозаветных канонических сочинений была признана священными книгами к концу II столетия: сюда относятся четыре евангелия, «Деяния апостольские» (...საქმემოციქულთა“), большая часть Павловых посланий и нескольких посланий других апостолов» («ეპისტოლენი“).<sup>24</sup>

ტერმინი „ევანგელე“ — ახალი აღთქმის თხზულებათა სახელწოდება — უკვე არსებობს II საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ტერმინი პირველად იხსენიება პაპი იერაპოლელის (გარდ. II ს. შუა ხანებში) თხზულებაში.

ქართული ქრისტიანული მწიგნობრული ტერმინი — „სახარება“ ბერძნული „ევანგელე“-ს ზუსტი თარგმანია. რევ მართალის მატეანემ ცხადყო, რომ ქართული ქრისტიანული ტერმინი „სახარება“ ახალი აღთქმის თხზულებათა უძველესი ქართული მწიგნობრული ტერმინი ყოფილა.

ახალი აღთქმის წიგნები რომ იმთავითვე ქართულად ითარგმნებოდა, ამას II—III საუკუნეთა მიჯნის რევ ქართველთა მეფის ზედწოდება მართალი-ც მოწმობს. სიტყვა „მართალი“ ქრისტიანული ქართული მწიგნობრული ტერმინია. სახარებაში მართალი არის იოსებ — ქმარი მარიამ ღვთისმშობელისა: — „იოსებ პოვა იგი (მარიამ) მიდგომილ სულისაგან წმიდისა. ხოლო იოსებ, ქმარი მისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილება მისი (მათე, 1, 18, 19); სახარებაში მართალი არიან ზაქარია და ელისაბედ — მშობლები იოვანე ნათლისმცემელისა: — „ზაქარია და ცოლი მისი ელისაბედ იყვნეს ორნივე მართალ წინაშე უფლისა...“ (ლუკა, 1, 5, 6); სახარებაში მართალი იყო იოსებ არიმათიელი, რომელმაც პილატესაგან გამოითხოვა გვამი იესო ქრისტესი, ჩამოხსნა ჯვარცმული ქრისტე და დასაფლავა: —

<sup>24</sup> А. Каджан. გვ. 108.



„აჲ, ესერა კაცი, სახელით იოსებ, იყო კაცი სახიერი (კეთილი) და მართალი. ესე არა შერთულ იყო ზრახვასა და საქმესა მათსა და იყო იგი არიმათიადო, ქალაქისაგან ჰურიათადასა, რომელ იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა. ესე წარდგა წინაშე პილატესა და გამოითხოვა გვამი იესუსისი და გარდამოჰხსნა იგი და შეჰმოსა მას არდაგი და დადგა იგი გამოკვეთილსა მან სამარესა, რომელსა არავინ დადებულ იყო (ლუკა, 23, 50—53).

ქრისტიანული მრწამსით, სოფლის აღსასრულისა და განკითხვის ქამს, უკეთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი საუკუნო სატანჯველს მიეცემიან, ხოლო მართალნი საუკუნო ცხოვრებასა და ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებენ: „ეგრე იყოს აღსასრულსა ამის სოფლისასა, განვიდენ ანგელოზნი და განარჩინენ უკეთურნი მართალთაგან“ (მათე, 13, 49); „და შესთხინეს იგინი (უკეთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი) შორის სახუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა. მაშინ მართალნი გამობრწყინდენ სასუფეველსა ცათასა“ (მათე, 13, 42—43); „და წარვიდენ ესენი (უკეთურნი) სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა“. (მათე, 25, 46).

ცხადია, შემთხვევით არ უწოდებიათ II—III საუკუნეთა მიჯნაზე ქართველ ქრისტიანებს რევ მეფისათვის მართალი: რაკი მეფე ქრისტიანთა შემწე და მოწყალე ყოფილა, რაკი კერბთათვის ყრმათა მსხვერპლად შეწირვა აუკრძალავს, რაკი სახარება სცოდნია და ქრისტეს სიყვარული ჰქონია. თავის მხრივ, რევ მეფის ზედწოდება — მართალი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ახალი აღთქმის წიგნები რევ მეფის ხანაში ქართულად უკვე თარგმნილი ყოფილა, ხოლო სამასი წლის მანძილზე, ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებამდე, ქრისტიანული მრწამსი საქართველოში ქართულ მწიგნობრულ ენაზე ვრცელდებოდა.

საბოლოო დასკვნაც უნდა გამოვიტანოთ: ქრისტიანული ქართული მწიგნობრობა საქართველოში პირველსავე საუკუნეში დაწყებულა. 300-წლიანი ქართული ქრისტიანული მწიგნობრობა რომ არა, ვერც „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ დაიწერებოდა 342 წელს და ვერც დავათის ქვა-ჯვარი შეიქმნებოდა 367 წელს. ორივე ძეგლი ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის მადიდებელი ძეგლებია — ცხადია, რატომ: საქართველოში საქვეყნო ქრისტიანული მრწამსის გამარჯვება ერთდროულად ქართული ენისა და 300-წლიანი ქრისტიანული ქართული მწიგნობრობის საბოლოო გამარჯვების მომასწავებელიც იყო.



დაწყებით კი, როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, ქრისტიანული მწიგნობრობა პირველსავე საუკუნეში უნდა დაწყებულიყოს და ახალი აღთქმის თხზულებათაგან უძველესი — „იოანეს გამოცხადება“ ანუ „აპოკალიფსი“ ქართულად იმთავითვე, პირველსავე საუკუნეში უნდა ეთარგმნათ.

IV საუკუნის ქართული წერილობითი ძეგლები („ნინოს ცხოვრება“, „წიგნი მირიან მეფისა“, „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“. ბოლნისის პეროზ უფალთ-უფლის წარწერა; დავათის სტელა) ცხადყოფენ, რომ ქართულ ენაზე კარგა ხანია არათუ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, არამედ საეკლესიო ღვთისმსახურების თხზულებებიც არსებობს. მეტიც შეიძლება ითქვას: IV საუკუნის პირველსავე ნახევარში ქართული ქრისტიანული კულტურა აზროვნებისა და ხელოვნების ყველა სფეროში მკვიდრდება. სწორედ ამ ხანებში, ქართული ქრისტიანული მსოფლმხედველობის წიაღში აღმოცენდა იდეა ქართული ენის ღვთაებრივი (ლოგოსური) ბუნების შესახებ; სწორედ ამ ხანებშივე შემუშავდა ქართული მესიანისტური იდეა. ეს სამართლიანი თვალსაზრისი აკაკი ბაქრაძეს ეკუთვნის. მასვე მოვუსმინოთ:

„ცნობილი პიმნი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“ ქართულ მესიანისტურ იდეას ატარებდა: ქართული ენა ქრისტეს ენაა და მეორედ მოსვლის ჟამს ამ ენით გაასამართლებს უფალი კაცობრიობას; დღეს ამგვარი აზრი შეიძლება მეტისმეტად პრეტენზიულად მოეჩვენოს მკითხველს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველ ქრისტიან ერს აქვს მესიანისტური იდეა, მაშინ მოულოდნელი არაფერი იქნება. მესიანისტური იდეა ერის თვითგანმტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა თუ იმ ისტორიულ სიტუაციაში ოპტიმიზმის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას. ბუნებრივია, რომ ძველმა ქართველმა მოაზროვნეებმაც გაითვალისწინეს ეს და გამოიმუშავეს და ჩამოაყალიბეს კიდევ ქართული მესიანისტური იდეა“<sup>25</sup>.

ამგვარად, 342 წლის თხზულება „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“ ქართული ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და ქართული მესიანისტური იდეის ამსახველი ძეგლია. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას დავითის ქვა-ჯვრის გამო:

367 წლის დავათის ხატზე ქართული ენა ღვთაებრივი, ლოგოსური ბუნების ენაა, იგია „სიტყვაჲ ღმრთისაჲ“ და ამიტომ იგი დასაბამიც არის („პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თა-

<sup>25</sup> „მნათობი“, 1983 წ. № 1.



ნა“) და დასასრულიც: („მე ვარ „ანი“ და „პოე“, პირველი და მეორე კენელი, დასაბამი და დასასრული“).

ცხადია ამიტომ, მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ღმერთი კაცობრიობას ღვთაებრივი ქართული ენით განიკითხავს. ასეთია, მოკლედ რომ ვთქვათ, IV საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მესიანისტური იდეა და ორივე ძეგლის — „ქებაჲ“-სა და დავათის ხატის მესიანისტური იდეის ძირითადი აზრი.

უეჭველია, IV საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში საკუთარი, ეროვნული მესიანისტური მრწამსი შემუშავებულია ისევ და ისევ საკუთარი ქართული ქრისტიანული მწიგნობრობისა და მსოფლმხედველობის საფუძველზე. „ქებაჲ“-სა და დავათის ხატის საშუალებით შესაძლებლობა გვეძლევა IV საუკუნის შუა ხანების ქართული მწიგნობრული კულტურა შევიცნოთ და საიმდროო ქართულ ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ჩავწვდეთ. წინასწარ შეიძლება ითქვას, ორივე ძეგლი ქართული ქრისტიანული კულტურის უაღრესად მაღალ დონეს წარმოაჩენს და ზოგად-ქრისტიანულ კულტურას არაფრით ჩამოუვარდება, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი ქართული ქრისტიანული მწიგნობრობის წყალობით. ამავე დროს, იმ დროის შესაფერ ქართულ ქრისტიანულ კულტურას საკუთარი თავისებურებაც გააჩნია: იგი არც ძველ წარმართულ ქართულ კულტურას ივიწყებს. ძველი წარმართულ-ქართული ახალ ქრისტიანულშია გარდაქმნილი და შერწყმული. მაგალითად: ძველი წარმართული წელიწდულის საწყისი — გაზაფხულის ბუნიობა 25 მარტი, ქართული ქრისტიანულით ხარება დღეა, ხოლო ქართულ ეკლესიას საწელიწდო ღვთისმსახურების საწყისად ხარება დღე მიაჩნია და არა ქრისტეშობა, როგორც ეს მიღებულია ბერძნული ღვთისმსახურებით; შემდეგ: კაცობრიობის განახლებისა და ქრისტეს მოსვლის მე-11 ჟამეულის საწყისად ქართულ ქრისტიანულ წელთაღრიცხვას ძვ. წ. 284 წელი მიაჩნია, ეს წელი კი ქართული წარმართული წელთაღრიცხვის საწყისია და ა. შ. ქართული წარმართულისა და ქრისტიანულის ურთიერთმიმართებას უფრო დაწვრილებით მომდევნო წერილებში გავეცნობით.

მაინც, რა თქმა უნდა, „ქებაჲ“-სა და დავათის ხატის მესიანისტური იდეა ძველი და ახალი აღთქმის საღვთისმეტყველო მოძღვრებისა და მრწამსის საფუძველზეა აღმოცენებული. სწორედ ამიტომ „ქებაჲ“-სა და დავათის ხატის შინაარსის ამოსაცნობად ძველი და ახალი აღთქმის საღვთისმეტყველო მრწამსს უნდა ვითვალისწინებდეთ. ქართული მესიანისტური იდეა ქრისტეს მეორედ მოსვლისა და კაცობრიობის გან-


კითხვის ქრისტიანული მრწამსით სარგებლობს. ბუნებრივია, ამიტომ, „ქებაა“ და დავათის ხატი ახალი აღთქმის ქრისტიანული ესქატოლოგიის მოძღვრებით სარგებლობს. ეს მოძღვრება კი, როგორც ცნობილია, ყველაზე სრულად ახალი აღთქმის უძველეს თხზულებაში — „იოანეს გამოცხადებაში“ აისახა.

„ქებაა“-სა და დავათის ხატის ქართული მესიანისტური მრწამსის უმთავრესი წყარო სწორედ „აპოკალიფსი“ ანუ „იოანეს გამოცხადებაა“. ქართული მესიანისტური იდეა ამ უძველესი ქრისტიანული თხზულების ნიადაგზე იშვა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ქართულ ქრისტიანულ მწიგნობრობას უძველესი სათავეები აქვს, ხოლო ქრისტიანული ესქატოლოგიური თხზულება „იოანეს გამოცხადება“ ქართულად ახ. წ.-ის პირველი საუკუნიდანვე უნდა არსებულებოდა.

სამწუხაროდ, ქართული ქრისტიანული მწიგნობრობის წარმოშობის თაობაზე ჩვენს სამეცნიერო წრეებში გაბატონებულია შეუწყნარებელი თვალსაზრისი, რომ უძველესი ქრისტიანული მწიგნობრული ძეგლები ქართულად მხოლოდ V საუკუნის პირველი ნახევრიდან არსებობს.

IV საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობის უბრწყინვალესი მწიგნობრული ძეგლები მოგვეპოვება; IV საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ენა ძალზე დახვეწილი და უძველესი მწიგნობრული ტრადიციების მქონეა. IV საუკუნის პირველი ნახევრისა და ამავე საუკუნის შუა ხანების ქართული დამწერლობის ძეგლები კი (ბოლნისის სამშენებლო წარწერა, დავათის ხატის ქართული ანბანი) ცხადად გვიდასტურებენ, რომ ქართულ ენაზე არა მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, არამედ იმ დროისათვის მდიდარი ქრისტიანული მწერლობაც არსებობდა.

ამგვარად, კიდევ ერთხელ უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებამდე, 300 წლის მანძილზე, განუწყვეტილად არსებობდა ქართული ქრისტიანული მწერლობა და მწიგნობრობა.



---

ნერსულის  
ფურცლები

წიგნის წინაშე ყველაფერი უფერულ-  
ღება.

ა. პ. ჩ ე ხ ო ვ ი

სახლი, რომელშიც წიგნი არ არის,  
ჰგავს სხიულს, რომელშიც სული არ  
არის.

მარკ ტულიუს ციცერონი

სოფლის მომღურავი კოეტი

ქართული მწერლობის ე. წ. აღორძინების ხანის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, მეფემ და პოეტმა თეიმურაზ პირველმა ცხოვრების მძიმე გზა განვლო, რაც, პირველ რიგში, მისივე ქვეყნის ტრაგიკული ხვედრით იყო განპირობებული. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თეიმურაზი იდგა XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში და მოთავეობდა დიდ ბრძოლებს დამპყრობთა წინააღმდეგ. ბევრი საქვეყნო და პირადი ტკივილი შეხვდა უიღბლო მეფესა და სწორუბოვარ პოეტს: შაჰ-აბასის ორგზისი ლაშქრობით ქვეყნის გაპარტახება და აოხრება, შვილებისა და დედის უმაგალითო წამება, ტახტის არაერთგზის დაკარგვა, მაგრამ იგი სიკვდილამდე შეუპოვრად იბრძოდა უცხო აგრესიის წინააღმდეგ.

მიუხედავად დიდ პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობისა, თეიმურაზს უპოვია ძალა და დრო ახალი ჟღერადობა მიეცა ქართული პოეზიისათვის, გულში ჩამწვდომი პოეტური სიტყვით გამოეხატა როგორც იმდროინდელი ცხოვრების მთავარი მომენტები, ქვეყნის ჭირ-ვარამი, ისე პირადული ადამიანური განცდები, დიდი სულიერი ტკივილები. თეიმურაზის, როგორც მეფისა და პოეტის ბედი, დაკავშირებული იყო დიდ ეპოქალურ ძვრებთან, თავისი ერის დიდ ტრაგედიასთან, ამიტომ მისი შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავდა, რაც ძირითადად ბედისწერის საშინელებისა და წუთისოფლის მუხტლობის აღიარებაში განხორციელდა. ყველა მოტივი, რომელიც გაისმის თეიმურაზის პოეზიაში, თავს იყრის იმ უსასოო პესიმიზმში, რასაც პოეტის შემოქმედებაში მისი დროის სოციალ-პოლიტიკური ვითარება და პირადი ტრაგედია განაპირობებდა.

თეიმურაზის შემოქმედება ახალი და თავისებური ეტაპია ქართულ მწერლობაში. მან გაამრავალფეროვნა ქართული პოეზიის შინაარსი, გაამდიდრა იგი ახალი თემებითა და განსაკუთრებით ახალი ჟანრებით. თეიმურაზმა შემოიტანა ქართულ მწერლობაში მცირე ლექსი და გაბე-



დულად ამოუყენა გვერდში ეპიკურ ტილოებს; იგი ე. წ. აღორძინების ხანის პირველი ლირიკოსია. ამავე დროს იგი პირველი პოეტია, რომელმაც ეროვნულ-ისტორიული თემატიკის დამუშავებას მოჰკიდა ხელი და ამით საფუძველი ჩაუყარა საისტორიო ეპოსს. „წამება ქეთევან დედოფლისა“, ანუ „ქეთევანიანი“ პირველი ნაწარმოებია თეიმურაზის შემოქმედებაში და საერთოდ აღორძინების ხანის მწერლობაშიც, რომელიც ეროვნულ-ისტორიულ თემატიკას ეძღვნება. მართალია ამ პოემის შექმნას ჰქონდა ინტიმური საფუძველი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეროვნულ-ისტორიული თემატიკის დამუშავება დღის წესრიგში დააყენა XVII საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ და თეიმურაზის შემოქმედებაშიც „ქეთევანიანი“ არ არის კონკრეტულ-ისტორიული და ეროვნული სინამდვილისადმი მიძღვნილი ერთადერთი ნაწარმოები. მას გვერდში უდგანან თეიმურაზის ლირიკული ლექსები: „თავარ მეფის სახე დავით გარეჯას“, „გრემის სასახლეზედ“, „ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და ნესტან-დარეჯანისა“.

„ქეთევანიანი“ თეიმურაზი დიდი პოეტური უშუალობით მოგვითხრობს შაჰ-აბასის მიერ სამშობლო ქვეყნის გაპარტახებასა და აოხრებაზე, მოსთქვამს, რომ მტრებმა მისი ქვეყანა „დაარბივეს, ამოსწყვიტეს, შექმნეს ვითა განაქარი“ და იმდროინდელი ისტორიული ვითარების ფონზე აგვიწერს ნეტარხსენებული დედოფლის მოწამეობრივ ღვაწლს. თეიმურაზი კარგად გვიჩვენებს დედოფლის სიმტკიცეს, მის მიერ შაჰ-მადიანობის უარყოფას, ლოცვას, როცა წამების წინ ის უფალს — „უცნაურსა და უხილველს“, ძლიერსა და სასწაულის მოქმედს, სამებას — „ერთარსსა და თანაარსს“ — თავის სამშობლოს ავედრებს. თეიმურაზმა, თვითონ გულწრფელმა მორწმუნემ, შეძლო როგორც დედის რწმენის მაღალი პოეტური ძალით გამოხატვა, ისე საწამებლად გასული დედოფლის მხნეობისა და სიმტკიცის ჩვენება, რასაც რუსთველური შედარებით ამაგრებს: „წავიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია“.

„ქეთევანიანი“ ყანრობრივ სიახლესთან ერთად გარკვეულად უკავშირდება ძველი ქართული მწერლობის ისეთ ტრადიციულ დარგს, როგორც მარტილობა და მოგვითხრობს წმინდანის მოწამეობრივ თავგადასავალს. საგულისხმოა, რომ ავტორი წამებული დედოფლის ღვიძლი შვილია და, ბუნებრივია, პოემაში წარმოჩენილიყო თეიმურაზის ღრმა სულიერი განცდები, რაც მეფე-პოეტის პირადი და საქვეყნო ტრაგედიით იყო გამოწვეული. მართლაც, პოემა გაყდენთილია სევდისა და მწუხარების განწყობილებით. თეიმურაზს ვერ დაუძლევია სინანული-



ლი იმის გამო, რომ, იესო ქრისტესთან ერთად წამებული ავაზაკებზე  
თვითონაც არ ეწამა დედის გვერდით.

მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,  
მარჯვენით ჭვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი. (67)

ეს სევდისა და მწუხარების მოტივი, წუთისოფლის მუხთლობისა და გაუტანლობის აღიარება, რომელიც „ქეთევანიანში“ იღებს სათავეს, დამახასიათებელია თეიმურაზის მთელი შემოქმედებისათვის და არა მარტო მხატვრული შემოქმედებისათვის. თავმდაბლობით იხსენიებს სამშობლოსათვის თავდადებული მეფე-მხედარი თავისთავს სიგელეზშიც. ყოველივე ეს კი იმ წარუშლელი კვლით უნდა აიხსნას, რაც წუთისოფლის უკუღმართობამ დატოვა მის სულში. წუთისოფელმა ბევრი პირადი და საქვეყნო ტკივილი შეახვედრა უიღბლო მეფესა და სწორეუპოვარ რაინდს, რაც მის პოეტურ სულში გადატყდა და იმ უსასორო პესიმიზმში გამოვლინდა, მეტ-ნაკლებად რომ გაისმის ყველა ნაწარმოებსა და მის მიერ გაცემულ სიგელეზშიც კი. „ქეთევანიანშიც“ ბუნებრივად გამჟღავნდა მეფე-პოეტის მწუხარება, განპირობებული ღრმა სოციალურ-პოლიტიკური მიზეზებით, და სინანული, გულისტკივილი იმის გამო, რომ უნებურად დედისა და შვილების გამწირავი შექმნილა უბედური მეფე კახეთისა. პოეტი ჩივის ბედისწერის საშინელი მონაცვლეობის, წუთისოფლის სიმუხთლისა და გაუტანლობის გამო.

თეიმურაზმა შემოიტანა ქართულ მწერლობაში ახალი ჟანრები: გაბაასება და მაჯამა, რომლებიც მისივე სიტყვით, სპარსულიდან მომდინარეა, თუმცა მის მიერ შექმნილი ამ ჟანრის ნაწარმოებები („შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“, „მაჯამა“) საეხებით ორიგინალურია.

„შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ ანუ „გაზაფხულშემოდგომიანი“ გაბაასების საუკეთესო ნიმუშია. პოეტი ხოტბას ასხამს წელიწადის ორ უმშვენიერეს დროს, წარმოაჩენს მათ სილამაზესა და ნაირფეროვნებას, გვიხატავს ერის სამეურნეო კულტურასა და საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას. „გაზაფხულშემოდგომიანისა“ და „გარდბულბულიანში“ აღწერილი გაზაფხულზე გაცოცხლებული ბუნების შესანიშნავი სურათებით თეიმურაზი გვევლინება ქართულ პოეზიაში საქართველოს თვალწარმტაცი ბუნების ერთ-ერთ პირველ და შესანიშნავ მხატვრად. „გაზაფხულშემოდგომიანშიც“ მძაფრადაა გამოვლენილი თეიმურაზის გოდება წუთისოფლის მუხთლობის გამო.

თეიმურაზის მიერ შემოტანილი ჟანრი მაჯამა გულისხმობს გამოკ-



რებილი, საგანგებოდ შერჩეული ლექსებისაგან („ლექსი აქა-იქ თქმულს ლები“) შემდგარ კრებულს, რაც გაიაზრება როგორც ერთი ნაწარმოები („წიგნები გამოკრებილი, იგ ერთად მოიხმარება“), ამასთან თხზულების შემადგენელი სტროფები ომონიმური რითმებით უნდა იყოს გამართული. მაჯამა გამიზნული ყოფილა სალხინოდ, გასართობად, მაგრამ ამავე დროს, თეიმურაზის სიტყვით, იგი სიბრძნის გამოვლენის საშუალებაა, რამდენადაც მაჯამებს, ომონიმურ რითმებს საგანგებო ამოცნობა, განმარტება ესაჭიროებოდა. მაჯამათა თარგმანება და კითხვა გარკვეული გასართობი ყოფილა, რომელსაც ლხინი ვერ შეედრებოდა („იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეედარება“). ყოველივე ეს განაპირობებდა მეტი ყურადღების გამახვილებას გარეგნულ, ფორმალურ მხარეზე. თეიმურაზი მოუხიბლავს მსოფლიოში აღიარებულ კეთილშობიანი სპარსული პოეტური ნიმუშების სრულყოფილ ფორმას და თვითონაც მიისწრაფვის ფორმის სრულყოფისაკენ, რის შედეგადაც მის შემოქმედებაში საგრძნობია გატაცება ომონიმური რითმებით, სათარგმნელი მაჯამებით. თეიმურაზს შეუქმნია მაჯამის ჟანრის ნაწარმოები „მაჯამა“ — კომპოზიციურად ახალი, ცალკე წიგნი, რომელიც გამოკრებილ ლექსთაგან შედგება და მისი შემადგენელი სტროფები ომონიმური რითმებითაა გაწყობილი. „მაჯამის“ შემადგენელ ლირიკულ ლექსებში თეიმურაზი გადმოგვცემს თავის განცდებსა და გრძნობებს. მთავარი თემა, რომელიც „მაჯამაში“ შემავალ ლირიკულ ლექსებს აერთიანებს, არის სიყვარული. პოეტი ამკობს მშვენიერი ქალის სილამაზეს, სიტურფეს, საქმეს ისე წარმოადგენს, რომ თვითონაც ამ მზის მოწუნარი ქალის მიჯნურია. „მაჯამაში“ მიჯნური უარყოფილია სატრფოს მიერ, აქ დახატული სიყვარული ცალმხრივია, დაუკმაყოფილებელი, ტრაგიკულიც კი. „მაჯამა“ სატრფიალო თემაზე დაწერილი ოდების კრებულია, მაგრამ მისი ყველა თავი მთავრდება გოდებით წუთისუფლის სიმუხთლის, ბედისწერის საშინელების გამო. თეიმურაზი ჩივის „გრძლად მატირა საწუთრომან“, „მე დამემტერა სოფელი“, „გული საგვე მაქვს ლახვრითა“, „დამეგრიხა ბედი მრუდად“, „ჩემის ლხინისა ყვავილი უმზეობამან დალალა“, „ლხინისა ნაცვლად სოფელმან სულ მატირა და მახარა“. ამ გოდების გამოსათქმელად თეიმურაზს საფუძველს აძლევდა ყოველ ლექსში გამოხატული სიყვარულის ტრაგიკულობა. უფრო ზუსტად, „მაჯამაში“ დახატული ცალმხრივი, ტრაგიკული სიყვარული თეიმურაზისათვის ხერხია წუთისოფლის მუხთლობის გამოსათქმელად.

გრძლად მატირა საწუთრომან, ცრემლთა ღვარი დამელია,  
მიჯობდა თუ სიკვდილისა, გლახ, სასმელი დამელია;  
მომამულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძმო, და მელია;  
აწ სოფელო, ვარდთა ზრობად მოვალ, რადგან დამე ლია.  
(II, 6).

მე დამემტრება სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,  
ჩემკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყოფა,  
რა გამეყარა მოყვარე, ხედავთ, რომ სულიც მეყოფა!  
გული სავესე მაქვს ლახვრითა, სხვა კიდევ... აღარ მეყოფა?  
(III, 4).

სოფელმან და ქამმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარვა,  
ათასი და უმეტესი ჭირი ჩემი განაქა რვა?  
რა ბრალია, მინა-ვარდი ოდეს იქნას განა ქარვა!  
ამას ვჯერვარ, მით რომ ერთდღე აღარ მომხვდეს განაქარ, ვა.  
(VII, 6).

ამრიგად, სიყვარულის თემის გაშუქებისას თეიმურაზმა გაატარა თავისი პოეზიის ძირითადი ხაზი, გამოხატა თავისი განწყობილება წუთისოფლის მიმართ. სიყვარულის თემის დამუშავებით მეტი სიმძაფრე მიანიჭა ბედისწერის მუხთლობის საშინელების გამოხატვას.

თეიმურაზს გაულექსავს სპარსულიდან მომდინარე სამიჯნურო პოემები: „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ლეილმაჯუნანი“, რომელთა პროტოტიპები დღემდე მიგნებული არ არის, მაგრამ თვით თეიმურაზი აცხადებს მათ სპარსულიდან მომდინარედ: „ხელვპყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე მთარგმნელობით“ („ლეილმაჯუნანი“, 1), „ქართულად ვიტყვი ყოველსა ამბავსა მე სპარსულებსა“ („იოსებზილიხანიანი“, 29), „შევიწიო ძალი ღვთისა მე დავიწყო თარგმანობა“ („ვარდბულბულიანი“, 7), „რაც გამეგონა სპარსთაგან წიგნები ლაყაბიანი, ამბავი ანუ შაირნი სალალობო და წყლიანი, ლექსი ლექსად ვთქვი, ამბავი არც ყოლ არ დავაგვიანი“. („შამიფარვანიანი“, 14). თეიმურაზი ზოგ შემთხვევაში მონასმენის თქმაზე მიუთითებს („რაც მასმოდა მათგან მეც ვთქვი“), ზოგჯერ კი წყაროს ავტორსაც ასახელებს (მოლა-აჯა, შიხ-შეიდი), მაგრამ სპარსულ ლიტერატურაში ეს წყაროები ვერ დაიძებნა. სპარსული სამიჯნურო პოემების გადმოღებას თეიმურაზი „ვარდბულბულიანის“ შესავალში შემდეგნაირად ამართლებს:

ჰმართებს, კაცმან, კარგი ნახოს, მანცა მისგან ვარდმოიღოს,  
უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოიღოს. (2)



თეიმურაზი, რომელსაც შესწევდა პოეზიაში „ძალი ქადილისა“<sup>1</sup> პოეტი, რომელიც აღორძინების ხანის პოეზიამ წამოაყენა რუსთველის მეტოქედ. არჩილს ხომ ცილობაც კი სმენია, თუ რომელი სჯობსო ამ პოეტთა შორის („ბევრჯერ მასმია ცილება, ამბობენ სჯობსო ეს მასო“). თვით თეიმურაზსაც შეგნებული ჰქონია თავისი პოეტური სიტყვის ძალა და ამაყად განუცხადებია: სცანით „ძალი სიტყვისა თქმულისა“, „ლექსი არსად დამეხვანჯა“, „ნაძლევი ვარ თუ ვინმე თქვას, ჩემებრ რამე განლექსული“. მოსალოდნელი იყო, რომ ამ სიტყვების შთქმეული პოეტი „მელექსეთ დასაბამ, რიტორ“ რუსთველს შეუღარებდა თავს. ასეც მოხდა:

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,  
 მაშინც რუსთველსა აქებენ, მე ამაწ გამაგულისა.  
 („მაჯამა“, ბოლოსიტყვაობა, 1)

ამ სიტყვებში თეიმურაზი ყურადღებას თავისი ნაწარმოებების ფორმაზე ამახვილებს. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ თეიმურაზი გატაცებული ყოფილა სპარსული პოეტური ნიმუშების სრულყოფილი ფორმით და თავისი ლექსების უკეთესობასაც ფორმის გამო იჩემებდა. ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა გავიაზროთ პოეტის სიტყვები „ლეილმაჯუნჰიანის“ შესავალში: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“. ამ თვალსაზრისით ისიც მნიშვნელოვანია, რომ თავისი თანამედროვე სპარსული პოეზიით მოხიბლული პოეტი აშკარად ემიჯნება სახალხო მოშიარეებს: „ჰკვრენ ათას-ფერნი მუტრიბნი, არ ცუდი გუდა-სტვირები“ („ლეილმაჯუნჰიანი“, 98), „ბოლოდ სცნათ ყოვლთა არა ვარ მოშიარეთა ძმობილი“ („იოსებზილიხანიანი“, 3). სპარსული პოეზიის ჟანრებით, „სოფლის მიდ-მოღებანი“ დაინტერესება, რომელიც სპარსთა ენაზეა ტკბილად გამოთქმული („სპარსთ გალექსეს ტკბილად რამე“) თეიმურაზს უღვიძებს მუსიკობის სურვილს. იგი აპირებს „მათ [სპარსთა] შეწმასნილთა სიტყვათა“... ე. ი. ენაწყლიანი, გართულეზულ პოეტიკურ ხერხებზე აგებულ სპარსული ლექსის მარტივად მბობას, მაგრამ ამ საქმისათვის „მძიმეა ენა ქართველთა“ (ამ საქმისათვის და არა საერთოდ). პოეტი მაინც გვპირდება „მათ შეწმასნილთა სიტყვათა“ მარტივად მბობას. „იოსებზილიხანიანიშიც“ ხომ გვეუბნება „განმარტვითა ვთქვი ქართულად თქმული სპარსთ არაკობისა“. ამრიგად, თეიმურაზის სიტყვებს: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი, მძიმეა ენა ქართველთა, ვერ ძალმიც მათებრ თხრობანი“ — არ უნდა მივანიჭოთ თეიმურაზის შემოქმედებაში განზოგადე-



ბული მნიშვნელობა. ამ სიტყვებში იგულისხმება თეიმურაზის გატაცება სპარსული პოეტური ნიმუშების გარეგნული ფორმითა და მუსიკალობით.

თეიმურაზის სპარსულიდან მომდინარე პოემების გაანალიზება მის ორიგინალურ შემოქმედებასთან მიმართებაში გვიჩვენებს, რომ ამ პოემათა პროლოგ-ეპილოგებში, ცალკეულ ლირიკულ წიადსვლებში გამოვლენილია პოეტის იდეური მრწამსი და შეხედულებანი, მისი ორიგინალური შემოქმედების მოტივები. ამ პოემათა შესწავლა ადასტურებს, რომ სავსებით ორიგინალურია მათი პროლოგ-ეპილოგები, ცალკეული პასაჟები და მხატვრული აქსესუარი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „გარდბულბულიანში“ დახატული ბუნების ულამაზესი სურათი, რომელიც უნდა ჩაითვალოს თეიმურაზის ორიგინალურ შემოქმედებად, რამდენადაც ამ მონაკვეთის მხატვრული მხარე, მისი პოეტიკა, ბუნების ამ შესანიშნავი დროის სილამაზის შესაქმნელად შემოქმედის დასახელება, სურათის დასასრულს ძველი ქართული მწერლობიდან ამოღებული ფრაზა („აწ მოვიქცე პირველსავე ამბავზედან სიტყვამცირმან“ — 13) და მთელი რიგი სტრიქონების დამთხვევა „გაზაფხულ-შემოდგომიანთან“, ამას ეჭვიმუტანლად ადასტურებს.

თეიმურაზის შემოქმედებაში მძაფრადაა გამოვლენილი ქრისტიანულ-რელიგიური მოტივი. იგი სასულიერო ხასიათის თხზულებათა ავტორიცაა. სასულიერო შინაარსისაა „შვიდთა კრებათათვის“, — რომელიც მსოფლიოს შვიდი საეკლესიო კრების ამბავს მოგვითხრობს, — და ანბანთქებანი. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ლექსი „თამარ მეფის სახე დავით გარეჯას“, რომლის პირველი სტროფი წარმოადგენს თამარისადმი მიძღვნას და ექსპრომტად უნდა იყოს ნათქვამი. ლექსის დანარჩენი ნაწილი კი სასულიერო ხასიათის ცალკე ნაწარმოებია, ურთიმო ლექსია და არსებითად სამების ქებას წარმოადგენს.

ქრისტიანულ-რელიგიური მოტივი უცნო არ არის თეიმურაზის საერო ხასიათის ნაწარმოებებისთვისაც. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მუსლიმანური აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომელ ბრძოლაში თეიმურაზი ქრისტიანულ აღმსარებლობას ემყარებოდა, ღრმად სწამდა ერთარსება და სამპიროვანი ქრისტიანული ღმერთი, მასში ბუნებრივად იწვევდა ანტიპატიას მაჰმადიანური სამყარო და მოურიდებლად ჰკმობდა მას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სპარსულიდან გადმოღებულ ნაწარმოებებში ემიჯნება პოეტი განსაკუთრებით მაჰმადიანობას, სძულს ყველა ჭეშმარიტი მაჰმადიანის სათაყვანელი ადგილები მექა და მედინა, სწყევლის „ნაჯაფსა და ქალბალას“, „სულის აღ-

მოქროლამდე“ აღიღებს ერთ ღმერთს სამებით, აკეთებს ორთოდოქსა-  
ლური ხასიათის დეკლარაციებს, იყენებს ქრისტიანულ ცნებებს, იხსენიებს  
ნიებს ქრისტიანულ წმინდანებს. მაჰმადიანური სამყაროსადმი ეს უარ-  
ყოფითი დამოკიდებულება ერთნაირად აღინიშნება როგორც ადრეულ,  
ესე გვიანდელ ნაწარმოებებში. ღრმა რელიგიურ სულისკვეთებასთან  
ერთად სპარსულიდან გადმოღებულ პოემებში ღრმადმორწმუნე პოე-  
ტის მობოდიშებაც ვაისმის საერო თემებით დაინტერესების გამო,  
პოეტი გამოთქვამს შიშს, რომ ვაი თუ „ცუდის ლაყბით“ — საერო ნა-  
წარმოებების შექმნით სულს ზიანი მიაყენა და სწორუპოვარი რაინდი,  
უიღბლო მეფე და შესანიშნავი პოეტი შეჰკლადებდეს უფალს „შამიფარ-  
ვანიანში“.

ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყბასა, მიდმოღებასა,  
ვეღარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდებასა,  
წეჭირვებისა ცეცხლთა და გულსა სახმილთა ღებასა,  
მოველი შენგან ხსნასა და შენგანვე იმედებასა.

(„შამიფარვანიანი“, 68).

მაჰმადიანური სამყაროს ამსახველ ძეგლებში ქრისტიანული სულის-  
კვეთების ასეთი მკვეთრი გამოვლინება უეჭველად უნდა იქნას გათვა-  
ლისწინებული თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებული პოემების  
წარმომავლობის საკითხის გადაჭრისას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ,  
რომ ორიგინალურია ამ პოემათა პროლოგ-ეპილოგები, ლირიკული წი-  
აღსვლები, მათში წარმოჩენილია თეიმურაზის შემოქმედების მთავა-  
რი — სოფლის სიმუხთლის თემა, ძალუმადაა გამოყენებული რუსთვე-  
ლის მხატვრული სახეები და ფრაზეოლოგია, იმ დასკვნამდე მივალთ,  
რომ თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებულ პოემებში გამოხატულია  
პოეტის იდეური მრწამსი და შეხედულებანი. ყოველივე ამის საფუძ-  
ველზე კი უნდა დავასკვნათ, რომ თეიმურაზი მხოლოდ სიუჟეტურ მო-  
ტივებს იღებდა და ჰქმნიდა ორიგინალურ, ქართული სულით გაყდენ-  
თილ თხზულებებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზის სპარსუ-  
ლიდან მომდინარე პოემებში გამოხატულებას პოულობს თეიმურაზის  
პოეზიისათვის ესოდენ დამახასიათებელი სოფლის მღურვის მოტივი.  
თეიმურაზი ამ პოემების შინაარსის ამა თუ იმ ტრაგიკულ ფაქტს ბე-  
დისწერის საშინელებას, სოფლის სიმუხთლეს უკავშირებს. გარდა ამი-  
სა, ამ ნაწარმოებების სიუჟეტში სიყვარულის ტრაგიკულმა დასასრულ-  
მა თეიმურაზს შესაძლებლობა მისცა კიდევ უფრო მძაფრად გამოეთ-  
ქვა ბედისწერის მუხთლობის საშინელება. ამიტომ სავსებით შესაძლე-



ბელია ამ სიტუაციებით დაინტერესების საფუძველი მის პირად სუბიექტურ ტრაგიზმშიც ვეძიოთ.

თეიმურაზის ცხოვრება, მისი პირადი და საქვეყნო ტრაგედია სრულ საფუძველს იძლეოდა წუთისოფლის მუხტობასა და გაუტანლობაზე წუხილისათვის. ამიტომაც სოფლის სიმუხთლის, წუთისოფლის მდურვის თემა ერთ-ერთი მთავარი თემაა თეიმურაზის შემოქმედებაში. იგი ერთი პირველთაგანია ე. წ. აღორძინების ხანის პოეზიაში, რომელმაც თამამად გამოთქვა როგორც წუთისოფლის სიმუხთლისა და გაუტანლობის სამდურავი, ისე პირადი მწუხარება ბედისწერის ცვალებადობისა და სისასტიკის გამო. თეიმურაზის სოფლის უარისმყოფელი განწყობილებანი, წუთისოფლის მუხტობის თემა, როგორც უკვე აღინიშნა, გამოხატულებას პოულობს მთელს მის შემოქმედებაში, მაგრამ სპეციალურად ამ საკითხს ეძღვნება ცალკეული ლირიკული ნაწარმოებები. კერძოდ, მისი „სოფლის სამდურავი“ უშუალო და გულწრფელი მოთქმაა წუთისოფლის სიმუხთლის, მისი ვერაგობისა და გაუტანლობის გამო. „სოფლის სამდურავს“ გვერდში უდგას „გაზაფხულშემოდგომიანის“ ბოლოსიტყვაობა, რომელსაც ხელნაწერებში „სიტყვა სწავლისა“ ეწოდება და სავსებით დამოუკიდებელი თხზულებაა. თეიმურაზი იძლევა წუთისოფლის ზოგად შეფასებას. აქ ფილოსოფიურ ასპექტშია გააზრებული კაცობრიობის დიდი სატიკივარი. პოეტი ახასიათებს წუთისოფელს, იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ როგორია ის. წუთისოფელი მუხთალია, „არავის გაუთავდების“, თუ პირველად „ამოდ შეიტკობს“, „ბოლოს ეამ უმუხთლებს, გაუავდების“, მუხტობა მისი წესია და პოეტი მოუწოდებს ყველას „ეს სოფელი მუხთალია, ნუ მიჰყვებით, შეიგონეთ“ („სოფლის სამდურავი“, 13), სოფელი და ადამიანი წინააღმდეგობაშია, „სოფელი კაცს არ მიინდობს“, არ ინდობს არც გვირგვინოსან მეფე-ხელმწიფეს: „ვინ რომ დაიპყრა ქვეყანა, დღე მასცა ასთავებია“ („სოფლის სამდურავი“, 12), მათაც მოშლიათ სრა-ტახტი. ტახტი არ არის ღირსი, რომ მასზე ღირსეული იჯდეს: „ტახტი იმის არ ღირს იყოს, რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი, იგ ანაზდად გარდმოავდოს აღარ იყოს მისი ჩრდილი“ („გაზაფხულშემოდგომიანი“, 94), შეუბრალებელი წუთისოფელი დიდხანს არ გვაცხოვრებს, „ვარდსა დაგვიჭკნობს უფრჭვნელსა“ და ბედს გვაწყევლინებს. სილამაზეს მოგვისპობს, მოსაწყენს გახდის ოდესღაც მშვენიერ მნათობს, თვალის სინათლეს დააკლებს, წარბთა და წამწამთ გააყრევინებს, წელში მოხრის ლერწმის მსგავსს, უკვდავების\* ღიმილიან ბაგეს მოუშლის, გიშრის ტევრივით თმას გაუთეთრებს, ადამიანს საბოლოოდ წაახდენს. ყველაფერი ეს კი

გარდუვალი სიკვდილით ბოლოვდება. წუთისოფლის მუხთლობის ზოგად დახასიათებას თეიმურაზი უკაშირებს საკუთარი ბედისაღმომდურვასა და პირად უბედურებათა გამო წუხილს.

რად სოფელო სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!  
გლახ, ლახვარი სასიკვდიინე ყველა მე მკარ, დასად აგე!  
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?  
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

(„გაზაფხულშემოდგომიანი“, 85).

ამრიგად, სოფლის მდურვის თემას დაუკავშირდა პირადული ტკივილების გამო წუხილი. თეიმურაზმა მწერლობის ცენტრში დააყენა პიროვნება თავისი სატკივართ, მის შემოქმედებაში ჩვენ ვხედავთ პოეტს ადამიანური წუხილით სავსეს, საკუთარ ტანჯვაზე მოლაპარაკეს, რომელიც თამამად გამოთქვამს თავის ადამიანურ მწუხარებას, ბედისწერით უკმაყოფილებას, რაც საბოლოოდ რელიგიურ სინანულში გადადის და ღვთაებრივ სამართლიანობას, ქრისტიანულ-მოწამეობრივ იმედს ჩაეჭიდება: „მოველი შენგან ხსნასა და შენგანვე იმედებასა“ („შამიფარვანიანი“, 68). ღვთიური სამართლიანობის იმედით გამსჭვალული პოეტი იღვწის, რომ „მუნ არ დაგვენშას კარებო“. წუთისოფლის ამოების, პირადი ტკივილების ღრმა განცდას თეიმურაზი რელიგიური განწყობილებებით ანელებს და ღმერთსა და საიქიო ცხოვრებაში ეძებს გამოსავალს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გვირგვინოსანი პოეტი თავის საკუთარ უბედურებას აზოგადებს და გვეუბნება:

გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია?  
ვის ჰქონდა მუდამ სრა-ტახტი მოშლია მას თავებია.

(„სოფლის სამდურავი“, 12).

ზოგან თეიმურაზი თავისი უბედურების გამომწვევ კონკრეტულ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ მიზეზებსაც გვამცნობს: „მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა“ („მაჯამა“, III, 4) თავისი ხალხის მტრის ხელში ჩაცვენამ ჭირად შეცვალა პოეტის ღვინი და შეღონებული მოსთქვამს:

მე ვხედავდი ღვინსა ჩემსა სრულად ჭირად გამდაცვლითა,  
იგ ერთობით სპათა ჩემთა მტერთა ხელში ჩანაცვინთა.

(„გაზაფხულშემოდგომიანი“, 88).

თეიმურაზმა დიდი პოეტური უშუალობით აღწერა ჩვენი ქვეყნის აოხრება შაჰ-აბასის მიერ, როცა მათ ქვეყანა „დაარბივეს, ამოწყვიტეს, შექმნეს ვითა განაქარი“ („ქეთევანიანი“, 11), ნეტარი ღვინის უმაგალი-



თო წამება, სამშობლო ქვეყნის გაპარტახება და ახრება. თეიმურაზის  
 სეველ-ნადველში მარხია ღრმა სოციალ-პოლიტიკური მიზეზები, მის  
 პოეზიაში აშკარად ჰპოვა ასახვა ქვეყნის ჭირ-ვარამმა, ქვეყნის ტკივილ-  
 მა და მწუხარებამ. თეიმურაზმა იმღერა თავისი მწუხარე სიმღერა,  
 მოგვიტხოვ თავისი პირადული ადამიანური განცდების შესახებ და  
 გვაგრძნობინა, რომ მისი მწუხარების გამომწვევი უპირველესად სამ-  
 შობლო ქვეყნის სავალალო ხვედრი იყო. ეპოქის ტრაგედიამ განსაზღ-  
 ვრა თეიმურაზის როგორც მეფისა და როგორც პოეტის ბედი. პირადი  
 ტრაგედიაც კი თეიმურაზისა საზოგადოებრივ-პოლიტიკურია. თეიმუ-  
 რაზმა შეძლო ერის ტკივილები ჩაექსოვა თავისი პირადი წუხილის  
 გადმოცემისას. მისი პიროვნული განცდები ამალღებულნი და განზოგა-  
 დებულია საზოგადოების ტკივილებამდე. მართალია, მისი შემოქმედე-  
 ბის მთავარი გმირი არის თვით მწერლის პიროვნება, სოფლის მომდუ-  
 რავი ბედგამწარებული პოეტი, რომელიც წინ წამოსწევს თავის  
 „მე“-ს, საკუთარ ტკივილებს და შეიძლება ეს ინდივიდუალიზმი პოე-  
 ტისა, პირადი მწუხარებისათვის გამოსათქმელი ფორმის მინიჭება, გა-  
 დაინაზრდოს შემდეგ თვისობრივად ახალ სამყაროში რომანტიზმის სა-  
 ხით, მაგრამ, მთავარი ისაა, რომ მთელი ამ პიროვნული ტკივილების გა-  
 მოხატვა თეიმურაზის — მეფისა და პოეტის — ბედი დიდ ეპოქალურ  
 ძვრებთანაა დაკავშირებული და პოეტის მე — პოეტის პიროვნება, რო-  
 მელიც იქცევა მისი პოეზიის მთავარ გმირად, ეპოქის წუხილის, იმ ეპო-  
 ქის ადამიანის სულიერი ტკივილების გამომხატველია უპირველესად.  
 აი, ეს იყო ის მკვიდრი საფუძველი, რის ნიადაგზედაც თანამედროვეო-  
 ბამ თეიმურაზი აღიარა მაღალი რანგის პოეტად და რუსთველსაც კი  
 შეადარა იგი.

ქართველი ხალხი ოდითგანვე ვეფხისტყაოსანში ჰპოვებდა სულიე-  
 რად გამამხნევებელ ძალას, თავისი სულიერი ტკივილების ნუგეშსა და  
 იმედს. ამ თვალსაზრისით თუ ვინმე ამოუდგებოდა აღორძინების ხანა-  
 ში რუსთველს გვერდით, სწორედ ისეთი პოეტი, ვინც ეპოქის ტკივი-  
 ლებს ისეთი ძალით გამოწატავდა, რომ ცილობისათვის საფუძველს  
 შექმნიდა, თუ რომელი სჯობსო — თეიმურაზი თუ რუსთველი. აკი  
 ადასტურებს კიდევ არჩილი: „ბევრჯერ მასმია ცილობა, ამბობენ სჯობს-  
 სო ეს მასო“. ეს ცილობა თეიმურაზისა და რუსთველის გარშემო, რუს-  
 თველთან შედარება სწორედ იმ დიდების ნიშანი იყო, რაც თეიმურაზმა  
 თავისი მწუხარე სიმღერით მოიპოვა თანამედროვეთა შორის.

დიმიტრი უიფიანის საზოგადოებრივი  
მოღვაწეობიდან

I

XIX საუკუნის დამდეგს ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა. მალე თხუთმეტ-საუკუნოვანი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიაც გაუქმდა და ამ დროიდან, — მთელი საუკუნის მანძილზე, — საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება იქცა იმ ასპარეზად, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი. უდიდესი და გამოუსწორებელი კატასტროფისგან, — ეროვნული გადაგვარებისგან, — ქართველთა გადარჩენა შესაძლებელი გახდა მრავალი თაობის თავგანწირული ბრძოლითა და ტიტანური ძალისხმევით. საქართველოს ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს დიმიტრი ყიფიანს, რომლის მრავალმხრივნა და უაღრესად ნაყოფიერმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ახალ პირობებში ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და შემდგომ განმტკიცება-განვითარებას.

დიმიტრი ყიფიანი თითქმის 60 წელიწადს მუშაობდა ლიტერატურულ, ჟურნალისტურ, სამეცნიერო და პედაგოგიურ სარბიელზე. მაგრამ, პირველ რიგში, იგი საქართველოს ისტორიაში სამუდამოდ შევიდა, როგორც დიდმნიშვნელოვან ეროვნულ წამოწყებათა ინიციატორი და ორგანიზატორი. სწორედ საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ აქცია იგი XIX საუკუნის საქართველოში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მესვეურად, მამულიშვილად, რომლის სახელი „აღბეჭდილია ქართული ეროვნული შემეცნების ისტორიაში“ (ა. ჯორჯაძე).

„მეორე დიმიტრი თავდადებულის“ (ა. წერეთელი) საზოგადოებრივი მოღვაწეობის თუნდაც ძალზე ზოგადი მიმოხილვა ერთ წერილში შეუძლებელია. ამიტომ, ამჟერად შევეხებით დიმიტრი ყიფიანის მიერ საქართველოში ეროვნულ საწყისებზე აღმოცენებული პირველი სახალ-

ხო ბიბლიოთეკის დაარსებას, აგრეთვე, მის მონაწილეობას „ქართული-  
თა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაფუძნე-  
ბაში.

II

გასული საუკუნის 20-იან წლებში სოლომონ დოდაშვილისა და მი-  
სი თანამოღვაწეების მიერ გაშლილ კულტურულ-საგანმანათლებლო,  
სამეცნიერო-სალიტერატურო და ჟურნალისტურ საქმიანობას წერტი-  
ლი დაუსვა 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ. დიმიტრი ყიფიანი,  
როგორც შეთქმულების მონაწილე, გადაასახლეს რუსეთში, ქალაქ ვო-  
ლოგდაში, საიდანაც იგი  
სამშობლოში 1837 წელს  
დაბრუნდა. ერთხანს ქუ-  
თაისში იმსახურა, 1838  
წელს კი გადმოვიდა თბი-  
ლისში და აქტიურად ჩაება  
კულტურულ-საგანმანათლე-  
ბლო და ლიტერატურულ  
მუშაობაში. ამ მხრივ პირვე-  
ლი მნიშვნელოვანი ეროვ-  
ნული საქმე, რომელსაც დი-  
მიტრი ყიფიანმა საფუძვე-  
ლი ჩაუყარა, იყო საამხანა-  
გო ბიბლიოთეკის დაარსე-  
ბა თბილისში.



დიმიტრი ყიფიანი

ზოგადად მწიგნობრო-  
ბისა და კერძოდ, საბიბ-  
ლიოთეკო საქმის ინტენ-  
სიურობა საქართველოში ის-  
ტორიულად დამოკიდებუ-  
ლი იყო ჩვენი ქვეყნის პო-  
ლიტიკურ მდგომარეობაზე.  
იმის მიხედვით, თუ როგორი  
პოლიტიკური ვითარება იყო ქვეყანაში, საბიბლიოთეკო საქმეც ხან აღ-  
მავლობას განიცდიდა, ხან — დაქვეითებას. ამ მხრივ განსაკუთრებით



მძიმე მდგომარეობა შეიქმნა XIX საუკუნის დამდეგს (თბილისში, მაგალითად, ამ დროს არც ერთი საზოგადოებრივი წიგნთსაცავი არ იქმნებოდა). მართალია, საუკუნის პირველ მესამედში თბილისში დაარსდა რამდენიმე ბიბლიოთეკა (თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის, აპოლონ მუსინ-პუშკინისა და ეკატერინე კოტოვას კერძო ბიბლიოთეკები), მაგრამ მათი ვიწრო ინტერესები და დანიშნულება არ იძლეოდა იქ კულტურულ-საგანმანათლებლო და მწიგნობრული საქმიანობის გაშლის საშუალებას. იყო აგრეთვე სახალხო ბიბლიოთეკის დაარსების რამდენიმე უშედეგო ცდაც (სოლოშონ დოდაშვილი, ალექსანდრე გრიბოედოვი).

30-იან წლებში უკვე ხელისუფლება დაინტერესდა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებით. 1830 წელს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარული წინადადებით ყველა გუბერნიაში (მათ შორის თბილისშიც) უნდა დაარსებულიყო ბიბლიოთეკები. თბილისში, სამოქალაქო გუბერნატორის პეტრე ზავილესკის ხელმძღვანელობით, დაისახა კონკრეტული ღონისძიებები, საქმეც დაიძრა, მაგრამ საზოგადოებრიობის სრული დაუინტერესებლობის გამო წამოწყება მალევე ჩაიშალა. ასევე წარუმატებელი გამოდგა მეორე ცდაც 1835 წელს (რუსეთის განათლების მინისტრის სერგეი უვაროვის დავალებით ბარონ როზენს — საქართველოს მთავარმართებელს — თბილისში უნდა დაეარსებინა საგუბერნიო ბიბლიოთეკა).

რასაკვირველია, გულუბრყვილობა იქნებოდა ხელისუფლების ეს წამოწყებები ქართველთა კულტურასა და განათლებაზე ზრუნვით აგვეხსნა. ცარიზმის მოხელეებს სურდათ რუსული ლიტერატურისა და კულტურის გავრცელებით დაეჩქარებინათ ქართველი ხალხის რუსიფიკაციის შორსგამიზნული პოლიტიკა. ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის დაუინტერესებლობა იმით იყო გამოწვეული, რომ „იმდროინდელი ქართული საზოგადოების ზედა ფენა en masse ჯერ არ იყო ზიარებული რუსულ კულტურას: ქართულ ოჯახებში, უმთავრესად კი ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში ნასწავლი თავადაზნაურობა რუსულ ენას ჯერ არ დაუფლებოდა და ამიტომ რუსული ბიბლიოთეკა მისთვის ჯერ არ იყო საჭიროებად ქცეული“ (მაქს. ბერძნიშვილი). ამასთანავე, ერთი გარემოებაცაა გასათვალისწინებელი — რუსულ კულტურას ნაზიარები ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილი, რომელიც შეძლებდა ბიბლიოთეკის დაარსება-შენარჩუნებას და აგრეთვე ექნებოდა ამ ბიბლიოთეკით სარგებლობის მოთხოვნილება, 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნის გამო რუსეთის სხვადასხვა გუბერნია-



ში იყო მიმოფანტული. სხვათა შორის, საკუთარი სურვილითვე გარე-  
 სებისკენ ლტოლვა ქართველი თავადაზნაურობის ნაწილს მოგვიანებით  
 შეეტყო, როცა მიხეილ ვორონცოვის გარეგნულად ლოიალური და  
 ცბიერი რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ქართველი თავადაზ-  
 ნაურობა გადაჰყვა „წვეულებებისა და საცეკვაო საღამოების გამართვას  
 და ფუქსავატ დროსტარებას. ქართველი მიწათმფლობელი არისტოკრა-  
 ტიის ერთი ნაწილი დაუახლოვდა მეფისნაცვლის სასახლეს და უმაღ-  
 ლეს რუსის მოხელეობას, ზერელედ შეითვისა ევროპული კულტურა  
 და ქონებრივი გადატაკებისა და ეროვნული გადაგვარების გზას დაად-  
 გა“ (გ. ქიქოძე).

ასე რომ, საქართველოში სახალხო ბიბლიოთეკის დაარსება და მისი  
 შენარჩუნება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძ-  
 ლელებელი, თუ იგი ქართველი მოსახლეობის (ყოველ შემთხვევაში, მისი  
 ერთი ნაწილისას მაინც) ეროვნულ ინტერესებს დააკმაყოფილებდა.  
 ამისათვის კი ბიბლიოთეკის დამაარსებელს მხოლოდ და მხოლოდ  
 ეროვნული ინტერესებით უნდა ეხელმძღვანელა.

სწორედ ასეთი პიროვნება იყო დიმიტრი ყიფიანი. 1832 წლის კა-  
 ტასტროფამ იგი საბოლოოდ დაარწმუნა რადიკალური საშუალებებით  
 მსოფლიოში უდიდესი იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის უპერსპექტივო-  
 ბაში და ამის შემდეგ მან თავის სამოქმედო პროგრამას საფუძვლად  
 დაუდო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანდათანობითი,  
 ეტაპობრივი განვითარების კონცეფცია. საამხანაგო ბიბლიოთეკის და-  
 არსება იყო მისი პირველი ნაბიჯი ამ კონცეფციის პრაქტიკული ხორც-  
 შესხმის გზაზე. საერთოდ დ. ყიფიანი, როგორც სახელმწიფო სამსახურ-  
 ში დაწინაურებული პირი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი  
 და მეცნიერი, გასული საუკუნის 40—50-იან წლებში სათავეში ედგა  
 ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის  
 ეროვნული სულისკვეთებით წარმართვას და ამ მხრივ ჩვენ იგი წარ-  
 მოგვიდგენია სოლომონ დოდაშვილის ღირსეულ მემკვიდრედ და ილია  
 ჭავჭავაძის წინამორბედად.

40-იანი წლების დასაწყისში,—შეთქმულთა სამშობლოში დაბრუნე-  
 ბისა და თბილისის გიმნაზიის ლიტერატურულ წრეში გაერთიანებული  
 ახალგაზრდობის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის კვალდაკვალ, —  
 შეინიშნება ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლება. იგი ძირითადად  
 გამოიხატებოდა ცალკეულ პირთა ლიტერატურული და საერთოდ  
 მწიგნობრული საქმიანობითა და ორიოდ ლიტერატურული წრისა და  
 სალონის დაარსებით. მაგრამ საერთო მდგომარეობა მაინც უნუგეშო



იყო — ამ დროს კანტიკუნტად იბეჭდებოდა ქართული წიგნები, ქართული თველებს არ ჰქონდათ არც ერთი ეროვნული დაწესებულება, თეატრი, პრესა (მხედველობაში არაა მისაღები „ზაკავკასკი ვესტნიკი“, რომელიც არაქართულ ენაზე გამოდიოდა, თანაც ხელისუფლების ოფიციალური გამოცემა იყო და ძირითადად საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრებას ემსახურებოდა). ასეთ პირობებში სახალხო ბიბლიოთეკის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართლაც, იგი მალე გახდა ერთგვარი კულტურულ-ლიტერატურული ცენტრი, ამასთანავე, პოლიტიკური პროპაგანდის კერაც, ვინაიდან იმ დროს და სწორედ მთელი XIX საუკუნის საქართველოში კულტურასა და ლიტერატურაზე ზრუნვა თავისთავად გულისხმობდა გარკვეულ პოლიტიკურ მიზანდასახულობას.

ბიბლიოთეკის დაარსებისთვის ზრუნვა დიმიტრი ყიფიანს 1840 წელს დაუწყია. მოგვიანებით იგი აღნიშნავდა: „1840 წლიდან შეგუდექი კერძო ბიბლიოთეკის შექმნას შემდგომში მისი საზოგადოებრივ ბიბლიოთეკად გადაქცევის მიზნით“. 1842 წელს კი მისივე ინიციატივითა და მეთაურობით თბილისში შეკრებილა „მაშინდელი ახალგაზრდობის საუკეთესო კრებული, რომელნიც გაერთიანებულნი იყვნენ კულტურულ ინტერესთა თანაზიარობით“ (მ. ხელთუბნელი). მათ გადაუწყვეტიათ დაეარსებინათ სახალხო ბიბლიოთეკა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ სახელწოდებით. ამის შესახებ დიმიტრი ყიფიანი „მემუარებში“ მოგვითხრობს: „ერთხელ, სამსახურის საქმის მოხსენების შემდეგ, ეგგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინს (საქართველოს მთავარმართებელი 1838-42 წლებში — თ. ჯ.) გამოუცხადე რამდენიმე ჩემი ტოლამხანაგის სურვილი, რომ გვინდოდა დაგვეარსებინა კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა და დაგვრთავდა თუ არა ამის ნებას.

რა რომ მივიღე იმისი მხრივ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სრული თანხმობა, მეორე შემთხვევის დროს წარვუდგინე მას „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტი და როგორც კი მოაწერა ზედ: „ვამტკიცებ. გოლოვინი“ — აღარ დაგვიყოვნებია ჩვენი სურვილის განხორციელებას შევდგომოდით“. შემდეგ მოჰყავს ბიბლიოთეკის დამფუძნებელთა სია. ზედმეტი არ იქნება, ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ ამ სიაზე. დიმიტრი ყიფიანი ასახელებს 21 კაცს (საკუთარი თავის ჩათვლით). „მემუარები“ დაწერილია ამ ამბებიდან თითქმის 50 წლის შემდეგ — 80-იან წლებში. როგორც ჩანს, იგი ძველი ამბების გადმოცემისას ზოგჯერ მეხსიერებას ეყრდნობა და ხანდახან უზუსტობაც მოსდის (მაგალითად, ერთგან ამბობს, 1837 წელს ნიკოლოზ ფალავანდი-



შვილმა „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორობა შემომთავაზაო. სინამდვილეში ლაპარაკია „ზაკავკასკი ვესტნიკზე“ და არა „ტფილისის უწყებანზე“, რომელიც 1832 წელს დაიხურა). კოტე ყიფიანის ცნობით კი, რომელსაც, როგორც თვითონ წერს, ხელთ ჰქონდა საამისო საბუთი, ბიბლიოთეკის დამფუძნებელთა ჯგუფში შედიოდა არა 21, არამედ 30 კაცი. ესენია: 1. დიმიტრი ყიფიანი; 2. ზაქარია ერისთავი; 3. ზაქარია ფალავანდიშვილი; 4. ვახტანგ ორბელიანი; 5. ზაქარია ორბელიანი; 6. ელიზბარ ერისთავი; 7. კონსტანტინე დადიანი; 8. ალექსანდრე ონიკოვი; 9. ლევან მელიქიშვილი; 10. ნიკოლოზ ბარათაშვილი; 11. თევდორე კოცებუ; 12. მიხეილ ზნაჩკო-იავორსკი; 13. ნიკოლოზ ბეზაკი; 14. კონსტანტინე ორლოვსკი; 15. მიხეილ თუმანიშვილი; 16. დიმიტრი ჯორჯაძე; 17. დავით არზანოვი; 18. სერგეი ვასილკოვსკი; 19. დავით ჭავჭავაძე; 20. ივანე ორბელიანი; 21. გრიგოლ ორბელიანი; 22. ალექსანდრე ნეიდგარტი; 23. ივანე აბესალომოვი; 24. გიორგი რევაზის ძე ერისთავი; 25. ალექსანდრე ბორზენკო; 26. ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი; 27. ვასილ ბელიაევი; 28. ივანე ნაზოროვი; 29. ალექსანდრე ჭავჭავაძე; 30. კონსტანტინე ზარხი.

ჩვენი აზრით, კოტე ყიფიანის ცნობა სარწმუნოა (იგი თავის დროზე მაქსიმე ბერძნიშვილმაც მიიღო უკრიტიკოდ და უკომენტაროდ). როგორც ირკვევა, მას ხელთ ჰქონია ამჟამად დიმიტრი ყიფიანის პირად არქივში (ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში) დაცული ერთი ფურცელი (საბუთი № 219). კოტე ყიფიანის სია ზუსტად მიჰყვება ამ ფურცლის ცალ, — მთლიანად შევსებულ, — გვერდზე ჩამოწერილ დამფუძნებელთა რიგს. ამ საბუთშიც 21 პირია ჩამოთვლილი, ხოლო რაც შეეხება ნომრებს 22-დან 30-ის ჩათვლით, იგი უნდა ყოფილიყო მეორე ფურცელზე, რომელიც არქივში არ აღმოჩნდა და დღესდღეობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. უნდა აღინიშნოს, რომ იქვე, იმავე 219-ე ნომრით, დაცულია კიდევ ერთი საბუთი — ხელმოწერები იმ პირებისა, წესდების დამტკიცების შემდეგ რომ გამოუთქვამთ თანამშრომლობისა და წლიური საწევროს შეტანის სურვილი. აქ უკვე იქვანე ანდრონიკაშვილის, ალ[ექსანდრე] საგინაშვილისა და იოსებ მამაცაშვილის ავტოგრაფებიც გვხვდება.

ზემოთ მოყვანილი სიის გადათვალთვალებისას კაცს თვალში მოხვდება ერთი დეტალი. როგორც ჩანს, ხელისუფლებისგან ნებართვის უდავიდარაბოდ მიღების მიზნით ბიბლიოთეკის დამფუძნებელთა ჯგუფში შეუყვანიათ რამდენიმე მაღალი ჩინის მქონე სახელმწიფო მოხელე, მათ

შორის ალექსანდრე ნეიდგარდტიც, რომელიც 1842 წელს კავკასიის მთავარმართებელი და განსაკუთრებული კორპუსის მეთაური გახდა (სხვათა შორის, ეს ხერხი ქართველ მოღვაწეებს სხვა დროსაც არაერთხელ გამოუყენებიათ. მაგალითად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელთა სიაში გვხვდება მიხეილ ლორის-მელიქოვიც, რომელიც ამის შემდეგ მალე გახდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა შეფი. ეტყობა, იმავე ნიშნით მოხვდნენ „საზოგადოების“ დამაარსებელთა ჯგუფში მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის დიმიტრი სტაროსელსკის მეუღლე ეკატერინე თადეოზის ასული გურამიშვილი და აგრეთვე სოფიო იაკობის ასული სვიატოპოლკ-მირსკისა — მეფისნაცვლის მოადგილის მეუღლე).

დიმიტრი ყიფიანი იყო არა მარტო ბიბლიოთეკის დამაარსებელი, არამედ მისი წესდების ავტორი და სამთავან ერთ-ერთი დირექტორი (მეორე იყო ზაქარია ფალავანდიშვილი. რაც შეეხება მესამე დირექტორს, მასზე პირდაპირი მითითება არ მოგვეპოვება. მაქსიმე ბერძნიშვილის ვარაუდით, იგი მიხეილ თუშანიშვილი უნდა ყოფილიყო).

„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“, რომელიც მოთავსებული იყო დიმიტრი ყიფიანის სახლში, სამების ეკლესიის გვერდით, ოფიციალურად დაარსდა 1842 წლის სექტემბერში, პრაქტიკულად კი მუშაობას 1843 წლის იანვრიდან შეუდგა. იგი დაკომპლექტებული იყო ქართული, რუსული და უცხოური წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით. ფონდების შევსება ხდებოდა როგორც ადგილზე შექმნილი და პეტერბურგიდან გამოწერილი ლიტერატურით, ისე შემოწირულებების ხარჯზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით ძვირფასი შენამატი იყო მარი ბროსეს შემოწირულება — დიდძალი მეტად საინტერესო და საჭირო ლიტერატურა.

ბიბლიოთეკაში თავმოყრილ წიგნთა სიების გადათვალიერებისას თვალში საცემია ის გარემოება, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა რუსული და ევროპული მხატვრული, საისტორიო, პედაგოგიური, ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო თხზულებებია. ყოველივე ეს მკაფიოდ მეტყველებს ბიბლიოთეკის მესვეურთა სწრაფვაზე ევროპული კულტურისა და განათლებისკენ. ამ მხრივ ისინი ერთგულად მიჰყვებიან სოლომონ დოდაშვილის კარდინალურ თეზას იმის შესახებ, რომ საქართველოში „რომელიცა აქამომდე წყვდიადსა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულის ევროპიისათა“, საჭიროა განათლების დანერგვა „მიახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა“.



ბიბლიოთეკის მესვეურთა მისწრაფება ევროპული კულტურისა და განათლებისკენ ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე თო ტენდენციის გამოხატულებაა. კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარ მისწრაფებას ხელს უწყობდა მათი მეთაურის დიმიტრი ყიფიანის სახელმძღვანელო პრინციპიც — იგი მთელი ცხოვრების მანძილზე თავდადებით ემსახურებოდა ქართულ საზოგადოებრივ და კულტურულ-ინტელექტუალურ ცხოვრებაში ევროპეიზმის შემოსვლას და დამკვიდრებას.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მოცულობაზე პირდაპირი მითითება არ მოგვეპოვება. თუმცა, ზოგიერთი მონაცემის გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება მიახლოებითი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ მასზე. დიმიტრი ყიფიანის პირად არქივში (საბუთი № 1415) შეგვხვდა მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის ალექსი კრუხენშტერნის ერთი კერძო წერილი, სადაც ეს უკანასკნელი „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამაარსებელს 1000 მანეთს სთავაზობს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკისათვის გადაცემული მისი კუთვნილი 510 წიგნის საფასურად [ზუსტად იგივე ციფრია დასახელებული (233 თხზულება, 510 ტომი) 1861 წელს ადოლფ ბერჟეს რედაქტორობით გამოცემულ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის მოკლე კატალოგშიც]. პეტერბურგიდან გამოწერილი დაახლოებით იმავე რაოდენობის თხზულება (უმრავლესობა რამდენიმე ეგზემპლარია) ჩვენ დავთვალეთ დიმიტრი ყიფიანის, ზაქარია ფალავანდიშვილისა და მარი ბროსეს პირად წერილებში. თუ მათ მიეუმატებთ შემოწირულებებს და ადგილზე შექმნილ ლიტერატურას, აგრეთვე რუსულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებს, საკმაოდ შთამბეჭდავ სურათს მივიღებთ.

ევგენი გოლოვინისადმი წარდგენილი წესდების პროექტში დიმიტრი ყიფიანი ბიბლიოთეკას მოკრძალებულ მიზანს უსახავს — „თბილისში არაა საჯარო ბიბლიოთეკა და ახალგაზრდა ქართველი თავად-ახნაურები, რომელთაც მიღებული აქვთ დაწყებითი განათლება, მოკლებულნი არიან თვალ-ყური ადევნონ მეცნიერებასა და ლიტერატურას“. ბიბლიოთეკის მესვეურებს სინამდვილეში გაცილებით უფრო დიდი და შორსგამიზნული ამოცანები ჰქონიათ დასახული. კერძოდ, ქართული ხელნაწერების შეგროვება და დაცვა, შეძლებისდაგვარად, მათი შესწავლა, მცირე ფორმატის პერიოდული ორგანოს დაარსება, მთარგმნელობითი საქმიანობისთვის ხელის შეწყობა და ა. შ. ერთი სიტყვით, ჩაფიქრებული ყოფილა კულტურულ-საგანმანათლებლო, სალიტერატურო და სამეცნიერო ცენტრის შექმნა. რამდენიმე წელიწადს ბიბლი-

ოთეკაში ინტენსიური მუშაობა იყო გაშლილი. მაგრამ, სამწუხაროდ, კარგად წამოწყებულმა საქმემ შესაფერისი განვითარება ვერ მოახერხა. დამფუძნებელთა ერთუზიანში ნელ-ნელა განელდა. ბევრი მათგანი კი სამსახურის გამო იძულებული გახდა საერთოდ გასულიყო თბილისიდან (უმრავლესობა ე. წ. კავკასიურ ომში მონაწილეობდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც ცნობილია, ნახიჩევანში გადავიდა სამუშაოდ და ა. შ.). განსაკუთრებით მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ბიბლიოთეკის დიდი მოამაგისა და ერთ-ერთი დირექტორის, თავის დროზე ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, ჟურნალისტისა და გამომცემლის ზაქარია ფალავანდიშვილის უდროო სიკვდილი (იგი სრულიად ახალგაზრდა, 27 წლისა, გარდაიცვალა 1845 წლის 10 ივლისს. მისმა სიკვდილმა, სხვათა შორის, ბოლო მოუღო კიდევ ერთ მნიშვნელოვან წამოწყებას — გაზეთ „კავკასიის მხარეთა უწყებანის“ გამოცემას).

მიმოიფანტა აგრეთვე წიგნებიც. საქმე ისაა, რომ წესდების მიხედვით ბიბლიოთეკის დამფუძნებლებს ამხანაგობიდან გასვლის შემთხვევაში შეეძლოთ შენატანი წიგნების უკანვე გატანა. ამ უფლებით, როგორც ჩანს, ბევრს უსარგებლია.

ასეა თუ ისე, 1848 წლისთვის დიმიტრი ყიფიანს ყველა თანამოღვაწე შემოსცლია. „მემუარებში“ ამის შესახებ იგი წერს: „ჩემი ბიბლიოთეკის წევრები თანდათან შემომეცალნენ და 1848 წელს მე დავრჩი ერთადერთი მისი წარმომადგენელი. მხოლოდ ჩემი სამსახურის მუშაობა, როგორც მთავარ-მართველობის საბჭოს საქმეთა მმართველისა, იმდენად გართულდა, რომ სრულიად აღარ შემიძლო არც ყურისგდება ამ ბიბლიოთეკისა, არც მისი ჩემს ბინაზე შენახვა“.

ამის შემდეგ დიმიტრი ყიფიანმა ბიბლიოთეკის შემორჩენილი წიგნადი ფონდი კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან 1846 წელს შექმნილ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას მიაბარა, მხოლოდ იმ პირობით, რომ საჭიროების შემთხვევაში წიგნების უკანვე გატანა შესძლებოდა. მაგრამ, ხანგრძლივი დავიდარბისა და საჩივრების მიუხედავად, ბიბლიოთეკის კანონიერი მფლობელისთვის წიგნები აღარ დაუბრუნებიათ — გადაუხადეს 1000 მანეთი და ბრძანებაც მოაყოლეს, ამ თანხას დასჯერებოდა.

როგორც დავინახეთ, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკამ“ ვერ შეძლო სრულად შეესხა ხორცი წინასწარდასახული გეგმებისთვის. რამდენიმე მიზეზიც აღვნიშნეთ. მაგრამ ძირითად მიზეზად მაინც ამგვარი წამოწყებისთვის საზოგადოებრიობის მოუმზადებლობა უნდა ჩაითვალოს.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა, რომელმაც უაღრესად ტრაგიკულად განიცადა 1832 წლის კატასტროფა, ჯერჯერობით ვერ შეძლო ეროვნული იდეის გარშემო დარაზმვა, ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაცია და ამით ცარიზმის ტოტალურ რუსიფიკატორულ პოლიტიკასთან დაპირისპირება. გასათვალისწინებელია აგრეთვე მაშინდელი ქართული არისტოკრატის დიდი ნაწილისთვის დამახასიათებელი ეროვნული ინდიფერენტიზმიც, რაზეც ჯერ კიდევ სოლომონ დოდაშვილი წუხდა — „ვერცა ერთსა იხილავ მემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისა. მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ დღიურად“.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკამ“ სასიკეთო კვალი დატოვა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა საზოგადოებრიობის კულტურულ-ლიტერატურული და საგანმანათლებლო ინტერესები, ნიადაგი შეუმზადა თბილისში სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებას. ამას გარდა, „თუ მის (კერძო ბიბლიოთეკის — თ. ჯ.) შორეულ ჩამომავალს — საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკას — დღესაც მოეძებნება რარიტეტები, ამას ჩვენ უნდა ვუმაღლოდეთ, სხვათა შორის, წარსული საუკუნის 40-იანი წლების ქართველ ინტელიგენციას, რომელმაც დასაწყისში უფრო მეტი შესძლო სკოლისგარეშე განათლების დარგში, ვიდრე ბიუროკრატული რუსეთის მოხელეობამ“ (მაქს. ბერძნიშვილი).

### III

როგორც ვნახეთ, გასული საუკუნის 40-იან წლებში ქართველი საზოგადოებრიობა მზად არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყების პრაქტიკული ხორცშესხმისთვის. სრულიად საპირისპირო ვითარება შეიქმნა 70-იან წლებში. ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული იყო ეროვნული აღორძინების მწყობრი კონცეფცია, რომელსაც მოწინავე ქართველი ინტელიგენცია თანმიმდევრულად ნერგავდა და ავითარებდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. აღნიშნულ კონცეფციას საფუძვლად ედო ქართველი ხალხის ნაციონალური ერთიანობის იდეა — მისი ეროვნული, სოციალური და კულტურული (ფართო მნიშვნელობით) კონსოლიდაცია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარება-გაღრმავების ფართო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმო-



ბოდა გლეხობაში განათლების შეტანას. იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით — „შემდგომ ბატონყმობის გადადარდნისა საქართველოში 1864 წელს, ქართველ საზოგადოებაში დაიბადა და აღიზარდა ის აზრი, რომ ეს რეფორმა მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფს, როცა გლეხობა განთავისუფლდება სიბნელისა და უმეცრებისაგანაო. ვისგან უნდა მოელოდეს მთელი ჩვენი გლეხობა ამ მეორე განთავისუფლებასაო? რასაკვირველია, არა ბიუროკრატისაგან, რომელიც ამისათვის თავს სულაც არ ვაიცხვლებს, არამედ ქართველი დაწინაურებული საზოგადოებისაგანაო. ამ საზოგადოებას კი მხოლოდ მაშინ შეეძლება ეს დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს დაბეჩავებულ გლეხობას, როცა იგი შექმნის რაიმე ორგანიზაციას, რომელსაც მიზნად ექნება განათლების მოფენა ხალხშიო“.

იდეა, რომელიც შემდეგ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნით დაგვირგვინდა, ჩაისახა ცნობილი საზოგადო მოღვაწის იოსებ მამაცაშვილის ოჯახში, სადაც იკრიბებოდნენ თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწეები: მწერლები, მეცნიერები, პედაგოგები — იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე, ანა მუსხელიშვილი და სხვები. მათ გადაწყვიტეს კერძო სკოლების დაარსება. სოფელ-ხოვლეში გახსნეს კიდევ ოთხწლიანი სასწავლებელი, მაგრამ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებამ მეოთხე კლასში მთლიანად რუსულ ენაზე სწავლების შესახებ, ეს შესანიშნავი წამოწყება შეაფერხა. „სამოსწავლო ბიუროკრატია მეტად დააკოჭლა სკოლა, ნაყოფიერება მისი საგრძნობლად შეამცირა და დაუკარგა მიმზიდველობის ძალა. ამიტომ სკოლამ ვერ იბარტყა და დარჩა ობლად“ (ი. გოგებაშვილი). ამ გარემოებამ იოსებ მამაცაშვილის წრის წევრები დაარწმუნა ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაარსების აუცილებლობაში, რომელსაც ხელთ ექნებოდა მთავრობის მიერ დამტკიცებული და დაკანონებული წესდება. შესაფერისი მუშაობაც გაჩაღდა. პირველ რიგში წამოწყების ინიციატორებმა გადაწყვიტეს მეთაურობა ისეთი კაცისთვის ჩაებარებინათ, ვისაც ქართველებშიც ურყევი ავტორიტეტი ჰქონდა და მთავრობის წრეებშიც იყო მიღებული. ასეთ პიროვნებად მათ დიმიტრი ყიფიანი ცნეს, შინ ეახლნენ მას და თავიანთი გადაწყვეტილება გააცნეს. დიმიტრი ყიფიანი აღფრთოვანებით შეხვდა ამ წინადადებას და იქვე დათქმეს, რომ ყოველ შაბათს შეკრებილიყვნენ და წესდება შეემუშავებინათ. ასე რომ, იოსებ მამაცაშვილის წრეში და-

წყებულ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საქმეზე მუშაობა დიმიტრი ცუცუქაძის ოჯახში გაგრძელდა.

მაღე ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარებაც შეიქმნა. საქმე ისაა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის კავკასიის ფრონტზე სიტუაციამ „რუსთათვის სახიფათო ხასიათი მიიღო, და ქართველების, როგორც კავკასიაში მოწინავე ერისა და საუკეთესო მამაცი მხედრობის, ერთგულებას რუსეთისადმი დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. მთავრობა ნამდვილად დააფრთხალი იყო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უსვამდა თავზე ხელს ქართველებს, ოღონდ არ გვიღალატონო, და იყო ერთი მანიფესტების გამოშვებაში: „Наш благоверный грузинский народ“-ო და ასეთები!“ (ე. თაყაიშვილი).

იაკობ გოგებაშვილი ავადმყოფობამ აიძულა დროებით ჩამოსცლოდა ამ საქმეს და წესდება საბოლოოდ ჩამოაყალიბა დიმიტრი ყიფიანმა ნიკო ცხვედაძესთან ერთად.

მოგვიანებით აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ერთმა საკითხმა. იაკობ გოგებაშვილი დაბეჯითებით მოითხოვდა წესდებაში ცალკე მუხლად შეეტანათ სკოლებში დაწყებითი განათლების შემოღება მშობლიურ ენაზე, ვინაიდანო, — აღნიშნავდა იგი, — „თუ იგი მუხლი არ იქნება მოქცეული წესდებაში, საზოგადოების დაარსება ამოა იქნება, რადგანაც ბიუროკრატის უფლება მიეცემა სწავლება საზოგადოების სკოლებში რუსულ ენაზე მოითხოვოს, და მაშინ ჩვენი საზოგადოება ქართველის ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გადაგვარებას და მისი გონების დაბნელებას დაეხმარებაო“. დიმიტრი ყიფიანის აზრით, აღნიშნული მუხლი დააფრთხოდა ხელისუფლებას და ეს დიდებული წამოწყება სათავეშივე ჩაიშლებოდა (ამავე აზრისა იყო ბესარიონ ლოლობერიძეც — იმჟამად თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი).

ბოლოს და ბოლოს იაკობ გოგებაშვილმა თავისი გაიტანა და წესდებაში აღნიშნული მუხლი მაინც შევიდა.

თავიდან დიმიტრი ყიფიანის შიში თითქოს მართლდებოდა — წესდებამ თითქმის ერთ წელიწადს „იმოგზაურა“ მეფისნაცვლის მთავარსამმართველოსა და კავკასიის სასწავლო ოლქის კანცელარიის შორის და ბოლოს საზოგადოების დამაარსებლებს უკანვე დაუბრუნდა გადასამუშავებლად (ძირითადად სწორედ იმ მესამე მუხლის გამო). ქართველი მოღვაწეები არ შეეპუნენ შექმნილ ვითარებას. დიმიტრი ყიფიანმა თანამოაზრებთან მოთათბირების შექმნეგ დაწერა და მთავარსამმართველოს წარუდგინა ყოველმხრივ დასაბუთებული განმარტება საზოგა-



დოების მიერ დაარსებულ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების აღსრულებლობის შესახებ. ამ განმარტებაში ძირითადი არგუმენტი იყო ალექსანდრე II-ის 1864 წლის 30 აგვისტოს რესკრიპტი, რომელიც „ინოროდცების“ სახალხო სკოლებში მშობლიურ ენას აკანონებდა. ამ არგუმენტს სახელმწიფო საბჭოს 1873 წლის ბრძანებაც მიაშველეს და აღნიშნული მუხლი საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: — „საზოგადოება თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყისის სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებს, და ზრუნავს რუსული ენის სწავლებისათვის, თანახმად 22 ნოემბრის 1873 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო რჩევის აზრისა, წარმოთქმულისა სწავლების ნაწილის დასაწყობად კავკასიაზედ და კავკასიის გადაღმა“.

არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, თითქოს ადმინისტრაციის ჯიუტობა მარტო დასაბუთებულ განმარტებას გაეტეხოს. იქ, სადაც ხელისუფლების „ძალა აღმართსა ხნავს“, საზოგადოებრიობის ლოგიკას ჩვეულებრივ დიდი გასავალი არა აქვს და ამის მაგალითები XIX საუკუნის საქართველოში მრავალთ უმრავლესია. წესდების დამტკიცებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ მაშინ მეფისნაცვლის მთავარსამართველოს განაგებდა დიმიტრი სტაროსელსკი, — ილია ჭავჭავაძის ქვისლი, — რომელიც იყო პიროვნება „მეტად ნათელი მიმართულებისა, უყვარდა საქართველო, როგორც თავისი მეორე სამშობლო, რომელმაც ოჯახური ბედნიერება მიანიჭა“ (ი. გოგებაშვილი). ბედნიერი დამთხვევით, იმ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა კავკასიის მეფისნაცვალის მიხეილ რომანოვი და მის მოვალეობას ასრულებდა გენერალი სვიატოპოლკ-მირსკი (ერთი საიმედო „მოკავშირე“ გენერლის ოჯახშიც იყო „შეგზავნილი“ — მისი მეუღლე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოების დამფუძნებელ ჯგუფში იყო შეყვანილი).

ასეა თუ ისე, 1879 წლის 31 მარტს წესდება დამტკიცდა, ხოლო იმავე წლის 15 მაისს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობაში დიმიტრი ყიფიანის თავმჯდომარეობით შედგა დამფუძნებელი სხდომა, რომელზედაც, — გრიგოლ ორბელიანის წინადადებით, — ახლად დაარსებულ ორგანიზაციას ეწოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. „საზოგადოებისა“ და მისი გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი (მანამდე სხდომის მონაწილეებმა „საზოგადოების“ ხელმძღვანელობა სთხოვეს გრიგოლ ორბელიანს, მაგრამ მან შერყეული ჯანმრთელობისა და გამოუცდელობის გამო შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი თქვა).



თავმჯდომარის ამხანაგად, ანუ მოადგილედ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე მდივნად—ალექსანდრე სარაჯიშვილი, გამგეობის წევრებად (დასახელბულთა გარდა) — ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი და რაფიელ ერისთავი.

წესდების მიხედვით ახლად დაარსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიზანი ამგვარად იყო ჩამოყალიბებული: „წიგნის ცოდნისა და თავდაპირველი სწავლის გავრცელება ქართველებში, სადაც კი კავკასიის სანამესტინიკოში ისინი მოსახლეობენ“.

დემიტრი ყიფიანის საერთო ხელმძღვანელობით „საზოგადოება“ პირველი დღეებიდანვე შეუდგა აღნიშნული მიზნის გაფართოებასა და გაღრმავებას. ამ გზაზე მას დაბრკოლებაც ბევრი შეხვდა, — ხელისუფლებისგან შევიწროება, თავადაზნაურობის ერთი ნაწილისთვის დამახასიათებელი ეროვნული და სოციალური ნიჰილიზმი, ხელმოკლეობა და ა. შ. — მაგრამ, დროთა მანძილზე, იგი გახდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი. „საზოგადოება“ მრავალმხრივი და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობით თანამიმდევრულად ასხამდა ხორცს XIX საუკუნის უმთავრეს ნაციონალურ იდეას — ქართველთა ეროვნულ, სოციალურ და კულტურულ კოხსოლიდაციას. მის ჭეშმარიტ მიზანზე, პროგრამასა და მიმართულებაზე ზუსტ წარმოდგენას გვაძლევს იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „იგი („საზოგადოება“ — თ. ჯ.) ემსახურება არა ერთს რომელსამე წოდებას ქვეყნისასა, არამედ ვალად იღებს ზრუნვას მთელს ერზედ. მისთვის არ არსებობენ: არც თავადი, არც აზნაური, არც სამღვდელო, არც გლეხი: იგი ემსახურება საერთოდ მთელს ქართველობასა. მისი ქონება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთი რომელიმე კუნჭულით, — მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო“.

„საზოგადოება“ ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოში (და მის ფარგლებს გარეთაც — ვლადიკავკაზში, მოზდოკში, ბაქოში და ა. შ.) ქართული სკოლების გახსნას, ახლად შემოერთებული აჭარის გამაჰმადიანებულ მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებასა და ჩამოყალიბება-განმტკიცებას, აარსებდა ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს, იდეურად და მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ თეატრს, ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის წიგნებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებს, ზრუნავდა ქართული მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაზე, ხელს უწყობდა ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და პუბლიკაციას, ქომაგობდა ქართული მუსიკისა და



მატერობის განვითარებას, აგროვებდა ძველ ხელნაწერებსა და ქართულ ნაბეჭდ წიგნებს, იცავდა მატერიალური კულტურის ძეგლებს, სტიპენდიებს უნიშნავდა რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ქართველ სტუდენტობას და ა. შ.

დიმიტრი ყიფიანი „საზოგადოებას“ უხელმძღვანელა 1879-82 წლებში (თავმჯდომარეს თავდაპირველად სამი წლით ირჩევდნენ), შემდეგ იგი შეცვალა ივანე მუხრანბატონმა, ხოლო 1885 წლიდან „საზოგადოებას“ სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე, რომლის ხელშიც იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა უპირველეს ეროვნულ დაწესებულებად, „ჩვენს ეროვნულ თავშესაფრად“, — როგორც მას ქართველი მოღვაწეები უწოდებდნენ.

დიმიტრი ყიფიანი, როგორც ვნახეთ, ამ „ეროვნული თავშესაფრისა“ და „ჩვენი სამეცნიერო აკადემიის“ (ი. გოგებაშვილი) ერთ-ერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და მესვეური იყო.

### გამოყენებული ლიტერატურა

მაქს. ბერძნიშვილი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის, „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941, № 2-3.

მაქს. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980; II, თბ., 1983.

ი. ბოცვაძე, პრესა და მწერლობა, თბ., 1967.

ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1, თბ., 1955; 4, თბ., 1955.

ნ. გურგენიძე, ძველი წიგნსაცავები საქართველოში, თბ., 1969.

ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961.

ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1968.

ა. ლორია, ნ. გურგენიძე, საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში, თბ., 1974.

გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, III, თბ., 1965.

დ. ყიფიანი, მემუარები, ტფ., 1930.

მ. ხელთუბანი, წარსულიდან, თბ., 1938.

ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960.

ს. ხუციშვილი, მანათობელი, თბ., 1980.

ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, „ცისკარი“, 1988, №№ 4—8.

Буачидзе Г. С., Мари Броссе, Тб., 1983.

Кипиани К. Д., Публичная библиотека в гор. Тифлис, «Новое обозрение», 1899, № 5224.

## ლერმონტოვი საქართველოში

„თბილ ციმბირში“ გადმოსახლებულმა ლერმონტოვმა „საქართველოს ტურფა ველები“ პირველად 1837 წელს იხილა და ლეგენდარული მხარის ზღაპრული სილამაზით მოჯადოებულმა, მას აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნა:

...ბედნიერ მხარის  
უცხოთა ფერთა საკვირველებით  
ჩანდა მიდამო — ძვირფასი ხალი  
და საქართველოს ტურფა ველები.  
კენარ ალევების ჩრდილი ებურა,  
მოჩუხჩუხებდა წყარო წყრილა,  
ყელს იღვრებდნენ ვარდნი მეფურად,  
სად იადონი აყეფებულა  
მიჯნურთა გულის თანაზიარად;  
ქადრები გრილი და რტომრავალი  
და მოხატული მთები ყირმიზად,  
სად შუადღისას კლდოვან სავალით  
ქვას ეფარება ჯოგი ირმისა;  
უხვი ფოთლების ბრწყინვა, შრიალი,  
მცენარეთ სუნთქვა ხალისიანი;  
შუადღის ხვატით თრობა ნეტარი,  
ღამე სურნელი, ცვარანწვეთარი,  
და ვარსკვლავების კრთომა ხალისად,  
ვით თვალთაცქერა ქართველ ქალისა<sup>1</sup>.

ლერმონტოვი მოხიბლა საქართველოს დიდებულმა ბუნებამ; იგი გააოცა ფერთა საზეიმო ელვარებამ, დარიალის ხეობის შეუვალმა და მრისხანე სილამაზემ. პოეტი აღფრთოვანებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცნობდა ქვეყანას, რომელიც ერთი ნახვით შეიყვარა. ლერმონტოვმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რისთვის შეუყვარდათ გადმოსახლებულ დე-

<sup>1</sup> თარგმ. რ. თვარაძისა.



კაბრისტებს „თბილი ციმბირი“, რატომ ააღელვა პუშკინი საქართველო-ს სეველიანმა სიმღერებმა, რატომ დაუკავშირა გრიბოედოვმა თავისი ცხოვრება ამ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ ასულს.

უეჭველია, ლერმონტოვი ცდილობდა დაახლოებოდა მისთვის უცნობ ხალხს. ქართველი ხალხის ისტორიით, ზნე-ჩვეულებებით, ადათ-წესებით, ხასიათითა და კულტურით ლერმონტოვის დაინტერესებაზე მეტყველებს როგორც მწერლის თხზულებანი, ისე ჩვენამდე მოღწეული მისი ნახატები. მაგრამ, სამწუხაროდ, არავითარი ფაქტი და დოკუმენტი, რომლებიც ოდნავ მაინც მოპფენდნენ ნათელს ლერმონტოვის ცხოვრებას საქართველოში, გაგვაცნობდნენ ლერმონტოვის ქართველ ნაცნობთა წრეს და ა. შ., არ მოიპოვება. ერთადერთი წერილი, რომელიც ლერმონტოვის საქართველოში ყოფნას აგვიწერს, თვით ლერმონტოვს ეკუთვნის. ამ მეგობრული ბარათის ადრესატია ს. ა. რაევსკი, — შერისხული ნიკოლოზ I-სა და ყოვლისშემძლე III განყოფილების მიერ ლერმონტოვის ცნობილი ლექსის — „პოეტის სიკვდილზე“ გავრცელებისათვის. ამ წერილში მ. ლერმონტოვს არ შეეძლო გულახდილად აეწერა თავისი გულისნადები, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ჟანდარმერია გულდასმით ადევნებდა თვალყურს როგორც მის, აგრეთვე რაევსკის მიმოწერასაც. ლერმონტოვი ცდილობს სწორედ ამ ფაქტზე გაამახვილოს მეგობრის ყურადღება და ქარაგმულად წერს: „საყვარელო მეგობარო სვიატოსლავ! ან ჩემი ორი წერილი დაიკარგა ფოსტაში, ან ჩემამდე არ მოაღწია შენმა წერილებმა, ვინაიდან რაც აქა ვარ. შენს ამბავს მხოლოდ ბებიას წერილებიდან ვგებულობ“<sup>2</sup>. ლერმონტოვი აცნობებს რაევსკის, რომ ის, სხვა პოლკში გადაყვანას გამო, იძულებულია მიატოვოს საქართველო, თუმცა მას აქ დარჩენა სურს:... „მე ისევ გვარდიაში გადამიყვანეს, მხოლოდ გროზნოს პოლკში. ბებია რომ არა, სინდისს გეფიცები, სიამოვნებით დავრჩებოდი აქ. იმიტომ, რომ არა მგონია, ეს დაბა საქართველოზე მხიარული ადგილი იყოს“<sup>3</sup>. ლერმონტოვი აღწერს თავის ცხოვრებას შემდეგ, რაც იძულებული გახდა „ცისფერი მუნღირების“ ქვეყანა მიეტოვებინა: „ძნელი დასაჯერებელია, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთიდან გამოვემგზავრე, განუწყვეტლივ მოძრაობაში ვარ ხან ფოსტის ცხენებით, ხან ბედაურს დავაჭენებ. ხაზი (საომარი მოქმედებისა — მ. ბ.) სულ მოვიარე ყიზლა-

<sup>2</sup> მ. ი. ლერმონტოვი, თხზულებათა ოთხტომეული, მ., ტ. IV, 1959, გვ. 249 (რუსულ ენაზე).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 250.



რიდან ტამანამდე. გადავსერე მოები, ვიყავი შუშაში, ყუბაში, შეგვინებდა ში. ჩერქეზულად გამოწყობილი, მხარზე თოფგადადებული, ღამის ტის ქვეშ ვათენებდი, ვიძინებდი ტურების ჭყავილში, ვჭამდი ლავაშს, ვსვამდი კახურ ღვინოსაც... არასოდეს არ ვყოფილვარ ასე ჯანმრთელად. ეს იმიტომ, რომ სამაგალითო ცხოვრებას ვეწვევი: ღვინოს მხოლოდ მაშინ ვსვამ, როცა მთებში ღამე გავითოშები ხოლმე და ბინაზე დაბრუნებისას ვთბები... აქ ომის გარდა არავითარი სამსახური არ არის. მე რაზმში ძალზე გვიან გამოვცხადდი, ვინაიდან ხელმწიფეს აღარ უბრძანებია მეორე ექსპედიციის ჩატარება, ასე რომ, სულ ორი-სამი გასროლის ხმა გავიგონე. სამაგიეროდ ჩემი მოგზაურობის დროს ორჯერ მომიხდა იარაღით თავის დაცვა: ერთხელ ღამით სამნი — მე, ჩვენი პოლკის ერთი ოფიცერი და ერთი ჩერქეზი (ცხადია, მშვიდობიანი) ყუბიდან მოვდიოდით და კინაღამ ხელში ჩავუვარდით ლეკების ბრბოს. კარგი ახალგაზრდა აქ ბევრია, მეტადრე თბილისში არიან ძალიან კარგი ადამიანები... მე სახელდახელოდ ჩავიხატე ყველა შესანიშნავი ადგილი, სადაც კი ვყოფილვარ; ასე რომ, კარგა დიდი კოლექცია მომაქვს; ერთი სიტყვით, ვმოგზაურობდი. როგორც კი მთები გადავლახე და საქართველოში აღმოვჩნდი, ეტლზე უარი განვაცხადე და ცხენით ვიწყე მოგზაურობა: აფფოფხდი თოვლიან მთაზე (ჯვარზე) სულ მთლად მაღლა, რაც არც ისე ადვილია. იქიდან ნახევარი საქართველო ხელის გულივით მოჩანს. არ ძალმიძს ავიხსნა ან ავიწერო ეს გასაოცარი გრძნობა. ჩემთვის მთის ჰაერი ნამდვილი მალამოა: ეშმაკსაც წაუღია მოწყენილობა, გული ფეთქავს, მთელი მკერდით ვსუნთქავ — ასეთ წუთს სხვა არაფერი არ მსურს: ასე ვიჯდე და მთელი სიცოცხლე ამ გარემოს დათვალეირებაში გავატარო“<sup>4</sup>.

როგორც ვხედავთ, ლერმონტოვი წერილში მეტად ძუნწ ცნობებს იძლევა თავისი ახალი ნაცნობების შესახებ, მაგრამ დაწვრილებით ატყობინებს რაევსკის თავის შთაბეჭდილებებს საქართველოს ბუნებაზე. ფაქტიურად, ჩვენ ვერაფერს ვგებულობთ იმ საზოგადოებაზე, რომელსაც გაეცნო და დაუახლოვდა დევნილი პოეტი საქართველოში ჩამოსვლისთანავე. მაინც გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლერმონტოვი იმდენად დაუახლოვდა „კარგი ადამიანების“ წრეს, იმდენად კარგად გრძნობდა თავს მათთან, რომ საქართველოს დატოვება ენანებოდა. ამ „კარგ ადამიანთა“ შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო ალექსანდრე

<sup>4</sup> მ. ი. ლერმონტოვი, თხზულებათა ოთხტომეული, მ. ტ. IV, 1959, გვ. 250—251.



ჭავჭავაძეც. ცნობილია, რომ მასთან იკრიბებოდნენ არა მარტო იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, არამედ თბილისში ჩამოსული რუსი და საზღვარგარეთელი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებიც. ერთ-ერთი მათგანის აზრით, „მთავარი დამსახურება თავად ალექსანდრესი მდგომარეობს იმაში, რომ მან შეძლო თვისი სახლი გაეხადა ქართველი საზოგადოებისა და კავკასიაში ჩამოსული რუსი ადამიანების მთავარ დამაკავშირებელ რგოლად. ჭავჭავაძე, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა არა მარტო მშობლიურ, არამედ რუსულ ენასაც, მშვენიერი შუამავალი გახლდათ ამ ორ, პოლიტიკურად გაერთიანებულ, მაგრამ როგორც ენით, ასევე ისტორიული წარსულით ერთმანეთისათვის სრულიად უცხო ერებს შორის; იგი დიდ როლს ასრულებდა ორი ერის დაკავშირების საქმეში. მის სახლში სუფევდა გულუხვი სტუმართმოყვარეობა, მასპინძელიც და დიასახლისიც იმდენად გულთბილნი იყვნენ, რომ დღემდე გვახსოვს მათი გულისხმიერება იმ მოხუცებს, რომლებმაც ახალგაზრდობა თბილისში გავატარეთ. თავადი ალექსანდრე აგვირგვინებდა იმ საქმეს, რომელიც მამამისმა წამოიწყო. გარსევანმა პოლიტიკურად დაუკავშირა საქართველო რუსეთს, მისმა ვაჟმა კი, თავისი ხასიათის წყალობით, დაახლოვა ქართველები და რუსები. ყოველი რუსი, რომელსაც ბედის ორომტრიალი მისთვის უცხო მხარეს გამოიყავდა, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში მშობლიური ჰაერით სუნთქავდა; ყოველი ქართველი მისკენ გულდიად მიისწრაფოდა; ამ სახლში ისინი ხვდებოდნენ და სწავლობდნენ ურთიერთგაგებასა და სიყვარულს“<sup>5</sup>. ცნობილია, აგრეთვე, რომ ლერმონტოვს სურდა დაეწერა რომანი, რომელშიც ფიქრობდა მოეცა ერთმოლოვისდროინდელი თბილისის ცხოვრების სურათი და დაწვრილებით აეწერა თეირანის ტრაგედია, რომელმაც გრიბოედოვი იმსხვერპლა. ვინაიდან არავითარი წყარო არ გააჩნდა განზრახული რომანისათვის, ლერმონტოვს ერთადერთი გზა რჩებოდა: ემოგზაურა გრიბოედოვის ნაკვალევზე და ესაუბრა ამბის მცოდნეთა და მომსწრეებთან.

„სპარსეთის ბრძოლები“ და „თეირანში გრიბოედოვის დაღუპვის“ ამბავი კი ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გრიბოედოვის მეუღლეზე უკეთესად არავინ იცოდა. სავსებით დასაშვებია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ჰერ კიდევ პეტერბურგში გაეცნო ლერმონტოვს თავისი ნათესავის — პრასკოვია ახვერდოვას სახლში. პრასკოვია ახვერდოვა წლების

<sup>5</sup> კ. ა. ბოროზდინი, კავკასიური მოგონებანი, პეტერბურგი, 1885, გვ. 16 (რუსულ ენაზე).



განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში, ძალზე დაახლოებული იყო ჭავჭავაძის ოჯახთან, დიდი პატივისცემით სარგებლობდა მოწინავე ქართველ საზოგადოებაში. სწორედ მასთან დაუახლოვდა გრიბოედოვი ნინო ჭავჭავაძეს და მის სახლში აუხსნა სიყვარული ქართველ ქალიშვილს. 1836-37 წლებში ახვერდოვა პეტერბურგს დაბრუნდა, სადაც მისი ხშირი სტუმარი იყო როგორც ლერმონტოვი, ისე ტამბოვის ვადასახლებიდან რუსეთის დედაქალაქში გადმოყვანილი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მაგრამ რუსი და ქართველი პოეტების ნაცნობობა პეტერბურგშიც რომ არ მომხდარიყო, ძნელი დასაჯერებელია, ახვერდოვას სარეკომენდაციო წერილი არ გამოეტანებინა თავისი შერისხული ნათესავისათვის უცხო მხარეში, სადაც მას იმდენი კარგი მეგობარი ჰყავდა.

ლერმონტოვის ქართველი ნაცნობების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი რუსუდანი. რუსუდან ნიკოლაძე ბავშვობაში ხშირად ესწრებოდა თავისი მამის საუბრებს ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან: ა. წერეთელთან, ი. ჭავჭავაძესთან, გ. წერეთელთან. ნ. ლორთქიფანიძესთან და ა. შ. დედის თხოვნით, იგი მაშინვე იწერდა განსაკუთრებით საინტერესო ამბებს. როგორც ირკვევა, მათი საუბრის თემა ხშირად იყო ლერმონტოვის საქართველოში ყოფნა. ნიკო ნიკოლაძე და მისი თანამედროვენი ბევრ საინტერესოს გებულობდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეგობრებისა და ნათესავებისაგან (გრ. ორბელიანის, მ. თუმანიშვილის, კ. მამაცაშვილის, ვ. ორბელიანის, დ. ყიფიანის და სხვ.), რომლებიც 80—90-იან წლებში კიდევ ცოცხლები იყვნენ. როგორც რუსუდან ნიკოლაძის მოგონებებიდან ირკვევა, საქართველოში 1837 წელს ყოფნის დროს ლერმონტოვი თავის მეგობარ პოეტ ა. ი. ოდოევსკისთან ერთად ხშირად დადიოდა გრიბოედოვის საფლავზე. ნინო ჭავჭავაძემ, რომელიც ძალზე ააღელვა ოდოევსკისა და ლერმონტოვის თანაგრძნობამ, ორივეს აჩუქა ხანჯლები ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის საერთო კოლექციიდან, როგორც მოვალეობისადმი ერთგულების, მეგობრისადმი თავდადებისა და რკინისებური სიმტკიცის სიმბოლო. რ. ნიკოლაძის ცნობით, აღელვებულმა ლერმონტოვმა მეორე დღესვე წაუკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი „ხანჯალი“:

უნაზეს ხელით მომრთმევიხარ შენ სახსოვარად,  
და სულ პირველად, იმავ წუთში განშორებისა,  
სისხლის მაგიერ დაგჩენოდა სიბრტყეზე ცვარად  
ცრემლი ნათელი — მარგალიტი მწუხარებისა.

და ის თვალეზი, იღუშალი კაეშნით სავსე  
შავი თვალეზი, დაშტერებით მომჩერებოდნენ,  
და, ვით ლაპლაპი მაგ ფოლადის მორთოლვარე ალზე,  
ხან ბინდდებოდნენ, ხანაც ისეგ გაბრწყინდებოდნენ.

შენ თან დამყვები სიყვარულის მუნჯ საწინდარად,  
და მე ყარიბი შენში ვხედავ ძვირფას მაგალითს;  
ღიახ უცვლელი, სულით მძლავრი ვიქნები მარად,  
ძმაო, რკინისავ, შენებრ მტკიცე, შენებრ მაგარი<sup>6</sup>.

მკვლევარი ვანო შადური ამ ლექსის შესახებ შენიშნავს: „პუშკინის მკვლევლობის წინააღმდეგ გამოსვლის გამო საქართველოში გადმოსახლებული ლერმონტოვი აქ შეხვდა მეორე რუსი გენიოსის — გრიბოედოვის ქვრივს, რომელიც ნატალია გონჩაროვას სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. ლერმონტოვის წინაშე იყო ერთგული მეუღლისა და მეგობრის იდეალი, სულიერი სიმტკიცისა და გამირთული ხასიათის იშვიათი მაგალითი. ასეთი ადამიანის მიმართ ლერმონტოვს არ შეიძლებოდა არ დაბადებოდა აღტაცებისა და მოწიწების გრძნობა. სწორედ მასზე შეეშლო ეთქვა ლერმონტოვს: „და მე, ყარიბი, შენში ვხედავ ძვირფას მაგალითს“<sup>7</sup>.

ბარათაშვილისა და ლერმონტოვის სახელები ქართველმა საზოგადოებრიობამ ერთმანეთს საკმაოდ მჭიდროდ დაუკავშირა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. 1862 წელს ჟურნალ „ცისკარის“ მიმომხილველი ხანგასმით აღნიშნავდა: „ჟურნალში დაბეჭდილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ლექსები ჩუშნის ლერმონტოვის — ბარათაშვილისაო“<sup>8</sup>. თუმცა ქართველი პოეტი სამი წლით უმცროსი იყო ლერმონტოვზე, 1837 წლისათვის ბარათაშვილი სავსებით ჩამოყალიბებული შემოქმედი იყო და უკვე დაწერილი ჰქონდა ისეთი შედეგები, როგორცაა „შემოღამება მთაწმინდაზე“ (1833—1836 წლები), „ღამე ყაბახზედ“ (1836 წ.) და „ფიქრნი მტკვრის პირად“ (1837 წ.). ძნელი დასაშვებია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი არ დაინტერესებულიყო ახალგაზრდა დევნილი პოეტით, რომლის შემოქმედებასაც კარგად იცნობდა. ამას მოწმობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი (1843 წ. 21 აგვისტო). ამ წერილში ბარათაშვილი უჩივის საშინელ სულიერ მარტოობას და დიდ გულისტკივილს გამოთქვამს თავისი ჩინოვნიკური სამსახურის უაზრობის გამო. თავის

<sup>6</sup> თარგმანი დ. გაჩეჩილაძისა.

<sup>7</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1964, № 9, გვ. 148.

<sup>8</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1862, № 9, გვ. 38.



განწყობილების სრული სურათის დასახატავად ბარათაშვილი იშვებულა ებს ლერმონტოვის ცნობილ სტრიქონებს: „... მეც სამსახურში მივეშურები, вообще, здесь и грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды“.

საინტერესოა ქართველ სამოციანელებში გავრცელებული აზრი, თითქოსდა ლერმონტოვს თავისი საყვარელი გმირის — პეჩორინისათვის ბარათაშვილის გარეგნობა მიეცეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი ჩვენთვის დღემდე უცნობია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ქართველი პოეტის გარეგნობა იმ სიტყვიერი პორტრეტის საფუძველზე, რომელიც ბარათაშვილის თანამედროვეთა და მეგობრების მოგონებებმა შემოგვინახა. თავის ბიოგრაფიულ ნარკვევში ბარათაშვილის შესახებ პავლე ინგოროყვამ მეტად მცირე მონაცემების საფუძველზე ასე წარმოგვიდგინა ბარათაშვილის პორტრეტი: „პოეტი საშუალო სიმაღლისა და თანაზომიერი ტანადობისა ყოფილა („შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი“ — კონსტ. მამაცაშვილის სიტყვით)... პირისფერი — მოთეთრო, წმინდა, წაბლისფერი თმები. სახის საერთო იერს კონტრასტის სახით აცხოველებდა შავი, ცოცხალი, მეტყველი თვალები“<sup>9</sup>... გავიხსენოთ, როგორ აგვიწერს ლერმონტოვი პეჩორინს: „იგი საშუალო ტანისა იყო, ტანადი. მისი წერწეტა წელი და განიერი მხარბეჭი ამტკიცებდა მის მაგარ აგებულებას. მიუხედავად იმისა, რომ თმა ქერა ჰქონდა, უღვაში და წარბები შავი იყო... მას ოდნავ აპრეხილი ცხვირი ჰქონდა, კბილები ქათქათათეთრი და ლეგა თვალები...“ შესაძლებელია, ლერმონტოვს მართლაც დაამახსოვრდა სახე ახალგაზრდა ქართველი პოეტისა, რომელმაც 1837 წელს იმპერატორ ნიკოლოზ პირველზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბარათაშვილის და — ბარბარე იგონებს: „იმპერატორი ნიკოლოზ პირველი რომ ჩამოვიდა ქალაქში, — ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა ნიკო და უთხრა: „შენ ჩემი ორდინარეცი ხარო!“<sup>10</sup>. სავარაუდოა ისიც, რომ ლერმონტოვის ლირიკის სამი შედევრი («Как небеса твой взор блистает», «Слышу ли голос твой», «Она поет и звуки тают») მიძღვნილია ბარათაშვილის მუშის — ეკატერინე ჭავჭავაძისადმი. თავის მოგონებებში რუსუდან ნიკოლაძე წერს: „ჭავჭავაძეების ოჯახში, ნინო ჭავჭავაძის უადრესად სერიოზულ სამყაროსა და მის რჩეულ მეგობართა წრის გვერდით, ახალგაზრდობით ბრწყინავდა, მღეროდა, ცეკ-

<sup>9</sup> ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, თბ. ფედერაცია, 1939, გვ. VI.

<sup>10</sup> იქვე, გვ. VII.

ვავდა და სიცოცხლის სიხარულს აფრქვევდა უმცროსი თაობა — „ლიტერატურა-ცისფერი“ სამყარო ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილის, ლუკა თვალა კატენკასი, რომელმაც ბარათაშვილს მთელი რიგი ლირიკული შედეგები შთააგონა. მან თურმე ლერმონტოვიც მოაჯადოვა, რის შედეგადაც რუსული ლიტერატურა გაამდიდრა სამი „ცისფერი მარგალიტი“<sup>11</sup>.

ლერმონტოვს ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში უნდა გაეცნო მოწინავე ქართველი საზოგადოება, გარკვეულიყო მის ინტერესებსა და სულისკვეთებაში, ალექვა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართული კულტურა, შეეგრძნო მთელი საშინელება ეროვნული ჩაგვრისა, რომლის უღელქვეშაც გმინავდა რუსული ცარიზმისაგან დამონებული კავკასიის ხალხები. პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე შენიშნავს: „ჭავჭავაძის ოჯახში ლერმონტოვს უნდა მიეღო უმთავრესი, არაოფიციალური ინფორმაცია საქართველოს მდგომარეობის შესახებ, და ცხადია, რომ ორი პოეტის, რომელნიც ერთნაირად ეჭვსა და უნდობლობის ქვეშ ჰყავდა დესპოტ ნიკოლოზ I-ს, საუბარი გულახდილი უნდა ყოფილიყო. თავი რომ დავანებოთ ალ. ჭავჭავაძეს, რომელიც ცნობილი იყო საქართველოში, როგორც „პირველი ჭკვიანი და განათლებული კაცი“, „ლექსთა მეფე“, რუს პოეტს უნდა გაეცნო მაშინდელი ქართული აზრის, პოეზიისა და საქმის ადამიანებიც, რომელნიც ნელინელ გზას იკაფავდნენ უსირცხვილო უსამართლობასთან ბრძოლაში საკუთარი ცისთვის“<sup>12</sup>.

ლერმონტოვის საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებით ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში წამოიჭრა საკითხი პოეტის თბილისში მეორედ ჩამოსვლის შესახებ 1840 წელს. აქამდე არ არის გამორკვეული, სად იმყოფებოდა ლერმონტოვი 1840 წლის ნოემბრის დასასრულიდან ამავე წლის დეკემბრის დასაწყისამდე. ა. ლოპუხინისადმი 1840 წლის 12 სექტემბერს ლერმონტოვის მიერ მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ ლერმონტოვს სურდა თბილისს სტუმრებოდა. ლერმონტოვი წერს: „თუ წერილს მომწერ, აი მისამართი: „კავკასიის ხაზზე, გენერალ-ლეიტენანტ გოლაფეევის მოქმედი არმია, მარცხენა ფლანგი“. მე აქ დავრჩები ნოემბრის ბოლომდე, შემდეგ კი არ ვიცი, საით გავწევ — სტავროპოლში, შავ ზღვაზე თუ თბილისში“<sup>13</sup>. იმის გასარკვევად, „გამოს-

<sup>11</sup> ქურნ. „ლიტერატურაია გრუზია“, 1964, № 10, გვ. 108.

<sup>12</sup> ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1964, № 43.

<sup>13</sup> მ. ი. ლერმონტოვი, თხზულებათა ოთხტომეული, მ, 1959, ტ. IV, გვ. 465 (რუსულ ენაზე).



წია“ თუ არა ლერმონტოვმა თბილისისაკენ, მოვეუსმინოთ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“<sup>14</sup> რიას“, რომელიც 1891 წელს მკითხველებს აცნობებდა, რომ „გადაწყვეტილია თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიეკუთვნოს ლერმონტოვის სახელი, ვინაიდან პოეტს... ძლიერ უყვარდა ჩვენი მხარე და მისმა საკვირველმა პოეზიამ მიაქცია რუსეთის განათლებული საზოგადოების ყურადღება კავკასიის ავკარგიანობაზე. გარდა ამისა, ყოველს ნასწავლს კავკასიელს გამოუვლია ლერმონტოვის აღფრთოვანებული პოეზიის ხელში. ქალაქის თავმა... დასძინა, ლერმონტოვი ო რ ჯ ე რ ესტუმრა ტფილისს...“<sup>14</sup>: იმ დროს თბილისში ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც, ალბათ, იცნობდნენ ლერმონტოვს, ან თავიანთი მამებისა და უფროსი მეგობრებისაგან ჰქონდათ რაიმე ცნობები დიდი რუსი პოეტის საქართველოში ყოფნის შესახებ. ამიტომ ძნელი დასაჯერებელია ქალაქის თავს შეუქმონებლად გამოეცხადებინა ლერმონტოვი თბილისს ორჯერ ესტუმრაო.

ლერმონტოვის თბილისში 1840 წელს ჩამოსვლის შესახებ წერდა აგრეთვე გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“. გაზეთი გვამცნობს, რომ ლერმონტოვის ყოფილი მსახურის ქრისტეფორე სანიკიძის მტკიცებით, „ლერმონტოვი თბილისში ყოფნის დროს გაჩერდა სახლში, სადაც ახლა სასტუმრო „პარიზია“. პოეტი ამ სახლში ექვსი დღის განმავლობაში ცხოვრობდა“<sup>15</sup>. გ. ლეონიძემ დაადგინა, რომ სასტუმრო „პარიზია“ იყო სახლი, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძემ აიშენა სწორედ 1838—1840 წლებში. გამოდის, რომ 1840 წელს ლერმონტოვი ალ. ჭავჭავაძის სტუმარი ყოფილა.

ბუნებრივია, რომ ქართველები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ლერმონტოვის ე. წ. „კავკასიურ ნაწარმოებებს“, რომელთა შორის აღსანიშნავია მისი შედეგები: „მწირი“, „დემონი“, „ჩვენი დროის გმირი“.

საინტერესოა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ლერმონტოვის შემოქმედებისადმი. ილია ჭავჭავაძემ მთელი თავისი სიცოცხლე მამულის სამსახურს მოახმარა, ყველასგან მოითხოვდა, რომ თავიანთი მოღვაწეობისათვის მხოლოდ ერთი თვალსაზრისით შეეხედათ: რა სარგებლობა მოჰქონდა მათ საქმეებს სამშობლოსათვის: იგი ძალიან მალლა აყენებდა მთარგმნელთა მოღვაწეობას, რომლებიც ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ: ქართველ საზოგადოებას აცნობდნენ

<sup>14</sup> გაზ. „ივერია“, 1891, № 193.  
<sup>15</sup> გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1893, № 3120.



მთელი მსოფლიოს ხალხების აზრებისა და სულის საუნჯეს. მაგრამ ვე დროს ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა სათარგმნი ნაწარმოებების რად და დიდი გულისყურით შერჩევას: „თუ კაცს რუსულიდან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კახლოვსა...“ — აღშფოთებით შენიშნავს იგი.

ილიამ თარგმნა ლერმონტოვის მრავალი ნაწარმოები, მათ შორის „წინასწარმეტყველი“, „სიზმარი“, „ჰაჯი-აბრეკი“, „მწირი“, „დემონის“ დასაწყისი და ა. შ. დიდი ქართველი პოეტი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ლერმონტოვის ნაწარმოებების თარგმნას. იგი ხშირად უბრუნდებოდა მათ, ხვეწდა, ცდილობდა ორიგინალის მხატვრულ სრულყოფამდე მიეღწია. სწორედ თავისთავისადმი ასეთმა მაღალმა მომთხოვნელობამ და დიდმა მხატვრულმა ალღომ განაპირობა ის, რომ ილია ჭავჭავაძის თარგმანებმა არ დაკარგეს თავიანთი ღირსება და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობენ. მხოლოდ ერთხელ მისცა ილია ჭავჭავაძემ თავის თავს უფლება თავისებური კომენტარი გაეკეთებინა ლერმონტოვის ცნობილი სტრიქონებისათვის იმ „ღვთიურ მაღლზე და მშვიდობაზე“, რომელიც საქართველომ მოიპოვა რუსეთის „მეგობრული იარაღის“ შემწეობით. ილია ჭავჭავაძისეულ „მწირის“ თარგმანში ვკითხულობთ:

მას აქეთ, როცა კურთხევა ღვთისა  
 მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,  
 რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა  
 ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს.

რასაკვირველია, ლერმონტოვს „მწირში“ სრულიადაც არ უფიქრობა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შექება. ლერმონტოვმა თავის ნაწარმოებში აღნიშნა მხოლოდ ის ობიექტური ფაქტი, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა, თავიდან მოიშორა გარეშე მტრების თავდასხმის მუდმივი საფრთხე და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა. ეს აზრი არაერთხელ გამოუთქვამთ მოწინავე ქართველ მწერლებსაც. ილია ჭავჭავაძესაც შესანიშნავად ესმოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა და ღრმად აფასებდა ამ ფაქტის სასიცოცხლო აუცილებლობას მისი მრავალტანჯული სამშობლოსათვის. ამავე დროს ი. ჭავჭავაძე, როგორც მოღვაწე, რომელიც მთელი სიცოცხლე ებრძოდა რუსეთის ცარიზმის ნაციონალურ პოლიტიკას, როგორც პოეტი, რომელიც მუდამ იღწვოდა საქართველოს ეროვნული სახის შესანარჩუნებ-



ლად, შეგნებულად ებაექრება ლერმონტოვს, ვინაიდან კარგად ხედავს ცარიზმის უხეშ ცდას — გადააქციოს „ტუზემცები“ რუსეთის ერთგულ ქვეშევრდომებად მათი სრული გარუსებისა და ყოველგვარი ეროვნულის დავიწყების გზით. ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ ფიზიკური არსებობის შენარჩუნება დიდი მადლია საქართველოსათვის. მაგრამ მან იცოდა ისიც, რომ ეს არ არის ყველაფერი, რომ საჭიროა შეინარჩუნო ეროვნული თვითმყოფადობა, არ დაემორჩილო მეფის რუსეთის ვერაგულ პოლიტიკას — აქციოს კავკასია „თბილ ციმბირად“ და „რუსეთის ინდოეთად“, რომ საქართველოს თავისუფლებისმოყვარე ხალხი არ გადაიქცეს ჩრდილოეთის დესპოტის ყურმოჭრილ მონად. ამით იყო გამოწვეული ჭავჭავაძის სტრიქონები, რომლებიც პოეტმა ლერმონტოვის პოემაში ჩართო.

აკაკი წერეთელი პირველად თანამემამულეთა წინაშე წარსდგა, როგორც ლერმონტოვის ცნობილი ლექსის — „პალესტინის რტოს“ მთარგმნელი, რომელიც 1858 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“. ჩვენთვის უცნობია აკაკი წერეთლის სხვა თარგმანები ლერმონტოვიდან. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მას გაუხელდა სიყვარული თავისი რუსი თანამომამისადმი. აკაკი დიდად აფასებდა ლერმონტოვს, როგორც კავკასიის უანგარო მომღერალს. ეს გასაგებიცაა. ა. წერეთელი ღრმად განიცდიდა საქართველოს ბედს ცარიზმის უღელქვეშ და განსაკუთრებული მადლიერებით აღიქვამდა რუსი ხალხის საუკეთესო შვილების და, კერძოდ, ლერმონტოვის თბილსა და უდიდესი მოწიწების გრძნობით გამსჭვალულ სიტყვებს მისი მრავალტანჯული, დამონებული სამშობლოსადმი. სწორედ ამიტომ ეუბნებოდა აკაკი წერეთელი სერგეი ანისიმოვს — კავკასიის ტრფიალსა და ამ მხარის კულტურის შესანიშნავ მცოდნეს: „თქვენ — რუსები და ჩვენ — ქართველები სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ... მაგრამ როდესაც ადამიანები ერთმანეთს პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობიან, რა ენაზეც კი არ უნდა ვალდებულნიც არიან გაუგონ ერთმანეთს“<sup>16</sup>.

აკაკი წერეთელს რომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ვაძყვა ლერმონტოვის პოეზიის სიყვარული და ვაგება, მტკიცდება იმითაც, რომ ქართველი პოეტი თავის ნაწარმოებებში ხშირად სარგებლობდა დიდი რუსი მგოსნის თემებით, მაგრამ თავისებურად ამუშავებდა მათ, რის შედეგადაც ლერმონტოვის თემა ქართულად, აკაკისებურად აღერ-

<sup>16</sup> ჟურნ. „კრანოე“, 1940, № 7—8, გვ. 169.



და. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა აკაკის ჭაბუკობის <sup>საქართველოს</sup> ოდში დაწერილი ლექსი „ნავი“, რომელიც დაბეჭდილია „ცისკარში“<sup>17</sup>.  
ეს ლექსიც თავისებურად ეპაექრება ლერმონტოვის სტრიქონებს პოე-  
მა „მწირიდან“:

. . . . . მეფემ,  
დამძიმებული გვირგვინის დახრით  
რუსეთს გადასცა თავისი ხალხი  
და საქართველოს გადმოფინა  
მადლი უფლისა! ტანჯული წინათ,  
ყვაოდა თვისი ბაღების ჩრდილში,  
მტრის შემოსევის არ ჰქონდა შიში,  
მას მეგობრების იცავდა ხიშტი.

ლექსში აკაკი წერეთელი მოგვითხრობს, რომ პატარა ნავი ღია ზღვაში მოხვდა ძლიერი ქარიშხლის დროს. ჩასაძირავად განწირული ნავი დიდ ხომალდს სთხოვს შველას. ხომალდმა შეიწყნარა თხოვნა და ამის შემდეგ მუდამ იცავს ნავს ბოროტი ქარისაგან. ნავი გარდაუვალ დაღუპვას გადაურჩა, მაგრამ მან თავისუფლებაც დაკარგა: ამიერიდან იგი მაგრადაა მიჯაჭული დიდ ხომალდზე და იძულებულია იქით გასწიოს, საითკენაც მისი მხსნელი მიუთითებს. ნავს შეგნებული აქვს, რომ მხოლოდ ხომალდის მფარველობაშია მისი ხსნა: „თუ ესა მყავდეს და ეს მფარვიდეს, მე ვერავინ ვერ მომერეოდეს“. ლექსის ეს ნაწილი მთლიანად ატარებს იმავე აზრს, რომელიც ლერმონტოვმა გამოთქვა თავის პოემაში: „საქართველოს... მტრის შემოსევის არ ჰქონდა შიში, მას მეგობრების იცავდა ხიშტი“. ნავი მშვიდად მიცურავს; მას დიდი ხომალდი ყოველგვარი უბედურებისაგან იცავს.

მაგრამ ახალგაზრდა აკაკი წერეთელი ნათლად ხედავდა, რომ ცარიზმი ფიზიკურად გადარჩენილ საქართველოს მორალურ სიკვდილს უმზადებდა. მეფის ხელისუფლების ყოველი ღონისძიება მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩაეკლათ „ტუზუმცებში“ ეროვნული დამოუკიდებლობის გრძნობა და რაც შეიძლება მოკლე დროში სავსებით გაერუსებინათ კავკასიის ხალხები. სწორედ ამიტომ არ დასვა აკაკი წერეთელმა წერტილი იქ, სადაც ლერმონტოვი შეჩერდა. აღნიშნავს რა, რომ მას შემდეგ, რაც ხომალდი ნავის მფარველი გახდა, „გაძული არის გარეშე მტერი, მოშორდა იმ ნავს, აღარსადა ჰყავს“, პოეტი დასძენს: „მაგრამ ვაი, რომ თვით ის ხვამალდი მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს“.

აქ რასაკვირველია, აკაკი წერეთელი გულისხმობს „ცისფერი მუნ-

<sup>17</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1859, № 9, გვ. 4—5.



დირების“, ნიკოლოზ პალკინისა და ბენკენდორფების, ბულგარინებისა და კატკოვების რუსეთს, მაგრამ აკაკი წერეთელს, ისევე როგორც მთელ მოწინავე ქართველ საზოგადოებას, გულწრფელად უყვარდა და დიდ პატივს სცემდა იმ რუსეთს, რომელსაც ეკუთვნოდნენ პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი და სხვა შესანიშნავი მოღვაწეები. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ მოსკოვში საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვაში აკაკი წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენ მართლა რომ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელის ხელჩაკიდებით სიარული არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ერთობა, თანასწორობა“<sup>18</sup>.

შემოდგომაზე ქართველი ერი რუს ხალხთან ერთად იზეიმებს ლერმონტოვის დაბადებიდან 175-ე წლისთავს: ლერმონტოვმაც ხომ მრავალ სხვა რუს მწერალსა და ხელოვანთან ერთად, სწორედ საქართველოში ჰპოვა თავისი პოეტური სამშობლო. მის შემოქმედებას გარკვეული კვალი დააჩნია ქართულმა ბუნებამ, ქართულმა ფოლკლორმა, საქართველოს ისტორიამ, ქართველთა თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთებამ და შეუპოვარმა ხასიათმა. თავის მხრივ, ქართველი ხალხი დიდად აფასებდა ლერმონტოვს, როგორც თავისუფლების მეხოტბესა და გუშავს.

ნიკო ნიკოლაძე აღფრთოვანებული იყო ლერმონტოვის მოქალაქეობრივი პოეზიით. მისი აზრით, ლერმონტოვის ლექსები პოეტის დანიშნულების შესახებ გამოხატავენ სწორედ იმ მისწრაფებებს, რომლებიც უნდა ახასიათებდეს პოეტ-მოქალაქეს, პოეტ-ტირიბუნს, თავისი ხალხის ბელადსა და წინამძღოლს, რომლის „მაღალ ფიქრთა გამოძახილი ჭექდა ხალხისთვის, როგორც ვეჩეს კოშკიდან ზარი, — ლხენის და ტანჯვის გამომსახველი“.

<sup>18</sup> გაზ. „მერცხალი“, 1913, 29 იანვარი.

ექვთიმე თაყაიშვილი

ქველი ქართული ხელნაწერების სადარაჯოზე არაერთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იდგა. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა ექვთიმე თაყაიშვილს (1863—1953) — ქართულ სიძველეთა და-უცხორომელ მაძიებელს, ხელნაწერთა თავდადებულ მცველს, მგზნებარე მამულიშვილს, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდიამ „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ უწოდა.

ე. თაყაიშვილი იმ დროს გამოვიდა სამეცნიერო-ლიტერატურულ ასპარეზზე და ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როდესაც ქველი ქართული სულიერი კულტურის ძეგლების გამოვლენასა და შესწავლას ჯერ კიდევ არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მათი კვლევა არსებითად მაშინ დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქმიანობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“, რომელიც 1879 წელს ჩამოყალიბდა და ყოველგვარი ეროვნულ-კულტურული წამოწყების მოთავე გახდა. ამ საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ქველი ქართული ხელნაწერების მოპოვება და მათი შესწავლა იყო. ამ მნიშვნელოვან საქმეში ე. თაყაიშვილი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე აქტიურად ჩაება.

„საზოგადოების წევრი რომ გავხდი, — იგონებდა მოგვიანებით მკვლევარი, — მივიხედ-მოვიხედე: შევატყვე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუვნებურად მოვკიდე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა და დავიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი, შემოწირულით აღარ ვჯერდებოდი. საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე, სხვადასხვა კუთხეში მიმოწერა გავაჩაღე, აგენტები გავიჩინე“.

ე. თაყაიშვილმა ენერგიულად დაიწყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავის ხელნაწერების აღწერა-კატალოგიზაცია, ხოლო თავისი „აგენტების“ მეშვეობით კი

მრავალი ისეთი მნიშვნელოვანი ფურცელი შემოუნახა ერს, როგორც თვითონაც არ მოელოდა. ამის შესახებ იგი წერდა: „საკვებურად არ ვამბობ, მაგრამ მას აქეთ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, სისტემატური კვლევისა და ძებნის შედეგად, წილად მხვდა ბევრი ახალი, სრულიად უცნობი და თან პირველხარისხოვანი ძეგლის აღმოჩენა — ისეთებისა, რომელთა არსებობა არც კი მოგვიფიქრებია მანამდე. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმის მომასწავებელია, რომ კარგა ხანს ჩვენ ძებნა არც კი მიგვაჩნდა საჭიროდ და არც გვესმოდა ასეთი მუშაობის ფასი“.

ე. თაყაიშვილმა ჩაატარა შრომატევადი სამუშაო — დაწვრილებით აღწერა რამდენიმე ასეული ხელნაწერი. თავდაპირველად იგი ხელნაწერებს აღწერდა ჩვეულებრივი საკატალოგო რიგის მიხედვით, ხოლო თავის „აღწერილობას“ ქართულად აქვეყნებდა. შემდეგ მუშაობის გეგმაც შეიცვალა და „აღწერილობის“ პუბლიკაციის ენაც. სახელდობრ, თემატურად დაალაგა ხელნაწერები და ჯგუფურად აღწერა, ხოლო მკითხველთა ფართო წრის მიზიდვის მიზნით „აღწერილობა“ რუსულ ენაზე დაბეჭდა ჯერ სამეცნიერო-პოპულარული კრებულის ფურცლებზე, შემდეგ კი ორვევებერთელა ტომად (I, 1902—1904 წწ.; II, 1906—1912 წწ.) ამ მონუმენტურ ნაშრომში ავტორმა აღწერა მრავალი ძვირფასი ხელნაწერი, წარმოაჩინა მათი როგორც გარეგნული მხარე, ისე შედგენილობაც.



ექვთიმე თაყაიშვილი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ თავმოყრილი ხელნაწერების მხოლოდ აღწერა, რა თქმა უნდა, საკ-



მარისი არ იყო. საჭირო იყო შემორჩენილი ტექსტების სამზოვრო-გამოცემით მოტანა-გადმობეჭდვა და ამით იმის საიმედო საფუძვლის შექმნა, რომ უბედურ შემთხვევას, სხვა ხელნაწერთა მსგავსად, ისინიც არ აღეგავა პირისაგან მიწისა. სწორედ ამიტომ ე. თაყაიშვილი, ხელნაწერთა აღწერილობასთან ერთად, ნაკლებად ცნობილ ტექსტებსაც აქვეყნებდა. ამის დასტურია მის მიერ გამოცემული „აღწერილობის“ ორტომეული, რომელშიც დაბეჭდილია ბევრი პოეტის ლექსები, პროზაულ ნაწარმოებთა მოზრდილი ნაწყვეტები, მწიგნობართა ანდერძ-მინაწერები, აგრეთვე პუბლიკაციები ისეთი ძეგლებისა, როგორიცაა „სიბრძნე ბალავარისი“ (1895 წ.), „კათალიკოზ-ბაქარიანი“ (1895 წ.), „მელის წიგნი“ (1899 წ.), „თიმსარიანი“ (1903 წ.), „ქართლის ცხოვრება“ (1906 წ.) და ა. შ. ამ ძეგლების გამოქვეყნება რამდენადმე ძველ ხელნაწერთა ერთგვარი აღმოჩენაც იყო, რადგან ადრე მათ უმრავლესობაზე ხელი მხოლოდ მათ შვლობელთა და დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეს თუ მიუწვდებოდა, ფართო საზოგადოებისათვის ყოველივე ეს უცნობი იყო.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ე. თაყაიშვილის უკვე პირველი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია „სამი ისტორიული ზრონიკა“ (1890 წ.), რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან წყაროს — შატბერდის კრებულში მოთავსებულ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, სუმბატ დავითის ძის „ისტორიასა“ და მესხური დავითნის ქრონიკას — აცნობდა მკითხველთ, აგრეთვე „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ (1891 წ.), რომელშიც დაბეჭდილია ეფრემ მციარის თხზულებაც — „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიგსენების“.

ე. თაყაიშვილი ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმის გასამდიდრებლადაც. მუზეუმი მიზნად ისახავდა ძველი საეკლესიო ხელნაწერებისა და ნივთების შეგროვებას. მისი პირველი ნაბიჯი დ. ბაქრაძისა და ე. თაყაიშვილის მიერ სვეტიცხოვლიდან ძველი ქართული ხელნაწერების ჩამოტანა იყო. შემდეგ მუზეუმს უკვე სხვა ეკლესია-მონასტრებიდანაც მოსდიოდა ხელნაწერები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამღვდელოების ერთ ნაწილში ამან უკმაყოფილება გამოიწვია. მოწესენი, მართალია, ხმამაღლა ვერაფერს ბედავდნენ, მაგრამ ჩუმად დრტვინავდნენ: „ყველაფერს რომ გვართმევთ, მონასტრების გაძარცვა როგორ შეიძლებაო?“ მათი აღმფოთება რომ მხოლოდ მონასტრების საკუთრებაზე ზრუნვით ყოფილიყო გამოწვეული, კიდევ არაფერი, მაგრამ, ე. თაყაიშვილის გადმოცემით, საქმე ის იყო, რომ ბევრს არ ესმოდა ძველი ხელნაწერების მნიშვნელობა, ზო-



გერტი მათ გაყიდვასაც არ თაკილობდა. ამიტომაც ე. თაყაიშვილი ქეოლოგიური ექსპედიციების დროს ცდილობდა ხელცარიელი არ დასრუნებულიყო, რაც შეიძლება მეტი ხელნაწერი ჩამოეტანა თბილისში და შეეწირა ჩვენი სიძველეთსაცავებისათვის. მან მართლაც ბევრი მასალა ჩამოიტანა შიომღვიმიდან, გარეჯიდან, ყანჩაეთიდან, ჯრუჭიდან, ნიკორწმინდიდან, ჭელიშიდან და სხვა სავეანეებიდან. სწორედ მისი თავგამოდებული მოქმედების შედეგად შემოგვრჩა მრავალი დიდებული ძეგლი, სახელდობრ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარი (H № 1661), შატბერდის ოთხთავი (H № 1660), პალავრის კრებული (H № 1662), შიომღვიმის სახარება (H № 1344), ოლიმპის კრებული (H № 1346), ყანჩაეთის ჟამნ-გულანი (H № 1452) და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ე. თაყაიშვილმა არაერთი ხელნაწერი გადაარჩინა დაღუპვას და განადგურებას. საკმარისია დავიმოწმოთ ერთი ფაქტი: ქართლში სტუმრად ყოფნისას მან გაპარტახებული სახლიდან გამოტანილი ნაგვიდან ამოიღო ძველი ხელნაწერი, რომელიც ფრიალ მნიშვნელოვანი უცნობი ძეგლი — „გელმწიფის კარის გარიგება“ — აღმოჩნდა. იგი ე. თაყაიშვილმა წამოიღო და მალე გამოაქვეყნა კიდეც (1920 წ.).

აღარ გავაგრძელებთ მსჯელობას საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე — ე. თაყაიშვილის მზრუნველობაზე საფრანგეთში გატანილ ქართულ ხელნაწერებზე. მოკლედ ვიტყვი, რომ სწორედ მისი მეცნიერული და მოქალაქეობრივი გმირობის შედეგად დაგვიბრუნდა მრავალი ფასდაუდებელი ხელნაწერი, სახელდობრ, „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ნუსხეები (H № 54, 599, 757), მიქაელ მოდრეკილის კრებული (S № 425), ტბეთის ოთხთავი (Q № 929), თეთროსნის დავითნი (H № 75), ალავერდის სახარება (A № 484) და სხვ.

ე. თაყაიშვილს არც ემიგრანტობაში შეუწყვეტია ქართულ სიძველეთა ძებნა. თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე სამშობლოს მოცილებული მკვლევარი ცდას არ აკლებდა საზღვარგარეთ გაბნეული ქართული განძის გამოვლენა-შესწავლას (ნათქვამის დასადასტურებლად შეგვიძლია დავიმოწმოთ მისი ნაშრომები პარიზის, ოქსფორდის, ვატიკანისა და სხვა სიძველეთსაცავებში შემონახულ ქართულ ხელნაწერებზე). მას ხელს უწყობდნენ ქართველი ემიგრანტები. სწორედ მათი, კერძოდ, აკაკი და თამარ პაპაევების შემწეობით მიაკვლია მან პეტრიწონის მონასტრის ქართულ ტიპიკონს, რომელიც მანამდე მხოლოდ ბერძნულ ენაზე იყო ცნობილი.

გრიგოლ ბაკურიანისძემ მის მიერ აღწერილ პეტრიწონის ქარ-



თველთა მონასტერს ქართულ და ბერძნულ ენებზე შეუდგინა ტიპიკონი. მისი ქართული ტექსტი ერთხანს არ ჩანდა. საქმე ისაა, რომ მოგვიანებით ბერძნებმა ხელთ იგდეს მონასტერი და ტიპიკონი, რომელიც რამდენადმე მათ წინააღმდეგ გიყო მიმართული, დამალეს კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში, კუნძულ ქიოსზე. რადგან ბიბლიოთეკამ ეს ხელნაწერი სომხურ-ბერძნულად ჩაიწერა, მისი მიკვლევა კარგა ხანს არ მოხერხდა. მეორე მსოფლიო ომის წინ ბერძენი ისტორიკოსი კ. ამანტოსი გასცნობია ქიოსზე დაცულ პეტრიწონის მონასტრის ხელნაწერებს. მას თავისი ნაშრომისათვის დაურთავს ტიპიკონის ქართული ტექსტის პირველი და უკანასკნელი გვერდების ფოტოსურათები. ამით ისარგებლა ერთმა ბერძენმა, რომელმაც ხელის მოთბობა მოინდომა. მან გერმანიაში მცხოვრებ პაპაევებს გაუგზავნა ეს ფოტოსურათები. მათ, თავის მხრივ, ისინი საფრანგეთში გადაუგზავნეს ე. თაყაიშვილს, რომელმაც პაპაევებს სთხოვა, ბერძნისათვის მთელი ხელნაწერის ფოტოსურათები დაეკეთათ. ამასობაში მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო და ეს საქმე ჩაიშალა. ომის დამთავრების შემდეგ კი შესაძლებელი გახდა ამ ხელნაწერის მიკვლევაცა და გამოქვეყნებაც. ეს პატივი წილად ხვდა აკაკი შანიძეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ე. თაყაიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ უცნობი ხელნაწერების გამოვლენას და ლიტერატურაში უკვე ცნობილ ხელნაწერთა შეძენას. ასეთი მეცადინეობით მან 16 ხელნაწერი შეკრიბა. თუმცა ყველამ კარგად იცოდა ე. თაყაიშვილისათვის ხელნაწერის თხოვება პატრონისთვის მის დაკარგვას რომ ნიშნავდა. მაგრამ თანამემამულენი, ხედავდნენ რა მკვლევრის თავდადებას ეროვნულ საქმისადმი, ვერაფერზე ეუბნებოდნენ უარს. ასე დაიტოვა მან თავისი ნათესავის მიხეილ ნაკაშიძის მიერ სომხეთში შეძენილი „ვეფხისტყაოსანი“.

თუ გამოჩნდებოდა ვინმე ისეთი, ვისაც ასეთი განძი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“ არ ემეტებოდა, ხოლო უცხოელი მოღვაწისათვის კი არ ეშურებოდა, ე. თაყაიშვილი ვითომდა დროებით, შესასწავლად თხოულობდა მას და შემდეგ გაზეთში, უმეტესად „ივერიაში“, საზეიმოდ აცხადებდა: მავანმა და მავანმა ესა და ეს ხელნაწერი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შესწირაო. ასე გადაარჩინა ე. თაყაიშვილმა, მაგალითად, დავით სარაჯიშვილის ხელში შემთხვევით მოხვედრილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც წერეთლისეულის სახელით არის ცნობილი და საკმაოდ დიდი ისტორიაც აქვს.

დ. სარაჯიშვილს განზრახული ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი ფრანგი ბარონ დე-ბაისათვის მიეძღვნა. ექვთიმემ არ დაანება — ჯერ მე უნდა შეეისწავლო, — განუცხადა, დროებითი სარგებლობისათვის გამოართვა და ბოლოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შესწირა დ. სარაჯიშვილის სახელით. შემდეგ, როდესაც ხელნაწერის ნამდვილი პატრონები გამოჩნდნენ, ე. თაყაიშვილმა მათ ათხოვა იგი. გარკვეული ხნის შემდეგ, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ დაუბრუნდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთსაცავს, აღმოჩნდა, რომ მას რამდენიმე მინიატურა აკლდა. მოპარული ილუსტრაციები ევროპაში გაუტანიათ და მათი გაყიდვა განუზრახავთ. ყოველივე ეს ე. თაყაიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელის, მარჯორი უორდროპისაგან შეიტყო. მან სასწრაფოდ უდებეშა მ. უორდროპს, გაეფრთხილებინა ანტიკვარი, რომ მინიატურები მოპარულია და მის მფლობელს სისხლის სამართლის პასუხისგება არ ასცდებოდა. ეს რომ ვაჭრებმა შეიტყეს, მინიატურების შესყიდვისაგან თავი შეიკავეს. მალე სურათები თბილისს დააბრუნეს და ერთ პიროვნებას მიჰყიდეს, რომელმაც ე. თაყაიშვილს მიუტანა შესასყიდად. მაგრამ, როდესაც საქმის ვითარება გაიგო, სურათები დააბრუნა. ასე გადარჩა დაკარგვას წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“ და მისი მინიატურებიც.

ბევრი ცდის მიუხედავად, ე. თაყაიშვილმა ვერ შეძლო „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ხელნაწერის გადარჩენა. კერძოდ, მან ვერ შეუნარჩუნა ქართველ ხალხს „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნის ის ხელნაწერი, რომელიც ერთხანს ელენე თარხნიშვილს ეკუთვნოდა, ხოლო ამჟამად ოქსფორდში, ბოდლეს ბიბლიოთეკაში ინახება. ამ ხელნაწერის ტრაგიკული ისტორიით გამოწვეულ სულიერ ტკივილს ე. თაყაიშვილი სიცოცხლის ბოლომდე მწვავედ განიცდიდა.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს გავიმეოროთ დასაწყისში გამოთქმული აზრი: ე. თაყაიშვილი ძველი ქართული ხელნაწერების „ტრფიალი“ — თავდადებული მოამაგე და უანგარო მცველი, ჭეშმარიტად „ძველი ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების დაუცხრომელი შემკრები და მკვლევარი იყო. უწინარეს ყოვლისა, შემკრები, წესრიგში მომყვანი და აღმწერელი“ (ა. ბარამიძე).

თბილისის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი მოსე ჯანაშვილი (1855—1934) ცნობილი საზოგადო მოღვაწე და თვალსაჩინო მეცნიერი იყო. იგი მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდა: იკვლევდა საქართველოს პოლიტიკურსა და საეკლესიო ისტორიას, ქართულ ენას, მშობლიურ ლიტერატურას. მ. ჯანაშვილმა მრავლად გამოსცა ისტორიული და ლიტერატურული ძეგლები, შეადგინა ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო და სხვ. მან შესამჩნევი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიის განვითარებაში.

მ. ჯანაშვილის კვლევა-ძიების ძირითად სფეროს ძველი ქართული ლიტერატურა წარმოადგენდა. მას აინტერესებდა ძველი ქართული მწერლობის ცალკეული პრობლემები და დარგები, სურდა ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის გარკვევა და მისი ღირსების სრულად წარმოჩენა.

მკვლევარი წლების განმავლობაში შეუწელებელი ინტერესით სწავლობდა ძველ ხელნაწერებს; კარგად ესმოდა რა მათი მეცნიერული ღირებულება, საგანგებოდ უვლიდა, აღწერდა, ხშირად აღწერილობასთან ერთად ბეჭდავდა ვრცელ ამონაწერებს თხზულებებიდან, ადგენდა კატალოგებს და სხვ. ხელნაწერებზე გულმოდგინე მუშაობის შედეგად მან გამოავლინა და გამოსცა არაერთი საისტორიო და მხატვრული ნაწარმოები. წლების მანძილზე მ. ჯანაშვილი, — ვითარცა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის მეცნიერი მცველი, ხოლო მოგვიანებით — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი, — თავს დასტრიალებდა ქართულ ხელნაწერთა კოლექციებს.

საკმაოდ დიდია მ. ჯანაშვილის წვლილი სხვადასხვა სიძველეთსაცავის დაარსებასა თუ შემდგომ საქმიანობაში, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი თანამშრომლობა საეკლესიო მუზეუმში (1897 წლიდან იგი იყო სამუზეუმო კომიტეტის წევრი, ხოლო 1898 წლიდან — მუზეუმის გამგე).

საეკლესიო მუზეუმმა იმთავითვე ფართოდ გაშალა მუშაობა ხელნაწერების ჯეროვანი დაცვისა და მათი მეცნიერული შესწავლის მიზნით. ფრიად ნაყოფიერად მუშაობდა ამ სფეროში მ. ჯანაშვილი. „მუზეუმი იყო ნამდვილი მისი შვილი, მისი სისხლი და ხორცი; მისი რუღღ-



ნებით შეძენილია უდიდესი ნაწილი ამ უმდიდრესი კოლექციისა, მის ხელში გაუვლია ყველა აქ თავმოყრილ ხელნაწერს, მის მიერაა გადაფურცლული თვითეული მათგანი, გადანომრილი და პაგინირებული. ის შეხაროდა ამ დაწესებულების წარმატებას, მას გული შესტკიოდა მისთვის და საკუთარ ოჯახზე უფრო ევლებოდა მას თავს“ (კ. კეკელიძე).

მ. ჯანაშვილმა თავდაპირველად წაიკითხა ზოგადი მოხსენება მუზეუმის საძველევებზე, შემდეგ კი შეადგინა იქაური ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების პირველი კატალოგი, რომელშიც მოკლედ აღწერა 484 ხელნაწერი და 994 სიგელ-გუჯარი. ყოველივე ეს მან გამოსცა ორ წიგნად: 1. „Тифлисское церковное древнехранилище“ (1898 წ.), რომელშიც დაბეჭდილია კატალოგი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერებისა (№№ 1—336) და რეესტრი სიგელ-გუჯრებისა (№№ 1—870); 2. „Каталог церковного музея грузинского экзархата“ (1899 წ.). აქვეა მოცემული გაგრძელება ხელნაწერთა კატალოგისა (№№ 367—484) და სიგელ-გუჯრების სიისა (№№ 871—994).



მოსე ჯანაშვილი

მ. ჯანაშვილი — სხვადასხვა პერიოდული გამოცემის საშუალებით — მკითხველს საზოგადოებას სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას ამა თუ იმ აღმოჩენილი თუ შემოწირული ხელნაწერის შესახებ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მრავალი საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი, რომელთა პუბლიკაცია მან ჯერ კიდევ 1887 წლიდან დაიწყო.

მ. ჯანაშვილი გულმოდგინედ იკვლევდა, ხოლო შემდეგ დაწვრილ-



ბით აცნობდა „ივერიის“ მკითხველს თითოეულ ხელნაწერს. მაგალითად, მან ვრცლად აღწერა ათონის ქართველთა საეპისკოპოსოს დიდი ხელნაწერი კრებული, გადმოსცა მისი მოკლე შინაარსი, შემდეგ განმარტა, თუ ვის მიერ და როდის იყო შედგენილი და სხვ. ასევე საფუძვლიანად გააცნო მან მკითხველ საზოგადოებას „ჟამის წირვა“, რომელიც მიაჩნდა VII საუკუნის ძეგლად, ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი, რომელიც შედგენილია ვახტანგ მეექვსის ბრძანებით, ქსნის ერისთავების კრებული (XVIII ს.), თინათინ დედოფლის სვინაქსარი (XVI ს.) და სხვა მრავალი ხელნაწერი საეკლესიო მუზეუმისა.

მკვლევარი თავდაუზოგავად იღვწოდა იმისათვის, რომ დავიწყებისაგან ეხსნა და დღის სინათლეზე გამოეტანა ისტორიის ავტენტობას გადარჩენილი ერის სულიერი საუნჯე, რომელიც ძველ ხელნაწერებში იყო შემონახული. იგი ხელნაწერთა და სიგელ-გუჯართა შესწავლის დროს, ხშირდ ზუსტად და მთლიანად იწერდა ტექსტებს. ამასთან დაკავშირებით მ. ჯანაშვილი წერდა: „პალეოგრაფიულს წესით იმიტომ გადმოვიღეთ წერის ნიმუშები, ხელმოწერანი და ბეჭედნი, რომ თუ რაიმე მოულოდნელ მიზეზის გამო (ცეცხლი და სხვ.) დაზიანდნენ სიგელ-გუჯარნი, მათი პირი მაინც დაგვშეთეს“. იმიტომ მას შეუდგენია მოზრდილი რვეული, რომლის თავშივე ახსნილი ყოფილა მოცემული მასალა ისე, რომ ყოველ მკითხველს ადვილად შეეძლო მოენახა განმარტება იმ ნიმუშისა, რომლის წაკითხვასაც მოისურვებდა.

მ. ჯანაშვილი მოითხოვდა ტექსტის სწორად და უცვლელად გადმოწერა-გამოქვეყნებას, რადგან, მისი აზრით, „ყოველი მამულიშვილისათვის და ყოველი კაცისათვის, საზოგადოდ, სასუკვარი ხელთ იქონიოს შეუბღალავი და შეუმწიკვლელი ნაჭირნახულევი თვისთა ნეტარსენებულ მამა-პაპათა, მეტადრე იმისთანა ნაჭირნახულევი, რომელიც მკვდრეთით აღადგენს ქართველთა ერის სახელგატეხილ დიდ მატიაწეს“.

მ. ჯანაშვილი არ დაკმაყოფილდა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კატალოგის შედგენითა და სამეცნიერო-პოპულარული წერილების პუბლიკაციით; მან თ. ჟორდანიასთან ერთად შეადგინა ამ მუზეუმის ხელნაწერთა ვრცელი აღწერილობა. პირველი ორი ტომი გამოქვეყნა თ. ჟორდანიამ. კ. კეკელიძის ცნობით, ამ აღწერილობის შედგენაში მ. ჯანაშვილი იღებდა „საქმიანს, მაგრამ ჩუმს მონაწილეობას“. რადგან ამ ტომების ბეჭდვაზე თ. ჟორდანიას თვალის მიღვევება არ შეეძლო, მ. ჯანაშვილმა იკისრა აღწერილობის სასტამბოდ გამზადება, ხელნაწერებთან შედარება, კორექტურა და სხვ.

1908 წელს მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა მესამე ტომი, რომელშიც დაბეჭდა 240 ხელნაწერის (№№ 801—1040) აღწერილობა. ეს ნაშრომი დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ მნიშვნელობას.

რამდენადმე გვიან მ. ჯანაშვილმა შეადგინა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის IV ტომიც (№№ 1041—1640), რომელიც ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q № 579). მასში 360 ფურცელია (საკუთრივ აღწერილობასთან ერთად წარმოდგენილია „მაჩვენებელი თხზულებათა და საკუთარი სახელებისა“). ამ გამოუქვეყნებელი აღწერილობით ხშირად სარგებლობდა სამეცნიერო საზოგადოებრიობა.

მ. ჯანაშვილმა სიცოცხლის ბოლო წლებში შეადგინა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელნაწერების (№№ 1—5334) აღწერილობა სამ წიგნად (325 ფ. 305 ფ. 378 ფ.). ეს უკანასკნელი ნაშრომიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (Q № 578). ა. ბარამიძის სიტყვით, „ბატონ მოსეს „აღწერილობის“ ბოლო წიგნი ძვირფას ხელნაწერ რელიკვიად დარჩა“.

მ. ჯანაშვილი თავის წიგნებში მეტ-ნაკლებად ზუსტად აღწერდა ხელნაწერებს (რა მასალაზეა შესრულებული ტექსტი, ვის მიერ, როდის, რა სახით არის მოღწეული ჩვენამდე და სხვ.), იმოწმებდა ნაწყვეტებს ტექსტებიდან, მკითხველთ აცნობდა საკუთარ დაკვირვებებსა და მოსაზრებებს.

მ. ჯანაშვილმა არაერთი ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნი შესწირა საეკლესიო მუზეუმის სიძველეთსაცავს. სახელდობრ, ახალი აღთქმა (A № 1005), სახარება (A № 1006), „ლეოღრაფია ანუ მოკლედ ქუჭყენის სიმგურგუალისთვის აღწერა“ (A № 1007), საეკლესიო შინაარსის კრებული (A № 1020) და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოღწეულია მ. ჯანაშვილის მიერ დამზადებული ხელნაწერები — ძველი ტექსტების პირებიც. ასეთია, მაგალითად, ურბნისის სახარება (A № 1732), თეიმურაზ პირველის „ქეთევან დედოფლის წამება“ (A № 1635), მარიამ-მთაწმინე ბაგრატიონის საგალობლები (A № 1637) და სხვ.

მ. ჯანაშვილი ხშირად აღწერილობასთან ერთად ბეჭდავდა ვრცელ ამონაწერებს ძველი თხზულებებიდან. მაგალითად, მის მიერ შედგენილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის III ტომში დაბეჭდილია „აბიბოს ნეკრესელის წამება“, რომელიც მკვლევარმა სიტყვა-სიტყვით გადმოწერა დედნიდან (A № 832). თხზულების ეს ტექსტი მ. ჯანაშვილმა მიიჩნია ყველაზე ძველად და განსაკუთრებულად და ამი-



ტომ ჩათვალა საჭიროდ აღწერილობაში მისი მთლიანად დაბეჭდვით ვე გადმოიწერა და დაბეჭდა მან „ბალავარიანის“ ნაწყვეტი XIII საუკუნის ხელნაწერიდან (A №883), „რაყდენის წამება“ A № 903 ხელნაწერიდან, იოანე ანჩელის „გალობანი ანჩისხატისანი“ A № 1040 ხელნაწერიდან და ა. შ.

მ. ჯანაშვილმა ხელნაწერთა აღწერილობასთან ერთად ამ ხელნაწერებში შემონახული არაერთი ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულება გამოაქვეყნა, მაგალითად 1901 წელს გამოსცა კრებული „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპები“, რისთვისაც გამოიყენა ათონური ხელნაწერი (A № 558) და მის საფუძველზე დაბეჭდა „ცხოვრებანი“ ქართველი მოღვაწეებისა (ილარიონისა, იოანე და ექვთიმე ათონელებისა), მათ სადიდებლად დაწერილი საგალობლები და სხვ. ამ იშვიათი ძველი ტექსტების პუბლიკაციით აღფრთოვანებული მ. ჯანაშვილი წერდა: „ესევეითარი ძვირფასი საუნჯე დღემდის დაუბეჭდავად დაშთენილი, ეღირსა მზის სინათლეს და მასთან ერთად წარსულის წყვილიადიამ აღდგნენ არა ერთნი მოღვაწენი და მამულის დიდებანი“. აქვე დავსძენთ, რომ გამომცემელმა „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ტექსტი სხვა ხელნაწერიდან გადმობეჭდა.

საყურადღებოა მ. ჯანაშვილის მიერ აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი, რომელიც მან შეისწავლა და ნაწილობრივ გამოსცა კიდეც. იგი მეცნიერმა შეიძინა მწიგნობარ გივი მაისურაძისაგან 1906 წელს. მ. ჯანაშვილის ცნობით, ხელნაწერს თავი და ბოლო აკლდა, გადარჩენილი იყო, დაახლოებით 412 გვერდი, ვარაუდით კი 600-მდე ფურცელი უნდა ყოფილიყო. ეს ხელნაწერი, რომელიც დღეს „ქართლის ცხოვრების“ ჯანაშვილისეული ნუსხის სახელითაა ცნობილი, მკვლევარმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შესწირა 1907 წელს (S № 4730).

1908 წელს მ. ჯანაშვილმა ერთ კრებულში (A № 69) აღმოაჩინა „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“, რომელიც შეიცავს საინტერესო თხრობას მანამდე უცნობ სერაპიონ ზარზმელისა და საზოგადოდ სამცხე-კლარჯეთის მოღვაწეთა შესახებ. ეს ძეგლი მან დიდად საყურადღებოდ მიიჩნია, ამიტომ ხელნაწერი შეძლებისამებრ შეისწავლა, 1909 წელს კი „ქართული მწერლობის“ მეორე წიგნში დაბეჭდა.

ნათარგმნ ძეგლთაგან მ. ჯანაშვილმა გამოსცა შატბერდის კრებულის ცალკეული თავები, აპოკრიფული „ცხოვრება იოანე ღვთისმეტყველისა“, „ანდრია მოციქულის მიმოსვლა“ და სხვ.

მ. ჯანაშვილი თავგამოდებით იღვწოდა ძველი ქართული ხელნაწე-



რების დაცვა-შენარჩუნებისა და შესწავლისათვის, მათში შემონახული ძეგლების პუბლიკაციისათვის. ის კარგად გრძნობდა და მწვავედ განიცდიდა, რომ მისი დროის ქართველოლოგია არ იყო სასურველ დონეზე. მეტიც, ჩამორჩებოდა კიდევ. აკი ამიტომაც აღნიშნავდა გულისტკივილით: „სრულის ცოდნის ქონა ქართული მეტყველებისა დღეს თითქმის შეუძლებელია, რადგან არ გვაბადია საკუთარი სამეცნიერო აკადემია, არ გვაქვს კაი ლექსიკონები. არ გამოგვიცია ქართული ბიბლია და სხვა წიგნები. არ შეგვისწავლია ქართული ენა და კილოკავები, არ გამოგვიცია საგმირო და სახალხო ნაწარმოებნი, არ გვაქვს ხელში მეცნიერულად შემუშავებული ისტორია ქართველი ერისა. მისი კანონმდებლობა და ეგვეითარი საბუთები მისი ცხოვრებისა და ყოფაქცევისა ცნობაში მოყვანილი, განმარტებულ-განმარცვლილი არ მოგვეპოვება“.

აი, ასეთ დროს მოღვაწეობდა მ. ჯანაშვილი. ამიტომაც მისი საქმიანობა განსაკუთრებული მადლიერების გრძნობას იწვევს ქართველ საზოგადოებრიობაში.

ირინე გოფოძე

მაიკო ორბელიანის „ვეფხისტყაოსანი“

ლევან მელიქიშვილი მაიკო ორბელიანის ავთანდა-  
ლი იყო (ჩემი განარკვეით). „რას ჩააცივდი მარტო გუ-  
სარსა? ვსთქვათ, მაგალითად, პატარა ლასი... სხვასაც  
ქსტყორცნიდე ტრფობის ისარსა, რომელმაც იგრძნოს  
მშვენების ფასი!“

გ. ერისთავი

აი ეს წიგნი იმას ჰქონია,  
ყდას შეხებია იმის თითები,  
რომელი სიტყვაც მოსწონებია —  
ხაზი გაუსვამს დიდის დიდებით.

აი ეს წიგნი იმას სჭერია,  
ვით არმალანი თვალი ძვირფასი,  
შიგ ჩაუდვია ბაბთის ნაჭერი,  
შიგ აღუნიშნავს „პატარა ლასი“.

ეხლა ეს წიგნი მე მიდევს გულზე  
და როგორც მინდა, ვფურცლავ და ვარკვევ,  
ხან ხაზს გავეუსვამ უკვე გასმულზე,  
ხან ვაკვირდები წარსულის სარკეს.

და ერთი ფიქრი მსერავს და მსახრავს,  
მე მუდამ ვამბობ მის დანახვაზე,  
— ჩემ შემდეგ ამ წიგნს, ალბათ, სხვა ნახავს,  
და ისიც ჩემებრ გაუსვამს ხაზებს.



## **АННОТИРОВАННОЕ СОДЕРЖАНИЕ**

**РЕВАЗ ГЛОНТИ**

Председатель РП ДОК ГССР

**С учетом национальных интересов**

В беседе идет речь о проблемах, которые стоят в настоящее время перед Обществом любителей книги Грузинской ССР.

**МУХРАН МАЧАВАРИАНИ**

Председатель правления Союза писателей Грузии

**Писатель и время**

Беседа с известным грузинским поэтом Мухраном Мачавариани посвящается его 60-летию. Писатель высказывает свое отношение к острым социальным, экономическим, экологическим проблемам, возникшим в процессе перестройки.

**ТАМАР НУЦУБИДЗЕ**

Кандидат филологических наук

**В мире шекспировских переводов**

В статье рассматривается история перевода на грузинский язык пьес Шекспира, начиная с середины XIX века по настоящее время. Особое внимание уделяется переводам, выполненным в конце XIX века писателем и общественным деятелем Ив. Мачабели.

**ГОЧА ДЖАПАРИДЗЕ**

Кандидат исторических наук

**Благотворитель**

Статья посвящена памяти гражданина Сирии, видного представителя деловых кругов Сирии, грузина по национальности Левана Николаевича

Сагарадзе (ум. в 1989 г.), издавшего за свой счет в Дамаске арабские переводы бессмертной поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» и стихотворных произведений И. Чавчавадзе, а также передавшего в дар Институту востоковедения им. акад. Г. В. Церетели АН ГССР большую библиотеку средневековой арабской историко-филологической литературы.

## НОННА КАЛАНДАРИШВИЛИ

Главный редактор изд-ва «Накадули»

### Размышления о будущем

Статья посвящается 50-летию издательства детской литературы «Накадули».

## ЛЕВАН МЕНАБДЕ

Доктор филологических наук, профессор ТГУ

### Грузинское книгохранилище на Афоне

В X веке в грузинской обители на Афоне (в Греции) возникла научно-литературная школа, которая внесла значительный вклад в историю грузинской культуры. В статье дается краткий обзор книгохранилища Афонского Иверского (грузинского) монастыря.

## МАМИЯ ХАРАЗИ

Библиофил

### Анна Ахматова в моей библиотеке

Известный грузинский библиофил рассказывает о создании коллекции книг А. Ахматовой в его личной библиотеке.

## ЮРИЙ МАРГОЛИС

Шевченко-читатель (перевод Мананы Цицкишвили)

## НЕЛЛИ АНДРОНИКАШВИЛИ

Кандидат филологических наук

Роберт Стивенсон—исследователь и переводчик  
грузинской литературы

В статье рассматривается научная и переводческая деятельность английского грузиноведа Роберта Стивенсона. Анализируются его переводы грузинской классической литературы «Амиран Дареджаннани» Мосе Хонели и «Витязь в тигровой шкуре» Руставели, также научный вклад исследователя в области изучения ряда проблемных вопросов грузинской литературы.

## НИНА ЗЕДГИНИДЗЕ

Кандидат филологических наук, доцент

### Страна его мечты

В статье дается анализ творческой деятельности видного английского ученого и общественного деятеля конца XIX и первой половины XX вв. Оливера Уордропа в области картвелологии и его связей с прогрессивными мыслителями Грузии.

Своим трудом «Грузинское Царство» и переводами важнейших памятников грузинской литературы О. Уордроп заложил основу для ее подлинного и серьезного изучения в Англии.

## СЕРГО ТУРНАВА

Кандидат филологических наук

### Швейцарские картвелологи

В статье рассмотрены труды о грузинской литературе швейцарских картвелологов К. Чхенкели, Л. Флури, Р. Ноиком, И. Маршев и др., опубликованные в швейцарской прессе, которые сыграли большую роль в развитии и укреплении грузино-швейцарских литературных взаимосвязей.

## ДЖЕМАЛ ЧЕЛИДЗЕ

Кандидат филологических наук

### Генрих Сенкевич и Грузия

В статье рассмотрены и проанализированы переводы на грузинский язык произведений Генриха Сенкевича.

## МЕРИ ҚАРБЕЛАШВИЛИ

Кандидат искусствоведения

### Серго Кобуладзе

Статья рассказывает о плодотворной работе выдающегося грузинского художника Серго Кобуладзе (1909—1978) в области книжной иллюстрации.

## РАМАЗ ПАТАРИДЗЕ

Кандидат филологических наук

### Памятники грузинской литературы IV века

В статье рассматриваются памятники IV века грузинской литературы и устанавливается, что еще до конечной победы христианства (10-е годы IV века), на протяжении трехсот лет развивалась христианская литература:

## МЕРИ ГУГУШВИЛИ

Доктор филологических наук

### Теймураз I

Статья посвящается 400-летию со дня рождения выдающегося представителя грузинской литературы Теймураза I.

## ТАМАЗ ДЖОЛОГУА

Журналист

### Дмитрий Кипиани—общественный деятель

В статье раскрывается общественная деятельность Дмитрия Кипиани— крупнейшего грузинского публициста XIX века, одного из руководителей народно-освободительного движения Грузии. В частности говорится об его участии в создании публичной библиотеки в Тбилиси и «Общества распространения грамотности среди грузин».

## МЕГИ БАРАМИДЗЕ

Кандидат филологических наук

### Лермонтов в Грузии

В статье, посвященной 150-летию со дня рождения М. Ю. Лермонтова, речь идет о кавказских произведениях писателя: «Демон», «Мцыри», «Герой нашего времени» и др.

## МАДОННА БАНЦАДЗЕ, ИРИНА ГОПОДЗЕ

Ст. лаборанты ТГУ

### Радетели древнегрузинских рукописей

В статье рассказывается об археографической и издательской деятельности выдающихся грузинских ученых — академика Э. Такаишвили и проф. М. Джанашвили.

წიგნი და ცხოვრება

რევიაზ ლლონტი, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით . . . . .	7
მუხრან მაჭავარიანი, მწერალი და დრო . . . . .	14
თამარ ნუცუბიძე, შექსპირის თარგმანთა სამყაროში . . . . .	21
გორა ჯაფარიძე, ქველმოქმედი . . . . .	39
ნონა კალანდარიშვილი, ფიქრები მომავალზე . . . . .	49

ბიბლიოთეკები და ბიბლიოფილები

ლევან მენაბდე, ქართული წიგნსაცავი ათონის მთაზე . . . . .	55
მამია ხარაში, ანა ახმატოვა ჩემს ბიბლიოთეკაში . . . . .	73
იური მარგოლისი, შევჩენკო—მკითხველი . . . . .	89

მსოფლიოს მერიდიანებზე

✓ ნელი ანდრონიკაშვილი, რობერტ სტივენსონი — ქართული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი . . . . .	99
ნანა ზედგინიძე, საქართველო იყო მისი საოცნებო მხარე . . . . .	119
✓ სერგო თურნავა, შვეიცარიელი ქართველოლოგები . . . . .	134
ჯემალ ჭელიძე, ჰენრიკ სენკევიჩი და საქართველო . . . . .	144

ყალბით და ფუნჯით

მერიკარბელაშვილი, სერგო ქობულაძე . . . . .	159
--	-----

ძიებანი

რამაზ პატარიძე, მეოთხე საუკუნის ქართული მწიგნობრობის ძეგლები . . . . .	: : : : : 179
---	---------------

წარსულის ფურცლები

მერიგუგუშვილი, სოფლის მომღერავე პოეტი . . . . .	199
თამაზ ჯოლოგუა, დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივი მოღვაწე- ობიდან . . . . .	210
მეგი ბარამიძე, ლერმონტოვი საქართველოში . . . . .	225
✓ მადონა ბანცაძე, ირინე გოფოძე, ძველი ქართული ხელ- ნაწერების მოამაგენი . . . . .	: 238

ლექსები

ჯანსუღ ჩარკვიანი, დედა ენა . . . . .	52
ალექსანდრე პუშკინი (***) ქუჩის ხმაურში ხეტიალს ვიწყებ) . . . . .	96
ტადეუშ რუჟევიჩი, პოეტის თმის ღერი . . . . .	156
✓ იოსებ გრიშაშვილი, მაიკო ორბელიანის „ვეფხისტყაოსანი“ . . . . .	250

Добровольное общество любителей книги  
 им. И. Чавчавадзе Грузинской ССР

МЦИГНОБАРИ—89

(На грузинском языке)

Издательство «Сакартველო»  
 Тбилиси, Марджанишвили, 5  
 1989

გამომცემლობის რედაქტორი ე. ტრიპოლსკი  
 მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე  
 ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა  
 კორექტორი ლ. არჩუაძე  
 გამომშვები მ. წიფწივაძე

გადაეცა წარმოებას. 04.08.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად  
 15.03.90. უე 01948. საბეჭდო ქაღალდი № 1. 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. გარ-  
 ნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი  
 14,88+ჩაკერა 1,86. პირ. საღ.-გატ. 15,84. სააღრ.-საგამომც.  
 თაბახი 14,26. ტირაჟი 10.000. შეკვეთა № 1978.

ფასი 1 ზან. 80 კაპ.

გამომცემლობა „საქართველო“  
 თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტე-  
 ტის თბილისის ი. კავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრო-  
 ბის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Госу-  
 дарственного комитета по печати Грузинской ССР,  
 пр. Дружбы № 7.

